

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №10

სანივთო სამართალი

სადიებელი

ზოგადი ნაწილი

ნების გამოვლენის განმარტება

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა
ცილისწამება

გარიგება

ნების ნაკლი

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

მფლობელობა

უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

საკუთრება

მოდრავ ნივთზე საკუთრების შექმნის საფუძვლები;

პირობადადებული საკუთრება

აუცილებელი გზა

კეთილსინდისიერი შექმნის უფლებრივი მდგომარეობა

საჯარო რეესტრში გარიგების წარდგენის წესი

საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა

იპოთეკა

იპოთეკის ფარგლები

იპოთეკის გავრცელება ქონების შემადგენელ ნაწილზე

იპოთეკით დატვირთული ქონების

რეალიზაცია ხარჯების დაფარვა

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის

გადასვლა კრედიტორის საკუთრებაში

იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება

რეგისტრირებული გირავნობა

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას

წარმოშობილი ურთიერთობები

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის

უფლების დათმობა

საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის უფლება

ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე

ზოგადი ნაწილი
ნების გამოვლენის განმარტება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ას-377-357-2011

28 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 23 ივნისს ც. ე-მემ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მ. ა-მისა და ნოტარიუს ე. გ-შვილის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ ქუთაისში, ... მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილზე გაცემული სამკვიდრო მოწმობისა და ამავე ნაწილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

სარჩელში მითითებულია, რომ 2001 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა მ. ვ-მე, რომელსაც ორი პირველი რიგის მემკვიდრე დარჩა – მეუღლე ა. ვ-მე და შვილი ც. ე-მე. მ. ვ-მეს ანდერძი არ დაუტოვებია. სამკვიდრო მოწმობა 2003 წლის 18 სექტემბერს მხოლოდ ა. ვ-მემ აიღო მთელ სამკვიდრო ქონებაზე, ხოლო იმავე წლის 23 სექტემბერს აღნიშნული ქონება შვილიშვილ მ. ა-მეს აჩუქა. მ. ვ-მის მემკვიდრე ასევე იყო ც. ე-მეც, რომელმაც სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამკვიდრო მოწმობა და ჩუქების ხელშეკრულება ბათილია.

მ. ა-მემ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი აღძრა და ც. ე-მის სადავო საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება მოითხოვა. მისი მითითებით, სადავო სახლის ერთადერთი მესაკუთრე თავადაა, ც. ე-მე კი, მას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ც. ე-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. ა-მის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ც. ე-მეს ქ. ქუთაისში, ... (...) მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ა-მისათვის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარება დაევა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ც. ე-მემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით ც. ე-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა, ც. ე-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისში, ... (...) მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილზე ა. ვ-მის სახელზე გაცემული №2-237 სამკვიდრო მოწმობა, ბათილად იქნა ცნობილი საცხოვრებელი სახლის იმავე ნაწილის 2003 წლის 25 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონების მემკვიდრედ ცნობილი იქნა ც. ე-მე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქუთაისში, ... ქუჩის მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე სახლის 2/3 ნაწილი მ. ვ-მეს ეკუთვნოდა;

2. მ. ვ-მე 2001 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა და პირველი რიგის სამი მემკვიდრე დარჩა: მეუღლე ა. ვ-მე, შვილი ც. ე-მე და შვილიშვილი, მ. ა-მე;

3. მ. ვ-მის გარდაცვალების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მის სამკვიდროს დაეუფლნენ მხოლოდ ა. ვ-მე და ც. ე-მე, შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა სამკვიდროდან 1/2 წილი მიიღო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია, 2003 წლის 18 სექტემბერს, ე.ი სამკვიდროს გახსნიდან 2 წლის გასვლის შემდეგ, ც. ე-მემ განცხადებით მიმართა სანოტარო ორგანოს და დედის, ა. ვ-მის, სასარგებლოდ უარი განაცხადა მის წილ სამემკვიდრეო ქონებაზე, მაგრამ, პალატის აზრით, ამით სადავო ქონებაზე უფლებები არ დაუკარგავს, რადგანაც სამკვიდროზე უარი არ უთქვამს სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კი, იგი სადავო ქონების მესაკუთრე გახდა, ამდენად, იგი სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად უნდა განეკარგა, რაც არ განუხორციელებია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ა. ვ-მის მიერ შვილიშვილის სასარგებლოდ დადებული ჩუქების ხელშეკრულება ბათილი იყო 1/2 ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილებით ც. ე-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება მ. ა-მის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ა-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მართლზომიერი მფლობელი-სათვის ქონების დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე დამატებითი გადაწყვეტილება მ. ა-მემ და ე. გ-შვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს.

მ. ა-მის საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ც. ე-მის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ც. ე-მემ 2003 წლის 18

სექტემბერს უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. სასამართლოს ამ შემთხვევაში უნდა ემსჯელა გამოვლენილი ნების ნამდვილობის თაობაზე. ც. ე-მისათვის იმთავითვე ცნობილი იყო ა. ვ-მის სურვილი, სადავო სახლი მ. ა-მისათვის გადაეცა საჩუქრად და აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია დამატებითი გადაწყვეტილების მიღების 7-დღიანი ვადა, ამასთან, ისე განიხილა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საკითხი, რომ არც მ. ა-მე და არც მისი წარმომადგენელი სხდომაზე არ მოუწვევია.

ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სამკვიდრო მოწმობა გაცემული იყო კანონის მოთხოვნა დაცვით. მ. ვ-მეს 3 პირველი რიგის მეკვიდრე დარჩა, რომლებიც მოწვეული იყვნენ სამკვიდროს მისაღებად. ც. ე-მემ კანონით დადგენილ ვადაში უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე. სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა მას სადავოდ 2 თვის ვადაში შეეძლო გაეხადა, რაც არ განუხორციელებია, ამდენად სარჩელი ხანდაზმული იყო. სასამართლომ არასწორად ცნო ბათილად ჩუქების ხელშეკრულება და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ, ვინაიდან სადავო საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ ა. ვ-მე იყო რეგისტრირებული, მ. ა-მე კეთილსინდისიერი შემძენი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ მ. ა-მისა და ე. გ-შვილის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო

უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში ე. გ-შვილს დამოუკიდებელი მოთხოვნა არ გააჩნია, არც მოსარჩელის მოთხოვნაა მისკენ რაიმე ფორმით მიმართული. რეალურად, ე. გ-შვილის მიერ სასამართლოში წარდგენილი შესაგებლები და საკასაციო საჩივარიც მ. ა-მის ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ნოტარიუსი ე. გ-შვილი მოცემულ დავაზე მოპასუხედ კი არა, მესამე პირად უნდა ყოფილიყო ჩაბმული.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებისა და დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს, პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ან არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტების თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქუთაისში, ნ-ს ქუჩის მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე სახლის 2/3 ნაწილი მ. ვ-მეს ეკუთვნოდა;

2. მ. ვ-მე 2001 წლის 23 ივნისს გარდაიცვალა და პირველი რიგის სამი მემკვიდრე დარჩა: მეუღლე ა. ვ-მე, შვილი ც. ე-მე და შვილიშვილი, მ. ა-მე;

3. მ. ვ-მის გარდაცვალების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, მის სამკვიდროს დაეუფლნენ მხოლოდ ა. ვ-მე და ც. ე-მე, შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა სამკვიდროდან 1/2 წილი მიიღო;

4. 2003 წლის 18 სექტემბერს, ე. ი. სამკვიდროს გახსნიდან 2 წლის გასვლის შემდეგ, ც. ე-მემ განცხადებით მიმართა სანოტარო ორგანოს და დედის, ა. ვ-მის, სასარგებლოდ უარი განაცხადა მის წილ სამემკვიდრეო ქონებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. განსახილველ შემთხვევაში კასატორებს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ვინაიდან ც. ე-მემ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებით, აღნიშნულ ნების გამოვლენას იურიდიული ძალა არ ჰქონდა.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ც. ე-მემ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის მიხედვით, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

იმავე კოდექსის 1447-ე მუხლის მიხედვით მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს, ხოლო 1424-ე მუხლის მიხედვით კი, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ც. ე-მე 2003 წლის 18 სექტემბერს, ანუ სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანისას, სამკვიდროს მისაღებად მიწვეული მემკვიდრე კი არ იყო, არამედ სადავო ქონების 1/2 წილის მესაკუთრე, შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ 2003 წლის 18 სექტემბერის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად ვერ ჩაითვლება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მითითებულ დოკუმენტს სამართლებრივი მნიშვნელობა არ აქვს.

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ც. ე-მის მიერ 2003 წლის 18 სექტემბერს გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.

სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ ც. ე-ძეს სურდა ქუთაისში, ... ქუჩის მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე სახლის მისი კუთვნილი წილი გადასულიყო დედის, ა. ვ-ძის, საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) სანოტარო აქტი შეიცავს პირის ნებას ქონების სხვა პირის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლასთან დაკავშირებით; ბ) ქონების გამსხვისებელი იყო ამ ქონების მესაკუთრე; გ) ც. ე-ძე ნების ნაკლის არსებობას ვერ ადასტურებს; დ) უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წერილობითი ფორმა დაცული იყო.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2003 წლის 23 სექტემბერს ა. ვ-ძე მთლიანი უძრავი ქონების მესაკუთრე იყო და შეეძლო თავისუფლად განეკარგა იგი, ამდენად, ამ უკანასკნელის მიერ მ. ა-ძის სახელზე გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა და სადავო უძრავი ქონების ერთადერთი მესაკუთრე მ. ა-ძეა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის გადაჭრისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, ამასთან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია ან არ შეუფასებია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. ენდე-ლემის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მ. ა-ძის შეგებებული სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ც. ანდელაძემ თავად განკარგა სამკვიდროს კუთვნილი წილი და 2003 წლის 23 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ც. ე-ძე მ. ა-ძის კუთვნილ უძრავ ქონებას სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მესაკუთრე მ. ა-ძე უფლებამოსილია, სადავო უძრავი ქონება ც. ე-ძის უკანონო მფლობელობიდან გამოითხოვოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ც. ე-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. ა-ძის შეგებებული სარჩელი კი დაკმაყოფილდა, ც. ე-ძემ თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეებს – მ. ა-ძესა და ე. გ-შვილის სრულად უნდა აუნაზღაუროს მათ მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ი ტ ა:

1. ე. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 2. მ. ა-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, ასევე იმავე პალატის 2011 წლის 3 თებერვლის დამატებითი გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
 4. ც. ე-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
 5. მ. ა-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს;
 6. ც. ე-ძის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნას ქუთაისში, ... (...) ქუჩის მე-4 შესახვევის №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2/3 ნაწილი;
 7. ც. ე-ძეს დაეკისროს ე. გ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის, ასევე მ. ა-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 667 ლარის ანაზღაურება.
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა

რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა

განჩინება

№ას-1477-1489-2011

3 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა (სარჩელში); ზიანის ანაზღაურება, ჟურნალ-გაზეთებისა და ტელევიზიის საშუალებით ბოდიშის მოხდა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. კ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ც. შ-ას მიმართ მედიის საშუალებით გავრცელებული ცნობების უარყოფის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: ც. შ-ამ მედიის, კერძოდ, ჟურნალ „რ-ის“ საშუალებით საჯაროდ გაავრცელდა ინფორმაცია, რომელშიც ბ. კ-ეს ბრალი ედებოდა ქურდობასა და თაღლითობაში; მას ბრალდებოდა ც. შ-ას საკუთრებაში არსებული ძვირადღირებული ნივთების უკანონოდ მითვისება; ყალბი განქორწინების მოწმობის შედგენა და მისი ჯანმრთელობისთვის განზრახ ზიანის მიყენება.

ც. შ-ამ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით ბ. და მ. კ-ეებისაგან მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, ჟურნალ-გაზეთებისა და ტელევიზიის საშუალებით ბოდიშის მოხდა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა შემდეგი საფუძვლებით: ბ. კ-ეს მ. კ-ესთან ერთად ც. შ-ას მიმართ ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული, რითაც მას მიაყენეს მორალური და მატერიალური ზიანი. სერიოზულად შეირყა მისი ჯანმრთელობა, ნერვული სტრესებისა და ჰიპერტონული შეტევების შედეგად დაუზიანდა გული. 2006 წლის აპრილში მორიგი ოჯახური სკანდალის შემდეგ უჭირდა ოპერაციების ჩატარება და ავტომანქანის მართვა. ამის გამო 15 თვის განმავლობაში ძვირადღირებული პრეპარატებით მკურნალობა დასჭირდა. 2005 წლის 13 ივნისს ბ. კ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ც. შ-ას მიადგა სხეულის დაზიანება. მოპასუხის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მითვისებულ იქნა ც. შ-ას კუთვნილი ნივთები. ამასთან, მ. კ-ის მიერ მედიის საშუალებით გავრცელებულ იქნა ც. შ-ას პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები. ც. შ-ამ, როგორც ძირითადი სარჩელის მოპასუხემ, აღნიშნა, რომ მას ცილისწამებლური ცნობები არ გაუვრცელებია, ვინაიდან მას სადავოდ გამხდარი ინფორმაციის გავრცელებისთვის ჰქონდა რეალური საფუძველი, კერძოდ, მისი ნივთების ქურდობის ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ბ. კ-ე ცნობილი იყო ექვმიტანილად, ინფორმაციის გავრცელებისას ც. შ-ას მიზანს წარმოადგენდა ჩადენილი დანაშაულის გახსნის ინტერესი.

მოპასუხეებმა ბ. და მ. კ-ეებმა შეგებებული სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 13 ივნისს ბ. კ-ეს რაიმე დანაშაული არ ჩაუდენია, არც ც. შ-ას ნივთები მოუპარავს. მ. კ-ეს ც. შ-ას პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები არ გაუვრცელებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ც. შ-ას დაევალა ჟურნალ „რ-ის“ საშუალებით ბ. კ-ის პატივისა და ღირსების, კერძოდ, ბ. კ-ის მიერ ც. შ-ას ნივთების უკანონოდ მითვისების ცნობების უარყოფა; ც. შ-ას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბ. კ-ეს დაეკისრა ც. შ-ას სასარგებლოდ მორალური ზიანი 5000 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით ც. შ-ასა და ბ. კ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მ. კ-ესა და ბ. კ-ეს შორის ქორწინება შეწყდა 2003 წლის 15 აპრილს. 2003 წლის 21 ივნისს დაქორწინდნენ ც. შ-ა და ბ. კ-ე. რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ხამოვნიკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის განაჩენით ბ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ მკვლელობის მუქარისა და ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენების ფაქტზე და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ქ. მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს განყოფილების საგამომიებო განყოფილების გამომძიებლის 2008 წლის ცნობით დგინდება, რომ მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს საგამომიებო განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ც. შ-ას კუთვნილი საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე. ხსენებულ დანაშაულის ჩადენაში ექვმიტანილია ბ. კ-ე. 2006 წლის 24 ივლისის ჟურნალ „რ-ის“ №30 გამოშვებაში, სათაურით – „ბ. კ-ე მოსკოვში დააკავეს«, დაიბეჭდა ინტერვიუ ც. შ-ასთან. ინტერვიუს მე-2 გვერდზე იგი აღნიშნავს: „ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა ისიც, ვინ მოიპარა ჩემი ნივთები და ისიც, რომ ძვირფასეულობა მოპარული იყო და არა დაკარგული... რაც შეეხება ჩემს გეგმებს ბ-სთან დაკავშირებით, ყველანაირი საშუალებით მივალწევ ჩვენი ქორწინების გაბათილებას, რათა ჩემი ავტობიოგრაფია არ იყოს კომპრომეტებული ქურდი, თაღლითი და აფერისტი ქმრის ყოლით წარსულში«. 2006 წლის 7 აგვისტოს ჟურნალ „რ-ის“ №32 გამოშვებაში კი, ც. შ-ა აღნიშნავს, რომ ბ. კ-ემ მისი კუთვნილი ნივთები უკანონოდ მითვისა. „სიტ-

ყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი« და „ზ« ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, ც. შ-ა და ბ. კ-ე არ წარმოადგენენ საჯარო პირებს.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტისა და ამავე კანონის მე-13 მუხლის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ პირის მიმართ გავრცელებულია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება ეკისრება თავად მოსარჩელეს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, ხაზგასმელია, თუ რა სახის ინფორმაციის შემცველი განცხადება გაავრცელა მედიამ ც. შ-ამ. 2006 წლის 24 ივლისის და ამავე წლის 7 აგვისტოს ჟურნალ „რ-ის« №30 და №32 გამოშვებებში ც. შ-ა აღნიშნავს, რომ ბ. კ-ე არის „ქურდი«. სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, ქურდობა ითვლება დანაშაულებრივ ქმედებად. ამდენად, აღნიშნული სახის ინფორმაციის გავრცელებით უდავოდ ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რამდენადაც საზოგადოებაში მსგავსი ინფორმაციის გავრცელებით პირი შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დამნაშავე, რაც გამოიწვევს საზოგადოებრივი რეპუტაციის დისკრედიტაციას. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტებიდან გამომდინარე, მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე დადგენილების არსებობა და მოცემულ საქმეზე პირის ექვივალენტად ცნობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარის საფუძვლად იმ გარემოების არსებობისათვის, რომ პირის მიერ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება. კერძო პირი არ არის უფლებამოსილი ან ბრალდებულად ცნოს, ან დამნაშავედ აღიაროს პირი, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადც, ადამიანის პატივი და ღირსება არის ხელშეუვალი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძო პირი უფლებამოსილია, თავისი ქმედებით ხელი შეუწყოს გამოძიების მსვლელობას. მოცემულ შემთხვევაში კი, ჟურნალ „რ-ში« გამოქვეყნებულ ინტერვიუში ც. შ-ამ განაცხადა არა ჩადენილი დანაშაულის გახსნის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ, ისე, რომ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ქურდობაში დაადანაშაულა ბ. კ-ე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულია სიტყვისა და აზრის გავრცელების უფლება. აღსანიშნავია, რომ პირის აღნიშნული უფლება არ შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც შეუზღუდავი, აბსოლუტური უფლება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე. ამდენად, პირს სიტყვისა და აზრის გავრცელების უფლება შეიძლება შეეზღუდოს, თუ აღნიშნულით ილახება სხვა პირის უფლებები. როგორც უკვე აღინიშნა, ჟურნალ „რ-ში« გამოქვეყნებულ ც. შ-ას ინტერვიუში იგი ქურდობაში ისე ადანაშაულებს ბ. კ-ეს, რომ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარდგენილი ქ. მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს განყოფილების საგამომიებო განყოფილების გამომძიებლის მიერ გაცემული ცნობებით დგინდება, რომ 2004 წლის 9 ივლისს ც. შ-ას ბინიდან ძვირფასეულობის მოპარვის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოება გრძელდება და ბ. კ-ე დღემდე ექვივალენტად არის ცნობილი, საპულავიო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, ც. შ-ას განცხადებებით დარღვეულ იქნა ბ. კ-ის კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული უფლებები და შეილახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ც. შ-ას ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ბ. კ-ის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ც. შ-ას კუთვნილი ნივთების უკან დაბრუნება. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღიარებულია პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. კ-ე ქურდობის ფაქტზე აღიარებულია დამნაშავედ. ამდენად, არ დგინდება ბ. კ-ის მიერ დანაშაულებრივი ქმედების გზით ც. შ-ას კუთვნილი ნივთების მითვისების ფაქტი.

პალატამ ასევე განმარტა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება პირს დაეკისროს, თუ სახეზეა ზიანი, ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, ც. შ-ას მიერ წარდგენილი ცნობით, მართალია, დასტურდება, რომ იგი საჭიროებს ოპერაციას, რომლის ღირებულება შეადგენს 345 000 რუბლს, თუმცა საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. უფრო მეტიც, საქმეში წარდგენილი ამონარიდით ჟურნალ „სარკის« 2008 წლის 30 ივლისი – 5 აგვისტოს გამოცემიდან დგინდება, რომ თავად აპელანტი ც. შ-ა აცხადებს: „ყველა მიკროქირურგს ხერხემალი აწუხებს, რადგან 4-6-10 საათიც კი შეიძლება ერთ პოზაში იჯდე და ოპერაციებს აკეთებდე. ხერხემლის თიაქარი მაქვს, რომელიც ძალიან მაწუხებს«. ამდენად, თავად ც. შ-ა აღიარებს, რომ ხერხემლის თიაქარი მიკროქირურგების პროფესიული დაავადებაა და არა ბ. კ-ის დანაშაულებრივი გზით მიყენებული ქმედების შედეგი.

საპულავიო სასამართლო ასევე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ხამოვნიკის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენით ბ. კ-ეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა და იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ც. შ-ასთვის ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენების ფაქტზე, შესაბამისად, დაეყრდნო რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ« ქვეპუნქტს, არ გაიზიარა ბ. კ-ის მოსაზრება მასზე, რომ ც. შ-ას ჯანმრთელობისთვის მას არ მიუყენებია ზიანი.

პალატა დაეყრდნო რა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილს, „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის „ა» და „ე» ქვეპუნქტების თანახმად, მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლში მოცემულია ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც დაცულია კანონმდებლობით და, რომლის შელახვის შემთხვევაში, პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, ხოლო ცილისწამება წარმოადგენს განცხადებას, რომლითაც შეიძლება შელახულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით დაცული სამართლებრივი სიკეთე, შესაბამისად, თუ გავრცელებული ინფორმაცია არის არსებითად მცდარი, სახელის გამტეხი და აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგად პირს მიადგა ზიანი, ესაა ცილისწამება. მოცემულ შემთხვევაში, 2006 წელს გაზეთ „სიხალეში» დაიბეჭდა მ. კ.-ის წერილი, რომელიც აპელანტ ც. შ.-ას შეფასებით წარმოადგენს ცილისწამებას, რაც არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. სტატიაში მოცემული ტექსტი შესაძლებელია ატარებდეს შეურაცხყოფელ ხასიათს, თუმცა არ წარმოადგენს რაიმე სახის ინფორმაციის შემცველ განცხადებას, ე.ი განცხადებას, რომელიც შეიცავს რაიმე ფაქტის შემცველ ცნობებს, ხოლო ზემოაღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზი კი ცხადყოფს, რომ განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებლურად, თუ იგი შეიცავს რაიმე სახის ინფორმაციას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ.-ეს ც. შ.-ასათვის ცილი არ დაუწამებია.

პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით განმარტა: სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურებას ეკისრება სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი არის მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანის გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად. მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელოვან ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორცაა, სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, მაგრამ პრევენციის უზომოდ გავრცა და სიტყვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ც. შ.-ას მოთხოვნა, ბ. კ.-ისათვის მორალური ზიანის, 15000 ლარის, დაკისრება, გაზრდილია და არ შეესაბამება რეალობას. ამდენად, ბ. კ.-ეს, ც. შ.-ას ჯანმრთელობაზე ვნების მიყენების გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მართებულად დაეკისრა 5000 ლარის გადახდა. ამასთან, რამდენადაც ც. შ.-ამ ვერ წარმოადგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას დაეკისროს მ. კ.-ეს, მის მიმართ გამოვლენილი ცილისწამების გამო, სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. კასატორმა ც. შ.-ამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ც. შ.-ა და ბ. კ.-ე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად, არ მიეკუთვნებიან საჯარო პირებს. ასეც რომ იყოს, კასატორს არავისთვის დაუწამებია ცილი. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» კანონის მე-13 მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ კერძო პირს დასწამონ ცილი უნდა არსებობდეს: ა) არსებითად მცდარი ფაქტი; ბ) პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. კანონის თანახმად, ორივე პირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ფაქტი არ ყოფილა არსებითად მცდარი. აღნიშნული ინფორმაციის გასავრცელებლად კასატორს ჰქონდა რეალური საფუძველი, კერძოდ, მან იცოდა, რომ რუსეთის ფედერაციის შს განყოფილების საგამომიებო განყოფილების წარმოებაში იყო სისხლის სამართლის საქმე მისი კუთვნილი ძვირადღირებული საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე. ამ დანაშაულის ჩადენაში კი ეჭვიმტანილი იყო ბ. კ.-ე, რომელიც არაერთხელ დაიკითხა ეჭვიმტანილის სტატუსით და აღკვეთის ღონისძიებაც კი შეეფარდა. გარდა ამისა, ბ. კ.-ემ, ც. შ.-ას არაერთი თხოვნის მიუხედავად, უარი განაცხადა სიცრუის დეტექტორზე შემოწმებაზე. მოსარჩელის ასეთი ქმედებები ადამიანს აღუძრავს გონივრულ ეჭვს, რომ მას მართლაც მიუძღვის ბრალი აღნიშნულ დანაშაულში. გარდა ამისა, აღნიშნული ცნობის ცილისწამებად მიჩნევის მეორე პირობაც არ არსებობს, კერძოდ, ბ. კ.-ისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. მის მიერ არ წარმოდგენილა ცნობა იმის დასადასტურებლად, რომ ც. შ.-ას მიერ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მას მიადგა რაიმე ზიანი, არადა, სწორედ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატორზეა მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ გავრცელებულმა ინფორმაციამ მას ნამდვილად მიაყენა ზიანი, ხოლო ზიანის არარსებობის შემთხვევაში არ შეიძლება პირს რაიმე პასუხისმგებლობა დაეკისროს ინფორმაციის გავრცელებისთვის. გარდა აღნიშნულისა, საკმაოდ ბევრი იმსჯელებს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა იმ ფაქტზე, რომ ც. შ.-ას მიერ 2006 წლის 24 ივლისისა და 2006 წლის 7 აგვისტოს ჟურნალ „რ-ისათვის» მიცემული ინტერვიუებით ბ. კ.-ეს „დაედო ბრალი» სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში. კასატორმა მიმართა რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებს და მას შემდეგ, რაც მათ განახორციელეს მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები და თავად კასატორი ცნეს დაზარალებულად, მან ჟურნალს მისცა ინტერვიუ აღნიშნულის შესახებ, რაც წარმოადგენდა მხილებას, რასაც ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონი. სასამართლომ არასწორად შეაფასა ის ფაქტი, რომ ც. შ.-ას, თითქოს არ შეეღაზა პატივი და ღირსება მ. კ.-ის ინტერვიუთი. მ. კ.-ის მიერ აღნიშნული განხორციელდა ერთადერთი მიზნით – შეურაცხყოფა მიყენებინა და დაემცირებინა ც. შ.-ა ამორალური

და ზნეობის საწინამდებარე გამონათქვამებით, რაც წარმოადგენს უხამსობას, პატივისა და ღირსების შელახვას და, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლისა და „სტიკვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონის დარღვევას. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ბ. კ-ისადმი მორალური ზიანის 5000 ლარის, დაკისრებას, აღნიშნული თანხა არ არის შესაბამისი იმ ზიანთან, რაც ც. შ-ას ბ. კ-ის დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიადგა. სრულიად დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში. ამასთან, სასამართლო არასწორად ადგენს, რომ ხერხემლის ტკვილი პროფესიული დაავადებაა და ბ. კ-ის ქმედებებს არ უკავშირდება. ბ. კ-ემ დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა 2005 წლის 13 ივნისს, ინტერვიუ კი დათარიღებულია 2008 წლით. ამ პერიოდისათვის ც. შ-ას უკვე ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც გამოიწვია მანამდე ბ. კ-ის მიერ ჩადენილმა დანაშაულებრივმა ქმედებამ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ იმიტომ არ დააკმაყოფილა ც. შ-ას მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომ მას წარდგენილი არ ჰქონდა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ბ. კ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობას, რაც იმ ეტაპზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ოპერაციის სირთულიდან გამომდინარე, კასატორს არ ჰქონდა ბოლომდე გადაწყვეტილი მისი გაკეთება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თერაპიულმა მკურნალობამ ვერავითარი შედეგი გამოიღო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა, მან გადაწყვიტა აღნიშნული ძვირადღირებული ქირურგიული ოპერაციის გაკეთება ხერხემალზე კისრის არეში, რაც პირდაპირ უკავშირდება ბ. კ-ის მიერ მისთვის კისრის არეში მალეობის დაზიანებას. რაც შეეხება თავად ცნობას ოპერაციის ღირებულების შესახებ, კასატორმა აღნიშნული წარმოადგინა იმ ეტაპზე, როდესაც ის მოიპოვა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას. პალატამ, მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი, მაშინ, როდესაც სააპელაციო სასამართლოში მატერიალური ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულება, მითითებული ცნობის სახით უკვე წარმოდგენილი იყო.

კასატორმა ბ. კ-ემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება ც. შ-ასათვის მორალური ზიანის მიყენების სანაცვლოდ 5000 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ, ეფუძნება მხოლოდ რუსეთის სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის განაჩენს. ამასთან, სასამართლოს უსაფუძვლოდ მიაჩნია მითითება მასზე, რომ აღნიშნულ განაჩენში მომრიგებელი მოსამართლის დასკვნები აშკარად არ შეესაბამება საქმეზე შეგროვებულ მტკიცებულებებს. სააპელაციო სასამართლო რუსეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს კი არ უნდა დაყრდნობოდა, არამედ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და ფაქტობრივად დადგენილი გარემოებების ერთობლივი ანალიზით უნდა ეხელმძღვანელა. ამგვარი ქმედებით, სასამართლოს პირველი რიგში უნდა დაედგინა, თუ რამდენად რეალურად მიიღო ც. შ-ამ მორალური ზიანი და საერთოდ რაში გამოიხატებოდა მორალური ზიანის მიღება. ფიზიკური ზიანის მიყენება არ შეიძლება მიჩნეულ იყოს იმის საკმარის საფუძვლად, რომ ზიანის მიმყენებლისაგან ადამიანი მორალურ ზიანსაც აუცილებლად მიიღებს. სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებიც ნათელს გახდიდნენ, თუ რა ფორმით და რაში გამოხატავს მორალური ზიანის მიღებას ც. შ-ა. ფიზიკური ზიანის მიღებიდან მეოთხე დღეს მან აქტიურად გააგრძელა მუშაობა თავისი პროფესიით. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები, არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადოდ არ გამოიკვლია მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. კ-ისა და ც. შ-ას საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავის ფარგლებში, სააპელაციო პალატის მიერ გამოყენებული მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ სამართლებრივი შეფასება არ შეესაბამება კანონს, რის გამოც იგი უნდა შეიცვალოს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ბ. კ-ესა და მ. კ-ეს შორის ქორწინება შეწყდა 2003 წლის 15 აპრილს, ხოლო 2003 წლის 21 ივნისს ც. შ-ა და ბ. კ-ე დაქორწინდნენ. რუსეთის ფედერაციის ქმოსკოვის ხამოვნიკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის განაჩენით, ბ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ მკვლელობის მუქარისა და ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენების ფაქტზე და შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. ქმოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს განყოფილების საგამომიებო განყოფილების გამომძიებლის 2008 წლის ცნობით დგინდება, რომ საგამომიებო განყოფილების წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე ც. შ-ას კუთვნილი საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილია ბ. კ-ე. 2006 წლის 24 ივლისის ჟურნალ „რ-ის“ №30 გამოშვებაში, სათაურით „ბ. კ-ე

მოსკოვში დააკავეს», დაიბეჭდა ინტერვიუ ც. შ-ასთან. ინტერვიუს მე-2 გვერდზე იგი აღნიშნავს: „ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა ისიც, ვინ მოიპარა ჩემი ნივთები და ისიც, რომ ძვირფასეულობა მოპარული იყო და არა დაკარგული... რაც შეეხება ჩემს გეგმებს ბ-სთან დაკავშირებით, ყველანაირი საშუალებით მივალწევ ჩვენი ქორწინების გაბათილებას, რათა ჩემი ავტობიოგრაფია არ იყოს კომპრომეტებული ქურდი, თაღლითი და აფერისტი ქმრის ყოლით წარსულში». 2006 წლის 7 აგვისტოს ჟურნალ „რ-ის“ №32 გამოშვებაში კი, ც. შ-ა აღნიშნავს, რომ ბ. კ-ემ მისი კუთვნილი ნივთები უკანონოდ მიითვისა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბ. კ-ის საკასაციო პრეტენზიას, რომ სააპელაციო პალატას რუსეთის სასამართლოს მიერ გამოტანილი უკანონო განაჩენით ზიანის მიყენების ფაქტი დამტკიცებულად არ უნდა მიეჩნია და ფიზიკური ზიანის მიყენება არ არის საკმარისი საფუძველი იმის დასადგენად, რომ პირს მორალური ზიანიც მიაღება.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს, იმსჯელოს ბ.კ-ის მოსაზრების, განაჩენის გამომტანი ქვეყნის, რუსეთის არადემოკრატიულობის გამო, განაჩენის, როგორც მტკიცებულების გაუზიარებლობაზე, ამ არგუმენტის პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლოების გამო.

მოცემულ შემთხვევაში, ბ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს კონკრეტულ მტკიცებულებაზე მითითებას, გარდა მისივე განმარტებისა, რომლითაც უარყოფილი იქნებოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი განაჩენით დადგენილი ფაქტი – მოპასუხის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრინციპსა და მნიშვნელობაზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

აღნიშნული ნორმების ანალიზი ერთმნიშვნელოვნად გვაძლევს დასკვნის საფუძველს: სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა; საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულადაა მოწესრიგებული. მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი – არახელსაყრელი შედეგი. ამასთან, ყურადსაღებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის დანაწესი, რომლის ძალითაც ზემოთ აღწერილი ვალდებულებები კანონით გათვალისწინებულ ეტაპზე უნდა განხორციელდეს და ამ მოქმედებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე შეასრულოს ასეთი მოქმედება.

უსაფუძვლოა კასატორ ბ. კ-ის არგუმენტი მორალური ზიანის დაკისრების არაკანონიერებაზე იმ დასაბუთებით, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება, ყოველთვის არ იწვევს მორალური ზიანის წარმოშობას. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალური უფლებები ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის არგუმენტს თვით ზიანის ფაქტის არსებობის აუცილებლობის თაობაზე და განმარტავს, რომ ზიანის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგად საფუძველს წარმოადგენს: 1. თვით მორალური ზიანი; 2. ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; 3. არამართლზომიერ ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; 4. ზიანის მიმყენებლის ბრალი. ამდენად, პასუხისმგებლობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს რა მორალური ზიანის არსებობა, როგორც ზემოთ აღნიშნა, მისი არსებობა გარეგნულად ცალსახად გამოხატული არ არის და მისი კონკრეტული მტკიცებულებით დადასტურება რთულია და ზოგ შემთხვევაში, შეუძლებელიც. შესაბამისად, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი არ უნდა დამიმდეს. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება გამოიწვევდა თუ არა დაზარალებულის ფსიქიკაში ნეგატიურ ცვლილებებს. საკასაციო სასამართლო იზიარებს შეგებულ სარჩელის ავტორის – ც. შ-ას მტკიცებას, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით მან, როგორც ფიზიკური, ასევე ზნეობრივ-ფსიქიკური ტანჯვა განიცადა, ვინაიდან მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ადამიანის ჯანმრთელობის ხელყოფა უარყოფით გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე, მით უფრო, როდესაც ხელყოფა განზრახ და ძალის გამოყენებით ხდება. აღნიშნულის საწინააღმდეგო მოსაზრება დასაბუთებულ არგუმენტაციას საჭიროებს, რასაც ბ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს.

აქვე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დადგენილი მორალური ზიანის ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით არ იზიარებს ც. შ-ას მოსაზრებას და განმარტავს: მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია: დამრღვევის ბრალის ხარისხი; ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხი; სხეულის დაზიანე-

ბის სიმძიმის ხარისხი; ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი (ხანგრძლივია თუ მოკლევადიანი), შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი); ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს); მოთხოვნილი კომპენსაციის გონივრულობა და სამართლიანობა. ამ კრიტერიუმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით ბ. კ-ისათვის, ც. შ-ას სხეულის დაზიანების გამო, მორალური ზიანის – 5000 ლარის ოდენობით განსაზღვრა სამართლიანი და გონივრულია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ ბ. კ-ის საკასაციო პრეტენზია სამართლებრივად არასწორად შეაფასა, თუმცა, ამ დარღვევას არ გამოუწვევია არასწორი შედეგი, კერძოდ: სააპელაციო პალატამ ც. შ-ასთვის ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის განზრახ მიყენების ფაქტის დასადგენად პრეიულიციული ძალა მიანიჭა ც. შ-ას მიერ წარმოდგენილ რუსეთის ფედერაციის ქმოსკოვის ხამოვნიკის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. საქართველოს 2010 წლის 24 სექტემბრის 3619 კანონით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით ამავე კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი (მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულების წარმოდგენისგან ისეთი ფაქტის დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი), ამოღებულ იქნა და ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი გამოტანილია 2011 წლის 25 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. მითითებული ნორმა განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დროში მოქმედებას, რომელიც ეფუძნება პრინციპს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქვევითი ძალა არა აქვს. ამდენად, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა გამოიყენოს საქმის განხილვის დროს მოქმედი საპროცესო ნორმები, რაც გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულია და, ამავე კოდექსის 393-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების კანონის დარღვევით გამოტანილად შეფასების საფუძველია. აქვე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის მიერ კანონის ზემოაღნიშნულ დარღვევას გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების შედეგზე და იგი არსებითად სწორია, რაც, ამავე კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, კერძოდ, ც. შ-ას მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით – კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი სხეულის დაზიანების ფაქტის უარყოფა ბ. კ-ეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ განუხორციელებია. შესაბამისად, მართებულია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ც. შ-ასთვის ჯანმრთელობის საშუალო სიმძიმის ზიანის მიყენების ფაქტის დადგენილად ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ ეთანხმება კასატორ ც. შ-ას პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონის დარღვევით არის გამოტანილი (სსკ 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), მაგრამ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა არ შეიძლება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდეს, რადგან ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება არ გამოტანილა (სსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 პუნქტი). განსახილველი განჩინების უსწორობა მდგომარეობს შემდეგში:

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ამავე კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. აღნიშნული ნორმით მოსარჩელეს ეკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ტვირთი: 1. სადავო განცხადება მოპასუხის მიერ გავრცელდა; 2. განცხადება ლახავს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას; 3. განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს – არსებითად მცდარი ფაქტია; 4. განცხადება, ამავე კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა, 5. განცხადება მოსარჩელის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას ზიანს აყენებს. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ნორმის არასწორად განმარტებით გავრცელებული განცხადების ნამდვილობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს დააკისრა.

საქმის მასალებით დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს, რომ სადავო განცხადება – „მოსარჩელე ქურდი, თაღლითი და აფერისტია» – მოპასუხემ გაავრცელა.

სადავო განცხადება პოლიტიკური ან სასამართლო სიტყვის თავისუფლების ფარგლებში არ გავრცელებულა.

მოპასუხე ბ. კ-ე კერძო პირია. ამ ფაქტს ც. შ-ა საკასაციო საჩივრით სადავოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ც. შ-ა და ბ. კ-ე საჯარო პირებს წარმოადგენენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას და აღნიშნავს: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო პირი არის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება; ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით სა-

ზოგადობრივ ყურადღებად განიშარტება საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობის-მოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. მოდავე პირების პირად ურთიერთობებთან დაკავშირებით საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესი და ცნობისმოყვარეობა მართლაც არსებობს (რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიც), თუმცა ასეთ ინტერესს კანონი საზოგადოებრივი ყურადღების სტატუსს არ ანიჭებს. მოცემულ შემთხვევაში, საზოგადოების ინტერესი უკავშირდება არა საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვლენას, არამედ მოდავე მხარეთა პირად ცხოვრებას და ამ პირთა მოსაზრებები და შეხედულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენენ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით, აზრის თავისუფლება გარანტირებულია – ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტით კი, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ეს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, რომელიც ჩამოყალიბებულია ორ პუნქტად: პირველი პუნქტი განსაზღვრავს დაცულ თავისუფლებებს, ხოლო მეორე პუნქტი აყალიბებს იმ გარემოებებს, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია, კანონიერად ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში. პირველი პუნქტი ითვალისწინებს პირის გამოხატვის თავისუფლების უფლების სამ კომპონენტს: თავისუფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულებები; თავისუფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები; თავისუფლებას, მიიღოს ინფორმაცია და მოსაზრებები. მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლებას შეუძლია ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში, როდესაც შესრულებულია სამი ერთობლივი პირობა: 1. ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; 2. ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს ერთი ან მეტი კონვენციით გათვალისწინებული ინტერესის ან ღირებულების, მათ შორის, ჯანმრთელობის ან ზნეობის, სხვათა რეპუტაციის, ან უფლებათა დაცვას; 3. ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რადგან ამ ნორმით თავისუფლებათა განხორციელება შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აზრის თავისუფლებას აბსოლუტური უპირატესობა არ ენიჭება და იგი შეზღუდულია სხვა უფლებების დაცვით, მათ შორის არის მესამე პირთა ძირითადი უფლებებით დაცული სიკეთეები – პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების განხილვით, როდესაც პუბლიკაციას აქვს კანონიერი მიზანი, საკითხი საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და გონივრული ძალისხმევა იქნა გამოჩენილი ფაქტების დასამტკიცებლად, თუნდაც შესაბამისი ფაქტები არასწორი აღმოჩნდეს, პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს. თუმცა, სასამართლოს მითითებით, შეფასებით მსჯელობებს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი უნდა ამყარდეს. როგორც სასამართლომ აღნიშნა, «მაშინაც კი, როდესაც განცხადება უთანაბრდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი სადავო განცხადებისათვის, რამდენადაც თვით შეფასებითი მსჯელობაც კი რაიმე ფაქტობრივი საფუძველის გარეშე შეიძლება იყოს გადაჭარბებული» [ყერუსალემ ვ. აუსტრია, 2001 წ.; დიკანდ ანდ ოტჰერს ვ. აუსტრია, 2002 წ.).

ვინაიდან მოსარჩელე კერძო პირია, უნდა გაირკვეს კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები შეზღუდულია. «დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო ფართოა პოლიტიკოსთან, ვიდრე კერძო პირთან მიმართებაში. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, პირველი გარდუვალად და შეგნებულად უქვემდებარებს ზედმიწევნით განხილვას თავის თითოეულ სიტყვასა თუ ქმედებას ყურანალისტებისა და მთლიანად საზოგადოების მიერ და იგი უნდა ავლენდეს უფრო ფართო შემწყნარებლობას» [ლინგენს ვ. აუსტრია, 1986 წ.).

თვითონ პრესის თავისუფლებაც არ არის აბსოლუტური. მაგალითად, თამერის საქმე ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა პირადი ცხოვრების სასარგებლოდ. სადავო განცხადებები ეხებოდა ქ-ნ ლ-ს პირადი ცხოვრების ასპექტებს, რომლებიც მან აღწერა თავის მემუარებში. ქ-ნი ლ-ს იყო შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე, ხოლო მოგვიანებით მისი მეუღლე გახდა. სადავო განცხადებები შეეხებოდა მის დედობასა და იმას, თუ როგორ დაუნგრია ქმარს პირველი ოჯახი. დაადგინა რა მე-10 მუხლის დარღვევა, სასამართლომ აღნიშნა: «პოლიტიკურ პარტიაში ქ-ნ ლ-ს ხანგრძლივი მონაწილეობის მიუხედავად, სასამართლო არ მიიჩნევს დადგენილად, რომ სადავო ტერმინების გამოყენება მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით გამართლებული იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობით ან იმ ფაქტით, რომ ისინი წარმოადგენდა ზოგადი მნიშვნელობის საკითხებს» (თამერ ვ. ესტონია, 2001).

დაცულ უფლებაში ჩარევა გათვალისწინებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ცილისწამების შემთხვევაში სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვას ადგენს. სადავო განცხადების ცილისწამებად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს ც.შ-ას მიერ გავრცელებული განცხადება ფაქტისა თუ აზრის (შეფასებითი მსჯელობის) კატეგორიას განეკუთვნება. აღნიშნული აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც სამოქალაქო სასამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს. ამავე კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

„აზრში“ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან, რომლის სისწორე თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. ამდენად, აზრი პირის სუბიექტური დამოკიდებულებაა პიროვნულ შეფასებებს მოვლენისა თუ სიტუაციის შესახებ და იმის მტკიცებას, სიმართლეს შეესაბამება თუ მცდარია, არ ექვემდებარება. აზრის საწინააღმდე-

გოდ «ფაქტში» იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას. გასათავისწინებელია, რომ აზრები ფაქტებთან გარკვეული დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გამოდმოცემად დაუშვებელია, რადგანაც მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა. ამავდროულად, აზრის თავისუფლებით აშკარად ცრუ ფაქტების ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი დაცვა გამორიცხულია. კონსტიტუციით დაცული სფეროს ფარგლებში არ ხვდება ისეთი ფაქტები, რომელთა მცდარობის შესახებ კარგად იცის თავად გამომთქმელმა სუბიექტმა (შეგნებული სიცრუე) ან რომელთა მცდარობა ცხადია მათი გამოთქმის მომენტში.

ერთმანეთისაგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ «ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს» (Lინგენს ვ. აუსტრია, 1986 წ.; ჟერუსალემ ვ. აუსტრია, 2001 წ.; დიგჰანდ ანდ ოტჰერს ვ. აუსტრია, 2002 წ.).

აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი – რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი. მოცემულ შემთხვევაში, ც.შ-ას მიერ მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმის გამონათქვამი – ბ.კ-ე ქურდია და თაღლითი, გავრცელებულია სხვა ფაქტებთან კონტექსტში «ბ. კ-ე მოსკოვში დააკავეს» (სტატის სათაური), «ამის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა ისიც, ვინ მოიპარა ჩემი ნივთები და ისიც, რომ ძვირფასეულობა მოპარული იყო და არა დაკარგული... რაც შეეხება ჩემს გეგმებს ბ.-სთან დაკავშირებით, ყველანაირი საშუალებით მივალწევ ჩვენი ქორწინების გაბათილებას, რათა ჩემი ავტობიოგრაფია არ იყოს კომპრომეტებული ქურდი, თაღლითი და აფერისტი ქმრის ყოლით წარსულში» (ამონარიდი ც. შ-ას ინტერვიუდან); ქ.მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შსგ საგამოძიებო განყოფილებაში 2004 წლის 9 ივლისს ც. შ-ას ბინიდან ძვირფასეულობის მოპარვის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და ბ. კ-ე დღემდე ეჭვმიტანილად არის ცნობილი. ამ ფაქტებთან კონტექსტში ც. შ-ას გამონათქვამი ბ. კ-ის ქურდობასა და თაღლითობაზე ღირსების შემლახავ ფაქტად უნდა იქნეს კვალიფიცირებული, ვინაიდან, სადავო განცხადება მჭიდროდ უკავშირდება იმ სიტუაციასთან, რომ მოდავე პირები იმყოფებოდნენ რა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში, ც. შ-ას ნივთების დაკარგვის ფაქტზე საქმე აღძრულია, ხოლო ბ. კ-ე ამ ფაქტთან მიმართებით ეჭვმიტანილია. ამასთან, განცხადება საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესის საგანს და მნიშვნელოვან საკითხს ან საჯარო პირს და მის საქმიანობას არ ეხება და იგი, მიუხედავად მოდავე მხარეების მეტ-ნაკლებად პოპულარობისა, მაინც კერძო პირთა ურთიერთობის სფეროში ექცევა.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო გასაჩივრებული განჩინებით გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა შესრულებულია ც. შ-ასთვის ბ. კ-ის მიერ ნივთების უკანონოდ მითვისების ცნობების უარყოფით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებაში ჩარევის საშუალება ჩარევის მიზანთან – ხელყოფილი უფლების დაცვასთან პროპორციულია, ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ჩარევა მინიმალური, თანაზომიერი, ეფექტიანი, ეკონომიური და აღსრულებადია. მოცემულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის შეზღუდვა მოსარჩელის პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით აუცილებელია და კანონიერ მიზანს ემსახურება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება მოსარჩელე ბ. კ-ის დასაბუთებას, რომ სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველია. ც. შ-ას მოსაზრებით, მას სადავო განცხადების გასაგრძელებლად რეალური საფუძველი ჰქონდა, კერძოდ, მან იცოდა, რომ რუსეთის ფედერაციის შსგ საგამოძიებო განყოფილების წარმომხმარებელი იყო სისხლის სამართლის საქმე მისი კუთვნილი, ძვირადღირებული ოქროს საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილი იყო ბ.კ-ე. გარდა ამისა, ბ.კ-ემ, ც.შ-ას არაერთი თხოვნის მიუხედავად, უარი განაცხადა სიცრუის დეტექტორზე შემოწმებაზე, რაც აღუძრავს ეჭვს, რომ მას მართლაც მიუძღვის ბრალი დანაშაულში. აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მეექვსე ნაწილით სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. მოსარჩელე მხარე ბ. კ-ემ განმარტა, რომ მას ც. შ-ას ნივთები არ მოუპარავს. ვინაიდან მხარის განმარტებას ისეთივე მტკიცებულებებით ძალა გააჩნია, როგორც სხვა დანარჩენ მტკიცებულებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი), ბ.კ-ის სარჩელის დამამტკიცებელ მტკიცებულებად მისი, როგორც მხარის, განმარტებაც უნდა განვიხილოთ. ამასთან, ამ მტკიცებულების დამაჯერებლობა საფუძვლიანად გამყარებულია საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებითაც, კერძოდ: მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შს განყოფილების საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლის მიერ 2008 წელს გაცემული ცნობით, ამ განყოფილების წარმომხმარებელი იყო სისხლის სამართლის საქმე ც. შ-ას კუთვნილი ოქროს საიუველირო ნაწარმის ქურდობის ფაქტზე, რომლის ჩადენაში ეჭვმიტანილი იყო ბ. კ-ე. მართალია, მითითებული მტკიცებულება ც. შ-ას მიერაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი შინაარსი ადასტურებს, რომ ბ. კ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა. ამდენად, სასამართლოს შინაგანი რწმენა ნივთების ქურდობის მცდარობის ფაქტზე მოსარჩელე მხარის განმარტებასთან ერთად მოსკოვის ხამოვნიკის რაიონის შსგ-ის საგამოძიებო განყოფილების მიერ გაცემულ მტკიცებულებას ემყარება.

ამავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს რა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« კანონის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის დათქმას, რომ აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს, განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საეჭვოობა არ დგინდება და მისი უტყუარობა ც. შ-ას სადავოდ არ გაუხდია. ამ მტკიცებულებათა სიცხადე და დამაჯერებლობა

კანონით მოთხოვნილი მტკიცების საკმაოდ მაღალი სტანდარტის დაცვას ადასტურებს. სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის უარყოფელი სხვა რაიმე მტკიცებულების წარმოდგენის მოთხოვნა კი არგუმენტაციას მოკლებულია.

ც. შ-ასათვის მის მიერ გავრცელებული განცხადებისთვის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კვალიფიციური პრივილეგიის მიმნიჭებელი გარემოებების არსებობა გასაჩივრებული განჩინებით არ დადგინდა და კასატორს მასზე დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოების არსებობა (თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა, სადავო განცხადებაში მითითებული ფაქტის დაუდასტურებლობისა და მცდარობის გამო ასევე გამოირიცხება.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორ ც. შ-ას მოსაზრებას, რომ სადავო განცხადების ცილისწამებად მიჩნევის მეორე პირობა – ბ. კ-ისთვის ზიანის მიყენების ფაქტი არ არსებობს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება არის თუ არა ზიანის მიმყენებელი, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და ურთიერთშეჯერებით უნდა დადგინდეს. ამასთან, ზიანი ასეთ შემთხვევებში არაქონებრივი სახით – პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვით არის გამოვლენილი. არაქონებრივი ურთიერთობები, თავისთავად, მოკლებულია რა ეკონომიკურ შინაარსს, და მას არ გააჩნია ღირებულება, შესაბამისად, ამ ზიანის დამტკიცებისათვის კანონით დაცული უფლების დარღვევაც საკმარისია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ბ. კ-ისა და ც. შ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ცილისწამება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1278-1298-2011

20 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეძე**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ა. ფ-მა მოპასუხე შპს გაზეთ „ა-ის“ მთავარი რედაქტორის, ლ. ნ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 10000 ლარის დაკისრება, აგრეთვე, მოპასუხისათვის გაზეთ „ა-ში“ ორი წერილის გამოქვეყნების დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს გაზეთ „ა-ის“ რედაქტორ ლ. ნ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 1500 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოდავე მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ა. ფ-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

შპს გაზეთ „ა-ის“ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოდგენდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით შპს გაზეთ „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ა. ფ-ის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 27

ოქტომბრის გადაწყვეტილება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით თანხის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შპს გაზეთ „ა-ის“ რედაქტორს (მთავარ რედაქტორს) ლ. ნ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც სრულად გაიზიარა უდავო და დადგენილი სადავო ფაქტები. აღნიშნული ფაქტები შემდეგში მდგომარეობს:

მოსარჩელე ა. ფ-ი არის ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელსაც გამოცემული აქვს ათზე მეტი წიგნი და გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია;

სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციის პარალელურად, წლების განმავლობაში, მოსარჩელეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სტატია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე (მათ შორის, – პოლემიკური ხასიათის);

მოპასუხე შპს გაზეთ „ა-ის“ რედაქტორი (მთავარი რედაქტორი) ლ. ნ-ი ამავე დროს არის შპს გაზეთ „ა-ის“ მფლობელი (გამომცემელი) და დირექტორი;

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად შეაფასა გადაწყვეტილების 3.2.6 და 3.2.7 პუნქტებში მითითებული გარემოებები და მართებულად ჩათვალა შემდეგი წინადადებები უხამსობად:

1. „...სწინაპირმა“ ფ-მა ...მიუშვირა სასროლად თავისი უზნეო უკანალი?»;

2. მეგრული სიტყვებისგან შემდგარი წინადადება – „სკანი მიკატყორინალი ცუდეს გაცვენუ, სი რუნგუ კოჩი».

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული გამონათქვამები არღვევდა საზოგადოებრივ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს, რაც თავისთავად, როგორც ზნეობრივად, ისე სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტ შპს „ა-ის“ მოსაზრება, რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო მხოლოდ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ნორმატიულ საფუძველად მხოლოდ დასახელებული კანონის მე-6 მუხლი – სასამართლო გარანტიები – არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო. სასამართლოს განმარტებით, მართალია, ამ კანონის მუხლები უზრუნველყოფენ პატივისა და ღირსების შელახვის შემთხვევაში სამართლებრივ გზას, მაგრამ თავისთავად მოთხოვნის უზრუნველყოფის პირობებს არ ქმნიან. კანონის მე-13 მუხლი საუბრობს მტკიცებულებათა მოძიების ვალდებულებაზე და არა მოთხოვნის ნორმატიულ საფუძველზე. შესაბამისად, თავად ამ ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, მითითებული მუხლის სახით სახეზეა ღირსების და პატივის სამოქალაქო რეგულირების შემავსებელი ნორმა, რაც საკითხის სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტის წინაპირობას ქმნის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ადამიანის პატივი აბსოლუტურად დაცული სამართლებრივ სიკეთეს განეკუთვნება. ადამიანის პატივი, როგორც მისი ღირსების შემადგენელი ნაწილი, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით. პატივის შელახვა, ისევე როგორც საკუთრების ხელყოფა, მიუთითებს დამრღვევის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის არსებობაზე. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხის ზემოთ დასახელებული გამონათქვამები პატივის შემლახავია.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიმართ ადგილი ჰქონდა ცილისწამებას. ვ.ბ-ა გაზეთ „ა-ის“ 2009 წლის 2-8 ნოემბრის ნომერში წერს: „...ა. ფ-ს იცნობენ როგორც კაცს, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა სამოქალაქო ომის ავბედით წლებში და სამეგრელოს შესეულ ბანდებს «ინტელექტუალურ» მხარდაჭერას უწევდა. აი, ეს არის «სასახელო» ფაქტი, რომლითაც ფ-ი საქართველოს უახლეს ისტორიაში შევა»... სამოქალაქო ომი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ის ფ-ისთვის – მეგრელთა მოძულეობის სინდრომით დაავადებული ეს ასაკოვანი კაცი კვლავ სანგარში ზის და «სროლას» აგრძელებს».

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ფაქტი“ უნდა განვასხვავოთ ტერმინ „შეფასებისგან“, რადგან ეს უკანასკნელი არის კონსტიტუციით დაცული აზრის გამოხატვა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გამონათქვამი: ალ. ფ-ს იცნობენ როგორც კაცს, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა სამოქალაქო ომის ავბედით წლებში და სამეგრელოს შესეულ ბანდებს „ინტელექტუალურ“ მხარდაჭერას უწევდა – მკითხველს აწვდიდა ინფორმაციას ობიექტურად მომხდარის შესახებ და საიმისოდ გამოდგებოდა, რომ შეექმნა ადრესატებისათვის წარმოდგენა ობიექტურად მომხდარ ფაქტზე. ამ თვალსაზრისით მისი გადამოწმება შესაძლებელი იყო (შესაძლებელი იყო ობიექტურად გადამოწმებულიყო, მართლაც უწევდა თუ არა ასეთ დახმარებას მოსარჩელე სამეგრელოს შესეულ ბანდებს).

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი იძლევა იმის წინაპირობას, თუ სამართლებრივი დავის პროცესში რომელი მხარე ატარებს მტკიცების ვალდებულებას, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ზიანის მიმყენებელმა იცოდა მის მიერ გამჟღავნებული გარემოებების უზუსტობის შესახებ. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადადის ზიანის მიმყენებელზე, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ არ იცოდა იმის თაობაზე, რომ მის მიერ გამჟღავნებული ფაქტი – მოსარჩელე სამეგრელოს შესეულ ბანდებს „ინტელექტუალურ“ მხარდაჭერას უწევდა – მცდარი იყო. ამგვარი მტკიცება მოპასუხეს არ განუხორციელებია. სპეციალური კანონის თანახმად, ცილისწამება განმარტებულია როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, რასაც, მოსარჩელის მიმართ ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევაში ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის განმსაზღვრელად უბრალო დაუდევრობაც საკმარისია. ამ დაუდევრობის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებულ მორალურ ზიანში მოიაზრება ის გარემოება, რომ ამგვარი ცრუ ფაქტების გამავრცელებელი გამონათქვამები, უკვე აღიბეჭდა მკითხველთა ცნობიერებაში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პუბლიკაციებში არსებული გამონათქვამების შეფასებად, თვალსაზრისად მიჩნევის შემთხვევაშიც კი მოსარჩელეს შეეძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მართალია, შეფასებები არ ექვემდებარება კლასიფიკაციას ჭეშმარიტება-არაჭეშმარიტების ნიშნის მიხედვით, მათ არ ძალუძთ წარმოშვან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და ისინი აგრეთვე ნეგატიური აზრის თავისუფლად გამოხატვის კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ როდესაც კრიტიკა მიაღწევდა შეურაცხმყოფელი გამონათქვამების ზღვარს, ანუ, როდესაც გამონათქვამის შეურაცხმყოფელი ხასიათი წინა პლანზე გადმოინაცვლებდა, შეფასებითი აზრის გავრცელება მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან შესაბამისი განმარტება წარმოადგენდა დაზარალებულის პატივისა და ღირსების დაცვის გარანტიას მადისკრიმინირებელი სუბიექტური შეფასებისას.

რაც შეეხებოდა ზიანის ოდენობის განსაზღვრის საკითხს, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ იგი ნაწილობრივ უნდა გაზრდილიყო.

ა. ფ-ის სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა 2007 წლის თებერვალ-მარტში გაზეთ „ა-ში“ გამოქვეყნებულ სადავო განცხადებებს, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები, დასკვნა ამ ნაწილში სარჩელის ხადაზმულობასთან დაკავშირებით, ასევე, – საქალაქო სასამართლოს მსჯელობა სადავო წერილების მოპასუხის მიერ გამოქვეყნების დავალდებულებაზე უარის თქმის ნაწილში.

3. სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს გაზეთმა „ა-მა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნა მოტივირებულია შემდეგი არგუმენტებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად წარმოაჩინა სააპელაციო საჩივრის საფუძვლები, კერძოდ, მოსარჩელის წინააღმდეგ კასატორმა შესაგებელი დაამყარა იმ გარემოებაზე, რომ ჟურნალისტების განსახილველი ქმედებები პროვოცირებული იქნა უშუალოდ მოსარჩელის მხრიდან, იგი თავად ჩაება ლიტერატურულ პოლემიკაში, რომელიც პიროვნულად მას არ შეეხებოდა და არანაირად არ ლახავდა მის კონსტიტუციურ უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. როგორც ჩანს, ა. ფ-ისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ვ. ხ-ის სტატიის განწყობა და გადაწყვეტა გამოექვეყნებინა საკუთარი მოსაზრებები. იმის გასარკვევად, თუ როგორი ფორმა აირჩია ა. ფ-მა საკუთარი პოზიციის გამოსახატავად, შეგვიძლია გავეცნოთ მის პირველსავე სტატიას – „უზნეობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი“. სწორედ ეს სტატია გახდა მხარეთა უშუალო ურთიერთობის დასაწყისი. მოპასუხემ სასამართლოს მოსთხოვა, რომ ჟურნალისტთა ბრალი, ქმედების თანაზომიერების განსაზღვრავად, შეეფასებინა ამ სტატიასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა სხვა სტატიაზე – „პირწავარდნილი სეპარატიზმი თუ პირწავარდნილი პროვოკაცია“. სააპელაციო საჩივარში მოყვანილი შეურაცხმყოფელი ფრაზები, რომლებიც მიმართულია ვ. ხ-ის წინააღმდეგ, ამოღებულია სტატიიდან „უზნეობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი“, სადაც ა. ფ-ი ვ. ხ-ის ახასიათებს უზნეო ადამიანად და მოიხსენიებს მას შემდეგი ეპითეტებით: უზნეო, უკეთური, დაბოღმილი, ქედმაღალი, მიკერძოებული, წერა-კითხვის უცოდინარი, ყალბისმქნელი, ლაჩარი და ა.შ. სწორედ ამ სტატიის საპასუხოდ დაიწერა შემდგომში პასუხები, რომელიც როგორც სასამართლომ მიიჩინა, შეიცავს ა. ფ-ის მიმართ ცილისწამებას და შეურაცხყოფას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაკი ეს ფრაზები არ არის გაკეთებული მოპასუხის, ანუ გაზეთის წინააღმდეგ და ამასთან გავრცელდა სხვა მედიასაშუალებებით და არა გაზეთ „ა-ით“, მათ საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აქედან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ ალოგიკურია პროპორციულობის განსაზღვრავად შეფასდეს მხოლოდ ერთი მხარის ქმედებები, ან მნიშვნელობა არ ჰქონდეს იმას, თუ რომელი მხარეა კონფლიქტის ინიციატორი;

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ მოყვანილი ფრაზები, ისევე როგორც მოსარჩელის გამონათქვამები, არის მათი ავტორების შეხედულებები, მოსაზრებები და შეფასებები. კასატორისათვის გაუგებარია, თუკი ა. ფ-ს უფლება აქვს ვ. ხ-ის მისამართით თქვას, რომ მას სძულს მთელი საქართველო და ქართველ ხალხს ათასნაირი სისამაგლე მიაწეროს, მაშინ რატომ არის ვ. ხ-ის მხარეს თმენის ვალდებულება;

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ მიუთითა კანონზე, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლზე. ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ რაიმე მტკიცებულება საქმეში არ დევს. გარდა ამისა, გაუგებარია, თუ გაზეთს არ შეუძლია დააყენოს შესაგებელი ჟურნალისტის საქციელის გასამართლებლად, შეიძლება იგი, როგორც იურიდიული პირი, იყოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტი, ან პასუხი აგოს სხვის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევაზე? კასატორის მოსაზრებით, ეს კიდევ ერთი გამოვლინებაა სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი მიკერძოებული და არაობიექტური დამოკიდებულებისა;

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ქმნის მოთხოვნის უზრუნველყოფის პირობას, ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მართლმსაჯულება განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით და ამასთან, სპეციფიური ურთიერთობისათვის გამოიყენოს სპეციალური კანონი, როგორცაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ცილისწამებასთან დაკავშირებული შედეგები ზედმიწევნითაა ამ კანონით რეგულირებული. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებული იყო დაემტკიცებინა, რომ გავრცელებული ფაქტები იყო მცდარი, რომ ამ განცხადებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რაც მისგან არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ მოუთხოვია და რაც მთავარია, ფულადი ანაზღაურება კანონმდე-

ბელმა უკიდურეს შემთხვევაში გაითვალისწინა. კასატორის აზრით, თუ სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ცილისწამებას, მას უნდა გამოეყენებინა ხსენებული კანონის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ. კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს გაზეთ „ა-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს გაზეთ „ა-ის“ 2009 წლის 2-8 ნოემბრის ნომერში „არსებობს თუ არა პროექტი „საქართველო მეგრელების გარეშე“ გამოქვეყნებულ სტატიამ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებების ცილისწამებად მიჩნევის მართლობიერება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოპასუხე გაზეთი „ა-ი“ ფართო ტირაჟით იბეჭდება და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

შპს გაზეთ „ა-ის“ 2009 წლის 2-8 ნოემბრის №44 (789) ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სათაურით – „არსებობს თუ არა პროექტი „საქართველო მეგრელების გარეშე“, ავტორი ვ.ხ-ა მოსარჩელე ალ. ფ-ის მისამართით წერს: „... ა. ფ-ს იცნობენ როგორც კაცს, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა სამოქალაქო ომის ავბედით წლებში და სამეგრელოს შესეულ ბანდებს „ინტელექტუალურ“ მხარდაჭერას უწევდა. აი, ეს არის „სასახელო“ ფაქტი, რომლითაც ფ-ი საქართველოს უახლეს ისტორიაში „შევა“. სამოქალაქო ომი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ის ფ-ისთვის – მეგრეთმომძულეობის სინდრომით დაავადებული ეს ასაკოვანი კაცი კვლავ სანგარში ზის და „სროლას“ აგრძელებს; „სამეგრელო საქართველო არ ჰგონია «სნაიპერ» ფ-ს და იმიტომ მიუშვია სასროლად თავისი უზნეო უკანალი? რა ეკუთვნის ახლა ამ კაცს, ძვირფასო მკითხველო, შეიძლება ასეთ ადამიანს ერქვას მეცნიერი, ფროფესორი, ინტელიგენტი? სკანი მიკატყორინალი ცუდეს გაცვენუ, სი რუნგუ კოჩი ...»; «ყველა სიკეთესთან ერთად ალ. ფ-ი თავზედა, რომელმაც თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ისეთი შეურაცხყოფა მიაყენა სამეგრელოს, რომ არა მისი ხანდაზმულობა, მეგრელები, ალბათ, სხვანაირ პასუხს მოსთხოვდნენ ცინიკოსობის ხასიათზე დამდგარ „მეცნიერს“; «არ მჩვევია ოპონენტებთან უხეში საუბარი, მაგრამ ფ-ი თავისი აზრად ამგდები ტონით და ცინიზმით მიმუდებს, ხურდა დავუბრუნო. ერთხელ არ ვუპასუხე, ორჯერ არ ვუპასუხე – ამ პინოჩეტის ტოლა კაცს რა დისკუსია უნდა გავუმართოთქო, ვიფიქრე»; «ახლა მკითხველმა განსაჯოს, მე ვარ სეპარატისტი, თუ ფ-ი უსინდისო ცილისწამებელი, რომელიც მბრალებს თითქოს მე ვთხზავდე ხელოვნურად პრობლემებს სამეგრელოზე;

ზემოთ დასახელებული წერილი გარკვეულწილად პასუხობდა მოსარჩელის მიერ სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, მათ შორის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 2007 წლის 16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს სათაურით – „უზნეობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი! (ვ. ხ-ას და სხვათა პასუხად)«, სადაც მოსარჩელე არ ეთანხმება გაზეთ „ცისკრის“ 2006 წლის ივლისის ნომერში დაბეჭდილი კოლექტიური წერილის („პირწავარდნილი სეპარატიზმი თუ პირწავარდნილი პროვოკაციის“) ავტორების მიერ პოეტ მურმან ლებანიძის ორი ლექსის განმარტებასა და შეფასებას; კოლექტიური წერილის ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს ლექსები სამეგრელოს წინააღმდეგ დაიწერა ე.შევარდნაძის დაკვეთით, სახელდობრ, მათი აზრით, „ცოტნე – გამყიდველს“ ლექსში ცოტნე დადიანი ერის მოღალატედ არის გამოცხადებული, ხოლო უსათაურო ლექსში კი, ერთი საუკუნის წინათ მეგრულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ საბაბად იქნა გამოყენებული სამეგრელოს მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენის მიზნით. მოსარჩელე თავის წერილში დეტალურად და ვრცლად მიმოიხილავს თითოეულ ლექსს, კოლექტიური წერილის ავტორთა შეხედულებების მცდარობის დასამტკიცებლად;

მოსარჩელე ა. ფ-ი არის ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელმაც გამოსცა ათზე მეტი წიგნი და გამოაქვეყნა მრავალი სტატია;

სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციის პარალელურად, წლების განმავლობაში მოსარჩელემ გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული სტატია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე (მათ შორის, პოლემიკური ხასიათის);

2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამხდარი. კასატორი სადავოდ ხდის დადგენილი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას განსახილველი დავის მიმართ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით (ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით), პირს უფლება ჰქონდა, სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა პატივის, ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ცნობების გამავრცელებელი არ დამტკიცებდა, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამებოდა. 2004 წლის 24 ივნისის დასახელებულ მუხლში შევიდა

ცვლილება, რომლითაც კანონმდებელმა გაითვალისწინა მე-18 მუხლში მითითებული უფლებების დაცვა «კანონით დადგენილი წესით».

2004 წლის 24 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. ამ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამკვიდრდა ცილისწამების ცნება. აღნიშნული ნორმით, ასეთად ჩაითვლება არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

განსახილველ საქმეში მოსარჩელე სარჩელში აღნიშნავს, რომ მოპასუხე გაზეთში მის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, ანუ მოსარჩელის აზრით, შპს გაზეთმა „ა-მა“ გამოაქვეყნა ცილისწამებლური წერილი, რამაც შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა უნდა გადაწყდეს სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელე მიჩნეულია კერძო პირად და სასამართლომ მის მიმართ კერძო პირის ცილისწამების სტანდარტით იხელმძღვანელა. ეს გარემოება საკასაციო საჩივრით სადავოდ არაა გამბდარი.

კერძო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს შემდეგი:

- ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
- გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩელემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ უშუალოდ მის შესახებ მოპასუხემ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო განცხადების (წერილის) მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არაა, მაგრამ კასატორი მიიჩნევს, რომ წერილში მოყვანილი სადავო გამონათქვამები წარმოადგენს მისი ავტორის მოსაზრებებს, შეფასებებს და არა ფაქტებზე მითითებას მოპასუხის შესახებ.

4. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოპასუხის მიერ გამოქვეყნებული წერილის სადავო გამონათქვამები მიეკუთვნება ფაქტებსა თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს). აღნიშნული აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამოირიცხავს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება, ხოლო, ამავე კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით.

ფაქტისა და აზრის გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. ამისათვის უნდა მივმართოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს, რომელიც მინიმალურ სტანდარტს აწესებს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. თავად აზრის დეფინიცია მოცემულია ზემოხსენებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ ვგაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალ-

ბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

ევროპის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვაც ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – «ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ» (8 ივნისი, 1986 წელი), სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის განსხვავება და მიუთითა, რომ მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ფაქტებად მიიჩნია სადავო წერილში გამოთქმული შემდეგი მოსაზრებები: „... ა. ფ-ს იცნობენ როგორც კაცს, რომელიც ცეცხლზე ნავთს ასხამდა სამოქალაქო ომის ავბედით წლებში და სამეგრელოს შესულ ბანდებს „ინტელექტუალურ“ მხარდაჭერას უწევდა. აი, ეს არის „სასახელო“ ფაქტი, რომლითაც ფ-ი საქართველოს უახლეს ისტორიაში «შევა». სამოქალაქო ომი დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ის ფ-ისთვის – მეგრელთმომულებობის სინდრომით დაავადებული ეს ასაკოვანი კაცი კვლავ სანგარში ზის და „სროლას“ აგრძელებს».

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სადავო წერილის ავტორის მსჯელობა წარმოადგენს პასუხს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემაზე სხვადასხვა გახეთქებში მოსარჩელის მიერ გამოქვეყნებულ წერილებზე, კერძოდ, ამ წერილებში მოსარჩელის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე. ამდენად, მოპასუხე გახეთქი გამოქვეყნებულ წერილში გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და იგი საჯარო დისკუსიის კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული. აქედან გამომდინარე, სადავო წერილის ავტორის მოსაზრებები არ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ შეფასებით მსჯელობად. ამასთან, სადავო წერილში მითითებული გამონათქვამები მხოლოდ მისი ავტორის მოსაზრებების გავრცელებას ემსახურება, რომელიც ასახავს ამ უკანასკნელის სუბიექტურ დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მხოლოდ მოპასუხის სუბიექტური აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. აქედან გამომდინარე, სადავო გამონათქვამები, როგორც შეფასებითი მსჯელობა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად, ვინაიდან აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამორიცხავს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საკასაციო სასამართლო აქვე უნიშნავს, რომ სადავო გამონათქვამების ფაქტებად მიჩნევის შემთხვევაშიც, მოპასუხეს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა, ვინაიდან ამ ფაქტების მცდარობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ შეძლო.

5. სააპელაციო სასამართლომ უხამსობად და, შესაბამისად, მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახავად მიიჩნია სადავო წერილში მოყვანილი შემდეგი გამონათქვამები: „სამეგრელო საქართველო არ ჰგონია «სნაპერ» ფ-ს და იმიტომ მიუშვირა სასროლად თავისი უზნეო უკანალი?»; „სკანი მიკატყორინალი ცუდეს გაცვენუ, სი რუნგუ კოჩი», „თავხედი», „უსინდისო ცილისმწამებელი», „ცინიკოსი», „პინოჩეტის ტოლა კაცი».

უხამსობის დეფინიცია მოცემულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით, უხამსობა არის განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად მორალის (და, შესაბამისად, უხამსობის) დეფინიციის უნივერსალური ცნება არ არსებობს. თავად უხამსობის კანონისმიერი დეფინიციის მიხედვით, ამა თუ იმ გამოხატვის უხამსობად მიჩნევის საკითხს განსაზღვრავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები. ამასთან, სხვა პირთა უფლებებისა თუ რეპუტაციის დასაცავად უხამსობის შეზღუდვა და, შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. უხამსობის შეზღუდვის ფარგლებთან მიმართებით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საქმეზე – «ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ» (7 დეკემბერი, 1976 წელი) არსებული განმარტება, რომელშიც ახსნილია გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში და მისი დაცულობის საერთო ფარგლები. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულის მსგავსად განმარტა ასევე საქმეზე – «ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ». მითითებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ გამოხატვის თავისუფლება, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით, შეადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს და მისი განვითარებისა და პიროვნების თვითრეალიზების მთავარ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, ის გამოიყენება არა მხოლოდ ისეთი „ინფორმაციისა“ და „იდეების“ მიმართ, რომლებიც კეთილგანწყობილად მიიღება ან განიხილება როგორც უვნებელი ან როგორც ინდიფერენტიზმის საგანი, არამედ ისეთების მიმართაც, რომლებიც, თავისი არსით, შეურაცხმყოფელია, აღფრთოვანებს იწვევს და ადამიანების სიმშვიდეს არღვევს. ეს არის პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და სალი აზროვნების არსებითი ნიშანი, რომლის გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

ზემოხსენებული ფორმულის მიზანდასახულობა გამოხატვის თავისუფლების მიმართ ევროპული სასამართლოს საერთო სულისკვეთების, საერთო მიდგომის გამოხატვაა, როგორც ერთგვარი მინიშნება დასაშვები შეზღუდვის მცირე ფარგლების შესახებ. ეს ფორმულა განსაზღვრავს არა იმას, თუ რა უნდა იყოს ყოველთვის დაცუ-

ლი, არამედ იმას, თუ რა შეიძლება იყოს დაცული. იგი ხსნის, რომ თვით შეურაცხყოფელი, გამოგნებელი და შემაზოთებელი „იდეები“ და „ინფორმაცია“ კი შეიძლება იყოს დაცული და ეს თვისებები სრულიადაც არ არის საკმარისი მათ შესაზღუდად. ამასთან, ასეთი იდეები და ინფორმაცია, რა თქმა უნდა, შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. მთლიანობაში ზემოხსენებული ფორმულა გულისხმობს, რომ, რადგან დემოკრატიული საზოგადოება არ არსებობს პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნების გარეშე, ამიტომ, სახელმწიფომ, ისე როგორც ხალხმაც უნდა აიტანოს მათთვის შეურაცხყოფელი, გამოგნებელი თუ შემაზოთებელი იდეებისა და ინფორმაციის მოსმენა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი შეზღუდვა ლოგიკურად მხოლოდ იშვიათად შეიძლება აღმოჩნდეს აუცილებელი.

6. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადასაჭრელ საკითხს წარმოადგენს იმის გარკვევა, არსებობს თუ არა მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროება, რომელიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის პატივისა და ღირსების დაცვისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე კერძო პირს წარმოადგენს, დასადგენია კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ვიწროა, მაგრამ კრიტიკის ვიწრო ფარგლების აღიარება, ცხადია, არ გულისხმობს იმას, რომ ბალანსის სამართლიანობაზე მოქმედი სხვა ფაქტორები მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, თუ გამოთქმული კრიტიკა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხება და იგი საჯარო დისკუსიის კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული, ანდა კონფლიქტში პრესის თავისუფლებაც მონაწილეობს, ეს ფაქტორები სერიოზულად გაართულებენ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთებას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ საქმეთა დიდი ნაწილი, სადაც სადავოდ იქცა კერძო პირთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლების დაცულობა, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს შეეხებოდა, შესაბამისად, ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრისას გათვალისწინებას მოითხოვდა საზოგადოების უფლება, მიეღო მასზე ინფორმაცია. ამ ფაქტორების არსებობით, კრიტიკის ვიწრო ფარგლების მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში სასწორი გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ იხრება. საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე დებატების კონტექსტში კერძო პირის მიმართ შეურაცხყოფელი ტერმინების გამოყენება ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია ცილისწამებად საქმეზე – «ფუნტეს ბობო ესპანეთის წინააღმდეგ» (29 თებერვალი, 2000 წელი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, როდესაც კერძო პირები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში, მათ მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ დროს, კრიტიკისადმი მათ მეტი მოთმინება მოეთხოვებათ (ასეთი განმარტება მოცემულია საქმეზე – «ქ-ნი სუსანა ჯერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ», 27 თებერვალი 2001 წელი).

7. კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ასევე პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ღირებულებათა კონფლიქტის სპეციფიკურობა. მოცემულ შემთხვევაში, ამ საკითხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განსახილველ საქმეში მოპასუხეს წარმოადგენს პრესა (გაზეთი) და სწორედ მოპასუხე გაზეთში გამოქვეყნებული წერილის ცალკეული გამონათქვამების გამოხატვის თავისუფლებასთან შესაბამისობა წარმოადგენს დავის საგანს.

გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე თავისუფალი და ღია დისკუსიების გამართვის საშუალება, იმავდროულად თავად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს. ეს დებულება განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება და ეს ბუნებრივია, ვინაიდან აზრთა თავისუფალი ურთიერთგაცვლა და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ღია საჯარო დებატები სწორედ პრესისა და მასმედიის სხვა საშუალებებით ხორციელდება. პრესის ფუნქციაა, გავრცელოს ინფორმაცია და იდეები საზოგადოების საჭირობო საკითხებზე. ამ ფუნქციის პრესის მიერ შეუსრულებლობა ტოლფასია საზოგადოებისათვის იმ უფლების წართმევისა, რომ მიიღოს ეს ინფორმაცია და იქონიოს მასზე თავისი შეხედულება, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ პრესის საშუალებით ინფორმაციებისა თუ იდეების გავრცელების თავისუფლება, თავისი არსით, გაცილებით უფრო მეტადაა საჯარო ინტერესის საგანი, ვიდრე ცალკეული ინდივიდის უფლებების დაცვა. ამდენად, პრესის თავისუფლებას მაღალი ღირებულება გააჩნია და ამიტომაც არის, რომ მისი შეზღუდვა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით „უჩვეულოდ წონად გამართლებას მოითხოვს“.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საზოგადოებრივი ინტერესების მქონე თემატიკა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საიმისოდ, რომ ღირებულებათა კონფლიქტი პრესის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყდეს, ცხადია, პრესის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს საიმისოდ მნიშვნელოვანი საფუძველი. ასეთი საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად, რეალური ან პოტენციური ზიანის სიმძიმე, ჟურნალისტთა მხრიდან „მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის უგულვებელყოფა“ და სხვა. ყველა შემთხვევაში პრესის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი უნდა იყოს «წონადი» და «აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში».

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელეს სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაციების პარალელურად, ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სტატია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხზე. საზოგადოებრივი ინტერესების მქონე თემატიკას ეხება ასევე მოსარჩელის მიერ ადრე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებმაც განაპირობეს სადავო წერილის გამოქვეყნებაც. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარჩელე მოღვაწეობს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების სფეროში და მონაწილეობს ამ საკითხებზე გამართულ საჯარო დისკუსიებში, რაც მის მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს აფართოებს და, შესაბამისად, მას კრიტიკისადმი მეტი მოთმინება მოეთხოვება. განსახილველ შემთხვევაში, ცალკე აღებული სადავო გამონათქვამები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ უხამსობად მიიჩნია,

შესაძლოა, შეურაცხმყოფელიც ყოფილიყო, მაგრამ საგაზეთო სტატიის მთელი კონტექსტის გათვალისწინებით, ეს გამონათქვამები უნდა შეფასდეს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემატიკაზე საჯარო დისკუსიის დროს მოპასუხის მიერ საკუთარი შეხედულების მკვეთრი (უხეში) ფორმით გამოხატვა. ასეთი გამოხატვის მიმართ კი, მოსარჩელეს თმენის მეტი ვალდებულება გააჩნია, ამიტომ ეს გამოხატვა ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამოირიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას.

8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ფ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მოსარჩელე ა. ფ-ი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაგრამ ის არ თავისუფლდება მოგებული მხარის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებისაგან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს გაზეთ „ა-ს“ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 150 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარი, სულ 450 ლარი. აქედან გამომდინარე, ა. ფ-ს შპს გაზეთ „ა-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს გაზეთ „ა-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ა. ფ-ს შპს გაზეთ „ა-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ცილისწამება

განჩინება

№ას-677-638-2011

24 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ე-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. თ-მის მიმართ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფისა და მორალური ზიანის – 1 000 000 ევროს ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 28 მაისს, 20:00 საათზე, საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე ნაჩვენები იყო ტელესიუჟეტი, რომლის მსვლელობისას საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. თ-მემ გავრცელა ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს და ლახავს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას, კერძოდ, მან გააკეთა რა კომენტარი მოსარჩელის განცხადებაზე, რომ აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, მოპასუხემ განაცხადა: „მისი სახელი დაკავშირებულია ორი ადამიანის მკვლელობასთან, ასე რომ, იგი არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი, მას შეიძლება ისეთივე

პრეტენზიები გააჩნდეს პრეზიდენტობაზე, როგორც ტარიელ ონიანს, რომელიც არის მისი ამჟამინდელი პარტნიორი მუხროვანის ამბოხის მოწყობაში. ასე რომ, მისი კანდიდატურის მხარდაჭერა კი არა, მისთვის გამარჯობის თქმაც არ მიიღია». მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მტკიცება, რომ მოსარჩელეს კავშირი აქვს ორი ადამიანის მკვლელობასთან და რომ ტარიელ ონიანი მისი „პარტნიორია“ „მუხროვანის ამბოხის“ მოწყობაში, ბღალავს მის პატიოსნებასა და ღირსებას, რაც აიძულებს მას, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სასამართლო წესით მოითხოვოს ამ ინფორმაციის უარყოფა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე. ამასთან, როგორც იგი აღნიშნავს, მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ მის მიერ გახმაურებული ფაქტები მცდარია, მას არც კიონდა მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელის სახელი ნამდვილად ფიგურირებს ორი პირის მკვლელობის საქმეში და არ დასტურდება მისი კავშირი ტარიელ ონიანთან ე.წ. „მუხროვანის ამბოხთან“, ვინაიდან, ერთადერთი წყარო, საიდანაც მოპასუხეს შეეძლო, თეორიულად სცოდნოდა ამის შესახებ, არის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რადგან პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ვინაიდან მოსარჩელე სასამართლოს მიერ არ არის ცნობილი დამნაშავედ და ვერ იქნება, ვინაიდან ეს ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება, არც ორი პირის მკვლელობაში, არც ტარიელ ონიანთან კავშირში და არც „მუხროვანის ამბოხთან“, უკვე თავისთავად ცხადია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია და ვერანაირად ვერ დადასტურდება. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე წარმოადგენს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს მაღალი თანამდებობის პირს, აქედან გამომდინარე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოპასუხეს აქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. მის მიერ გაკეთებული განცხადება არის არა შეფასებითი ხასიათის, არამედ იგი ამტკიცებს ფაქტობრივ გარემოებებს, რომელიც მცდარია და რეალობასთან კავშირი არ აქვს. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობების უბრალოდ უარყოფა ვერანაირად ვერ შეძლებს მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენას, ვინაიდან იგი არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ძლიერი ბიზნესმენი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობები აქვს დამყარებული მრავალი ქვეყნის ბიზნესწრეებთან, სადაც ურთიერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ურთიერთნდობა და მხარეების ღირსეული სახელი. მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადების ერთადერთი მიზანი კი იყო მისი დისკრედიტაცია, გასათვალისწინებელია მისი სტატუსი, გ. თ-მე პარლამენტის წევრია, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, საზოგადოებაში ცნობილი პიროვნება, რომლის აზრიც და პოზიციაც განსაკუთრებით სერიოზულობით აღიქმება საზოგადოების წევრების მიერ და, შესაბამისად, მას მოეთხოვება პასუხისმგებლობისა და თვითკონტროლის ბევრად უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე საზოგადოების უბრალო წევრს. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, იდენტური სიუჟეტი გავიდა „რუსთავი 2-ის“ ეთერითაც, მათ, მართალია, მიუთითეს, რომ „პირველი არხით“ გავიდა და მტკიცებულებაც წარმოადგინეს, მაგრამ აზუსტებენ ფაქტობრივ გარემოებას, რომ სიუჟეტი გავიდა და ცილისმწამებლური განცხადება გავრცელდა როგორც „პირველი არხის“, ისე „რუსთავი 2-ის“ ეთერით და მათი ჩანაწერი (მტკიცებულება) წარმოდგენილია „რუსთავი 2-დან“ და რომ მის პატივსა და ღირსებას ასევე ლახავდა მოპასუხის განცხადება: „ასე რომ იგი არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი“, თუმცა აღნიშნა, რომ იგი არის შეფასებითი ხასიათისა და, აღნიშნულის გამო, არ ითხოვს პასუხისმგებლობის დაკისრებას.

გ. თ-მემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხემ მსგავსი განცხადება მართლაც გააკეთა, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ცილისმწამებლურ განცხადებად, რომელსაც შეეძლო ა. ე-მის პატივი და ღირსება შეელახა, რამდენადაც განცხადებაში გამოითქვა ვარაუდი და აღნიშნა, რომ მოსარჩელის სახელი დაკავშირებულია ორი ადამიანის მკვლელობასთან და იგი არ შეიცავდა მტკიცებას, რომ მოსარჩელე არის მკვლელი. აზრისა და ვარაუდის გამოთქმის უფლება ყველა ადამიანს გააჩნია, მიუხედავად მისი თანამდებობრივი თუ სოციალური მდგომარეობისა. არ შეიძლება ეწოდოს პატივისა და ღირსების შემლახველი და ცილისმწამებლური ისეთი სახის განცხადებას, რომელიც ამა თუ იმ ადამიანთან პარტნიორობაზე მიუთითებს, როგორც მოსარჩელე აღნიშნავს, იგი წარმატებული ბიზნესმენია, აქვს უამრავი კავშირი და საქმიანი ურთიერთობები დამყარებული მრავალი ქვეყნის ბიზნესწრეებთან. გამომდინარე აქედან, მოსარჩელე შესაძლოა მართლაც პარტნიორობდეს ტარიელ ონიანთან, შესაძლოა არც თანამშრომლობდეს, მაგრამ აზრის გამოთქმა, რომ ესა თუ ის პირი პარტნიორობს ამა თუ იმ პირთან, არ შეიძლება ცილისმწამებლურ განცხადებად იქნეს მიჩნეული და შეუძლებელია, მოახდინოს პირის დისკრედიტაცია. მსგავს ვარაუდის ხასიათს ატარებს მოპასუხის განცხადება მუხროვანთან დაკავშირებით, აღნიშნული არ არის კატეგორიული ხასიათის. მოპასუხე კი არ ამტკიცებს თავის განცხადებაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ თავის მოსაზრებას გამოთქვამს. სადავო განცხადება პოლიტიკური ხასიათისაა, რომლის მიზანი იყო მოსარჩელის პოლიტიკური დისკრედიტაცია, როგორც საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის და არამც და არამც საქმიანი დისკრედიტაცია. იგი გაკეთებული იყო პოლიტიკური დებატების ფარგლებში, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ გააკეთა პოლიტიკური განცხადება და გამოთქვა სურვილი, რომ აპირებდა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებას. მოპასუხის მხრიდან განცხადება გაკეთდა როგორც პოლიტიკოსის, პარლამენტის წევრის და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და აღნიშნული განცხადებით პოლიტიკური პასუხი გასცა მოსარჩელეს, რაც ჩვეულებრივი, ნორმალური და ჯანსაღი მოვლენაა ნებისმიერ პოლიტიკურ ცხოვრებაში, შესაბამისად, განცხადება არ უნდა ჩაითვალოს ცილისმწამებლურად. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ არის ცილისმწამებლური, არც მოსარჩელის პატივი და ღირსება არ შელახულა, რაც მოთხოვნის უსაფუძვლოდ მიჩნევის წინაპირობაა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ე-მის სარჩელი მოპასუხე გ. თ-მის მიმართ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინებით ა. ე-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ გაკეთებული განცხადებები უკავშირდებოდა მის მიერ თავისი კანდიდატურის წამოყენებას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მის მიერ ასევე გაკეთებულ იქნა სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური განცხადებები. ამ განცხადების პასუხად, მოპასუხემ ასევე გააკეთა განცხადება, რომელიც გადაიცა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, მათ შორის ტელეკომპანიების: „რუსთავი 2-სა« და „იმედის« ეთერით. მოპასუხის მიერ სადავო განცხადება გავრცელებულ იქნა შემდეგი შინაარსით: „მისი სახელი უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას, ასე რომ, ის არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი და მას ისეთივე წარმატებით შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საქართველოს პრეზიდენტობაზე, როგორც მის ეხლანდელ პარტნიორს მუხროვანთან მიმართებაში ტ. ო-ს«. გ. თ-მე არის პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი« ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე მისი ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ იყო მოქცეული, რაც გამოიწვია მის მიერ განცხადების გაკეთებამ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, მოსაზრებების გამოხატვამ ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, საზოგადოებრივი გაერთიანების ჩამოყალიბებამ და ა.შ, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის წარმომადგენელმაც დაადასტურა, რომ მოსარჩელე საჯარო პირი იყო. თვით სიუჟეტიდანაც აშკარაა, რომ მოსარჩელის შესახებ სხვადასხვა ინტერნეტსაიტებით, პრესის საშუალებით ვრცელდებოდა გარკვეული ინფორმაციები, რაც ასევე გახდა სასამართლოსათვის შესაბამისი პირის საჯარო პირად მიჩნევის საფუძველი. სასამართლომ მიუთითა იმ დროს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე, რის ფონზეც შესაბამისი განცხადებები კეთდებოდა მოსარჩელის და მოპასუხის მხრიდან – ე.წ მუხროვანის ამბოხი, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქციების გამართვა და ა.შ.

სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის პირველ მუხლზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე ცილისწამებად, მისი პატივისა და ღირსების შემლახველად მიიჩნევს მოპასუხის განცხადებას, რომ ა. ე-მის სახელი „უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას« და, რომ მოსარჩელე ტ. ო-ს ახლანდელი პარტნიორია „მუხროვანთან მიმართებაში«. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ აღნიშნული გამონათქამი არის ცილისწამება და მიუთითა, რომ, უპირველესად, განცხადების ცილისწამებად მიჩნევისათვის, აუცილებელია, იგი წარმოადგენდეს არსებითად მცდარ ფაქტს. განცხადების ცილისწამებად მიჩნევისათვის აუცილებელია იგი იყოს ასევე პირისათვის ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხი. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულება, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება იყო ცილისწამება, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, რომ აღნიშნულით მან ზიანი მიიღო, პატივის და ღირსება შეეღალა, სახელი გაუტყდა, რისი მტკიცების ტვირთიც, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის თანახმად, მოსარჩელესვე ეკისრებოდა. სასამართლომ, გავრცელებული განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია, რომ განცხადების, ინტერვიუს არსი იყო შეფასებითი მსჯელობა, იგი გულისხმობდა შეფასებით მსჯელობას, ასახავს მოპასუხის დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ და ასეთ შემთხვევაში ფაქტების საკითხი მთავარი არ არის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ« ქვეპუნქტის თანახმად.

რაც შეეხება საკითხს, შეიცავს თუ არა აღნიშნული განცხადება დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს, სასამართლომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ« საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად განმარტა, რომ გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. სასამართლოს მითითებით, ევროპული სასამართლოც მიმართულია იქით, რომ სადავო შემთხვევაში შესაბამისი იდეა თუ ინფორმაცია საზოგადოებრივი ინტერესის საგანს მიაკუთვნოს, ხოლო შესაბამისი გამონათქვამები „შეფასებით მსჯელობას« და არა „ფაქტების გადმოცემას«. ისეთი ქმედების ჩადენა, როგორც იყო მკვლელობა, მკვლელობის ბრალდება, ისევე, როგორც სამხედრო ამბოხში მონაწილეობა, პარტნიორობა, დაკავშირება, შეიძლება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პროცედურით და რომ დანაშაულის ბრალდების საფუძვლიანობის სიზუსტის ხარისხი მწეოდ თუ შეედრება იმ სიზუსტეს, რომელიც უნდა დაეცვა განმცხადებელს თავისი აზრის გამოხატვისას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე შეფასებითი მსჯელობის დროს. მოპასუხემ ბრძანა ის, რაც შეიძლება განხილულიყო როგორც საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე კომენტარი და, მაშასადამე, წარმოადგენდა „შეფასებით მსჯელობას«, არ უკავშირდებოდა ფაქტის გადმოცემას და არ შეიცავდა მტკიცებას, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა ორი ადამიანის მკვლელს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ის ცალსახად განხილული იქნებოდა სასამართლოს მიერ, როგორც ფაქტის გადმოცემა. იმ ფორმით, რა ფორმითაც გაკეთდა აღნიშნული განცხადება, რომ „მისი სახელი უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას«, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ფორმით გაკეთებული განცხადებით არც უდანაშაულობის პრეზუმფცია დარღვეულა, შესაბამისად, არ გაიზიარა აღნიშნულზე მოსარჩელის განმარტება, რადგან შესაბამისი განცხადება არ შეეხებოდა კონკრეტულ ბრალდებას კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც შეიძლება პირი დამნაშავედ ცნოს. შესაბამისად, რამდენადაც მოპასუხეს არ შეუძლია მოსარჩელე ცნოს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, მის მიერ ვერც უდანაშაულობის პრეზუმფცია ვერ დაირღვეოდა. სასამართლომ ყურადღება გაა-

მახვილა, რომ აღნიშნულის შემდეგ მოპასუხე აკეთებს ერთგვარ დასკვნას, „ასე რომ, ის არის ჩვეულებრივი პეტერ-ბურგელი ბანდიტი», რომელიც კიდევ უფრო ამყარებს სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოპასუხის განცხადება, მისი კონტექსტის გათვალისწინებით, სწორედ რომ აზრია და არა ცილისწამება.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის შეფასება ემყარებოდა მოსარჩელის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციებს, რაც ამავე სიუჟეტებშიც აშკარად ჩანს და შესაძლებელია მიჩნეული იქნას კიდევ მოპასუხის მიერ გავრცელებული შეფასების საფუძველად. იმავე სიუჟეტში, რომლითაც შესაბამისი განცხადება იქნა გავრცელებული, გადმოცემულია მუხროვანის ბატალიონის მეთაურის ჩვენება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია დამფინანსებლების ვინაობა, ესმოდა მხოლოდ ერთი გვარი – ე-მე.

სასამართლომ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც დიფამაციის საქმეებში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა «ფაქტების გადმოცემისა» და «შეფასებითი მსჯელობის» გამოიჯვნა. მართალია, «შეფასებითი მსჯელობა» საზოგადოდ არ ექვემდებარებოდა მტკიცებას, მაგრამ როდესაც იგი კონკრეტულ ბრალდებას გულისხმობდა, ასეთი «შეფასებითი მსჯელობის» დასაცავად აუცილებელი იყო შესაბამისი, საკმარისი საფუძვლის არსებობა (ჯერუსალემი ავსტრიის წინააღმდეგ). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში «ალექს კოსტა პორტუგალიის წინააღმდეგ» ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტული ბრალდების წამოყენების დროს სავალდებულო იყო, ბრალდების ავტორს წარმოედგინა თავისი ბრალდების სულ მცირე სოლიდური ფაქტობრივი საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ მაშინაც კი, როდესაც განცხადება «შეფასებითი მსჯელობას» წარმოადგენს, ჩარევის თანაზომიერების შეფასება შეიძლება დამოკიდებული აღმოჩნდეს იმაზე, არსებობდა თუ არა შესაბამისი სადავო განცხადებების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება გადაჭარბებულად ჩაითვალოს, თუკი იგი არ ემყარება საკმარის ფაქტობრივ საფუძველს (დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ), ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არანაირი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც შეიძლებოდა მოპასუხის შეფასებითი მსჯელობა სასამართლოს მიეჩნია გადაჭარბებულად, შესაბამისად, მასში ჩარევის სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობს. სასამართლომ აღნიშნა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, პირს მოსთხოვო მხოლოდ ფაქტებზე დამყარებული მოსაზრებების გამოთქმა, ისევე, როგორც შეუძლებელია მოსთხოვო მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების მტკიცება. «ფაქტების არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს მაშინ, როცა მოსაზრებები არ ექვემდებარება მტკიცებულებებს» და «შეხედულებების სიმართლის დამტკიცების მიმართ შეუძლებელია ამ მოთხოვნის შესრულება. იგი თავად არღვევს აზრის თავისუფლებას, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლის უზრუნველყოფილი უფლების ფუნდამენტურ ნაწილს» (ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ). სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლოა, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეყრდნობოდა სუსტ ფაქტობრივ მონაცემებს, მაგრამ აღნიშნული მაინც არ არღვევს აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად (დიხანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ). სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის განცხადება წარმოადგენდა შეფასებითი მსჯელობას, რომელიც გამოყენებული იყო პოლიტიკური რიტორიკის დროს და ამიტომ არ ექვემდებარება დამტკიცებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხის გამონათქვამი მართლაც შეიცავდა მკაცრ, გამაოგნებელ გამონათქვამებს და ა.შ რამაც მოსარჩელე შეურაცხყოფილი დატოვა, პოლიტიკოსის პროფესიის არჩევით, მოსარჩელემ თავისი თავი თვითონ დააყენა ასეთი ურიტიკის ქარცეცხლის ქვეშ, მათ შორის პარლამენტის წევრის მხრიდან, იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მხრიდან, რომლის წევრიც გახლავთ პრეზიდენტი და ეს იყო ტვირთი, რომელიც პოლიტიკოსს უნდა ეზიდა დემოკრატიულ საზოგადოებაში (უკრაინის მედია ჯგუფი უკრაინის წინააღმდეგ). აღნიშნული განცხადება ძირითადად ფოკუსირებულია მოსარჩელეზე, რომელსაც სურს, წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე, მიმართულია მისი, როგორც საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის, პოლიტიკაში ჩართული პირის კრიტიკაზე, გამოხატავს მის დამოკიდებულებას მოსარჩელისადმი და მთლიანობაში აღნიშნული თავსდება «შეფასებითი მსჯელობის» ფარგლებში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის რეპუტაციის დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის შესაბამის საჯარო ინტერესს, რაც მოსარჩელის მიმართ არსებობდა. მოპასუხის მიერ გაკეთებულ განცხადებას შეიძლებოდა დადებითი წვლილი შეეტანა საჯარო დისკუსიის გამართვაში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. მით უფრო, რომ მოპასუხეს მოსარჩელესთან დაკავშირებული განცხადება მანამდეც ჰქონდა გაკეთებული, რაც დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით. მას სრული უფლება ჰქონდა, გამოეთქვა თავისი მოსაზრება და მოეხდინა შესაბამისი საკითხზე საჯარო დებატების ინიცირება. როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც მოწმობს, საჯარო დისკუსიისას, რომლის მიზანიც ჭეშმარიტების გარკვევაა, პატივისა და ღირსების დაცვის მოთხოვნები გაცილებით დაბალია, ვიდრე პოლიტიკური საკითხების ღია განხილვის ინტერესი. შესაბამისად, მოპასუხის მიერ გავრცელებული სადავო განცხადება არ წარმოადგენდა უმიზეზო პერსონალურ თავდასხმას მოსარჩელეზე. იგი უშუალოდ უკავშირდებოდა კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას და წარმოადგენდა ერთგვარ წვლილს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხის საჯარო განხილვაში (უნაბჰენგიე ინიციატივ ინფორმაციონსფიფალტ ავსტრიის წინააღმდეგ). მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, მისი შეფასება, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და შეეხებოდა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებულ საკითხს და აღნიშნულით დაინტერესების ხარისხი საზოგადოებაში უაღრესად მაღალი იყო, მით უფრო, იმ ფონზე, რა ფონზეც აღნიშნული განცხადებები კეთდებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აღიარებულია, რომ «ინფორმაცია» საზოგადოებრივი ინტერესის საკითხს შეეხებოდა, მათდამი მოპყრობა ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. საზოგადოებისათვის რაც უფრო აქტუალური, საჭირობოროტო თუ სისხლხორცეული მნიშვნელობისაა პრობლემა, მით უფრო მეტია შესაბამისი ინფორმაციის დაცულობის ხარისხი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ასევე შეფასებას წარმოადგენს განცხადების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ: «მას ისეთივე წარმატებით შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საქართველოს პრეზიდენტობაზე, როგორც მის ახლანდელ პარტიორს მუხროვანთან მიმართებაში ტ. ო-ს». სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული გამომ-

დინარეობს კონტექსტის შინაარსიდან, იგი გამოხატავს მოპასუხის აზრს მოსარჩელის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის შესაძლო შანსზე, გამხდარიყო პრეზიდენტი, და აქცენტი კეთდება, რომ ეს შანსი შეიძლება ისეთი იყოს, როგორც შეიძლება ჰქონდეს ტ. ო-ს პრეზიდენტობაზე. ის, რომ ტ. ო-ი წარმოადგენს მის პარტნიორს მუხროვანთან მიმართებაში, არ შეიძლება განხილულ იქნას კონტექსტიდან ამოვარდნილად, ცალკე, როგორც ფაქტი. განცხადება არ აკავშირებს მოსარჩელეს მუხროვანის ამბობთან (მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში არ არის გამოყენებული სიტყვა „ამბობი“ და ზოგადად საუბარია „მუხროვანზე“). მით უფრო, სიტყვა, რომ იგი წარმოადგენს ტარიელ ონიანის პარტნიორს მუხროვანთან მიმართებაში, არ ნიშნავს, რომ მას კონკრეტული ბრალი დასდო მოსარჩელემ დანაშაულის ჩადენაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განცხადება არ შეიცავს კონკრეტულ ბრალდებას კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, ასევე, რომ ისინი სასამართლომ მიიჩნია არა ფაქტებად, არამედ შეფასებით მსჯელობად, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, არათუ აღნიშნული განცხადებით ზიანის მიყენება და მისდამი ხალხის ნდობას, არამედ საერთოდ ვერ იქნა დადასტურებული უფლების ხელყოფა, ჩათვლილიყო უდანაშაულოდ, სანამ კანონის შესაბამისად არ დაუმტკიცებდნენ ბრალს. უფრო მეტიც, როგორც მოსარჩელის წარმომადგენელი აღნიშნავდა, მათ მიმართეს კიდევ შესაბამის ორგანოებს (პროკურატურა), საიდანაც მიიღეს ინფორმაცია, რომ მის წინააღმდეგ არანაირი სისხლის სამართლის საქმე არ იყო აღძრული, არ ედებოდა ბრალი დანაშაულის ჩადენაში და ა.შ. სასამართლომ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაუსაბუთებლობის გამო არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოპასუხე წარმოდგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს. სასამართლომ დადგინოდა, რომ მიიჩნია და აღნიშნა, რომ ზოგჯერ შეფასებითი მსჯელობაც შეიძლება არანაკლებ მტკიცებულებით და ზიანის მიმყენებელი იყოს შესაბამისი პირისათვის, ვიდრე უშუალოდ ფაქტის გადმოცემა, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხის მიერ გამოთქმულმა „შეფასებითმა მსჯელობებმა“ მას ზიანი მიაყენა. სასამართლომ ასევე დადგინოდა, რომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, ისევე, როგორც მოთხოვილი თანხის ოდენობა. სასამართლომ აღნიშნულის დამადასტურებლად არ მიიჩნია მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელემ სადავო განცხადების გაკეთების შემდეგ განიცადა ზიანი, რადგან აღნიშნული განცხადების გაკეთების ერთადერთი მიზანი იყო მოსარჩელის დისკრედიტაცია და ა.შ. რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რომ მოსარჩელემ განიცადა დისკრედიტაცია, საქმიან წრეებში შეილახა მისი პატივი, ღირსება და სხვა მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. მხოლოდ მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება, რომ მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადების მიზანი იყო მოსარჩელის პოლიტიკური დისკრედიტაცია, რაც თავისთავად ზიანის მიყენების ფაქტს ადასტურებს, ვერ გახდება იმის დამადასტურებელი, რომ მოსარჩელეს მიადგა ზიანი, მით უფრო არ იქნა გაზიარებული განმარტება ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც იგი აღნიშნავდა, რომ მიყენებული ზიანის ოდენობა განსაზღვრეს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2010 წლის 7 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მხარე არ დავობს სასამართლოს დასკვნის იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება თ-მის მიერ ე-მის პეტერბურგელ ბანდიტად მოხსენიებას და ო-თან კავშირის ბრალდებას. რაც შეეხება ორი ადამიანის მკვლელობასთან კავშირსა და მუხროვანის ამბობის ორგანიზებას, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს შეფასებით მსჯელობად და კონტექსტიდან გამომდინარე, იგი არის სწორედ მტკიცებით ფორმაში გამოთქმული ფრაზა. სააპელაციო პალატა მითითებულ ნაწილში სრულად დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს, რომ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ განცხადების ცილისწამებად მიჩნევისათვის აუცილებელია, იგი წარმოადგენდეს არსებითად მცდარ ფაქტს, ასევე აუცილებელია, იგი იყოს პირისათვის ზიანის მიმყენებელი და სახელის გამტეხი. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, როდესაც მიიჩნია, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა. იმ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები კი, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება იყო ცილისწამება, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი, რომ აღნიშნულით მან ზიანი მიიღო, პატივი და ღირსება შეელახა, სახელი გაუტყდა, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა. სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განმარტა და სწორად დაადგინა სადავო განცხადების შინაარსი. მისი გავრცელების ფორმის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ ინტერვიუს არსი იყო შეფასებითი მსჯელობა, რომელიც ასახავდა მოპასუხის დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ. განცხადება არ შეიცავდა კონკრეტულ ბრალდებას ორი ადამიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, არ მიუთითებდა, კონკრეტულ ორ ადამიანზე, ასევე, რა ფორმით უკავშირდებოდა მოპასუხე მკვლელობას და სხვა. რაც შეეხება „მუხროვანთან მიმართებაში“ მოპასუხის განცხადებას, პალატის მითითებით, პირველ რიგში იგი არ შეიცავდა მოსარჩელის მიერ ამბობის ორგანიზების მტკიცებით ფორმაში გამოთქმულ ფრაზას, როგორც ამას მიუთითებს აპელანტი. აღნიშნულიც წარმოადგენს შეფასებით მსჯელობასა და არა დადასტურებადი ფაქტების შემცველ განცხადებას, ამასთან, შეფასება ემყარებოდა მოსარჩელის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციებს. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა, რომ გაკეთებული განცხადებით არ დარღვეულა არც უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც შეიძლება პირი დამნაშავედ ცნოს. შესაბამისად, რამდენადაც მოპასუხეს არ შეუძლია მოსარჩელე ცნოს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, მის მიერ ვერც უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვეოდა.

საპელავიო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ე-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

საპელავიო სასამართლომ არ დაადგინა და არ შეაფასა მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის აუცილებელი გარემოებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს უნდა დაედგინა ცილისწამებისათვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის არსებობა, სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, სიტყვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული მიზნების მიღწევისათვის. სარჩელის მიზანი, სწორედ ამ ნორმით აღიარებული პირის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვაა. კასატორის მითითებით, საქმეში: „ფრაგერი და ობერშლიქი ავსტრიის წინააღმდეგ“ სასამართლომ მიუთითა, რომ „აუცილებელი ჩარევა“ საჭიროა როდესაც განცხადება, მტკიცებულება შეიცავს „საგანგებოდ სერიოზულ ბრალდებას“, მათ შორის როდესაც მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა პირის მიერ კანონის დარღვევის შესახებ, რაც არ ჯდება „კრიტიკის დასაშვებ ჩარეობაში“. ევროპული სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსის, საჯარო პირის მიმართ ჩარეობები უფრო ფართოა, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი ვრცელდება ასევე პოლიტიკოსებზე, საჯარო პირებზე.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხეს, როგორც პოლიტიკოსს, უფლება აქვს მისცეს შეფასება პოლიტიკურ პროცესებს, თუმცა ასეთ დროს ის მაინც შეზღუდულია კონსტიტუციითა და კანონით. სადავო განცხადების გაკეთების დროს არ მიმდინარეობდა პოლიტიკური დებატები, ამასთან, განცხადება მოპასუხის პირადი ცხოვრების სფეროს შეეხება, რაც დაუშვებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის გაკეთებულია პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ან ასახავს განმცხადებლის პირად დამოკიდებულებას. მოპასუხე განცხადებაში აკეთებს დასკვნას „გამარჯობის თქმაც არ მინდა“, რაც აგებულია მანამდე არსებულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე. სადავო განცხადება შეიცავს როგორც ფაქტებსა და მტკიცებულებებს, ისე პირად შეფასებით მსჯელობას. სასამართლო ვალდებული იყო, შეეფასებინა რამდენად კეთილსინდისიერია მოპასუხის შეფასებითი მსჯელობა და რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მისი მტკიცებულებები, ამის შემდეგ სასამართლოს უნდა დაედგინა ჩარევის აუცილებლობა ბრალდების სერიოზულობიდან გამომდინარე, ასევე მოპასუხის თანამდებობიდან გამომდინარე არა მარტო უფლებების, არამედ ვალდებულებების გათვალისწინებით.

მოპასუხემ გაავრცელა არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი სახელის გამტეხი განცხადება, რომლის ძირითადი ნაწილისათვის აზრის სტატუსის მინიჭება შეუძლებელია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. მოპასუხეს, მისი თანამდებობის გათვალისწინებით, უნდა სცოდნოდა განაჩენის არარსებობის თაობაზე და მან განზრახ, ზიანის მიყენების მიზნით, გაავრცელა არსებითად მცდარი ფაქტები, რის შედეგადაც დაირღვა საქართველოს კანონსტიტუციის მე-4 და მე-40 მუხლებით გათვალისწინებული დებულებები.

საპელავიო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, არასწორად განმარტა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი, შესაბამისად, არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ უფლების დარღვევის ფაქტის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის ინიციატორ მხარეს დაეკისრა. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი.

სასამართლომ გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ ა. ე-ძე არ არის საქართველოს მოქალაქე, რაც უმოკლეს ვადაში შეუძლებელს ხდის მის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად გახდომას, ასევე იმას, რომ ითვლებოდა პოლიტიკოსად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო განცხადება სწორედ მოსარჩელის დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

არასწორია სასამართლოს დასკვნა განცხადების ცილისწამებად მიჩნევისათვის მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრებისა და მის მიერ მოთხოვნის დაუსაბუთებლობაზე, რადგანაც ის ფაქტი, რომ ა. ე-ძემ უარყო გავრცელებული ინფორმაცია უკვე მტკიცებაა და დამატებით დადასტურებას არ საჭიროებს, ხოლო განმცხადებელი თავადვე ვალდებული, ადასტუროს განცხადებაში მითითებული ფაქტის ნამდვილობა, ამდენად, სასამართლომ სწორად ვერ გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია, კერძოდ, სასამართლო განჩინების ნაწილში ასაბუთებს, რომ მოპასუხის განცხადება არის შეფასებითი მსჯელობა და ასახავს ა. თ-ძის დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ, რა დროსაც ფაქტის საკითხი არ არის მთავარი, ამასთან, სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხეს ფაქტზე დაყრდნობით არ უსაუბრია და მისი მსჯელობა მხოლოდ აზრის გამოხატვა იყო, სასამართლო ასევე ადასტურებს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა, ემყარებოდეს სუსტ ფაქტობრივ მონაცემებს. კასატორის განმარტებით, ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფიცია შეიძლება დაარღვიოს მხოლოდ იმ ორგანომ, რომელსაც შეუძლია პირი ცნოს დამნაშავედ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ა. ე-ძის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ე-ძის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელის მიერ გაკეთებული განცხადებები უკავშირდებოდა მის მიერ თავისი კანდიდატურის წამოყენებას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე. მის მიერ ასევე გაკეთებულ იქნა სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკური განცხადებები.

მოსარჩელის განცხადების პასუხად, მოპასუხემ ასევე გააკეთა განცხადება, რომელიც გადაიცა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, მათ შორის ტელეკომპანიების: „რუსთავი 2-ისა“ და „იმედის“ ეთერით. მოპასუხის მიერ სადავო განცხადება გავრცელებულ იქნა შემდეგი შინაარსით: „მისი სახელი უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას, ასე რომ ის არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი და მას ისეთივე წარმატებით შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საქართველოს პრეზიდენტობაზე, როგორც მის ეხლანდელ პარტნიორს მუხროვანთან მიმართებაში ტ. ო-ს». მოსარჩელემ ცილისწამებად, მისი პატივისა და ღირსების შემლახვად მიიჩნია მოპასუხის ის განცხადებები, რომლებიც შეეხებოდა მის კავშირს ორი ადამიანის მკვლელობასა და მუხროვანის ამბოხთან.

მხარეთა მიერ განცხადებები გაკეთდა ისეთ პოლიტიკურ ფონზე, როგორცაა ე.წ. მუხროვანის ამბოხი, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქციების გამართვა და ა.შ.

გ. თ-მე არის პოლიტიკოსი, პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მოსარჩელე წარმოადგენს საჯარო პირს.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდნენ მოპასუხის მხრიდან ცილისწამების ფაქტს, ასევე იმ გარემოებას, რომ მოპასუხის განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა ან პატივი და ღირსება შეეღალა და სახელი გაუტყდა, სასამართლოს დასკვნით, მოპასუხის განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას და იგი ასახავს მოპასუხის დამოკიდებულებას მოსარჩელის პიროვნების მიმართ.

მოპასუხის შეფასებითი მსჯელობა ემყარებოდა მოსარჩელის თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციებს, რაც იმავე სიუჟეტებშიც აშკარად ჩანს და შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კიდევ მოპასუხის მიერ გავრცელებული შეფასების საფუძველად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი დავის თავისებურებიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა შეფასდეს ის სამართლებრივი ურთიერთობა, საიდანაც მხარეებს შორის წარმოიშვა დავა. დავა ეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვას, რომელთა ხელყოფაც მოსარჩელის აზრით განახორციელა მოპასუხემ. უფრო კონკრეტულად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხემ თავისი ქმედებით (მოსარჩელის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით) შელახა მოსარჩელის პატივი და ღირსება, რის შედეგადაც მას მიაღდა ზიანი. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და პატივისა და ღირსების შელახვით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელის მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსში 2004 წლის 24 ივნისის ცვლილების განხორციელებამდე არსებული რედაქცია (მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი) ითვალისწინებდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორც იყო სასამართლოს მეშვეობით პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. თუმცა, 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2004 წლის 16 ივლისიდან, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა განისაზღვრა ასევე სპეციალური კანონით, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი მოსაზრებით, რაც სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ, ისეთ პირობებში, როდესაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენს ცილისწამების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის არსს, სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რაც ასევე შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკასთან (სუსგ, №ას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი; სუსგ, №ას-334-654-09, 8 ოქტომბერი, 2009 წელი).

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხის მიერ გაკეთებული განცხადება შეიცავს როგორც ფაქტებსა და მტკიცებულებებს, ისე პირად შეფასებით მსჯელობას. ამასთან, როგორც კასატორის პოზიციიდან ირკვევა, განცხადების ის ნაწილი, რომ ა. ე-მე არის პეტერბურგელი ბანდიტი შეფასებითი მსჯელობაა, ხოლო განცხადებაში მოყვანილი ფრაზები: „მისი სახელი უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას...“ და „მას ისეთივე წარმატებით შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საქართველოს პრეზიდენტობაზე, როგორც მის ეხლანდელ პარტნიორს მუხროვანთან მიმართებაში ტ. ო-ს“, წარმოადგენს მცდარ ფაქტებს, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციას. საკასაციო პალატა კასატორის მითითებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს:

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით მოცემულია როგორც აზრის, ასევე ცილისწამების დეფინიცია, კერძოდ კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აზრი განმარტებულია, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების

გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით ცილისწამება განმარტებულია, როგორც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტამდე, მნიშვნელოვანია გაირკვეს მოპასუხის მიერ გავრცელებული გამოხატვები განეკუთვნება ფაქტებს, თუ შეფასებით მსჯელობას. ხშირად მათი გამოიჭვნა გართულებულია, თუმცა როგორც ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით შესაძლებელია მეტი სიცხადის შეტანა ამ ორ ცნებას შორის. საქმეში „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ მოსაზრებების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. საქმეში „პერნა იტალიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ფაქტის დამტკიცება შესაძლებელია, ხოლო შეფასებითი მსჯელობა დამტკიცებას არ ექვემდებარება. საქმეში „ჯერუსალიმი ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ შეფასებითი მსჯელობების ნამდვილობის დამტკიცება შეუძლებელია და რომ ასეთი მოთხოვნა ზღუდავს აზრის თავისუფლებას. საქმეში „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“ ევროპის სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამოხატვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აზრი ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებას თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე, ფაქტები კი ჩვეულებრივ მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა (სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამოიჭვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, №ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი).

ამდენად, მოხმობილი გადაწყვეტილებების და კანონის ნორმათა შეჯერებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომელიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე არ გადმოსცემს იმ ფაქტებს თუ რომელი ორი ადამიანის მკვლელობასთან არის დაკავშირებული ა. ე-ძის სახელი, რა ფორმით არის ა. ე-ძე დაკავშირებული ან რა ვითარებაში მკვლელობასთან. ამასთან, სადავო გამონათქვამი: „მისი სახელი უკავშირდება ორი ადამიანის მკვლელობას“, არ შეიძლება განვიხილოთ კონტექსტადან ამოვარდნილად, ვინაიდან ამ გამონათქვამის გაგრძელება ასეთია: „ასე რომ ის არის ჩვეულებრივი პეტერბურგელი ბანდიტი“. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის განცხადების პირველი ნაწილი (მკვლელობასთან კავშირი) შეუძლებელია დადასტურდეს ან დამტკიცდეს, ვინაიდან იგი მოკლებულია ობიექტურ (ფაქტობრივ) სიცხადეს. რაც შეეხება განცხადების მეორე ნაწილს, სადაც მოპასუხე საუბრობს ა. ე-ძის, როგორც მომავალი პრეზიდენტის შანსზე, აქაც გვაქვს უფრო სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებულ აზრის გამოხატვასთან საქმე, ვიდრე ობიექტურ მოცემულობასთან. ამასთან, განცხადებაში არაფერია ნათქვამი ამბოხზე და ამ კუთხითაც სადავო განცხადებით შეუძლებელია რაიმეს დადასტურება ან დამტკიცება.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს საქმეზე დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ მოსარჩელე წარმოადგენს საჯარო პირს, ხოლო მოპასუხე პოლიტიკოსს, ამასთან, როგორც მოსარჩელე სარჩელის ფაქტობრივ საფუძველში აღნიშნავს, მოპასუხემ გააკეთა კომენტარი მოსარჩელის განცხადებაზე, რომ მას სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში.

საკასაციო პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. საკასაციო პალატა დასაბუთებულ არგუმენტად ვერ მიიჩნევს კასატორის იმ მოსაზრებას, რომ კასატორი არ არის საქართველოს მოქალაქე და შესაბამისად იგი ვერ გახდება საქართველოს პრეზიდენტი. ფაქტია, რომ ა. ე-ძემ პოლიტიკური განცხადებით – საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მიიქცია საზოგადოების ყურადღება, ხოლო მოპასუხემ კომენტარი სწორედ ა. ე-ძის ამ პოლიტიკურ განცხადებაზე გააკეთა. მნიშვნელოვანია ასევე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაცია, რასაც დროში დაემთხვა ა. ე-ძის განცხადება და გ. თ-ძის სადავო კომენტარი. ყოველივე ამის ერთობლიობაში შეფასება საკასაციო პალატას აძლევს საფუძველს, რომ გ. თ-ძის გამონათქვამებს აზრის სტატუსის კვალიფიკაცია მიანიჭოს, ვიდრე ფაქტების კონსტატაციის.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო კასატორმა მოპასუ-

ხის განცხადებისათვის ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ვერ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი აზრს იცავს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც ნიშნავს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო განთავისუფლებას.

კასატორი მიუთითებს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე და აღნიშნავს, რომ აუცილებელი ჩარევა საჭიროა, როდესაც განცხადება შეიცავს „საგანგებოდ სერიოზულ ბრალდებას», მათ შორის, როდესაც მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა პირის მიერ კანონის დარღვევის შესახებ. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას იმ თვალსაზრისით, რომ საგანგებოდ სერიოზული ბრალდება, რომელიც გაჯერებულია დადასტურებადი ფაქტებით, შესაძლოა მოექცეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებში, თუკი დადასტურდება მისი მცდარობა და ამით ილახება პირადი არაქონებრივი უფლებები, თუმცა, მოცემული დავის შემთხვევაში მოპასუხის განცხადება შეფასებით მსჯელობად იქნა მიჩნეული და არა ბრალდებად. საქმეში „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ» ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ განმარტა შემდეგი: საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური გამოსვლის ან დებატების შეზღუდვები მცირე ფარგლებშია შესაძლებელი. ამასთან, მისაღები კრიტიკის საზღვრები, კერძო პირისაგან განსხვავებით, უფრო ფართოა პოლიტიკოსთან მიმართებაში. განსახილველ შემთხვევაში, მართალია ადგილი არ ჰქონია პოლიტიკურ დებატებს, მაგრამ ადგილი ჰქონდა ა. ე-ძის პოლიტიკურ გამოსვლასთან დაკავშირებით გ. თ-ძის კომენტარს, რასაც თვით მოსარჩელე ადასტურებს. ამასთან, ა. ე-ძე მართალია არ არის პოლიტიკოსი, თუმცა მისი, როგორც საჯარო პირის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოა, ვიდრე კერძო პირის შემთხვევაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე, რაც გამოიხატა მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებაში. საკასაციო პალატა მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლითაც განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, კერძოდ, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. მოცემული ნორმა ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად სტანდარტებს, რომელთანაც სრულ ჰარმონიაშია ამავე კანონის მე-14 მუხლის რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევაში ამ უკანასკნელის მიერ სამტკიცებელ გარემოებებს. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდნენ მოპასუხის მხრიდან ცილისწამების ფაქტს, ასევე იმ გარემოებას, რომ მოპასუხის განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა ან პატივი და ღირსება შეეღალა და სახელი გაუტყდა. კასატორის განმარტება იმის შესახებ, რომ მოსარჩელემ მხოლოდ უარყო მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე და ამით საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხის მხარეზეა, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება ვერ დაძლევეს იმ ტვირთს, რაც მტკიცებას უკავშირდება, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტება შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთვაროვან პრაქტიკასთან (სუსგ, №ას-810-1129-07, 16 მაისი, 2008 წელი; სუსგ, №ას-207-194-2011, 14 ივლისი, 2011 წელი).

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ მოსარჩელესთან მიმართებაში დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, მოპასუხის განცხადება განხილულ იქნა, როგორც შეფასებითი მსჯელობა, რომელიც არ შეიცავს მტკიცებას მოსარჩელის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის თაობაზე, შესაბამისად, ვერც უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვეოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ე-ძის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ სასვებით მართებულად იხელმძღვანელა, როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკით, რაც უტყუარად მოწმობს მის კანონიერებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

1. ა. ე-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნების ნაკლი

განჩინება

№ას-1435-1450-2011 6 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალაგვიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებიდან გასვლა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ო-მა და ს. გ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ამხანაგობა «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრების: ჯ. ვ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ზ. ს-ის, ნ. დ-ის, დ. კ-ისა და პ. ე-ის მიმართ ხელშეკრულებიდან გასვლისა და ნ. ო-ის სასარგებლოდ 54 000 აშშ დოლარის, ხოლო ს. გ-ის სასარგებლოდ – 30 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 12 დეკემბერს ნ. ო-სა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა «წ. 39-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ნ. ო-ი ხდებოდა ამხანაგობის წევრი და იღებდა ვალდებულებას, უზრუნველყო მშენებლობა 54 600 აშშ დოლარის ღირებულების საშენი მასალით. თავის მხრივ, ამხანაგობა იღებდა ვალდებულებას, ნ. ო-ისათვის გადაეცა 84 კვ.მ საცხოვრებელი ფართი მდებარე ქ.თბილისში, ... 39-ში, პირველი სადარბაზოს მე-3 სართულზე. ხელშეკრულება ძალაში შევიდა მისი ხელმოწერის მომენტიდან. 2008 წლის 30 იანვარს მხარეთა შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი ნ. ო-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე. 2009 წლის 16 ოქტომბრის კრების ოქმით ამხანაგობის წევრებმა შეიტანეს ცვლილება და ქ.თბილისში, ... №39-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ დააფიქსირეს ნ. ო-ი. ამხანაგობამ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რადგანაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ნ. ო-ისათვის გადასაცემი ფართი გაასხვისა და დატვირთა იპოთეკით. რაც შეეხება ს. გ-ეს, 2009 წლის 14 ივლისს მას და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «წ. 39-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა ამხანაგობისათვის 30 000 აშშ დოლარი, ხოლო ამხანაგობა «წ. 39-ს» უნდა გადაეცა ს. გ-ისათვის 75 კვ.მ საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ.თბილისში, ... 39-ში, მე-7 სართულზე. ს. გ-ემ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა ჯეროვნად, თუმცა ამხანაგობას საპასუხო შესრულება არ განუხორციელებია.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

არასწორია ნ. ო-ის მოსაზრება, რომ ამხანაგობის ვალდებულებების დამფუძნებლები პასუხს აგებენ სოლიდარულად, ესე იგი მისთვის იმთავითვე იყო ცნობილი 2006 წლის 1 მარტის ხელშეკრულების თაობაზე, რასაც ასევე ადასტურებს 2007 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმი. აღნიშნული, ცხადყოფს, რომ ნ. ო-ი მიღებულ იქნა ამხანაგობაში ჩვეულებრივ წევრად. 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებით, მან იკისრა ვალდებულება მშენებლობის პერიოდში უზრუნველყო მშენებლობა 54 000 აშშ დოლარის საშენი მასალით. მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება შესაბამისი ღირებულების საშენი მასალებით მშენებლობის უზრუნველყოფის თაობაზე, მით უფრო რომ 2008 წლის 30 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი მათთვის უცნობია. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების 7.4 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობას არ მიუღია გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის ნაცვლად თანხის მიღების შესახებ. საქმის მასალებით არ დასტურდება ნ. ო-ის მიერ შენატანის განხორციელების ფაქტი, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. 2007 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმის დადგენილებით ნაწილში მითითებულია, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შემდეგ ნ. ო-ს გამოეყოფა ამხანაგობის საკუთრებიდან მითითებული უძრავი ნივთი. მაგრამ, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი იმ ვალდებულების შესრულება, ანუ იმ პირობის შესრულება, რასაც უნდა მოჰყოლოდა უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემა. ასევე არაა ნამდვილი ს. გ-ესთან 2009 წლის 14 ივლისს დადებული ხელშეკრულება, ვინაიდან ამხანაგობის დამფუძნებლის ხელშეკრულების 5.1 და 5.6 მუხლების თანახმად, ზ. ს-ე ვალდებული იყო მოსარჩელესთან ხელშეკრულების დადებამდე მიეღო ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების თანხმობა, რაც მას არ მიუღია. ამდენად, ამხანაგობისათვის უცნობია აღნიშნული გარიგებების თაობაზე. ხელშეკრულებით დადგენილი ფართების განკარგვა განხორციელდა უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობის გარეშე, რაც მოპასუხეების განმარტებით, სამოქ-

ლაქო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობაზე მეტყველებს. ს. გ-ის მიერ წარმოდგენილი №13 სალაროს შემოსავლის ორდერით «წ. 39-თვის» 30 000 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტი არ დასტურდება. ეს თანხა ამხანაგობას საერთოდ არ მიუღია. ამასთან, ორდერში არ არის მითითებული ვის მიერაა იგი გადახდილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ო-ისა და ს. გ-ის სარჩელი ჯ. ვ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ზ. ს-ის, ნ. დ-ის, დ. კ-ისა და პ. ე-ის მიმართ დაკმაყოფილდა, ჯ. ვ-ს, ა. შ-ს, თ. ვ-ს, ზ. ს-ეს, ნ. დ-ეს, დ. კ-ესა და პ. ე-ეს ნ. ო-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 54 600 აშშ დოლარის, ხოლო ს. გ-ის სასარგებლოდ – 30 000 აშშ დოლარის გადახდა, რას სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინებით დ. კ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ჯ. ვ-ის, ნ. დ-ისა და პ. ე-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ს-ეს უფლება ჰქონდა, დაედო გარიგებები, მათ შორის, ნარდობის ხელშეკრულება მესამე პირებთან. 2006 წლის 1 მარტს ნინა ვ-ს, ა. შ-ს, ზ. ს-ეს, ნ. დ-ეს, დ. კ-ესა და პ. ე-ეს შორის გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც დაფუძნდა იბა «წ. 39» და 2006 წლის 2 მარტის სანოტარო აქტით ამხანაგობის მიზნად განისაზღვრა ქ.თბილისში, ... №39-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. ამხანაგობის მმართველობის უმაღლეს ორგანოდ განისაზღვრა დამფუძნებელ წევრთა კრება, რომლის უფლებამოსილებას მიეკუთვნა ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, მათ შორის, თავმჯდომარის დანიშვნა-გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღება. 2006 წლის 2 მარტის სანოტარო აქტის 6.1 პუნქტით, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებაში და უფლებამოსილია მათ განკარგვაზე, აქვს უფლება, ხელი მოაწეროს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა საფინანსო დოკუმენტს, დადოს გარიგებები ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების გარეშე, გარდა შემთხვევებისა, რომლის გადაწყვეტისთვისაც აუცილებელია კრების მონაწილეობა. 2009 წლის 14 ივლისს ს. გ-ესა და იბა «წ. 39-ის» თავმჯდომარე ზ. ს-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე იბა «წ. 39-მა» იკისრა ვალდებულება, გადაეცა ს. გ-ისათვის ქ.თბილისში, წ.ს №39-ში, მესამე სადარბაზოს მე-7 სართულზე მდებარე 75 კვ. მეტრი ფართი, ხოლო ს. გ-ემ იკისრა ვალდებულება, შენატანოს სახით განხორციელებინა 30 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ბინა ს. გ-ეს უნდა გადასცემოდა არა უგვიანეს 2009 წლის დეკემბრისა შესაბამისი ღირებულების სრულად გადახდის შემთხვევაში. 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულების შესაბამისად, ს. გ-ემ 30 000 აშშ დოლარი გადასცა ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. ს-ეს. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, რომ ს. გ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტით – სალაროს შემოსავლის ორდერით არ დასტურდება ს. გ-ის მიერ ამხანაგობისათვის თანხის გადახდის ფაქტი, ვინაიდან სალაროს შემოსავლის ორდერი არ შეიცავს რეკვიზიტებს, თუ კონკრეტულად ვის მიერ, როდის და რა მიზნით იქნა გადახდილი თანხა. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 105-ე მუხლის შესაბამისად ჩათვალა, რომ წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერის ფორმიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მასში არ იყო მითითებული თანხის გადახდელისა და გადახდის მიზნის აღნიშვნისათვის სპეციალური გრაფა, ხოლო დოკუმენტის არსიდან გამომდინარე, იგი გაიცემა, როგორც ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, ორდერის ს. გ-ესთან შენახვის ფაქტი ადასტურებს ორდერში ასახული გადახდის ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებას. ზ. ს-ის მიერ ს. გ-საგან თანხის მიღების ფაქტი აპელანტებს სადავოდ არ გაუხდიათ, ამასთან, ზ. ს-ემ თანხა მიითვისა და არ გადაუცია ამხანაგობისათვის, აღნიშნული ასევე დასტურდება ზ. ს-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 2010 წლის 3 დეკემბრის განაჩენით, ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ ს. გ-ის მიერ თანხის გადაუხდელობის თაობაზე მხარეთა პრეტენზია დაუსაბუთებელია. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ ნ. ო-ისაგან სამშენებლო მასალების ნაცვლად თანხის მიღების თაობაზე გადაწყვეტილება ამხანაგობას არ მიუღია, აღნიშნული პოზიციის საწინააღმდეგოს ადასტურებს 2007 წლის 12 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების ოქმი, 2008 წლის 30 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტი, ამხანაგობა «წ. 39-ის» წევრთა კრების ოქმი ცვლილების შესახებ. სასამართლომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ ამხანაგობა «წ. 39-ის» წევრებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო მასალების ნაცვლად სხვა შესრულება – ფულადი თანხა მიიღეს, რასაც მოჰყვა ამხანაგობის საპასუხო შესრულება – ნ. ო-ისათვის ბინის გამოყოფა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ს-ე ამხანაგობა «წ. 39-ის» თავმჯდომარე იყო. მას ამხანაგობის დამფუძნებლო ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდა ამხანაგობის თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილება, მათ შორის, გარიგებების დადებისა და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლება. შესაბამისად, ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, რომელიც ზ. ს-ესთან გარიგების დადების გზით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის, ამხანაგობა «წ. 39-თან», უფლება-მოვალეობები წარმოემოზა ამ უკანასკნელს. პალატამ სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, განმარტა, რომ უფლებამოსილების გაცემისას, უფლებამოსილების გამცემი პასუხისმგებლობას იღებს ყველა იმ სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის, რომელიც მისი სახელით იდება, ხოლო, რაც შეეხება მიუხედავად წარმომადგენლობის უფლებამოსილების არსებობისა, წარმომადგენლის ნების არარსებობის პირობებში დადებულ გარიგებებს, კანონმდებელი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში პასუხისმგებლობას წარმოდგენილ პირს აკისრებს იმ რისკისათვის, რომელიც მან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დროს გასწია, რათა დაცულ იქნას მესამე პირების ინტერე-

სები და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა. ზ. ს-ის მიერ ამხანაგობის სახელით დადებული გარიგებების საფუძველზე უფლება-მოვალეობები წარმოეშობა ამხანაგობას, ვინაიდან მან ზ. ს-ისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებით შექმნა ისეთი გარემოება, რომ ნებისმიერ მესამე პირი კეთილსინდისიერად მიიჩნევდა აღნიშნული გარიგებების დადების მიმართ ამხანაგობის ნების არსებობას, თუმცა, აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილ პირს ესპობა დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა. ამგვარ ვითარებაში, სახეზეა სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კონკურენციის წინაპირობები. სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ ზ. ს-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო ზიანი მიადგა როგორც ამხანაგობა «წ. 39-ის» დამფუძნებელ წევრებს, ასევე ნ. ო-სა და ს. გ-ს. ნ. ო-სა და ს. გ-ს მოთხოვნის უფლება წარმოემართა ხელშეკრულების დარღვევის გამო, ხოლო «წ. 39-ის» დამფუძნებელ წევრებს კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, შესაბამისად, ნ. ო-ისა და ს. გ-ის წინაშე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხისმგებელია «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრები, ხოლო იმის გამო, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადება არ შეესაბამება მათ ნამდვილ ნებას, ზ. ს-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, ამიტომ «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრების წინაშე პასუხისმგებლობა ზ. ს-ეს ეკისრება. ამდენად, სამართლებრივად უსაფუძვლოა აპელანტთა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ზ. ს-ის ქმედებათა გამო პასუხისმგებლობა ს. გ-ისა და ნ. ო-ის წინაშე მათ არ უნდა დაეკისროთ. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და აღნიშნა, რომ ზ. ს-ისათვის გარიგების დადების უფლების მინიჭებით, ამხანაგობამ შექმნა ისეთი გარემოება, რომ შემკვეთს კეთილსინდისიერად ეგონა ამგვარი უფლებამოსილების არსებობის ნამდვილობა.

სასამართლოს განმარტებით, ამხანაგობამ, ნ. ო-სა და ს. გ-ესთან გაფორმებული ხელშეკრულებებით სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის შესაბამისად, იკისრა ვალდებულება, მათთვის საკუთრებაში გადაეცა ამხანაგობის მიერ ნაწარმოები მშენებლობის შედეგად აშენებულ კორპუსში საცხოვრებელი ბინები, სანაცვლოდ, ნ. ო-მა იკისრა ვალდებულება, უზრუნველყო მშენებლობა 54 600 აშშ დოლარის საშენი მასალით, ხოლო ს. გ-ემ – გადაეხადა 30 000 აშშ დოლარი. სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად განმარტა, რომ ნ. ო-ისა და ს. გ-ის ინდივიდუალური ინტერესი იყო საცხოვრებელი ბინის მიღება ახალაშენებულ კორპუსში მხოლოდ შესაბამისი ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, რაც არსებითად განსხვავდება ამხანაგობის 2006 წლის 1 მარტის სადამფუძნებლო აქტით განსაზღვრული მიზნისგან, აშენებულიყო მრავალბინიანი კორპუსი. ნ. ო-სა და ს. გ-ესთან ამხანაგობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები არ შეიცავს 2006 წლის 1 მარტის ხელშეკრულებით დამფუძნებელ წევრთათვის დადგენილ და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებისათვის არსებით დებულებებს საერთო მიზნის მიღწევის საშუალებებთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, ასეთია ამხანაგობის საორგანიზაციო საკითხებზე შეთანხმება, რომელთა მონაწილედაც ვერ იქნებოდნენ მიჩნეული ს. გ-ე და ნ. ო-ი. როგორც 2006 წლის 1 მარტის სადამფუძნებლო აქტიდან გამომდინარეობს, ისინი, როგორც ამხანაგობის ჩვეულებრივი წევრები, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრებისაგან განსხვავებით, მოკლებული არიან შესაძლებლობას, გავლენა იქონიონ სადამფუძნებლო წევრთა კრებისა და თავმჯდომარის კომპეტენციას დაქვემდებარებულ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებული რაიმე სახის უფლებები არ ყოფილა განსაზღვრული არც 2006 წლის 1 მარტის სადამფუძნებლო აქტით და არც 2007 წლის 12 დეკემბრისა და 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებებით. ასეთი უფლებების დადგენის გარეშე კი ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე პრეტენზია მოკლებულია საფუძველს. ამდენად, სასამართლომ აპელანტების მოსაზრება, რომ არ არსებობდა ამხანაგობის ხელშეკრულების მიმართ მათი ინტერესის მოსარჩელეთა ინტერესისგან გამიჯვნის საფუძველი, არ გაიზიარა დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 629-ე მუხლებზე და ჩათვალა, რომ ფიზიკური პირების გაერთიანებასთან იმგვარი ხელშეკრულების დადება, რომლითაც აღნიშნული ფიზიკური პირების გაერთიანება მესამე პირის წინაშე საფასურის მიღების სანაცვლოდ მხოლოდ საცხოვრებელი ბინის მშენებლობის ვალდებულებას იღებს, წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას, რაც შეეხება ამგვარი ტიპის ხელშეკრულებებში არსებულ დათქმას იმასთან დაკავშირებით, რომ სხვისდება წილი და რომ შემძენი გარდა ბინისა, იძენს ამხანაგობის წევრის სხვა უფლება-მოვალეობებს, მათ შორის, მიიღოს მოგება საკუთარი წილის პროპორციულად, სხვა მესამე პირების წინაშე აიღოს მშენებლობის დასრულებისა და მათი ბინებით უზრუნველყოფის ვალდებულება და ა.შ., აღნიშნული დათქმები ნარდობის ხელშეკრულებას ამხანაგობის ხელშეკრულებად გარდაქმნის და სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლების რეგულირების რეჟიმში აქცევს. მოცემულ შემთხვევაში ნ. ო-მა და ს. გ-ემ მხოლოდ ბინის აშენების თაობაზე დადეს ხელშეკრულება. აღნიშნული პირობა მომდინარეობს 2007 წლის 12 დეკემბრისა და 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებებიდან, თუმცა, ხსენებულ ხელშეკრულებათა დადება, თავისთავად არ ნიშნავს, ს. გ-ისა და ნ. ო-ის გაწევრიანებას ამხანაგობა «წ. 39-ში». მათ ამხანაგობაში ჩვეულებრივ წევრად გაწევრიანების უფლება შეიძინეს საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. ამხანაგობის წევრად მიღების კომპეტენცია კი დამფუძნებელთა კრებას გააჩნდა. სწორედ აღნიშნული უფლებამოსილება განახორციელა დამფუძნებელთა კრებამ 2009 წლის 16 ოქტომბერს, როდესაც ნ. ო-ს კონკრეტული ბინა გამოუყო. ამდენად, სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტთა არგუმენტს, რომ ს. გ-ესა და ამხანაგობას შორის 2009 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება არ უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ, ვინაიდან ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. ს-ეს არ გააჩნდა შესაბამისი უფლებამოსილება ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების თანხმობის გარეშე. სადავოდ არ ყოფილა გამხდარი ის გარემოება, რომ ზ. ს-ე ხელშეკრულების გაფორმებისას, ისევე, როგორც ვალდებულების შესრულების მიღებისას, წარმოადგენდა ამხანაგობის თავმჯდომარეს. სასამართლომ მიუთითა 2006 წლის 1 მარტის სადამფუძნებლო აქტიზე, რომლითაც განისაზღვრა თავმჯდომარის უფლებამოსილებანი და ჩათვალა, რომ ს. გ-ესთან დადებული გარიგება უნდა ჩაითვალოს ამხანაგობის სახელით უფლებამოსილი პირის მიერ გაფორმებულად და შესაბამისი იურიდიული ძალის მქონედ.

პალატს მოსაზრებით, 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნ. ო-ის ვალდებულება მართლზომიერად იქნა მიჩნეული შესრულებულად მის მიერ 54 600 აშშ დოლარის გადახდის დროიდან, თანახმად

სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლისა. ამხანაგობამ მიიღო ნ. ო-ისაგან 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებისაგან განსხვავებული შესრულება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება შესრულების ამგვარი ფორმით ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ამხანაგობის 2009 წლის 16 ოქტომბრის კრების გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ო-ს მიეკუთვნა ბინა მშენებარე კორპუსში. ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი კი ნ. ო-ის მხრიდან შესრულების განუხორციელებლობის პირობებში ამხანაგობას არ ექნებოდა. ასევე შესრულებულად იქნა მიჩნეული 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ს. გ-ის ვალდებულება ამხანაგობის მიმართ, რადგანაც ს. გ-ის მიერ ვალდებულების შესრულების დროისთვის ზ. ს-ე ამხანაგობის თავმჯდომარე იყო და მოქმედებდა ამხანაგობის სახელით შესაბამისი უფლებამოსილების არსებობის პირობებში. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია ამხანაგობის დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილება, უფლებამოსილების განხორციელების შედეგების მიმართ რისკის მატარებლად ამხანაგობა მიიჩნევა და აპელანტების მითითება, რომ ზ. ს-ის მიერ ამხანაგობისათვის გადახდილი თანხების დანაშაულებრივი გზით მითვისების გამო, შესაბამისი შესრულება არ წარმოადგენს ამხანაგობის მიმართ შესრულებას არ იქნა გაზიარებული.

პალატამ იხელმძრვანელა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით და განმარტა, რომ ვალდებულების არსებითი დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა და მხარეთათვის შესრულების დაბრუნება უნდა იქნეს განხილული, როგორც კანონით უპირობოდ დაცული უფლება, რომლის რეალიზაცია არ შეიძლება იყოს დამოკიდებული დარღვევის მიმართ ამა თუ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორზე. დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ამხანაგობა «წ. 39-ის» მიერ 2007 წლის 12 დეკემბრისა და 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო სასამართლომ დარღვევა მიიჩნია არსებითად და ჩათვალა, რომ ნამდვილი იყო მოსარჩელეთა უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ მართებულად ჩათვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამხანაგობისათვის მოსარჩელეთა მიერ განხორციელებული შესრულების დაბრუნება, ასევე გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება შესაბამის მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ამხანაგობის წევრების სოლიდარულ ვალდებულებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. კ-ემ, ა. შ-მა, თ. ვ-მა, ჯ. ვ-მა, ნ. დ-ემ და პ. ე-ემ, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად ჩათვალა, რომ ზ. ს-ეს იბა «წ. 39-ის» სახელით უფლება ჰქონდა დაედო გარიგებები მესამე პირებთან და წარმოედგინა ამხანაგობა, რის გამოც ამ გარიგებებით ნებისმიერი პირი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიოდა ამხანაგობასთან და ამ უკანასკნელს მათ მიმართ წარმოემობოდა უფლება-მოვალეობანი, რადგანაც მოსარჩელებთან სადავო გარიგებების დადებით, ზ. ს-ე გასცდა ამხანაგობის მიერ მისთვის მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებს. საქმეზე მტკიცებულების სახით დართული განაჩენით დასტურდება და აღნიშნულს სააპელაციო პალატაც ეთანხმება ნაწილობრივ, რომ ზ. ს-ის ქმედებით საზოგადოებას მიადგა ზიანი, სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ, ამავე განაჩენის თანახმად, მოსარჩელებს, როგორც დაზარალებულებს, უფლება აქვთ, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება უშუალოდ ზ. ს-ისაგან, გასაჩივრებული განჩინებით კი, სასამართლომ მხარეს სადავო თანხის ხელმეორედ მოთხოვნის უფლება მიანიჭა, კერძოდ, მოსარჩელებს უფლება ეძლევათ, ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო წესით მოსთხოვონ უფლების ხელმყოფსა და ამხანაგობასაც. მოსარჩელეთა მიერ გადახდილი თანხის ამხანაგობის მიერ მიუღებლობა გახდა ზ. ს-ის სისხლის სამართლის წესით დასჯის წინაპირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თანხას ამხანაგობა მიიღებდა, მისი დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი არც ამხანაგობისა და არც მოსარჩელების მიმართ არ დადგებოდა, ამასთან, ნ. ო-ისა და ს. გ-ისათვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო, რომ მათი, როგორც ამხანაგობის წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის საჭირო იყო ამხანაგობის სხვა წევრების თანხმობაც, რადგანაც ამხანაგობაში გაწევრიანების თაობაზე დოკუმენტების ხელმოწერისას მოპასუხეები გაეცნენ სადამფუძნებლო დოკუმენტს.

დაუსაბუთებელია 2007 წლის 12 დეკემბრისა და 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებების ნარდობის ხელშეკრულებად კვალიფიკაცია, ვინაიდან, სასამართლომ აღნიშნულით დაარღვია მოთხოვნის ფარგლები, სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა, რომ მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი მხოლოდ ბინის მიღება იყო და არ გაითვალისწინა ხელშეკრულებაში გამოხატული მხარეთა ნება, ასევე ის ფაქტი, რომ ნ. ო-ის მიერ ნაკისრი ვალდებულება – სამშენებლო მასალების გადაცემით შენატანის განხორციელება თავისთავად გამორიცხავს სამართლებრივი ურთიერთობის ნარდობად კვალიფიციერების შესაძლებლობას, ამასთან, მითითებული დასკვნით სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც მხარეები მაშინაც კი, როდესაც შესაძლებელია ნარდობის ხელშეკრულების გაფორმება, უპირატესობას ამხანაგობის წევრობას ანიჭებენ, რადგანაც ეს უკანასკნელი საერთო მიზნის მიღწევისათვის საუკეთესო საშუალებაა.

უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მსჯელობა ნ. ო-ის მიერ ვალდებულების შესრულების თაობაზე, რადგანაც 2008 წლის 30 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტის არსებობის თაობაზე ამხანაგობის წევრთათვის უცნობი იყო. მითითებული დასტურდება იმითაც, რომ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მხოლოდ ზ. ს-ე აწერს და ამ აქტის საფუძველზე გადაცემული თანხაც სწორედ მან მიიღო და არა ამხანაგობამ, რაც ასევე დასტურდება საქმეში არსებული განაჩენით. ამხანაგობის 2007 წლის 12 დეკემბრის კრების ოქმით დასტურდება, რომ ნ. ო-ი ამხანაგობის ჩვეულებრივ წევრად იმიტომ იქნა მიღებული, რომ 2007 წლის 12 დეკემბრის ხელშეკრულების თანახმად, მას მშენებლობა უზრუნველყოფდა 54 600 აშშ დოლარის ღირებულების საშენი მასალით, რაც ამ უკანასკნელს არ განუხორციელებია. ნ. ო-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გახდა იბა «წ. 39-ის» 2010 წლის 13 ოქტომბრის კრების ოქმით 2009

წლის 16 ოქტომბრის კრების ოქმისა და №77 ბინის მოსარჩელისათვის გადაცემის გაუქმებულად მიჩნევის საფუძველი.

კასატორებმა სადავოდ მიიჩნიეს ასევე გასაჩივრებული განჩინების დასკვნა ს. გ-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო სასამართლოს დასკვნა ემყარება მცდარ ფაქტობრივ გარემოებებს. ამ კუთხით სასამართლომ არ შეაფასა განაჩენში მითებული გარემოებები, ასევე ის, რომ სადავო №13 საგადახდო ორდერი კანონით დადგენილი წესით არაა გაცემული, სასამართლომ ვალდებულების შესრულების ფაქტს საფუძვლად დაუდო მხოლოდ ის გარემოება, რომ ორდერი მოსარჩელესთან ინახებოდა. ამ კუთხით სასამართლომ ასევე არ შეაფასა ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტის 5.1 და 5.6 მუხლების მოთხოვნები და ის ფაქტი, რომ 2009 წლის 25 სექტემბრის ოქმი გაყალბებულია, ამხანაგობის კრება არ ჩატარებულა და ამ ოქმზე არსებული ხელმოწერა პ. ე-ს არ ეკუთვნის.

პალატამ ასევე არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ ამხანაგობას გადაწყვეტილება არ მიუღია ნ. ო-ის მიერ ნაკისრი სამშენებლო მასალების გადაცემის სანაცვლოდ თანხის მიღების თაობაზე. მითითებული გარემოების დადასტურება სს «... ბანკის» მიერ 2010 წლის 11 ივნისს გაცემული ამონაწერიც, ხოლო სარჩელის უსაფუძვლობაზე მეტყველებს ამხანაგობის სადამფუძნებლო აქტის 7.4 მუხლის დებულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით დ. კ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ჯ. ვ-ის, ნ. დ-ისა და პ. ე-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ დ. კ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ჯ. ვ-ის, ნ. დ-ისა და პ. ე-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიერ დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 1 მარტს ნ. ვ-ს, ა. შ-ს, ზ. ს-ს, ნ. დ-ეს, დ. კ-ესა და პ. ე-ეს შორის გაფორმდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც დაფუძნდა იბა «წ. 39» და 2006 წლის 2 მარტის სანოტარო აქტით ამხანაგობის მიზნად განისაზღვრა ქ.თბილისში, წ.ს №39-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენება.

ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩეს ზ. ს-ე, რომელსაც ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებით მინიჭებული ჰქონდა ამხანაგობის თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილება, მათ შორის, გარიგებების დადებისა და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმომადგენლობის უფლება.

2007 წლის 12 დეკემბერს ერთის მხრივ ნ. ო-სა და მეორე მხრივ ი.ბ.ა. «წ. 39»-ის თავმჯდომარეს ზ. ს-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ი.ბ.ა. «წ. 39»-მა იკისრა ვალდებულება გადაეცა მოსარჩელისათვის ქ. თბილისი, წ. 39-ში მშენებარე კორპუსის პირველ სადარბაზოში, მე-3 სართულზე მდებარე ფართი 84 კვ.მ. ოდენობით, ხოლო ნ. ო-მა იკისრა ვალდებულება უზრუნველყო მშენებლობა 54 600 აშშ დოლარის საშენი მასალით.

2009 წლის 14 ივლისს ს. გ-ესა და იბა «წ. 39-ის» თავმჯდომარე ზ. ს-ეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იბა «წ. 39-მა» იკისრა ვალდებულება, გადაეცა ს. გ-ისათვის ქ.თბილისში, წ.ს №39-ში, მესამე სადარბაზოს მე-7 სართულზე მდებარე 75 კვ. მეტრი ფართი, ხოლო ს. გ-ემ იკისრა ვალდებულება, შენატანი განეხორციელებინა 30 000 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, ბინა ს. გ-ეს უნდა გადასცემოდა არა უგვიანეს 2009 წლის დეკემბრისა შესაბამისი ღირებულების სრულად გადახდის შემთხვევაში.

2008 წლის 30 იანვარს ნ. ო-სა და ი.ბ.ა. «წ. 39»-ის თავმჯდომარეს ზ. ს-ეს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით მხარეებმა დაადასტურეს, ნ. ო-ის მიერ 54 600 აშშ დოლარის გადახდა. ასევე, 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულების შესაბამისად, ს. გ-ემ 30 000 აშშ დოლარი გადასცა ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. ს-ეს. ზ. ს-ემ თანხა მიითვისა და არ გადაუცია ამხანაგობისათვის, სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ ნ. ო-ისაგან სამშენებლო მასალების ნაცვლად თანხის მიღების თაობაზე გადაწყვეტილება ამხანაგობას არ მიუღია, აღნიშნული დასკვნის დასაბუთებლად სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო მასალების ნაცვლად ფულადი თანხის მიღებას შედეგად მოჰყვა საპასუხო შესრულება – ნ. ო-ს გამოეყო ბინა.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კონკურენციის წინაპირობები. ზ. ს-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო ზიანი მიადგა როგორც ამხანაგობა «წ. 39-ის» დამფუძნებელ წევრებს, ასევე ნ. ო-სა და ს. გ-ეს. ნ. ო-სა და ს. გ-ეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ ხელშეკრულების დარღვევის გამო, ხოლო «წ. 39-ის» დამფუძნებელ წევრებს კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. შესაბამისად, ნ. ო-ისა და ს. გ-ის წინაშე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე პასუხისმგებელია «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრები, ხოლო იმის გამო, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადე-

ბა არ შეესაბამება მათ ნამდვილ ნებას, ზ. ს-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, ამიტომ «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრების წინაშე პასუხისმგებლობა ზ. ს-ეს ეკისრება.

აპელანტების მითითება, რომ ზ. ს-ის მიერ ამხანაგობისათვის გადახდილი თანხების დანაშაულებრივი გზით მითვისების გამო შესაბამისი შესრულება არ წარმოადგენს ამხანაგობის მიმართ შესრულებას, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ამხანაგობა «წ. 39-ის» მიერ 2007 წლის 12 დეკემბრისა და 2009 წლის 14 ივლისის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის გამო სასამართლომ დარღვევა მიიჩნია არსებითად და ჩათვალა, რომ ნამდვილი იყო მოსარჩელეთა უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების არგუმენტს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ამხანაგობის თავმჯდომარისათვის იბა «წ. 39-ის» სახელით გარიგებების დადების უფლებამოსილების მინიჭების საკითხს, ამასთან პალატა აღნიშნავს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ დადებული გარიგების ნამდვილობისათვის რიგ შემთხვევებში სავალდებულო იყო ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება, როგორც ეს სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი, კერძოდ, ამხანაგობის დაფუძნების შესახებ სანოტარო აქტის 6.1 პუნქტის მიხედვით, ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია, ერთპიროვნულად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ამხანაგობის თავმჯდომარე ამხანაგობის სახელით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებაში და უფლებამოსილია მათ განკარგავს, აქვს უფლება, ხელი მოაწეროს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა საფინანსო დოკუმენტს, დადოს გარიგებები ამხანაგობის კრების გადაწყვეტილების გარეშე, გარდა შემთხვევებისა, რომლის გადაწყვეტისთვისაც აუცილებელია კრების მონაწილეობა.

კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნას, რომლის თანახმად, ნ. ო-მა და ს. გ-ემ ამხანაგობის წინაშე შეასრულეს ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე ზ. ს-ემ დანაშაულებრივი გზით მითვისა მათი ქონება (ფული). კასატორთა განმარტებით, საქმეზე მტკიცებულების სახით დართული განაჩენით დასტურდება, რომ ზ. ს-ის ქმედებით საზოგადოებას მიაღდა ზიანი. სასამართლომ შეფასება არ მისცა იმ ფაქტს, რომ, ამავე განაჩენის თანახმად, მოსარჩელებს, როგორც დაზარალებულებს, უფლება აქვთ, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება უშუალოდ ზ. ს-ისაგან. კასატორების მოსაზრებით, მოსარჩელეთა მიერ გადახდილი თანხის ამხანაგობის მიერ მიუღებლობა გახდა ზ. ს-ის სისხლის სამართლის წესით დასჯის წინაპირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თანხას ამხანაგობა მიიღებდა, მისი დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი არც ამხანაგობისა და არც მოსარჩელების მიმართ არ დადგებოდა.

საკასაციო პალატა კასატორთა ზემოაღნიშნული არგუმენტების ანალიზის საფუძველზე ყურადღებას მიაქცევს რამდენიმე საკითხს:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა (ნარდობა). მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის 12 დეკემბერს ნ. ო-თან და 2009 წლის 14 ივლისს ს. გ-ესთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსი ეხება მათ გაწევრიანებას ამხანაგობაში, სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ დააკვალიფიცირა როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შემადგენლობის არარსებობის გამო.

საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 5 დეკემბრის განაჩენით დადგენილია შემდეგი: 2007 წლის დეკემბერში ზ. ს-ეს დაუკავშირდა ნაცნობი ნ. ო-ი, რომელსაც სურდა შეეძინა საცხოვრებელი ბინა მშენებარე სახლში. ზ. ს-ემ განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის ნივთს – ფულს და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2007 წლის 12 დეკემბერს ამხანაგობა «წ. 39»-ის დამფუძნებლებთან შენახების გარეშე ნ. ო-ი მიიღო ამხანაგობის წევრად და მას გამოუყო 84 კვ.მ ფართის ბინა. იმავე დღეს ზ. ს-ესა და ნ. ო-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო 2008 წლის 30 იანვარს შედგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, ნ. ო-მა ზ. ს-ეს გადასცა 54600 აშშ დოლარი. თანხის მიღების მიუხედავად ზ. ს-ეს ნ. ო-ისთვის შეპირებული ბინა არ მიუცია. იმავე განზრახვით მოქმედებდა ზ. ს-ე ს. გ-ესთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. მითითებული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგება უპირველეს ყოვლისა ნების გამოვლენაა. ამასთან, შინაგანი ნების გარეგანი გამოხატულებით გარიგების მონაწილეები აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც სურთ, რისთვისაც კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამოვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო, ნების ნაკლებთან გვაქვს საქმე. გარდა ამისა, რომც იყოს გარეგნულად გამოხატული ნება შინაგანი ნების გამოძახილი, აუცილებელია ასეთი ნება იყოს ნამდვილი, რაც გულისხმობს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან. განსახილველ შემთხვევაში, ნების ნაკლს არ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოც, თუმცა მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო ხელშეკრულებების დადება არ შეესაბამება ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების ნამდვილ ნებას, ზ. ს-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო, «წ. 39-ის» დამფუძნებელი წევრების წინაშე პასუხისმგებლობა ზ. ს-ეს ეკისრება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა

შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე დაყრდნობას, არამედ მათ ერთობლიობაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთმეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია სადავო გარიგებები ნამდვილად, ხოლო მათ შესაბამისად სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილად, რომ არ დაადგინა ხელშეკრულების მონაწილეთა გარეგნულად გამოხატული ნება შეესაბამებოდა თუ არა იმ მიზნებს, რისი მიღწევაც ორივე მხარეს სურთ, ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი გარემოებების შეფასება. ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორებმა მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისა და მოსარჩელეთა მხრიდან ამხანაგობის წინაშე ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ნაწილში წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უტყუარად უნდა გამოარკვიოს ნ. ო-ს, ს. გ-ესა და იბა «წ. 39-ს» შორის წარმოიშვა თუ არა სამართლებრივი ურთიერთობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში როგორია ამ ურთიერთობის შინაარსი. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება და საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების გაბნაწილების საითხს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. კ-ის, ა. შ-ის, თ. ვ-ის, ჯ. ვ-ის, ნ. დ-ისა და პ. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

განჩინება

№ას-1049-983-2010

14 აპრილი, 2011წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 29 მაისს ქ თ.ის მერიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში თ. დ-შვილის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უსაფუძვლოდ გაწეული ხარჯების – 69 526 ლარის დაბრუნების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2000 წლის ოქტომბერში, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 15 თებერვლისა და კულტურის სამინისტროს 2000 წლის 24 იანვრის წერილის საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის 2000 წლის 13 ივლისის №13.15.170 დადგენილებით, ...ის გამოირის №26-ში, საქართველოს სახალხო მხატვრის ნ. ი-შვილის ბინაში, «ერთი მხატვრის მუზეუმი» გაიხსნა. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა ნ. ი-შვილის წერილი ...-ის მერიისადმი და მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისადმი. თავისი წერილით ნ. ი-შვილი ითხოვდა შესაბამისი თანხების გამოყოფას, რათა მის სიცოცხლეშივე დაფუძნებულიყო მისი სახელობის მუზეუმი, ამის სანაცვლოდ კი, ის ჰპირდებოდა ქალაქ ...-ის მერს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება, გადაეცემოდა ქართველ ხალხსა და

ქალაქ ...-ის მერიას. 2000 წლის 19 მაისს ნ. ი-შვილმა ანდერძი შეადგინა, რომლის თანახმად, ის კუთვნილ უძრავ-მომრავ ქონებას გარდაცვალების შემდეგ ქართველ ერს უტოვებდა. იგივე დაადასტურა 2001 წლის 24 სექტემბერს შედგენილი ანდერძითაც. მუზეუმი გახსნის დღიდან ფინანსდებოდა ქალაქ ...-ის მერიის ბიუჯეტიდან და დაფინანსების ხარჯებმა 69 526 ლარი შეადგინა. 2006 წლის 31 მაისს ნ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა ქალაქ ...-ის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს, სადაც აღნიშნავდა, რომ მერიის მხრიდან არ სრულდებოდა გარკვეული ვალდებულებები, რის გამოც გადაწყვიტა 2001 წლის 24 სექტემბერს ანდერძის გაუქმება. 2006 წლის 21 ივნისს მან ჯერ ახალი ანდერძი შეადგინა, რომლითაც მთელ თავის ქონებას თ. დ-შვილს უტოვებდა (რომელიც 2003 წელს შვილად აიყვანა). ამის შემდეგ, 2006 წლის 13 ივლისს მან გააფორმა ჩუქების ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, მთელი ქონება აჩუქა თ. დ-შვილს. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, დასაჩუქრებული საჯარო რეესტრში აღირიცხა ნაჩუქარი ქონების მესაკუთრედ.

მოსარჩელის მტკიცებით, ჩუქების ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 21 ივნისის ანდერძის შენიღბვისა და ქალაქ ...-ის მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით. მისი განმარტებით, დაფინანსების მიზანი იყო ნ. ი-შვილის ერთი მხატვრის მუზეუმის შექმნა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გადავიდოდა ქალაქ თ.ის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში, რაც რეალურად არ განხორციელებულა.

მოპასუხემ სარჩელი არ სცნო და მიუთითა, რომ ქალაქ ...-ის მერია არ წარმოადგენდა ი-შვილის კრედიტორს, მას მერიის წინაშე რაიმე ვალდებულება არ ეკისრებოდა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულება ი-შვილმა გააფორმა იმ მიზნით, რომ დ-შვილი არ დამდგარიყო უსაფუძვლოდ გამდიდრებით მიღებული ქონების დაბრუნების საფრთხის წინაშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ...-ის მერიის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2006 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი; მოპასუხე თ. დ-შვილს მოსარჩელე ქალაქ ...-ის მერიის სასარგებლოდ 9988 ლარის გადახდა დაეკისრა.

სასამართლომ დადგინდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქალაქ თბილისის მთავრობის 2000 წლის 13 ივლისის დადგენილებით, მიზანშეწონილად ჩაითვა ნ. ი-შვილის ბინის (მდებარე ქ. თბილისში, ...ის გამზირის №26-ში) ქალაქ ...-ის ადგილობრივ საკუთრებაში გადაცემა მასში «ერთი მხატვრის მუზეუმის» გახსნის მიზნით;

2. ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» მოვლისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ...-ის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ბიუჯეტში 2000 წლის მეოთხე კვარტალიდან;

3. «ერთი მხატვრის მუზეუმის» გახსნამდე მხატვარმა საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართა და მის ბინაში მისივე სახელობის მუზეუმის დაარსების სურვილი გამოთქვა. აღნიშნულ წერილს მან ანდერძი დაურთო. საქართველოს კულტურის სამინისტრომ მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის წინადადებას საქართველოს სახალხო მხატვრის ქალბატონ ნ. ი-შვილის ბინაში მის სიცოცხლეშივე ბინა-მუზეუმის მოწყობის შესახებ;

4. 2000 წლის 19 მაისს ნ. ი-შვილმა სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძი შეადგინა, რომლის თანახმად, ქ. ...-ში, ...ის №26-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ქართველს ერსა და საქართველოს უანდერძა;

5. 2003 წელს ნ. ი-შვილმა თ. დ-შვილი იშვილა;

6. 2006 წლის 21 ივნისს ნ. ი-შვილმა ახალი ანდერძი შეადგინა, რომლითაც მისი კუთვნილი უძრავ-მომრავი ქონება, მათ შორის ნამუშევრები (ნახატები და ფერწერები), მოანდერძის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა მდებარე, ...-ში, ...ის №26-ში და სამხატვრო სახელოსნო, სადაც ამჟამად განთავსებულია ერთი მხატვრის – ნ. ი-შვილის მუზეუმი, უანდერძა თ. დ-შვილს;

7. 2006 წლის 13 ივლისს ნ. ი-შვილმა ჩუქების ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ძალითაც, ქ. ...-ში, ...ის №26-ში მდებარე სამხატვრო სახელოსნო თ. დ-შვილს აჩუქა;

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქალაქ ...-ის მერიის სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა ჩუქების დაპირების სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარებას, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა;

9. თ. დ-შვილი, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, 2006 წლის 18 ივლისს დარეგისტრირდა ქ. თბილისში, ...ის №26-ში მდებარე 79 კვ.მ. საერთო ფართისა და ცალკე მდგომი აბაზანის, ასევე იმავე მისამართზე მდებარე სახელოსნოს მესაკუთრედ;

10. 2003 წლის თებერვალში ი-შვილის საცხოვრებელ სახლში რემონტის ჩატარებაზე ქალაქ ...-ის მერიის მიერ გაწეულმა ხარჯებმა 9988 ლარი შეადგინა;

11. 2000 წლიდან 2006 წლის მასამდე ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» ფუნქციონირებისა და საქმიანობისათვის გათვალისწინებული იყო თანამშრომლების ხელფასები, კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები;

12. ნ. ი-შვილი 2007 წლის 12 ოქტომბერს გარდაიცვალა;

13. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისში, ...ის №26-ში მდებარე ქონების რემონტზე საჭირო თანხა მერიის მიერ გადაცემული იყო იმ მიზნით, რომ, ნ. ი-შვილის გარდაცვალების შემდეგ, ქალაქ ...-ის მერიას მიეღო მისივე დაფინანსებით დაფუძნებული მუზეუმი. ვინაიდან აღნიშნული მოლოდინი არ შესრულდა, მერია უფლება ჰქონდა მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოეთხოვა. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ დროიდან წარმოეშვა, როდესაც ი-შვილმა შეცვალა მის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი და ცხადი გახდა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, უძრავ ქონებას ქალაქ

...-ის მერია ვერ მიიღებდა. რაც შეეხება ნ. ი-შვილის «ერთი მხატვრის მუზეუმის» დაფინანსებაზე ქალაქ ...-ის მერიის მიერ გადებულ ხარჯებს (ხელფასები, კომუნალური გადასახადები და სხვა), აღნიშნული თანხები მოსარჩელის მიერ გადაცემულია მუზეუმის ფუნქციონირებისათვის, ამდენად, ნ. ი-შვილი არ გამდიდრებულა და არც მათი დაბრუნების ვალდებულება წარმოშობია.

სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ 2006 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებით დადებული გარიგება იყო, რომელიც მერიის მიმართ ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით გაფორმდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

...ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინებით თ. დ-შვილისა და ქ. ...-ის მერიის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებას სრულად დაეთანხმა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თ. დ-შვილმა თავისი საკასაციო საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სააპელაციო საჩივარში მრავალ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ უსწორობაზე იყო ყურადღება გამახვილებული, სააპელაციო სასამართლომ კი ისე დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ საერთოდ არ დაუსაბუთებია, რა საფუძველით არ იზიარებდა აპელანტის პრეტენზიას;

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი, რადგან მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის არც ერთი საფუძველი არსებობდა;

3. სასამართლომ ასევე არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მუზეუმი ფუნქციონირებდა, შესაბამისად, მერიის მიზანი მიღწეული იყო, ამდენად, თანხის დაბრუნების საფუძველი არ არსებობდა;

4. სასამართლოს მითითებით, რემონტზე დახარჯული თანხა მერიამ იმ მიზნით გამოყო, რომ ნ. ი-შვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ბინა საკუთრებაში მიეღო. სასამართლოს ეს დასკვნა ეწინააღმდეგება 2008 წლის 8 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომლითაც განმარტებულია, რომ მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ ქონების სხვა პირზე გადასვლის ერთ-ერთი საშუალებაა ანდერძი, რომლის შეცვლის უფლებაც მოანდერძეს ყოველთვის აქვს. ასეთ ვითარებაში მერიის სამომავლო მიზანი იურიდიულად დაუსაბუთებელია;

5. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ხარჯები ანდერძის გაუქმებამდე გასწია. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ამ პერიოდში მუზეუმი ფუნქციონირებდა და მერიის მიზანი მიღწეული იყო;

6. სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ მერიას მოთხოვნის უფლება ანდერძის შეცვლის მომენტიდან წარმოეშა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის სარჩელი ხანდაზმულია;

7. სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებით გარიგებად არასწორად მიიჩნია. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობდა. ხელშეკრულების მხარეებს შორის არასოდეს ყოფილა შეთანხმება, გამოვლენილ ნებას მსვლელობა არ მისცემოდა. პირიქით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე თ. დ-შვილი სადავო ქონების მესაკუთრედ აღირიცხა;

8. ნ. ი-შვილს მერიის მიმართ ვალდებულება არ ეკისრებოდა, შესაბამისად, უსაფუძველოა სასამართლოს მტკიცება, რომ ჩუქების ხელშეკრულება ამ ვალდებულების აცილების მიზნით დაიდო;

9. სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო სასამართლოს ვარაუდი, რომ თ. დ-შვილი ქონებას ანდერძის საფუძველზეც მიიღებდა. ნ. ი-შვილის სურვილი, ქონება თავის სიცოცხლეშივე გადაეცა შვილისათვის, კანონსაწინააღმდეგო არ იყო;

10. გარიგების ბათილად ცნობის საფუძველად არც ის გარემოება უნდა გამხდარიყო, რომ ჩუქების შემდეგ გამჩუქებელი კვლავ აგრძელებდა ბინაში ცხოვრებას. ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ერთი ნორმა ითვალისწინებს გამჩუქებელი ბინის დაუყოვლებლივ გათავისუფლებას, თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამჩუქებელი თ. დ-შვილის დედა იყო.

ქ. ...-ის მერიამ თავისი საკასაციო საჩივრის დასასაბუთებლად შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივი წანამძღვრებზე მიუთითა:

1. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი, რადგანაც უსაფუძველო გამდიდრება მოიაზრებს ქონების როგორც მიღებას, ისე დაზოგვას. განსახილველ შემთხვევაში კი, თ.ის მერია იხდიდა იმ თანხას, რომელიც, წესით, ნ. ი-შვილს უნდა გადაეხადა;

2. გაუგებარია, სასამართლომ რა ნიშნით მოახდინა ხარჯების კლასიფიკაცია;

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ მოპასუხემ აღიარა მერიის მიერ 29 913 ლარის ოდენობის ხარჯის გაწვევის ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის საფუძველზე კი, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძველად დაუდოს სარჩელის დაკმაყოფილებას. აღნიშნულის თაობაზე მითითებული იყო მერიის საკასაციო საჩივარში, სააპელაციო სასამართლომ კი, ამ გარემოების შესახებ არ იმსჯელა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ თ. დ-შვილისა და ქ. ...-ის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას და განჩინებაში მხოლოდ მათზე მითითებით შემოიფარგლა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

აღნიშნული ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ სასამართლოს შეუძლია მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნების გაზიარების შესახებ ზოგადი მითითებით შემოიფარგლოს. ნორმის ამგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოვიდოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებთან, ისევე როგორც სასამართლოს, როგორც პირის ინტერესების დაცვის ეფექტური საშუალების მიხედვით. 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. «მოკლე დასაბუთება» არ ნიშნავს ბლანკეტურ მითითებას. ამგვარი დასაბუთებით არ უნდა ირღვეოდეს 249-ე მუხლით განსაზღვრული სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს, შეიძლება ეს შეფასებები და დასკვნები არ გაიმეოროს, მაგრამ დასაბუთება უნდა შეიცვალოს თითოეულ მათგანზე და არა ზოგადად გადაწყვეტილებაზე ან მის რომელიმე სტრუქტურულ ნაწილზე მითითებით.

«ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის» ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საკეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტივ განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დაცვის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

საქმეებზე «დევიერი ბელგიის წინააღმდეგ» და «დელოკური ბელგიის წინააღმდეგ» ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ «ადამიანის უფლებათა» ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს ტერმინს «დასაბუთებული» (ბიენ-ფონდე), აღნიშნული კი ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით. მართალია, აღნიშნულ საქმეებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი სამოქალაქო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც ვრცელდება.

შემთხვევითი არაა, რომ ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არაერთი ნორმით ადგენს სასამართლოს ვალდებულებას დაასაბუთოს თავისი პოზიცია კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა ყოველთვის იწვევს მის გაუქმებას. გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა პირველ რიგში მხარეთა ინტერესებს ემსახურება, ასევე იმ საზოგადოების ინტერესებს, რომლის სახელითაც მართლმსაჯულების ხორციელდება.

განსახილველ შემთხვევაში, ორივე აპელანტი საჩივარში გარკვეულ ფაქტობრივ-სამართლებრივ პრეტენზიებს აყალიბებდა, რომლებზეც სააპელაციო სასამართლოს პასუხი არ გაუცია. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც სააპელაციო საჩივარი იმდენად დაუსაბუთებელია, ან ზუსტად იმეორებს სარჩელის შინაარსს, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ იმსჯელოს საჩივარში მოყვანილ მხარის პოზიციაზე და დაეთანხმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას, მაგრამ იმის მითითება, თუ რატომ ხდება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე დეტალურად პასუხის გაცემის გარეშე, მაინც აუცილებელია.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლო ისე დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას, რომ არ გაითვალისწინა აღნიშნული სასამართლოს მიერ დაშვებული სამართლებრივი უსწორობები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნ. ი-შვილის მიერ 2006 წლის 13 ივნისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება მოჩვენებითი გარიგებად მიიჩნია. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, ჩუქების ხელშეკრულება მერიის მიერ ბინაზე გაღებული ხარჯების დაბრუნების აცილების მიზნით დაიდო, ხოლო გარიგების მოჩვენებითობა დასტურდებოდა იმ გარემოებით, რომ თ. დ-შვილის

სასარგებლოდ ისედაც არსებობდა ანდერძი, რომლის საფუძველზეც იგი ბინას მიიღებდა, ამასთან გამჩუქებელი ბინაში ცხოვრებას აგრძელებდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრებები მცდარია. პირველ რიგში, პალატა აღნიშნავს, რომ გაუგებარია, ქონების გაჩუქება როგორ მოახდენდა გავლენას მერიის შესაძლო მოთხოვნის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, თ. დ-შვილი მემკვიდრეობით მიიღებდა სადავო ბინას, თუ იგი ჩუქების გზით გადავიდოდა მის საკუთრებაში, მერიას მაინც შეეძლო მის წინააღმდეგ მოთხოვნა წამოეყენებინა (სხვა საკითხია რამდენად საფუძვლიანი იქნებოდა აღნიშნული მოთხოვნა).

რაც შეეხება გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის სხვა საფუძველებს, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული მოჩვენებითი გარიგებების ნაკლის მქონე ბათილი გარიგების ერთ-ერთი სახეა. ამ ტიპის გარიგებების ნაკლი ისაა, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება მათ რეალურ განზრახვას არ შეესაბამება. ნების ნაკლს მრავალი გარემოება შეიძლება ადასტურებდეს, მაგრამ არა ის, რომ მოანდერძემ მიზანშეწონილად მიიჩნია ქონება სიცოცხლეშივე განეკარგა და თავისი მემკვიდრისათვის ერუქებინა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ი-შვილი სადავო ბინას ანდერძით ისედაც თ. დ-შვილს უტოვობდა, მას, როგორც ბინის მესაკუთრეს, სრული უფლება ჰქონდა გაეჩუქებინა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე, მესაკუთრეს შეუძლია არა მხოლოდ თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს თავისი ქონებით, არამედ თავისუფლად განკარგოს კიდევ იგი, თუ უფლების ბოროტად გამოყენება არ ხდება. როგორც ცნობილია, ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც ძალაში შედის და შესაბამის სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მესაკუთრის ნება კონკრეტულ მომენტში განკარგოს და საკუთრებაში გადასცეს თავისი ქონება ნებისმიერ პირს, მემკვიდრის ჩათვლით, ანდერძის შედგენის ფაქტით არ იზღუდება. ცხადია, რომ ნ. ი-შვილისათვის წინასწარ ცნობილი ვერ იქნებოდა, ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან რა ვადაში გაიხსნებოდა სამკვიდრო მის კუთვნილ ქონებაზე.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მეორე არგუმენტს – გამჩუქებლის გაჩუქებულ ბინაში ცხოვრების ფაქტს – საკასაციო პალატა აღნიშნავს: ის გარემოება, რომ გამჩუქებელს არ შეუწყვეტია გასხვისებული ქონების ფლობა ყოველთვის გარიგების მოჩვენებითობაზე არ მიუთითებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თ. დ-შვილი ასევე ცხოვრობდა მის საკუთრებაში გადასულ ბინაში, ამასთან, ნ. ი-შვილს ამ დროისათვის ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და, ბუნებრივია, სხვა პირის მზრუნველობას საჭიროებდა. ასეთ ვითარებაში, ის ფაქტი, რომ ნ. ი-შვილი შვილად აყვანილ თ. დ-შვილთან ერთად ცხოვრობდა გაჩუქებულ ბინაში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, გარიგების მოჩვენებითობას არ ადასტურებს. სხვა რაიმე გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების მხარეებს გარიგებით გათვალისწინებული შედეგის რეალურად დადგომა არ სურდათ, მოსარჩელეს არ მიუთითებია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მერიის სასარგებლო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლი დაუდო და აღნიშნა, რომ რემონტის ხარჯები მერის მიერ იმ მიზნით იქნა გაღებული, რომ ნ. ი-შვილის ბინა მის საკუთრებაში გადასულიყო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. აღნიშნული ნორმა ადგენს შესრულების კონდიციის ერთ-ერთ შემთხვევას – შესრულების დაბრუნებას მიზანთან შეუსაბამობის გამო. ამ ნორმის საფუძველზე, პირს შეუძლია უკან გამოითხოვოს ქონება, რომელიც სხვა პირს იმ ვარაუდით გადასცა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ მოქმედებას შეასრულებდა, ამასთან 997-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ცალმხრივ მიზანს ითვალისწინებს, რომელიც შესრულების მიმდებლს მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდეს, ამდენად, ამ ნორმის საფუძველზე, ნ. ი-შვილისათვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მერია კონკრეტულ დანახარჯებს სადავო ქონების საკუთრებაში მიღების ვარაუდით ახორციელებდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ეს გარემოება სათანადოდ არ არის გამოკვლეული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია. კერძოდ, ამ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ყველა ხარჯი, რომელიც მერიამ გაიღო, რემონტის ხარჯების ჩათვლით, მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისა და მისი ვიზუალური მხარის სათანადო მდგომარეობაში მოყვანის უზრუნველყოფას ემსახურებოდა. რემონტის ხარჯების გაღების დროისათვის და შემდგომი სამი წლის განმავლობაშიც კი შესაბამისი მუზეუმი ფუნქციონირებდა, ამასთან, ვინაიდან მოცემულ საქმეზე ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ იკვეთება, სააპელაციო სასამართლოს ასევე უნდა ემსჯელა, რამდენად მართებულია 977-ე მუხლის საფუძველზე თანხის დაბრუნების მოთხოვნა თ. დ-შვილის მიმართ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტის მიხედვით, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, სააპელაციო სასამართლო კი ამ განმარტებას დაეთანხმა, ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მიხედვით, გასაჩივრებელი განჩინება კანონის დარღვევითა მიღებული, რაც ასევეა მისი გაუქმების საფუძველი. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწო-

რად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით, რის შედეგადაც მთელი რიგი საპროცესო ნორმები დაირღვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს აპელანტების ფაქტობრივ-სამართლებრივი პრეტენზიები, იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინებაში ასახული სამართლებრივი დასაბუთებით, სამართლებრივად სწორად შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დავა დასაბუთებული გადაწყვეტილების (განჩინების) მიღების გზით დაასრულოს.

ქ. ...-ის მერიის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ კასატორის მითითებით, მოპასუხემ აღიარა მერიის მიერ 29 913 ლარის ოდენობის ხარჯის გაწევის ფაქტი, რაც სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი უნდა გამხდარიყო. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ეს მტკიცებაც უნდა შეაფასოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ქ. ...-ის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

განჩინება

№ას-833-885-2011

18 ოქტომბერი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ა-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვქ. ა-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შემდეგი დასაბუთებით: ვ. ა-ი და მისი მეუღლე ნ. ა-ი არიან ხანდაზმულები და მოვლასა და პატრონობას საჭიროებენ. მოსარჩელემ მძის შვილს ვქ. ა-ს შესთავაზა თავიანთი მოვლა და რჩენა, გარდაცვალების შემთხვევაში კი თავისი უძრავი ქონების მისთვის დატოვება. მოპასუხემ ბოროტად გამოიყენა მოსარჩელის უმწეო მდგომარეობა, ქართული ენის არცოდნა და 2008 წლის 29 აგვისტოს ხელი მოაწერინა ქართულ ენაზე შედგენილ ნასყიდობის ხელშეკრულებას საჯარო რეესტრში, რომლის შინაარსი მოსარჩელისათვის უცნობი იყო. მოსარჩელემ ხელშეკრულებას ხელი რუსულ ენაზე მოაწერა. ამის შემდგომ მოპასუხე ორი კვირით ცხოვრობდა მოხუცებთან და შემდგომ თბილისში გაემგზავრა, რამდენჯერმე მოინახულა მოსარჩელე და დაეხმარა მცირედი თანხით, რომელმაც ჯამში შეადგინა 1400 ლარი. როდესაც მოსარჩელემ ვქ. ა-ს სთხოვა მოვლა და პატრონობა, პასუხად უარი მიიღო. უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე მოსარჩელემ შეიტყო მას შემდეგ, როდესაც 2009 წლის პირველ სექტემბერს საგადასახადო ორგანოდან მიუვიდა წერილი წლიური დეკლარაციის წარდგენის მოთხოვნით, რადგან მას 2008 წელს მიღებული ჰქონდა 40 000 ლარზე მეტი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ვქ. ა-მა არ მისცა მოსარჩელეს ხელშეკრულების ეგზემპლარი და შესაბამისად მოსარჩელემ არ იცოდა ხელშეკრულების შინაარსი, მას სჯეროდა, რომ სადავო დოკუმენტზე ხელმოწერით მხოლოდ უძრავი ქონების შეფასება მოახდინეს, როგორც განუმარტა მოპასუხემ. მან მეზობლის დახმარებით წაიკითხა წერილი, რადგან ქართული ენა არ

იცის. მოსარჩელემ ნათესავის დახმარებით საჯარო რეესტრიდან შეიტყო, რომ უძრავი ქონება გაყიდული ჰქონდა. ხელშეკრულებაში აღმოჩნდა ჩანაწერი, რომ ვ. ა-ს მიღებული ჰქონდა 50 000 ლარი, რაც სიმართლე არ არის. ა-ები დღემდე იღებენ სახელმწიფოსაგან სოციალურ დახმარებას, როგორც სიღატაკის ზღვარს მიღმა ოჯახი და მათ ასევე მეზობლებიც ეხმარებიან. მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ, მოტყუებით გაეფორმებინა მშობლიური ენის არმცოდნე მოხუც ბიძასთან ნასყიდობის ხელშეკრულება, მოსარჩელე ყოველგვარი სახსრების გარეშე დატოვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მხრიდან არ ყოფილა შემოთავაზება სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების დადებისა. მხარეების ნება მიმართული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ. მოსარჩელემ იცის ქართული ენა და ის სრულად აცნობიერებდა გარიგების შინაარსს. ის ფაქტი რომ, მოსარჩელეს საშუალო განათლება რუსულ ენაზე აქვს მიღებული არ არის იმის მტკიცებულება, რომ მან ქართული არ იცის. მოსარჩელემ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით. ნასყიდობის თაობაზე მისთვის ცნობილი იყო მაშინ, როდესაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. თუნდაც მოტყუებით დაედგინებინა ხელშეკრულება, მოსარჩელეს გაშვებული აქვს ერთწლიანი შედავების ვადა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება და ვ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2008 წლის 29 აგვისტოს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგი დასაბუთებით: პალატამ არ გაიზიარა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ იმ ფაქტის დადგენა, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს ვ. და ვქ. ა-ებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და დაადგინა, რომ მხარეთა შორის დაიდო სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება. პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს შემდეგი სამართლებრივი შეფასება მისცა: სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 52-ე მუხლების მიხედვით, იმის გასარკვევად, თუ რა გარიგება დადეს მხარეებმა, საკმარისი არ არის მხოლოდ წერილობით დაფიქსირებული ხელშეკრულება. აუცილებელია იმის დადგენა, თუ რომელი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართეს მხარეებმა გამოვლენილი ნება. სადავო არ არის და დადგენილია, რომ ვქ. ა-ი, ფაქტობრივად არ დაუფლებია შეძენილ უძრავ ქონებას. ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ და საქმის განხილვის პერიოდშიც, სადავო უძრავ ქონებას ფლობს ვ. ა-ი და მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია. ვ. ა-ი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწიობას. აღნიშნულით დასტურდება, რომ ვ. ა-ს 2008 წლის 29 აგვისტოს გარიგებით გასხვისებული ქონება არ დაუთმია და არც გარიგებით გათვალისწინებული თანხა 50 000 ლარი არ მიუღია. სააპელაციო სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვქ. ა-ი მოუვლიდა ვ. ა-ს და სანაცვლოდ მიიღებდა უძრავ ქონებას. მოწმეთა ჩვენებები დამაჯერებელია, თანამიმდევრულია და ვერც აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ მიუთითა მათ შეუსაბამობასა და არასარწმუნოებაზე. გამომდინარე აქედან, პალატამ დაადგინა, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს ვ. ა-ს არ გამოუვლენია ნება, ანაზღაურების სანაცვლოდ, ვქ. ა-ისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის, ხოლო ვქ. ა-ს არ გამოუვლენია ნება ანაზღაურების სანაცვლოდ, ვ. ა-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მიღებისა. შესაბამისად მხარეთა შორის არ დადებულა ნასყიდობის ხელშეკრულება. პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ვქ. ა-მა იკისრა ვალდებულება ერჩინა ვ. ა-ი, ხოლო ვ. ა-მა – საკუთრებაში გადაეცა ვქ. ა-ისათვის თავისი კუთვნილი ქონება. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შორის დაიდო სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება. პალატა არ დაეთანხმა აპელანტს, რომ სადავო გარიგება დაიდო მოტყუებით. სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, გარიგება მოტყუებით დადებულად ითვლება მაშინ, როცა მოტყუება იწვევს ნების გამოვლენას. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ნების გამოვლენა მოტყუებას არ გამოუწვევია: მართალია მხარეებმა გააფორმეს არა ის გარიგება, რომელიც სინამდვილეში დადეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხარეთა შორის, სინამდვილეში დადებული გარიგება იყო მოტყუების შედეგი – მხარეებს სურდათ სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების დადება და სწორედ ეს გარიგება დაიდო მათ შორის. სადავო ხელშეკრულება არ არის არც შეცდომით დადებული გარიგება. გარიგება, როდესაც მხარეები განზრახ ცვლიან რეალურად დადებული გარიგების შინაარსს არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომით დადებულად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებმა წერილობით გამოავლინეს ნება იმ გარიგების დადებისა, რომელიც სინამდვილეში მათ შორის არ დადებულა, ე.ი. მხარეებმა წერილობითი გამოვლენილი ნებით დაფარეს სხვა გარიგება. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს არ სურდათ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომა. მათი მიზანი იყო გარიგებით დამდგარი სამისდღემო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გარიგების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დაფარული გარიგების ანუ სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 942-ე და 945-ე მუხლები არ გამორიცხავს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას. თუმცა 942-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. სადავო ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. შესაბამისად, სადავო გარიგება ბათილია და არ წარმოშობს გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს. რადგან ვქ. ა-ის სახელზე საჯარო რეესტრში, სადავო ქონებაზე, რეგისტრირებულია უფლება ბათილი გარიგების სა-

ფუძველზე ანუ არარსებული უფლება, ეს ჩანაწერი უნდა გაუქმდეს და სადავო ქონება საჯარო რეესტრში ვ. ა-ის საკუთრებად უნდა აღირიცხოს. სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტისას გადაცემული უძრავი ქონება უბრუნდება სარჩენს. დადგენილია, რომ მხარეთა შორის დადებული სამისდღეობითი რჩენის ხელშეკრულება შეწყვეტილია. ამიტომ, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მარჩენალის ე.ი. ვკ. ა-ისათვის გადაცემული უძრავი ქონება სარჩენს, ანუ აპელანტს უნდა დაუბრუნდეს. პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სპეციალურ ვადას მოსაჩვენებლად დადებული გარიგების შეცილებისათვის. მამასადამე, გარიგება შეიძლება შეცილებულ იქნას, ზოგადად, გარიგების შეცილებისათვის დადგენილ ვადაში. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადები გასული არ არის და სარჩელი არაა ხანდაზმული.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ვკ. ა-მა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში სხდომის დროს მოხდა იმ მოწმეების დაკითხვები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში ესწრებოდნენ პროცესს და თავიდან ბოლომდე ჰქონდათ მოსმენილი საქმის არსი, რაც იმთავითვე არღვევს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ წესებს მოწმეთა დაკითხვის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების ერთადერთ მტკიცებულებად სასამართლო მიიჩნევს მოწმეთა ჩვენებას, რომელიც სასამართლოს მხრიდან საპროცესო კანონმდებლობის იგნორირებით არის მიღებული. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და მოწმეების დაკითხვის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით არასწორად განმარტა კანონი. მოსარჩელემ როგორც სარჩელის წარდგენისას, ასევე სააპელაციო საჩივარში თვითონ განსაზღვრა ის კონკრეტული საფუძველები, რითაც მოითხოვდა 2008 წლის 29 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. ეს საფუძველებია: 1. მოსარჩელეს ეგონა, რომ ხელი მოაწერა უძრავი ქონების შეფასების აქტს და 2. მოსარჩელემ არ იცოდა ქართული ენა და მოპასუხემ იგი გარიგების დადების მიზნით მოატყუა და არ მისცა შესაძლებლობა ესარგებლა თარჯიმნით. სასამართლო მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითებს და ცალსახად აფიქსირებს, რომ სადავო გარიგება არ არის მოტყუებით დადებული გარიგება და იგი არ იზიარებს აპელანტის პოზიციას, თუმცა უფრო ქვემოთ განვითარებულ მსჯელობაში სასამართლო სცდება დავის საგანს და სადავო გარიგებას მიიჩნევს მოსაჩვენებლად დადებულ გარიგებად და აღნიშნავს, რომ ამ გარიგებით მხარეებმა დაფარეს სამისდღეობითი რჩენის ხელშეკრულება, რომელიც როგორც ფორმალურად გარიგება ბათილად უნდა იქნას ცნობილი სასამართლოს მიერ. აღნიშნული ქმედებით სასამართლომ უფლებებელსა და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომლის შესაბამისადაც მხარეები თვითონ ირჩევენ, თუ რა ფაქტები დაუდონ საფუძველად სარჩელს. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლები. რაც შეეხება სარჩელის ხანდაზმულობას, მოსარჩელე გარიგებას მიიჩნევს მოცულებით დადებულად და ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია. კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს მხრიდან იმ ფაქტის დადგენას, რომ მხარეებს სურდათ ერთმანეთთან დაედოთ სამისდღეობითი რჩენის ხელშეკრულება, მაშინ როცა ეს ფაქტი თავად მოსარჩელეებმა უარყვეს სასამართლოში დაკითხვისას. სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს გარიგებით გათვალისწინებული თანხა 50 000 ლარი არ მიუღია. გარიგებაში მითითებულია, რომ მოსარჩელე მხარემ გარიგებით განსაზღვრული თანხა მიიღო სრულად. ასევე, საქმეზე წარმოდგენილ იქნა სამომსავლო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საგადასახადო დავალების ქვითარი, რაც ასევე უდავოდ ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოსარჩელემ თანხის მიღების სანაცვლოდ საგადასახადო უწყებებს გადაუხადა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამომსავლო გადასახადი. სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ ვკ. ა-ი არ დაუფლებია შეძენილ ქონებას. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად სასამართლო მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელე და მისი მეუღლე დღემდე ცხოვრობენ სადავო ფართში. კასატორს მიაჩნია, რომ მფლობელობა საერთოდ არ გულისხმობს ნივთის ფაქტობრივ ფლობას, მფლობელობა ნივთზე იურიდიული ბატონობაა. საჯარო რეესტრში სადავო ქონება აღრიცხულია ვკ. ა-ის სახელზე საკუთრების უფლებით. სასამართლომ მიიჩნია დადგენილად ის გარემოება, რომ გარიგება, რომლითაც იფარებოდა სამისდღეობითი რჩენის ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა რთული წერილობითი ფორმით ანუ სანოტარო წესით, ის ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სასამართლომ არ მისცა შეფასება მთავარ ფაქტობრივ გარემოებას, კერძოდ, სადავო არ არის, რომ გარიგებაზე ხელმოწერა შეასრულა ვ. ა-მა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოდავე მხარეთა რეალური ნება შესაბამისად არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, არამედ სამისდღეობითი ხელშეკრულების დადებას. შესაბამისად, თავად სასამართლომ ამ მოტივაციითვე გამოირიცხება მითითება იმ გარემოებაზე, რომ ვ. ა-ის მხრიდან გარიგებაზე ხელმოწერისას ნების გამოვლენის ნაკლს ადგილი არ ჰქონია. თუ ეს ასეა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ გარიგება არ არის დამოწმებული ნოტარიუსის მიერ არ შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელე ნების გამოვლენას სადავოდ არ ხდის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზ-

რით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 29 აგვისტოს ვ. და ვქ. ა-ებს შორის გაფორმდა ვ. ა-ის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება. ვქ. ა-ი შეძენილ უძრავ ქონებას ფაქტობრივად არ დაუფლებია, მას მუდმივად ფლობს ვ. ა-ი და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია. ვქ. ა-ი არის ვ. ა-ის ძმისშვილი. ვ. ა-ი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გაიზიარა ვ. ა-ის განმარტება, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა და მხარეები რეალურად რჩენის ხელშეკრულებაზე შეთანხმდნენ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებას, რომ 2008 წლის 29 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ვ. ა-ს ანაზღაურების სანაცვლოდ ვქ. ა-ისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის ნება არ გამოუვლენია და ნივთის შესყიდვაზე არც ვქ. ა-ის ნება არ დგინდება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვქ. ა-მა იკისრა ვალდებულება ერჩინა ვ. ა-ი და მისი მეუღლე, ხოლო რჩენის სანაცვლოდ ვ. ა-ს სადავო ნასყიდობის საგანი ვქ. ა-ისათვის საკუთრებაში უნდა გადაეცა.

საკასაციო სასამართლო ზემოთ აღნიშნულ დასკვნას აფუძნებს როგორც ვ. ა-ის მიერ ყველა ინსტანციაში ერთი და იმავე შინაარსის განმარტებებზე – რჩენის თაობაზე მოდავე მხარეთა შეთანხმებაზე, ასევე საქმის გარემოებებზე, რომლებიც მოსარჩელის განმარტების უტყუარობას ადასტურებს, კერძოდ:

უდავოა, რომ ნივთის შეძენი – ვქ. ა-ი არის ვ. ა-ის ძმისშვილი. იგი ნასყიდობის საგანს ფაქტობრივად არ დაუფლებია, სადავო უძრავ ქონებას მუდმივად ფლობს ვ. ა-ი, რომელსაც სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია. ვ. ა-ი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას, რის გამოც მის მიერ გარიგებით გათვალისწინებული თანხის – 50 000 ლარის მიღება არაადამაჯერებელია. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ვ. ა-ს განათლება მიღებული აქვს რუსულ ენაზე და სასამართლო სხდომებზე საჭიროებს თარჯიმანს, ხოლო სადავო ხელშეკრულება ქართულ ენაზეა შედგენილი და ხელმოწერამდე მოსარჩელისათვის მისი თარგმანა არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში ის მოწმეები დაიკითხნენ, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში ესწრებოდნენ პროცესს და სააპელაციო სასამართლომ მათ ჩვენებებს დააყრდნო დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მხარეთა ნასყიდობის ნების არარსებობაზე. ზემოაღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მოწმეები, რომლებიც ჯერ არ დაკითხულან, არ უნდა იყვნენ სასამართლო სხდომის დარბაზში. მოწმეთა დაკითხვის ასეთი წესი გამოწვეულია იმით, რომ მოწმის ჩვენებამ სხვა მოწმეების ჩვენებაზე გავლენა არ მოახდინოს და ეჭვქვეშ არ დადგეს ჩვენების სარწმუნოება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია შემდეგი არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები:

საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასების, ანუ სასამართლო მტკიცების პროცესში მხარეებს და სასამართლოს კანონით ზუსტად განსაზღვრული ვალდებულებები აკისრიათ. მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა მხარეთა ვალდებულებაა, ხოლო მათი საქმეში კანონის შესაბამისად დამაგრება (მაგ: ნივთიერი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერების ოქმი, მტკიცებულებათა გამოკვლევის ასახვა სასამართლო სხდომის ოქმში) და შეფასება სასამართლოს საქმიანობას წარმოადგენს.

მოსარჩელე ვ. ა-მა იმ ფაქტის დასადაგენად, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრებოდა, მტკიცებულებებზე მოწმეთა ჩვენებები წარადგინა, რითაც კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა.

მოდავე მხარეების საპროცესო უფლებების სრულყოფილად რეალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დეტალურად აწესრიგებს რა სასამართლოს მთავარი სხდომის წარმართვის წესს, სასამართლოს ავალებს პროცესის სტადიების თანმიმდევრულად განხორციელებას. მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი მოწმეების მიერ სხდომის დარბაზის დატოვების თაობაზე განსაზღვრავს, რომ სხდომის წარმართველმა მოსამართლემ უზრუნველყოს სხდომის დარბაზში ამგვარი წესრიგის დაცვა ანუ მოწმეთა სხდომის დარბაზიდან გაყვანა სასამართლოს კომპეტენციაა. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმით კი დასტურდება, რომ სასამართლომ (და არა მხარემ) დაარღვია კანონის აღნიშნული მოთხოვნა (არ გასცა განკარგულება მოწმეების მიერ სხდომის დარბაზის დატოვების თაობაზე), რამაც მხარის უფლებებზე უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს.

ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოწმე ნ. ა-მა არ იცის ქართული ენა და ეს გარემოება სადავოს არ წარმოადგენს. ამდენად, მისი ყოფნა სასამართლო სხდომაზე გავლენას ვერ მოახდენს შემდგომში მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორეზე. მოწმე ნ. ა-ი კი თავის ჩვენებაში სარწმუნოდ ადასტურებს სარჩელის საფუძვლად მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

საკასაციო სასამართლოს ვ. ა-ის განმარტების შესწავლით (იხ. საკასაციო სასამართლოს სხდომის ოქმი) და მისი სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთმეჯერებით, ჩამოუყალიბდა რწმენა, რომ ვ. ა-ი სადავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას, დარწმუნებული იყო სამისდღემში რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების მიღებაში და მას სწორედ ასეთი შედეგის დადგომა სურდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით დავის სარჩელით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლისაგან განსხვავებული სამართლებრივი შეფასების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მითითებით იმ სამართლებრივ საფუძვლებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მითითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაა და ვალდებულება. დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ, თავად გადაწყვიტონ საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, მაგრამ არაა აუცილებელი, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზე – ნორმაზე მითითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არც აუცილებელია და არც შემზღუდავი სასამართლოსათვის. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმა, გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით, კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინებით დავის სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, გარიგება მოტყუებით დადებულად ითვლება მაშინ, როცა მოტყუება იწვევს ნების გამოვლენას. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა ნების გამოვლენა მოტყუებას არ გამოუწვევია: მართალია მხარეებმა გააფორმეს არა ის გარიგება, რომელიც სინამდვილეში დადეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხარეთა შორის, სინამდვილეში დადებული გარიგება იყო მოტყუების შედეგი – მხარეებს სურდათ სამისდღეშიორჩენის ხელშეკრულების დადება და სწორედ ეს გარიგება დაიდო მათ შორის. სადავო ხელშეკრულება არ არის არც შეცდომით დადებული გარიგება. გარიგება, როდესაც მხარეები განზრახ ცვლიან რეალურად დადებული გარიგების შინაარსს არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომით დადებულად. მოცემულ შემთხვევაში დადგინილია, რომ მხარეებმა წერილობით გამოავლინეს ნება იმ გარიგების დადებისა, რომელიც სინამდვილეში მათ შორის არ დადებულა, ე.ი. მხარეებმა წერილობითი გამოვლენილი ნებით დაფარეს სხვა გარიგება. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს არ სურდათ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგის დადგომა. მათი მიზანი იყო გარიგებით დამდგარი სამისდღეშიორჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, გარიგების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დაფარული გარიგების, ანუ სამისდღეშიორჩენის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 942-ე და 945-ე მუხლები არ გამოორიგნავენ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას. ასევე 942-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში, ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. სადავო ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმებული არ არის. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. შესაბამისად, სადავო გარიგება ბათილია და არ წარმოშობს გარიგებით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვქ. ა-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვქ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მფლობელობა – უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1252-1272-2011

23 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჩ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. წ-ას წინააღმდეგ და მოითხოვა ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მისთვის გადაცემა შემდეგი საფუძველებით: სარჩელის თანახმად, მ. ჩ-მა 2008 წლის 29 ოქტომბერს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე შეიძინა საცხოვრებელი სახლი (საცხოვრებელი ფართით – 20.40 კვ.მ, საერთო ფართობით 44.54 კვ.მ, მიწის ფართობით 369 კვ.მ), და მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეესტრში. მოპასუხე მ. წ-ა, ოჯახთან ერთად, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობს აღნიშნულ ტერიტორიაზე, რითაც მოსარჩელეს უზღუდავს საკუთრების განკარგვას და ფლობას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მ. ჩ-ს საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს ყალბი დოკუმენტის საფუძველზე, რის გამოც სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე მ. წ-ას უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე და მოსარჩელეს გამოთავისუფლებული გადაეცა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. წ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით მ. წ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. ჩ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (დაზუსტებული ფართობის – 396 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 44.54 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 20.40) საკუთრების უფლებით, 2008 წლის 30 ოქტომბერს, 2008 წლის 29 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, აღირიცხა მოსარჩელე მ. ჩ-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურის 30.10.2008 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 30 ოქტომბრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 27 იანვარს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სადავო უძრავი ქონება 2011 წლის 31 იანვარს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით კვლავ აღირიცხა მ. ჩ-ის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონება 2005 წლის 13 ივლისამდე წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო 2005 წლის 13 ივლისს აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა პავლე ბესტაევის სახელზე.

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობით და მხარეთა ახსნა-განმარტებით. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2003 წლიდან დღემდე სადავო ქონებას ფლობს მ. წ-ა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მ. წ-ა და მისი ოჯახის წევრები არიან იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები), რომლებიც 2003 წლის 11 ივლისიდან სახელმწიფოს მიერ განსახლებული არიან ... მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს მათ დროებით საცხოვრებელ ადგილს.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო უძრავ ქონებაში სახელმწიფოს მიერ მ. წ-ას და მისი ოჯახის წევრების რეგისტრაცია, საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ აღნიშნულ მისამართზე დევნილების განსახლება მიჩნეულიყო კანონიერად.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ მესამე პირს, დევნილსა და სახელმწიფოს შორის არსებული სამართალური თითობა მოექცეს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესრიგის ფარგლებში, აუცილებელია დადგენილ იქნეს დევნილთა საწყისი შესახლების მართლზომიერება და კანონშესაბამისობა. საწყისი შესახლების მართლზომიერება გულისხმობს სახელმწიფოს ნებითა და მოქმედებით საცხოვრებელი ფართის დათმობას, ხოლო კანონშესაბამისობაში იგულისხმება სახელმწი-

ფოს მიერ ფართის გამოყოფა კანონის დადგენილი დანაწესის მიხედვით – თავისუფალ მდგომარეობაში, მხოლოდ დევნილთა დროებითი განსახლების მიზნებისათვის, იმგვარად, რომ აღნიშნული ფართით სარგებლობა უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ დევნილთა ბინით უზრუნველყოფას და არ უნდა იქნეს შეცვლილი სხვა მესამე პირთა მიერ დევნილთა განსახლების პერიოდში. სახელმწიფო საკუთრების ობიექტში დევნილის განთავსებისას იგულისხმება, რომ იგი აღნიშნულ ობიექტში განთავსებულია მის პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე, თუ, რა თქმა უნდა, თვით სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათთვის ალტერნატიული ფართების ან ფულადი კომპენსაციის შეთავაზებას.

მოცემულ შემთხვევაში პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ უძრავ ქონებაში, მ. წ-ა და მისი ოჯახის წევრები რეგისტრირებული იყვნენ 2003 წლის 11 ივლისიდან, იმ პერიოდში, როდესაც აღნიშნული ქონება წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. სადავო უძრავ ქონებაზე პავლე ბესტაევის საკუთრების უფლება აღირიცხა მას შემდეგ, რაც აღნიშნულ ქონებას სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ჰქონდა დევნილთა დროებითი განსახლების ობიექტის სტატუსი და იქ რეგისტრირებული იყვნენ დევნილები. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ პავლე ბესტაევს მ. წ-ას მფლობელობა ხსენებულ უძრავ ქონებაზე სადავოდ არასდროს არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აღირიცხა მ. წ-ის საკუთრების უფლება სადავო უძრავ ქონებაზე, დადებულია 2011 წლის 27 იანვარს, აღნიშნული დავის პერიოდში. შესაბამისად, მ. წ-ისათვის წინასწარ, საცხოვრებელი სახლის შეძენამდე იყო ცნობილი, რომ პ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში განსახლებული იყვნენ დევნილები.

იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ იძულებით გადაადგილებული პირების ჩასახლება სადავო შენობაში განხორციელდა სახელმწიფოს ნებით და მისივე საკუთრებაში, ამასთან, უძრავი ქონების შეძენის დროს მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ სადავო ფართში ჩასახლებული იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის საკუთრებაში უფლებრივად ნაკლიანი ნივთი გადავიდა.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მ. წ-ას დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფამდე, მესაკუთრე რჩება კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში და მესაკუთრის უკეთეს უფლებას, მოსთხოვოს მფლობელს ფართის გამოთავისუფლება, ნაკლიანს ხდის კანონისმიერი პირობა. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ სადავო ფართზე რეგისტრირებულია მ. წ-ა და მისი ოჯახის წევრები, პალატის მოსაზრებით, მოპასუხეს ჰქონდა სადავო ფართის ფლობის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ მისთვის დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულება შესრულდა, რის შედეგადაც, ახალი მესაკუთრის საკუთრებაში ისეთ მდგომარეობაში გადავიდა ნივთი, როგორადაც იგი ძველი მესაკუთრის ხელში იყო, ანუ ნაკლიანი და შემძენმა იცოდა, რომ ნაკლიან ნივთს იძენდა, ხოლო ნაკლის გამოსწორება დამოკიდებული იყო არა გამყიდველის ან შემძენის ნებაზე, არამედ კანონისმიერი ჩანაწერის შესაბამისად, სახელმწიფოს შესაძლებლობაზე, დააკმაყოფილოს დევნილი სხვა, ალტერნატიული ფართით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მ. წ-ა წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მართლზომიერ მფლობელს. შესაბამისად, მ. წ-ის მოთხოვნა მ. წ-ას მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოხმობის თაობაზე უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე, 162-ე მუხლებზე, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტსა და ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. წ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 172-ე და 162-ე მუხლები, მაშინ, როდესაც მ. წ-ა ცნო მართლზომიერ მფლობელად, ვინაიდან იგი უბრალოდ რეგისტრირებული იყო მითითებულ მისამართზე, რომელიც მ. წ-ასთვის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ გამოუყვია. კასატორის მითითებით სადავო ფართი 1990 წლიდან მართლზომიერ მფლობელობაში, 2005 წლის 13 ივლისიდან საკუთრებაში ჰქონდა პავლე ბესტაევს. ამასთან, სადავო ფართს ლტოლვილთა და განსახლების სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული, რაც ცხადყოფს, რომ მ. წ-ს უფლებრივად ნაკლიანი უძრავი ქონება არ შეუძენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. წ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება (დაზუსტებული ფართობის – 396 კვ.მ., შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 44.54 კვ.მ., საცხოვრებელი ფართი 20.40) საკუთრების უფლებით, 2008 წლის 30 ოქტომბერს, 2008 წლის 29 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, აღირიცხა მოსარჩელე მ. წ-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურის 30.10.2008 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 30 ოქტომბრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 27 იანვარს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო უძრავი ქონება 2011 წლის 31 იანვარს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით კვლავ აღირიცხა მ. ჩ-ის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ქონება 2005 წლის 13 ივლისამდე წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო 2005 წლის 13 ივლისს აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა პ. ბ-ს სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ 2003 წლიდან დღემდე სადავო ქონებას ფლობს მ. წ-ა.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: წარმოადგენს თუ არა მ. წ-ა ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ფართის მართლზომიერ მფლობელს (დაუზუსტებელი ფართობი – 369 კვ.მ. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 44.54 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 20.40).

„იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის შესაბამისად (კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუქტის «დ» ქვეპუქტი), ასევე ამ დროს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის «დ» ქვეპუქტის საფუძველზე საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე არ ხდება დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებიდან დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილს ფართობი თვითნებურად, კანონის დარღვევით აქვს დაკავებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის ცნობითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით, არ დგინდება ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისად, მ. წ-ასა და მისი ოჯახის წევრების მიერ ამ ფართის სარეგებლობის მოპოვების მართლზომიერება.

ის ფაქტი, რომ 2003 წელს აღნიშნული ტერიტორია იყო სახელმწიფოს საკუთრებაში, ხოლო მ. წ-ა და მისი ოჯახი 2003 წლიდან დღემდე სადავო ქონებას ფლობს, არ მიუთითებს მართლზომიერ ფლობაზე. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია წარმოშობს მოპასუხეთა მფლობელობის მართლზომიერ საფუძველს. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007 წლის 25 აპრილის საფუძველზე დადგენილი რეგისტრაციის ფაქტით არ დასტურდება მფლობელობის მართლზომიერება. რეგისტრაციის არსებობა არ შეიძლება გახდეს უფლების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის, განკარგვის ან მათი განხორციელების საფუძველი, კერძოდ, „საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის, მათ შორის, საკუთრების განკარგვის უფლების საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა». (იხ. №ას-347-666-09).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად მართებულად არ შეაფასა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება მ. ჩ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადაბული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარეს, მ. წ-ას, მ. ჩ-ის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა 300 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა და წ ვ ე ტ ა :

1. მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. მ. წ-ას უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნეს ქ. თბილისში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და გამოთავისუფლებული გადაეცეს მოსარჩელეს;
5. მოწინააღმდეგე მხარეს მ. წ-ას მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკუთრება

მომრავ ნივთზე საკუთრების შექმნის საფუძველები

პირობადადებული საკუთრება

განჩინება

№ას-914-954-2011

27 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაფიძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. ს-ას მიმართ ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 25 თებერვალს ბანკიდან აღებული სესხით მოსარჩელის შვილმა ვ. მ-მა შეიძინა ავტომანქანა «მერსედეს ბენცი», თუმცა, ვინაიდან რომ საბანკო სესხის გადახდას მ-ის ოჯახი ვეღარ ახერხებდა, გადაწყვიტეს მოცემული ავტომანქანის რეალიზაცია. რაკი მ-ი საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა, მან მოსარჩელეს სანოტარო წესით გაუფორმა მინდობილობა, ავტომანქანის გასხვისების უფლებით. 2009 წლის თებერვალში მოპასუხემ მოსარჩელისგან, ზეპირი გარიგების საფუძველზე, შეიძინა ავტომანქანა «მერსედეს ბენცი» სახელმწიფო ნომრით ..., რომელიც წარმოადგენდა ვ. მ-ის საკუთრებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი არა უგვიანეს სამი თვისა, გადაიხდიდა ნასყიდობის ფასს – 5 000 აშშ დოლარს, რის შემდეგაც მის სახელზე გადაფორმდებოდა ავტომანქანა. პარალელურად თ. მ-ემ მოპასუხეს გადასცა ავტომანქანა და საჭირო დოკუმენტაცია. 2009 წლის ივნისის დასაწყისში, მას შემდეგ, რაც ვალდებულების შესრულებისთვის დადგენილი ვადა ამოიწურა, მოსარჩელემ მიმართა ს. ს-ას მოთხოვნით, დაუყოვნებლივ გადაეხადა ავტომანქანის ფასი ან დაებრუნებინა იგი მოსარჩელისთვის. თუმცა მოპასუხემ უსახსრობის გამო, მოითხოვა გადახდის ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელება 2009 წლის 10 ივნისამდე. ამასთანავე, გადასცა მოსარჩელეს 1000 ლარი, რათა მას შესძლებოდა საბანკო სესხის პროცენტის დაფარვა და ორი პირის თანდასწრებით შეადგინა ხელწერილი, რომლითაც აღიარა ვალდებულების არსებობა და გამოთქვა მზადყოფნა მის შესასრულებლად. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხემ კვლავ არ გადაიხადა ნასყიდობის ფასი, თუმცა სწორედ ამ დროს შეისყიდა სატვირთო ავტომანქანა. მან ასევე უარი განაცხადა ავტომანქანის დაბრუნებაზე. მოსარჩელემ, ვინაიდან იგი დაინტერესებული იყო ავტომობილის ადგილსამყოფლით, მიმართა საპატრულო პოლიციას და დაადგინა, რომ იგი 2009 წლის პირველ აგვისტოს ჩამოერთვა ვინმე ი-ის და დაყენებულია ავტოსადგომზე. ავტომობილი არის მნიშვნელოვნად დაზიანებული და აღენიშნება ავტოსაგზაო შემთხვევის კვალი. საჯარიმო ავტოსადგომის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხა 2009 წლის 25 ნოემბრისთვის შეადგენდა 968 ლარს, ხოლო, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, ავტომანქანისთვის მიყენებული ზიანი შეადგენს 1090 ლარს. მოპასუხე უარს აცხადებს, ნებაყოფლობით გადაიხადოს ავტომანქანის შეკეთების, ავტოსადგომზე მომსახურების ხარჯებისა და ავტომანქანის შესყიდვის თანხა.

მოპასუხე ს. ს-ამ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2009 წლის თებერვალში ს-ამ გამოთქვა სურვილი, შეეძინა ავტომანქანა «მერსედეს ბენცი» სახელმწიფო ნომრით ..., თუმცა იგი უნდა ყოფილიყო ტექნიკურად გამართული და მოსარჩელეს უნდა გადაეცა ს-ასთვის დამატებით 2 საბურავი, რაც არ განხორციელდა. ამასთანავე, ავტომობილს დასჭირდა შეკეთება. ამავე წლის ივნისში მოსარჩელემ კვლავ მოითხოვა ნასყიდობის ფასის დაუყოვნებლივ გადახდა, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა, რადგან მხარეები ამაზე არ შეთანხმებულან. ავტომობილის დაბრუნება არავის მოუთხოვია, პირიქით, ს. ს-ა სთხოვდა მ-ეს ავტომობილის უკან წაყვანას, რადგან იგი არ აღმოჩნდა ტექნიკურად გამართული ისე, როგორცაა ზეპირი შეთანხმებისას აღუწერეს, თუმცა მოსარჩელეს ავტომანქანა უკან არ წაუყვანია. ამასთანავე, მოპასუხე მიუთითებს, რომ მას ავტომობილი არ დაუზიანებია, პირიქით შეაკეთა და გააუმჯობესა. ავტომობილი 2009 წლის პირველ აგვისტოს ჩამოართვეს მოპასუხის მეგობარს, რადგან მას არ ჰქონდა მართვის მოწმობა. ამის შესახებ ს-ამ დაუყოვნებლივ შეატყობინა მ-ეს და სთხოვა, როგორც მანქანის მესაკუთრის მინდობილ პირს წაეყვანა საპატრულო პოლიციიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საჯარიმო ავტოსადგომზე გადაიყვანდნენ, თუმცა მოსარჩელემ აღნიშნული რეაგირების გარეშე დატოვა, რადგან მოპასუხე კვლავ უარს ამბობდა ავტომობილის მთლიანი საფასურის გადახდაზე. ამის შემდგომ ს. ს-ა არაერთხელ დაუკავშირდა თ. მ-ეს, როგორც მესაკუთრის მინდობილ პირს, თხოვნით, დახმარებოდა მას ავტომობილის საჯარიმო სადგმი-

დან გამოყვანაში, რადგან მის გარეშე მოპასუხე ამას ვერ ახორციელებდა, მიუხედავად იმისა, რომ მზადყოფნას გამოთქვამდა თანხის გადახდაზე, თუმცა მოსარჩელე, სხვადასხვა მიზეზის გამო უარს აცხადებდა აღნიშნულზე. ამდენად, მოპასუხე მიიჩნევს, რომ, ვინაიდან ავტომობილი საჯარიმო ავტოსადგომზე იდგა სწორედ მ-ის ბრალით, ამიტომ დავალიანება, რომელმაც 1000 ლარს გადააჭარბა მან უნდა გადაიხადოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4394 აშშ დოლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ს-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის თებერვალში თ. მ-ესა და ს. ს-ას შორის დაიდო ზეპირი გარიგება, რომლის თანახმად მოპასუხემ მოსარჩელისგან 5000 აშშ დოლარად შეიძინა თ. მ-ის შვილის სახელზე რიცხული ავტომანქანა. მოპასუხეს ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა ნაწილ-ნაწილ არა უგვიანეს 2009 წლის ივნისისა. სასამართლომ №V1239158 ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ზეპირი გარიგების შედეგად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი ავტომანქანა «მერსედეს ბენცი» საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო თ. მ-ის აწ გარდაცვლილი შვილის ვ. მ-ის სახელზე. 2010 წლის 20 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ვ. მ-ის სამკვიდრო მიღებული აქვს თ. მ-ეს და იგი წარმოადგენს ვ. მ-ის უფლებამონაცვლეს. 2006 წლის 26 ივლისის №1-4204 მინდობილობის თანახმად, ავტომანქანის შესახებ გარიგების შედეგის მომენტში თ. მ-ეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გააჩნდა ვ. მ-ის მოძრავი ქონების განკარგვის სრული უფლებამოსილება. სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2009 წლის თებერვალში მხარეთა შორის ნასყიდობის ზეპირი გარიგების დადების შემდეგ, მოპასუხეს ფაქტობრივად გადაეცა ნაყიდი ავტომანქანა და ს. ს-ამ დაიწყო ამ ნივთით სარგებლობა. ასევე დადგენილია, რომ ნასყიდობის შედეგად მიღებული ავტომობილით სარგებლობდნენ არა მარტო ნივთის უშუალო შემძენი, არამედ მისი თანამშრომლებიც. მოპასუხე და მისი თანამშრომლები მოსარჩელისგან შესყიდული ავტომანქანით სარგებლობდნენ 2009 წლის თებერვლიდან (ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულების დადებიდან) 2009 1 აგვისტომდე პერიოდში. კერძოდ, 2009 წლის 1 აგვისტოს შედგენილი საჯარიმო ქვითრით დასტურდება, რომ ავტომანქანას მართავდა ი. ი-უ. საქმის განხილვისას მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ ავტომანქანა «მერსედეს ბენცი ... კვლავ ირიცხება ვ. მ-ის სახელზე და 2009 წლის 1 აგვისტოდან იმყოფება შპს «სერვის ცენტრის» საჯარიმო ავტოსადგომზე ი. ი-ს დაჯარიმების შედეგად.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტ ს. ს-ას მოსარჩელისა იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების და მოპასუხისათვის ნივთის გადაცემის მომენტში ნასყიდობის საგანს გააჩნდა ისეთი ნაკლი, რომლის შესახებაც მყიდველი არ იყო ინფორმირებული. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 477-ე, 317-ე, 316-ე, 361-ე მუხლებზე და მართებულად დაასკვნა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების და მოპასუხისათვის ნივთის გადაცემის მომენტში ის ხარვეზები, რომლებიც ავტომობილს გააჩნდა, მოპასუხისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების მომენტშივე. აღნიშნული დასტურდება იმ გარემოებით, რომ აპელანტი საქართველოში ფლობს ავტომანქანების პროფილაქტიკას, ამდენად, მას გააჩნდა შესაძლებლობა, თავად შეემოწმებინა შეძენილი ავტომობილი და მისი რეალურად შეკეთების შემთხვევაში ასევე შეემლო ამ გარემოების დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენა. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ, მოპასუხის ახსნა-განმარტებისა და მოწმე ს. კ-ის ჩვენების მიხედვით, ავტომანქანა სწორედ ამ პროფილაქტიკაში შეაკეთეს. სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლი ადგენს გამყიდველის ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამავე კოდექსის 491-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მყიდველს შეუძლია, ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მიხედვით. სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს, ნივთის ნაკლის გამო, ხელშეკრულების მოშლა კანონით დადგენილი წესით არ მოუთხოვია. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც მოპასუხე ს. ს-ამ, მისივე მითითებით, გაიგო ავტომანქანის ნაკლის შესახებ, იგი მაინც მოიხმარდა საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს მასზე, რომ მან საკუთრებაში მიიღო შეძენილი ნივთი. ის გარემოება, რომ ს. ს-ას არ სურდა ხელშეკრულების მოშლა და მისი მიზანი იყო მხოლოდ ნასყიდობის საფასურის გადახდის თარიღის გადაწევა, დასტურდება, თვით მოპასუხე ს. ს-ას ინიციატივით დაკითხული და თავისი პროფილაქტიკის თანამშრომლის მოწმე ს. კ-ის ჩვენებით. ამავე მოწმისა და მოპასუხე ს. ს-ას მეგობრის, თ. ა-ს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით ასევე უდავოდ დასტურდება მხარეთა შორის არსებული ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა, რომლის ფარგლებშიც ს. ს-ა ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის ნასყიდობის ფასი 5000 აშშ დოლარი გადაეხადა 2009 წლის 10 ივნისამდე. ის გარემოება, რომ ამ ხელწერილის შინაარსი ცნობილი იყო მოპასუხისათვის, დადასტურებულია მოწმე ს. კ-ის ჩვენებით, რომელმაც პირადად შეადგინა ეს ხელწერილი თურქულ ენაზე.

სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. განსახილველ შემთხვევაში დადგენილ იქნა, რომ მხარეთა შორის 2009 წლის თებერვალში ზეპირი ფორმით დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, ამასთან, თ. მ-ემ შეასრულა ნასყიდობის ზეპირი გარიგებით დადგენილი პირობა და ნასყიდობის საგანი გადასცა მოპასუხეს, რომელმაც თავისი ვალდებულება შეასრულა ნაწილობრივ, კერძოდ, მან სრულად არ გადაიხადა ნასყიდობის საფასური და მოსარჩელისათვის გადასახდელი დარჩა 4394 აშშ. დოლარი სა-

მოქალაქე კოდექსის 317-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ნასყიდობის ზეპირი გარიგების საფუძველზე. 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა მოპასუხისათვის 4 394 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ ავტომობილისა და ტექნიკური პასპორტის გადაცემით, ს. ს-ას სახელზე სატრანსპორტო საშუალების საკუთრების უფლება არ გადასულა, რადგან ავტომანქანა ამჟამადაც აღრიცხულია აწ გარდაცვლილ ვ. მ-ის სახელზე. სასამართლომ განმარტა, რომ ავტომობილის სავალდებულო რეგისტრაციას ითვალისწინებს «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 31.01.07 წლის №150 ბრძანებით დამტკიცებული «მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების» შესახებ ინსტრუქცია. მითითებული ნორმატიული აქტების რეგულირების სფეროს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისამბელი, ნომრისა აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს. ამ ვალდებულების განხორციელება წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ აუცილებელ პირობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და არა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის. ავტომანქანა არის მოძრავი ნივთი და მასზე ვრცელდება მოძრავი ნივთის შექმნისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სადავო ავტომანქანა თ. მ-ემ, ნამდვილი უფლების საფუძველზე, ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად გადასცა ს. ს-ას. ამდენად, უდავოა, რომ მოპასუხე (აპელანტი) წარმოადგენს სადავო ნივთის მესაკუთრეს.

პალატამ, აპელანტის პოზიცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» პუნქტის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძველით, რომ თ. მ-ე წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს, არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ავტომობილის მესაკუთრე ვ. მ-ი გარდაიცვალა 2010 წლის 8 აპრილს. საქმეში მოთავსებული 2010 წლის 11 მაისის სანოტარო აქტით დგინდება, რომ გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრე თ. მ-ეს კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილი აქვს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, რაც ნიშნავს ვ. მ-ის სამკვიდროს მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამკვიდროს მართვის ფარგლებში თ. მ-ე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სამკვიდრო მასა ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლის მონაწილეც იყო მამკვიდრებელი.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო საჩივრით გასაჩივრა ს. ს-ამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თ. მ-ის სარჩელის განუხილველად დატოვება შემდეგი საფუძვლებით: პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ ს-ასათვის ნივთის გადაცემის მომენტში ნასყიდობის საგანს გააჩნდა ისეთი ნაკლი, რომლის შესახებ მყიდველი არ იყო ინფორმირებული, თუმცა ვერც პირველმა და ვერც მეორე ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ ვერ დაასაბუთა აღნიშნული. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ს-ას გააჩნდა ავტომანქანების გასამართი სადგური და იქ შეეძლო, შეემოწმებინა ავტომანქანა, პალატამ კი გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნა, რომ ს. ს-ა ფლობს ავტომანქანების პროფილაქტიკას. ამდენად, მას ჰქონდა საშუალება, თავად შეემოწმებინა შექმნილი ავტომობილი. რეალურად, არც ერთი მითითებული გარემოება არ შეესაბამება სინამდვილეს. პალატამ არასწორად არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და განმარტა, რომ ავტომობილის მესაკუთრე ვ. მ-ი გარდაიცვალა 2010 წლის 8 აპრილს. საქმეში მოთავსებული 2010 წლის 11 მაისის სანოტარო აქტით დგინდება, რომ გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრე თ. მ-ეს კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილი აქვს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, რაც ნიშნავს მ-ის სამკვიდროს მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე სამკვიდროს მართვის ფარგლებში მ-ე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სამკვიდრო მასა ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლის მონაწილეც იყო მამკვიდრებელი, ანუ სასამართლო უთითებს, რომ 2010 წლის 11 მაისს თ. მ-ემ შვილისაგან მიიღო სამკვიდრო, მათ შორის სადავო ავტომობილი. იმავე განჩინებაში პალატა უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ სადავო ნივთის მესაკუთრეს წარმოადგენს ს. ს-ა. პალატის განმარტებით, როდესაც მ-ემ ს-ას გადასცა ტექ-პასპორტი და ავტომობილი მან შეასრულა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროიდან პალატა ს-ას მიიჩნევს სადავო ავტომანქანის მესაკუთრედ. მანქანისა და ტექპასპორტი გადაეცა 2009 წლის თებერვალში, ე. ი. ს-ა მანქანის მესაკუთრე გამხდარა 2009 წლის თებერვლიდან ანუ ვ. მ-ის საკუთრებას სწორედ ამ დროიდან აღარ წარმოადგენდა. ამ ფონზე გაურკვეველია როგორ მიიღო მემკვიდრეობით მ-ემ 2010 წლის 11 მაისის სანოტარო აქტით უკვე ს-ას საკუთრებაში მყოფი ავტომობილი ან როგორ აღმოჩნდა იგი სამკვიდრო მასაში. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი, «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრის №150 ბრძანებით დამტკიცებული «მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ» ინსტრუქცია, როდესაც აღნიშნული საფუძვლებით ავტომობილის მესაკუთრედ მიიჩნია ს. ს-ა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 491-ე და 352-ე მუხლები. თ. მ-ემ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით დადგენილი წესი, ს. ს-ას არ გადასცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. მას შემდგომ რაც ავტომანქანას აღმოაჩნდა ნაკლი, თ. მ-ე კი უარს აცხადებდა, როგორც ნაკლის გამოსწორებაზე ასევე მისი გამოსწორე-

ბისათვის გადახდილი თანხის ანაზღაურებაზე, ს-ას კანონიერი უფლება წარმოეშვა, გასულიყო ხელშეკრულებიდან და მოეთხოვა ნივთის უკან დაბრუნება, რაც გააკეთა კიდეც: იგი კატეგორიულად ითხოვდა მ-ისგან უკან წაეყვანა თავისი ავტომანქანა და გადაეხადა მისთვის ავტომანქანის რემონტისათვის დახარჯული თანხა, წინასწარ გადახდილ 1000 ლართან ერთად. ს. ს-ას მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის დამადასტურებელია მხარეთა მიერ პირველი ინსტანციაში მიცემული ახსნა-განმარტებები, მოწმეების ჩვენებები, ასევე თავად ს-ას ქმედება, რაც გამოიხატა წინასწარ გადახდილი 1000 ლარის შემდგომ თ. მ-ისათვის ავტომანქანის ღირებულების დარჩენილი ნაწილის აუნაზღაურებლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულია ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის თებერვალში თ. მ-ესა და ს. ს-ას შორის დაიდო ზეპირი გარიგება, რომლის თანახმად მოპასუხემ მოსარჩელისგან 5000 აშშ დოლარად შეიძინა თ. მ-ის ავტომანქანა. მოპასუხეს ნასყიდობის ფასი უნდა გადაეხადა ნაწილ-ნაწილ, არა უგვიანეს 2009 წლის ივნისისა. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი – ავტომანქანა «მერსედეს – ბენცი» №V1239158 ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის საფუძველზე საკუთრების უფლებით აღრიცხული იყო თ. მ-ის აწ გარდაცვლილი შვილის ვ. მ-ის სახელზე. ვ. მ-ის სამკვიდრო მიღებული აქვს თ. მ-ეს და იგი წარმოადგენს მის უფლებამოსილებას. 2006 წლის 26 ივლისის №1-4204 მინდობილობის თანახმად, ავტომანქანის შესახებ გარიგების შედგენის მომენტში თ. მ-ეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გააჩნდა ვ. მ-ის მოძრავი ქონების განკარგვის სრული უფლებამოსილება. 2009 წლის თებერვალში მხარეთა შორის ნასყიდობის ზეპირი გარიგების დადების შემდეგ, მოპასუხეს ფაქტობრივადაც გადაეცა ნაყიდი ავტომანქანა და ს. ს-ამ დაიწყო ამ ნივთით სარგებლობა. ავტომანქანით სარგებლობდნენ არა მარტო ნივთის უშუალო შემძენი, არამედ მისი თანამშრომლებიც. მოპასუხე და მისი თანამშრომლები მოსარჩელისგან შესყიდული ავტომანქანით სარგებლობდნენ ნასყიდობის ზეპირი ხელშეკრულების დადებიდან – 2009 წლის თებერვლიდან 2009 1 აგვისტომდე. 2009 წლის 1 აგვისტოს შედგენილი საჯარიმო ქვითრით დასტურდება, რომ ავტომანქანას მართავდა იდრის ინქენდეროლუ, რომლის დაჯარიმების შედეგად საჯარიმო ავტოსადგომზე მოხვდა. ავტომანქანა «მერსედეს ბენცი»» კვლავ ირიცხება ვ. მ-ის სახელზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლების თანახმად ავტომანქანა წარმოადგენს რა მოძრავ ნივთს, მასზე უნდა გავრცელდეს ამ კატეგორიის ნივთებთან დაკავშირებული საკუთრების გადაცემის სამართლებრივი რეჟიმი. ამავე კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნივთის გადაცემად ითვლება, შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: მესაკუთრის ნამდვილი, ლეგიტიმური უფლება და ნივთის გადაცემა. ავტომანქანის ნასყიდობაზე შეთანხმების მომენტში თ. მ-ეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე გააჩნდა ვ. მ-ის მოძრავი ქონების განკარგვის სრული უფლებამოსილება, ასევე უდავოა, რომ 2009 წლის თებერვალში, მხარეთა შორის ნასყიდობის ზეპირი გარიგების დადების შემდეგ, მყიდველს – ს. ს-ას პირდაპირ მფლობელობაში გადაეცა ავტომანქანა და დაიწყო ამ ნივთით სარგებლობა. ამდენად, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელთაც ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის, ამავე კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი (ავტომანქანა «მერსედეს ბენცი») და ნასყიდობის ფასი (5000 აშშ დოლარი). ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენდა ნასყიდობის ფასის ავტომანქანის გადაცემის შემდეგ, არა უგვიანეს 2009 წლის ივნისამდე გადახდა. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მყიდველს ნასყიდობის საფასური სრულად არ გადაუხდია.

ზემოაღნიშნულით დასტურდება მოძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობისთვის აუცილებელი ორივე წინაპირობის არსებობა, მაგრამ ს. ს-ასთვის საკუთრების უფლების გადაცემა შეთანხმების პირობების სამართლებრივი შეფასებით არ მომხდარა, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს, რომ მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემძენზე საკუთრება გადავიდოდა ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად, თუ გამსხვივებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვივებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ.

მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნივთის გადაცემა შემძენისათვის ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე საკუთრების უფლების გადასვლას. ნივთის მიღებით მყიდველი იძენს მისი ფლობისა და სარგებლობის უფლებას, თუმცა ნივთის განკარგვის უფლებამოსილება მთლიანად გამყიდველს რჩება, რომელიც ჯერ კიდევ მესაკუთრეა, ვიდრე თანხის სრულად გადახდა არ მოხდება. პირობადებული საკუთრება – გამყიდველისთვის მესაკუთრის ტიტულის შენარჩუნება წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი გამყიდველის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ანუ შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლა დამოკიდებულია ვალდებულების შესრულების პირობაზე – ნასყიდობის საფასურის გადახდაზე.

ამდენად, ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ საკუთრების უფლება კასატორს ავტომატულად არ გადასცემია, რადგან გამსხვივებელმა (თ. მ-ემ) პირობად დათქვა შემძენზე (ს. ს-აზე) საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ თანხის (5 000 აშშ დოლარის) სრულად გადახდის შემდეგ. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ავტომატობის ამჟამინდელი მესაკუთრე თ. მ-ეა, რომელსაც, როგორც ზემოთ დასაბუთდა, სრული უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ავტომატობილი, მართალია წარმოადგენს მოძრავ ნივთს, მაგრამ მასზე ვრცელდება რა სპეციალური რეჟიმი, საკუთრების წარმოსაშობად საკმარისი არ არის მარტოდენ მხარეთა შეთანხმება და ნივთის გადაცემა, არამედ დამატებით საჭიროა შემძენის მესაკუთრედ რეგისტრაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რადგან «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალება, მისაბმელი, ნომრიანი აგრეგატი ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას.

საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველები ამომწურავადაა დადგენილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. ამავე კოდექსის 186-ე-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძველები, ეს წესები თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და იგი არ ადგენს მოძრავ ნივთზე საკუთრების შესაძენად სავალდებულო რეგისტრაციას.

რაც შეეხება «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» საქართველოს კანონს, პირველი მუხლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული კანონით იმპერატიულად დადგენილია სატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო რეგისტრაცია, რაც თავისთავად არ წარმოადგენს ნივთზე საკუთრების წარმოშობის საფუძველს. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება.

მითითებული კანონის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცდა «მექანიკური და სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ» ინსტრუქცია, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრაციის შინაარსს, კერძოდ: ინსტრუქციის მე-3 მუხლი განსაზღვრავს რა ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებას, მე-6 პუნქტით ადენს, რომ მესაკუთრედ მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების უფლება და გააჩნია შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, აგრეთვე ნოტარიულად შედგენილი საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მმართველი პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-12 პუნქტით, მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლში მითითებული ორგანიზაცია ან დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლებას. საგულისხმოა ინსტრუქციის მე-11 მუხლი, რომლის ძალითაც მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება დასტურდება ერთ-ერთი დოკუმენტით, რომელიც გაცემს: ა) სარეგისტრაციო განყოფილებებმა (ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა, ტექნიკური ტალონი, სააღრიცხვო ბარათი, ერთობლივი განცხადება (დანართი №1) და ასევე სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა. ამავე ინსტრუქციის №1 დანართი კი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების გადაცემის მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შედგენილი ერთობლივი განცხადების ნიმუშს წარმოადგენს, რის საფუძველზეც სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია ხორციელდება. ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით მოცემულია მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დეფინიცია, კერძოდ, რეგისტრაცია არის ამ ბრძანებით განსაზღვრული წესით, სააგენტოს მიერ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაცია, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელება, სარეგისტრაციო ნიშნების მინიჭება, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისათვის მათი დაშვება და დადგენილი წესით სარეგისტრაციო სისტემასა და დოკუმენტებში ინფორმაციის აღრიცხვა.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტომანქანის რეგისტრაციის მიზანი და დანიშნულება კანონით ამომწურავად არის განსაზღვრული და იგი ამ ნივთზე საკუთრების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა არ არის, თუმცა მესაკუთრის შეცვლა სავალდებულო რეგისტრაციას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, მოპასუხისათვის ნივთის გადაცემის დროს ნასყიდობის საგნის ნაკლის არცოდნასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთის განაწილებისა და ფაქტობრივი გარემოებების დაუდასტურებლობის თაობაზე.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ, ვინაიდან თ. მ-ის მოთხოვნას სპეციალურ ავტოსადგომზე მანქანის განთავსების თანხების ანაზღაურების შესახებ ეთქვა უარი, ფაქტობრივად კასატორს დაეკისრა ამ თანხის გადახდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი) გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. იგი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამდენად, პირი სარჩელის შეტანის გზით იცავს თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზიის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია. ნიშანდობლივია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის პოზიციას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» პუნქტის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ იმ საფუძვლით, რომ თ. მ-ე წარმოადგენს არაუფლებამოსილ პირს, და აღნიშნავს, რომ ავტომობილის მესაკუთრე ვ. მ-ი გარდაიცვალა 2010 წლის 8 აპრილს. საქმეში არსებული 2010 წლის 11 მაისის სანოტარო აქტით დგინდება, რომ გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეს – თ. მ-ეს კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილი აქვს განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, რაც ნიშნავს ვ. მ-ის სამკვიდროს მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თ. მ-ე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სამკვიდრო ქონება ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლის მონაწილეც იყო მამკვიდრებელი. მართალია, ვ. მაჭვარიანი გარდაიცვალა მანამდე, სანამ იგი საკუთარ ნებას გამოხატავდა მოცემულ დავასთან მიმართებით, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ თ. მ-ემ, როგორც მისმა უფლებამონაცვლემ, მოიპოვა უფლებამოსილება, გამოეხატა ნება ვ. მ-ის მავივრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ს. ს-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აუცილებელი გზა

განჩინება

№ას-744-801-2011

13 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. გ-ის წინააღმდეგ ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ქ. საჩხერეში, ... ქუჩა №4-ში მდებარე თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობით მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების მხრიდან ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე ცხოვრობს ქ. საჩხერეში, ... ქ. №4-ში, რომელსაც მამამ, სიცოცხლეშივე – 2007 წლის 24 ოქტომბერს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადასცა საცხოვრებელი სახლი და 1047 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მოსარჩელის მეზობლად 1978 წელს დასახლდა მოპასუხე რ. გ-ი, რომელიც უკანონოდ დაეუფლა მისი ეზოს ნაწილს და იყენებს სახლში შესასვლელად. ვინაიდან ზ. ჯ-ეს მოპასუხის აღნიშნული ქმედებით ეზღუდება უფლება, თავისი საკუთრებით ისარგებლოს, იგი ითხოვს რ. გ-ისა და მასთან მცხოვრები პირების დავალდებულებას, გაათავისუფლონ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი უკანონო მფლობელობიდან და აღიკვეთოს მათი მხრიდან ქ. საჩხერეში, ... ქუჩა №4-ში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გზად გამოყენება, ასევე – მოპასუხის დავალდებულებას საკუთარი ხარჯებით აილოს სასაზღვრე მიჯნაზე არსებული ჭიშკარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მას მოსარჩელის მამამ – გ. ჯ-ემ დაუთმო მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან გარკვეული ნაწილი და ასევე მისცა ჩრდილოეთ მხარეს არსებული გზით სარგებლობის უფლება, რისთვისაც მან გ. ჯ-ეს გადაუხადა 2000 ლარი.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ზ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-ი მართლზომიერად სარგებლობდა სადავო შესასვლელით ათეული წლების მანძილზე, მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან კანონით დადგენილი წესით ჰქონდა დადასტურებული შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით. ამას გარდა, სასამართლომ მიუთითა, რომ რ. გ-ს თავის საცხოვრებელ სახლში არსებულ ავტოფარეხში ავტომანქანის შესასვლელად საჯარო გზიდან, გარდა სადავო შესასვლელისა, სხვა შესასვლელი ფაქტობრივად არ გააჩნდა, შესაბამისად, სასამართლომ ზ. ჯ-ის სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ გადაწყვეტილების სამართებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 147-ე, 170-ე, 172-ე, 174-ე, 180-ე მუხლები.

რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინებით ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელე ზ. ჯ-ე რეგისტრირებული იყო და ცხოვრობდა ქ. საჩხერეში, ... ქ. №4-ში. მის საკუთრებაში იმავე ქუჩაზე დღესდღეობით ირიცხება მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი (მონაცემები: მიწის სარეგისტრაციო №..., სექტორი საჩხერე კოდი 01, კვარტლის №05, ნაკვეთის 091, ფართობი დაუზუსტებელი 1047 კვ.მ, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, საცხოვრებელი სახლი საერთო ფართობით 174,9 კვ.მ. სააღსრიცხო ბარათის თარიღი 24.10.2007წ). 2007 წელს ზემოაღნიშნული უძრავი ქონება მოსარჩელეს აჩუქა მამამ – გ. ჯ-ემ, რომელიც გარდაიცვალა 2009 წელს;

გ. ჯ-ე საჩხერეში, ... ქ. №4-ში ფლობდა 5100 კვ.მ. მიწის ნაკვეთს საცხოვრებელი სახლს დამხმარე სათავსებით. იგი თავის ეზოს უკავშირდებოდა პირდაპირ ე-ის ქუჩიდან;

2007 წელს გ. ჯ-ემ საჩხერეში, ... ქ. №4-ში მდებარე თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება აჩუქა შვილებს: ზ., ე., ტ., ლ., ქ. ჯ-ებს და შვილიშვილს გ. მ-ი (ე. ჯ-ეს აჩუქა 78 კვ.მ. მიწის ფართობი 75 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე მეორე საცხოვრებელ სახლთან ერთად, ტ. ჯ-ეს – 750 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ლ. ჯ-ეს – 832 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ქ. ჯ-ეს – 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, გ. მ-ს – 225 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 75,7 კვ.მ. საერთო ფართობის მქონე სახელოსნოს შენობასთან);

გ. ჯ-ემ რამდენიმე დამოუკიდებელ ნაკვეთად გააჩუქა მთლიანად ქ. საჩხერეში ... ქუჩაზე მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ამჟამინდელი მდგომარეობით, მოსარჩელე პირდაპირ ... ქუჩიდან უკავშირდებოდა თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ასევე ფაქტობრივად ამავე შესასვლელით სარგებლობდა მოპასუხე ავტომობილით თავის საკუთარ ეზოში შესასვლელად. ასევე ამავე შესასვლელით უწევდა თავიანთ საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებასთან დაკავშირება მოსარჩელის დებს და დის შვილს. ამასთან მოსარჩელე რ-ის ქუჩას ესაზღვრებოდა 14,8-მეტრიანი ზოლით.

სასამართლომ დაადგინა, რომ რ. გ-ი ზ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული არავითარი ნაგებობით არ სარგებლობდა. ის სარგებლობდა ამჟამად ზ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული შესასვლელით და მას 21-მეტრიანი საზღვარი ჰქონდა მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან, რომელშიც დაყენებულია კაპიტალური რკინის ჭიშკარი ავტომანქანისათვის.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დამატებით 200 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამჟამად აღრიცხულია მოპასუხის საკუთრებაში, დავა არ არსებობდა. ასევე დავა არ არსებობდა მხარეებს შორის შესასვლელის საკუთრების კანონიერებაზე. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1978 წლიდან რ. გ-ი და მისი ოჯახის წევრები სარგებლობდნენ რ-ის ქუჩიდან შესასვლელით, რომლის სიგანე 7 მეტრია.

რ. გ-ი მოსარჩელის მოსაზღვრედ საკუთრებაში ფლობდა 740 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ... ქუჩის მხრიდან სახლში მოქცეული ჰქონდა ავტოფარეხი, ხოლო რკინიგზის სადგურის მხრიდან – ფეხით სასიარულო ჭიშკარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. გ-ის მიერ ამ შესასვლელით სარგებლობით აღკვეთისათვის სარგებლობის დაწყებიდან გარდაცვალებამდე – გ. ჯ-ეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს სასამართლოსათვის არ მიუშარტავს;

2008 წლის 30 იანვრის საკუთრების მოწმობით, მოსარჩელემ საკუთრებაში დაიმატა მოსაზღვრე 140 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

1978 წლის 29 აგვისტოს საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მოპასუხე რ. გ-ს სამოსახლოდ გამოეყო ქალაქის მიწის ფონდიდან 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ე-ის ქუჩაზე (ამჟამად რ-ის ქუჩაზე) გ. ა-ის ყოფილი იმ დროისათვის თავისუფალი მიწის ნაკვეთის საზღვრებში. კერძოდ აღმოსავლეთით კ-ის ქუჩა (ამჟამად დ-ის ქუჩა), დასავლეთით ღელე (რომელიც აღიარების წესით მოპასუხემ დაისაკუთრა), ჩრდილოეთით – ე-ის ქუჩის ჩიხი (ამჟამინდელი რ-ის ქუჩა სადაო შესასვლელით), სამხრეთით – ე-ის ქუჩა. ნება დაერთო მოპასუხეს შეთანხმებული პროექტით ეწარმოებინა ბინათმშენებლობა.

მოპასუხის მიერ შეთანხმებულ იქნა მშენებლობის პროექტი და ამავე პროექტით დასტურდებოდა, რომ რ. გ-ის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტი გაცემული და შეთანხმებული იყო ყველა უწყებასთან, რაც იმ დროისათვის კანონით იყო განსაზღვრული. პროექტში მითითებული იყო, რომ გაცემულია ე-ის ქუჩაზე (რ-ის) მშენებარე სახლზე და არა კ-ის ქუჩაზე (დ-ის) მშენებარე სახლზე.

1988 წელს ტექნიკენტარიზაციის ბიუროს მიერ გაცემული პასპორტით, რ. გ-ის საცხოვრებელი სახლი აღრიცხულია ე-ის ქუჩაზე. ასევე დადგინდა, რომ რ. გ-ი რეგისტრირებული იყო და არის რ-ის (ე-ის) ქუჩაზე №6 ნომერში სახლთმფლობელობის შეძენის დღიდან. მოცემული მისამართი იწოდებოდა ხან №4-ად, ხან №4-დ. ამჟამინდელი მდგომარეობით მოპასუხის მიწის ნაკვეთს რ-ის ქუჩა ესაზღვრებოდა მხოლოდ ამ სადავო შესასვლელით-ჩიხით. სამხრეთის მხარეზე მას ესაზღვრებოდა რ-ის ქუჩაზე მცხოვრები ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

სასამართლომ დაადგინა, რომ რ. გ-ის საცხოვრებელ სახლს ძირითადი შესასვლელი, მათ შორის ავტომობილისათვის ჰქონდა რ-ის ქუჩის მხრიდან, ამავე ქუჩის მხრიდან ჰქონდა ავტოფარეხიც.

დ-ის ქუჩის მხრიდან მოპასუხეს გააჩნდა საცალფეხო ჭიშკარი.

დ-ის ქუჩაზე მოპასუხის საკუთრებაში არსებული ნაკვეთი ესაზღვრებოდა დაახლოებით რვა მეტრიანი ზოლით. ამ ზოლზე იყო საცალფეხო ჭიშკარი. მაგრამ საზღვრის დანარჩენი ნაწილი კაპიტალური კედლით ესაზღვრებოდა სახელმწიფო მიწას – რკინიგზის სადგურის გამწვანებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე დ-ის ქუჩიდან ავტომანქანით ვერ უკავშირდებოდა ავტოფარეხს და მის წინააღმდეგარე ეზოს.

დ-ის ქუჩაზე მის მოსაზღვრედ იყო საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ცხოვრობდა, რამდენიმე ოჯახი და მათაც საერთო საკუთრებაში ჰქონდათ მოპასუხის მოსაზღვრე ეზო.

სადავო შესასვლელი ისე კაპიტალურად იყო მოწყობილი, რომ სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია მოცემულ შემთხვევაში ამ შესასვლელით ათეული წლების განმავლობაში რ. გ-ის მიერ სარგებლობა. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილა მასზე, რომ მოცემული შესასვლელით უკავშირდებოდა კიდევ 5 დამოუკიდებელ ნაკვეთს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1978 წლიდან დღემდე ტექნიკენტარიზაციის ბიურომ რამდენჯერმე ჩაატარა საჩხერეში ქუჩების ინვენტარიზაცია, მაგრამ მოპასუხის მისამართის დასახელება და საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელი არ შეცვლილა, რაც ასევე აღნიშნული დადასტურებულია ბიუროს ყოფილი უფროსის ჩვენებითაც.

სასამართლომ დაადგინა, რომ 1997 წელს გ. ჯ-ის ოჯახის წევრებმა მოპასუხეს შესთავაზეს, გარკვეული პირობების სანაცვლოდ რ. გ-ს ესარგებლა შესასვლელით, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეშლა, მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხის მხრიდან გამოიხატებოდა იმაში, რომ ოჯახებს ჰქონდათ ცუდი ურთიერთობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. გ-ს მიწის ნაკვეთის გამოყოფის პროექტის შეთანხმებისას, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პერიოდში გ. ჯ-ის თანხმობით ჰქონდა მიღებული სადავო შესასვლელით სარგებლობის უფლება კანონის საფუძველზე, მით უმეტეს, რომ აღნიშნული დადასტურებული იყო შესაბამისი ორგანოების თანამდებობის პირების ხელმოწერით და აღმასკომის გადაწყვეტილებით. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ იმ დროისათვის (1978 წლისათვის) მიწა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრება იყო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილული იქნა მოსარჩელის განცხადება საჩხერის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1978 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასაპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-ი ზ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული არავითარი ნაგებობით არ სარგებლობს. ის სარგებლობს ამჟამად ზ. ჯ-ის საკუთრებაში არსებული შესასვლელით და მას 21-მეტრიანი საზღვარი აქვს მოსარჩელის მიწის ნაკვეთთან. მოცემულ საზღვარში დაყენებულია კაპიტალური რკინის ჭიშკარი ავტომანქანისათვის.

სასაპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჭიშკარი დიდი ხნის ჩადგმული იყო, ხოლო მიწის ნაკვეთით, რაზეც ჭიშკარი დგას იმ დროს, სარგებლობდა ზ. ჯ-ის მამა, რადგან მიწა იყო კოლმეურნეობის ანუ სახელმწიფოსი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის საფუძველზე, სააპელაციო პალატამ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 147-ე, 170-ე, 174-ე, 172-ე მუხლებზე და დადგინილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ჩათვალა, რომ რ. გ-ს ჰქონდა მართლზომიერად ამჟამად მოსარჩელის საკუთრებაში აღრიცხული სადავო შესასვლელით სარგებლობის უფლება.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელის განმარტება მასზე, რომ რ-ის ქუჩასთან რ. გ-ის სახლს საჯარო კავშირი არ გააჩნდა, რ-ის ქუჩას უკავშირდება ზ. ჯ-ის მიწა, ხოლო ზ. ჯ-ის მიწა დ-ის ქუჩას არ უკავშირდება. ერთადერთი შემოსასვლელი არის რ-ის ქ. №4-იდან, მაგრამ ეს არ არის სახლის წინა მხარე, სახლის წინა მხარეც და მისამართიც რ. გ-ს აქვს დ-ის ქუჩიდან. და სწორედ ამ ქუჩის მხრიდან ითხოვს აპელანტი მოიწყოს მან გარაჟიც და შესასვლელიც, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ვინაიდან, აღნიშნა, რომ თავიდანვე, 1978 წლის 29 აგვისტოს, საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რ. გ-ს სამოსახლოდ გამოეყო ქალაქის მიწის ფონდიდან 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ე-ის ქუჩაზე (ამჟამად რ-ის ქუჩა) გ. ა-ის ყოფილი იმ დროისათვის თავისუფალი მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა განმარტებების საფუძველზე, პალატამ დადგინილად ჩათვალა, რომ რ. გ-ს ავტომანქანის შესაყვანად და ავტოფარეხში მოსათავსებლად საჯარო გზიდან სხვა შესასვლელი არ გააჩნდა და იგი ამ გზით სარგებლობდა უკვე დაახლოებით 3 ათეული წელი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ რ. გ-ი მართლზომიერად სარგებლობდა სადავო შესასვლელით ათეული წლების მანძილზე მესაკუთრის თანხმობის საფუძველზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან კანონით დადგენილი წესით ჰქონდა დადასტურებული შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით. გარდა ამისა, რ. გ-ს თავის საცხოვრებელ სახლში არსებულ ავტოფარეხში ავტომანქანით შესასვლელად საჯარო გზიდან, გარდა სადავო შესასვლელისა, სხვა შესასვლელი ფაქტობრივად და ფორმალურად არ გაჩნია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ დ-ის ქუჩიდან რ. გ-ს სამანქანე გზა არ გააჩნია და თუკი მისთვის ზ. ჯ-ის მიწის ნაკვეთიდან აკრძალვება ეზოში შესვლა, ანუ ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობა, სასამართლოს აზრით, აღნიშნული აკრძალვით შეილახება რ. გ-ის ინტერესები, რ-ის ქუჩიდან ანუ მისი საცხოვრებელი სახლის მისამართიდან, დაუკავშირდეს საჯარო გზას და კომუნიკაციებს.

ამდენად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 174-ე და 180-ე მუხლები და უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე მუხლებით და დაეკმაყოფილებინა სარჩელი.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად დაეყრდნო საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1978 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებას.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტი მასზე, რომ მოსარჩელე რ-ის ქუჩას ესაზღვრება 14.8-მეტრიანი ზოლით და ამავე შესასვლელით უწევს თავიანთ საკუთრებაში მყოფ უძრავ ქონებასთან დაკავშირება მის დებს.

კასატორის აზრით, არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ რ. გ-ს შეთანხმებული იყო მამამისთან სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ არსებობს;

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ რ. გ-ს მითითებული შესასვლელით სარგებლობის უფლება მართლზომიერად აქვს, ვინაიდან არც ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მოიპოვება საქმეში;

კასატორის განმარტებით, არასწორადაა დადგენილი, რომ მოსარჩელემ 2008 წლის 30 იანვარს საკუთრების მოწმობით დაიმატა მოსაზღვრე 140 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ვინაიდან საჯარო რეესტრში დაცული, საქმეში არსებული საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ 2008 წლის 30 ივნისს გაცემული №13 საკუთრების უფლების მოწმობით დადგენილია, რომ მოსარჩელემ კი არ დაიმატა მოსაზღვრე 140 კვ.მ მიწის ნაკვეთი, არამედ მოპასუხემ დაიმატა 340 კვ.მ.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ რ. გ-ს რ-ის ქუჩის გარდა სხვა შესასვლელი სახლში და ავტოფარეხში არ გააჩნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, ზ. ჯ-ეს (მესაკუთრეს) რამდენად აკისრია თმენის ვალდებულება რ. გ-ის (მომეჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე) მიერ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს აუცილებელი გზის გამოყენების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ ფაქტობრივ გარემოებებიდან, რომლებიც დადგენილად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, არ გამომდინარეობს ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრული შედეგი.

აღნიშნული ნორმის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

განსახილველი ნორმით წესრიგდება სამეზობლო თემის ვალდებულება, რაც წარმოადგენს საკუთრების კანონისმიერი ბოჭვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ ნორმით გათვალისწინებული ბოჭვის უფლების ამ ხარისხით გამოყენება განპირობებული უნდა იყოს ისეთი ობიექტური ფაქტორებით, რომლის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია მესაკუთრის მიერ თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარეშე. მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენება ნიშნავს საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის არსებობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კავშირის არსებობა არ არის დამოკიდებული სუბიექტური მიზანშეწონილობასა და არჩევანზე, არამედ ობიექტურად არსებულ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც უთითებენ აუცილებელ, უალტერნატივო კავშირზე საჯარო გზებთან და ა.შ.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რ. გ-ი მეზობლის მიწის ნაკვეთით სარგებლობს სამი ათეული წლების მანძილზე. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლო აუცილებელი გზის არსებობას იმით ხსნის, რომ რ. გ-ი მართლზომიერად სარგებლობდა სადავო შესასვლელით მესაკუთრის (კასატორის მამის) თანხმობის საფუძველზე, რაც სახელმწიფოს მხრიდან კანონით დადგენილი წესით ჰქონდა დადასტურებული შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო მესაკუთრის (კასატორის მამის) თანხმობაში გადაწყვეტილების მიხედვით, გულისხმობს იმას, რომ რ. გ-ს მიწის ნაკვეთი გამოყოფილი ჰქონდა ე-ის (ამჟამად რ-ის) ქუჩიდან და, ასევე ამ ქუძაზე უთითებდა მშენებარე სახლზე გაცემული პროექტი და ტექნიკური ნიშნის ბიუროს მიერ გაცემული პასპორტი, ამდენად რ. გ-ის საცხოვრებელ სახლს ძირითადი შესასვლელი, მათ შორის ავტომობილისათვის ჰქონდა რ-ის ქუჩის მხრიდან, ამავე ქუჩიდან ჰქონდა ავტოფარეხიც. ასევე სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, გარდა ამისა, რ. გ-ს თავის საცხოვრებელ სახლში არსებულ ავტოფარეხში ავტომანქანით შესასვლელად საჯარო გზიდან, გარდა სადავო შესასვლელისა სხვა შესასვლელი ფაქტობრივად და ფორმალურად არ გააჩნია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები არ შეიძლება უთითებენ კასატორის (ან მისი მამის) მიერ რ. გ-ისათვის საშუალოდ ამ გზით სარგებლობის დათმობის თანხმობაზე, მით უმეტეს გასათვალისწინებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 1997 წელს გ. ჯ-ის ოჯახის წევრებმა მოპასუხეს შესთავაზეს, გარკვეული პირობების სანაცვლოდ, რ. გ-ს ესარგებლა შესასვლელით, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ (კასატორის მამა – გ. ჯ-ე გარდაიცვალა 2009 წელს).

აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ გ. ჯ-ის სიცოცხლეშივე მხარეები ვერ შეთანხმდნენ სარგებლობის წესზე. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დგინდება ის, რომ რ. გ-ის მიერ სამი ათეული წლები სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობისა გააჩნდა ავტოფარეხი.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებები არ იწვევენ სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით 180-ე მუხლი) განსაზღვრულ იურიდიულ შედეგს, რადგან აღნიშნული ნორმა წარმოადგენს კანონისმიერი ბოჭვის ამსახველ დანაწეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, ანუ ობიექტური გარემოება (სხვა გზის არარსებობა, რაც ნივთის ჯეროვანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა და ამით ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა მცირდება ან საერთოდ იკარგება) წარმოშობს სხვისი ნივთით სარგებლობის აუცილებლობას. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით აუცილებელი გზის მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში დადგენა განპირობებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამავე კოდექსით აღიარებული საკუთრების უფლების თავისუფლებით, ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ აუცილებელი ბოჭვის ფარგლებში (იხ. სასამართლო პრაქტიკა: უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის №ას-102-100-2011 განჩინება).

ის გარემოება, რომ დ-ის ქუჩიდან რ. გ-ი ავტომანქანით ვერ უკავშირდება ავტოფარეხს და მის წინამდებარე ეზოს არ შეიძლება გახდეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს თუ რამდენად შესაძლებელია რ. გ-ის მიერ დ-ის ქუჩასთან ავტომანქანით დაკავშირება.

ამ შემთხვევაში ყურადსაღებია არა დ-ის ქუჩიდან მის ავტოფარეხთან დაკავშირების შეუძლებლობა, არამედ ზაგადად რ. გ-ის მიწის ნაკვეთიდან ავტომანქანით საჯარო გზასთან (დ-ის ქუჩის მხრიდან) დაკავშირების შეუძლებლობაზე და, აქედან გამომდინარე, მეზობელი (კასატორის) მიწის ნაკვეთით სარგებლობის აუცილებლობაზე, რაც შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების უფლების აუცილებელი გზით დატვირთვის კანონით გათვალისწინებულ წინაპირობას. ამ შემთხვევაში უტყუარად უნდა დადასტურდეს ან გამოირიცხოს რ. გ-ის მიწის ნაკვეთთან სხვა გზით დაკავშირება.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს რეალურად არსებობს თუ არა მესაკუთრე ზ. ჯ-ის საკუთრების უფლების აუცილებელი გზით დატვირთვის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. კონკრეტულ შემთხვევაში დ-ის ქუჩასთან კავშირის შეუძლებლობა უნდა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მაგალითად, სხვისი მიწის ნაკვეთის ან სხვისი ნაგებობის, ავტომანქანის ამ მხრიდან

ფიზიკურად შეყვანის შეუძლებლობით ან სხვა ისეთი გარემოების არსებობით, რაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (რ. გ-ი) ნების დამოუკიდებლად შეუძლებელს ხდიან საჯარო გზასთან დაკავშირებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 მარტის განჩინება და საქმე ხელახალი განსახილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აუცილებელი გზა

განჩინება

№ას-6-6-2012

23 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: აუცილებელი გზის დადგენა, სერვიტუტის დადგენა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 26 აპრილს პ. შ-ემ სასამართლოში შპს „მ. ბ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხის კუთვნილ ნაკვეთზე აუცილებელი გზის დადგენისა და მოპასუხის მიწის ნაკვეთის მისი ნაკვეთის სასარგებლოდ სერვიტუტით დატვირთვის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, რომელზედაც განლაგებულია სამშენებლო საწარმო, არ გააჩნდა მისასვლელი ცენტრალურ გზასთან. იგი სარჩელის აღძვრის დროისათვის შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამავალი დროებითი მოხრეშილი გზით სარგებლობდა, თუმცა მოპასუხესთან ამ საკითხზე სადავო ურთიერთობა ჰქონდა, რაც მომავალში იმავე გზით სარგებლობის შესაძლებლობას გამორიცხავდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთს გააჩნდა საავტომობილო მისასვლელი გზა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით პ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინებით პ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში მდებარე 808 კვ. მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითურთ. მოსარჩელე ინდ. მეწარმეა, ეწევა სამშენებლო მასალების დამზადება-რეალიზაციას, რისთვისაც იყენებს სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებს;

2. მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ფართობი რეგისტრირებულის ჩათვლით შეადგენს 2794, 94 კვ.მ-ს, რომელიც დასავლეთის მხრიდან შემოსაზღვრულია ბლოკის კედლით, ხოლო სამხრეთით, მოპასუხის მხარეზე, შემოღობილია მავთულბადით, რომელშიც მოქცეულია ჭიშკარი;

3. მითითებული ნაკვეთი მდებარეობს ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სადაც 1994 წლამდე ფუნქციონირებდა კირისა და ბეტონის ხსნარის საამქრო. 1994 წელს იგი პრივატიზების წესით საკუთრებაში გადაეცა ვ. ლ-ს, რომელმაც 2008 წლის 30 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა მოსარჩელე პ. შ-ეს;

4. შპს «მ. ბ-ს» საკუთრებად ირიცხება 20 100 კვმ მიწის ნაკვეთი პ. შ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მეზობლად, სამხრეთის მიმართულებით. საკუთრების უფლება წარმოშობილია წყალტუბოს მერიის 30.09. 1997 წლის №20 გადაწყვეტილებით და წყალტუბოს რაიონის აღმასკომის სხდომის №152 გადაწყვეტილებით;

5. შპს «მ. ბ-ის» კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა ნაგებობები არასაცხოვრებელი ფართით სავაჭრო მოდულის და ავტოსერვისის სახით, სადაც მოპასუხე, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი, ძირითად საქმიანობას ეწევა ბაზრობის სახით გამართულ საბითუმო ვაჭრობას ავტოსათადარიგო ნაწილებით;

6. მოპასუხის მიწის ნაკვეთი პირდაპირ ესაზღვრება საჯარო დანიშნულების, ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო გზას;

7. მოსარჩელე რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, წლების განმავლობაში სარგებლობდა მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამავალი მიწაყრილი გზით, რომლის სრული სიგრძე საავტომობილო გზის მონაკვეთიდან 115 მეტრია და თითქმის მთლიანად მხოლოდ მოპასუხის მიწის ნაკვეთზეა მოქცეული;

8. კანონით დადგენილი წესით შეთანხმებული პროექტით «მ. ბ-ის» კუთვნილ მიწაზე გათვალისწინებული საბითუმო ვაჭრობისათვის გამოიხნული ობიექტების მშენებლობა, რაც შეუძლებელია იმავე ტერიტორიაზე სამანქანო გზის არსებობისას;

9. მოსარჩელეს გააჩნია ალტერნატივა მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის შპს «მ. ბ-ის» მიწის ნაკვეთის გამოყენებლად და ამდენად ამ კონკრეტული მიმართულებით აუცილებელი გზის საკითხი ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია;

10. ადგილის დათვალიერების ოქმით, ასევე წერილობითი მტკიცებულებებით-2011 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით შედგენილი სიტუაციური გეგმით დგინდება, რომ პ. შ-ეს ქუთაისი სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან დასაკავშირებლად გააჩნია ალტერნატიული საუბნო გზა, რომლითაც სარგებლობს კიდევ;

11. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2011 წლის №... დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ დღეის მდგომარეობით იმ „პ. შ-ის« სატვირთო-საავტომობილო აუცილებელი გზა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან რეგისტრირებული სახით არ გააჩნია და საჯარო გზას ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალს უკავშირდება „მ. ბ-ის« კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გავლით. იმ „პ. შ-ის« მიერ დაკავებულ ფართზე მისასვლელი ალტერნატიული გზის მოწყობა შესაძლებელია;

12. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული ექსპერტის ჩვენებით დგინდება, რომ 2011 წლის №... დასკვნის შედგენის დროისათვის ბლოკის კედლის მომიჯნავე მიწის ნაკვეთისა და იქ გამავალი საუბნო (საჯარო) გზის დათვალიერება არ მოუხდენია და არც პ. შ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საუბნო გზასთან დამაკავშირებელი, ბლოკის კედლის ბოლოში ჩადგმული სამანქანო ჭიშკარი არ დაუფიქსირებია

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აუცილებელი გზის მოთხოვნა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუკი მიწის ნაკვეთს არა აქვს აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან. ადგილის დათვალიერებითა და სიტუაციური გეგმით კი, დადგინდა, რომ მოსარჩელეს დღეისათვის გააჩნია სხვა მისასვლელი სამანქანო გზა, რომლითაც შესაძლებელია ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან დაკავშირება, რის გამოც აუცილებელი გზის მოთხოვნა, გაუმართლებელი იყო.

რაც შეეხება სერვიტუტის დადგენას, აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სერვიტუტი თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი გზით შეიძლება დადგინდეს, კერძოდ, კანონის ობიექტურ-ნორმატიული ნების საფუძველზე ან სანივთო გარიგების საფუძველზე. კანონისმიერი სერვიტუტის გამოყენებას კონკრეტული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს, ხოლო სანივთო გარიგებას მხარეთა ნება, რომლის შინაარსი ძირითადად კანონის ნორმატიული ნებით განისაზღვრება. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე წინააღმდეგია სერვიტუტის გაფორმებისა, რაც გამორიცხავს აღნიშნულის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული განჩინება პ. შ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „მ. ბ-ის« ინტერესების უპირატესობა პ. შ-ის კანონიერ ინტერესებთან მიმართებით არ იკვეთებოდა. სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ საკუთრების უფლება შეუზღუდავი არ არის და სერვიტუტის მართლზომიერებაზე ემსჯელა და არა ორმხრივი ნების არარსებობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ პ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ა« ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განჩინებას სერვიტუტის დადგენასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის ნაწილში. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სერვიტუტი თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ორი გზით შეიძლება დადგინდეს, კერძოდ, კანონის ობიექტურ-ნორმატიული ნების საფუძველზე ან სანივთო გარიგების საფუძველზე. კანონისმიერი სერვიტუტის გამოყენებას კონკრეტული ნორმატიული აქტი უზრუნველყოფს, ხოლო სანივთო გარიგებას მხარეთა ნება, რომლის შინაარსი ძირითადად კანონის ნორმატიული ნებით განისაზღვრება.

აუცილებელი გზისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის წიგნის მე-3 თავით გათვალისწინებული სერვიტუტი, თავისი ბუნებით, სანივთო გარიგება და მხარეთა შეთანხმებას საჭიროებს. ერთ-ერთი მხარის ნების საწინააღმდეგოდ, სასამართლო წესით სერვიტუტის იძულებით დადგენა დაუშვებელია, ისევე როგორც ნებისმიერი ხელშეკრულების დადების დავალდებულება, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული იძულებით კონტრაქტირების შემთხვევების გარდა. როგორც სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა,

განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე შპს „მ. ბ-ი“ სერვიტუტის გაფორმების წინააღმდეგია, ამდენად, აღნიშნულის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებელია.

რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს ამ შემთხვევაში პ. შ-ის კანონიერი ინტერესების უპირატესობაზე უნდა ემსჯელა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სამოქალაქო სამართალში არსებობს მიწის ნაკვეთის, რომელსაც სათანადო კომუნიკაციები არ გააჩნია, მესაკუთრის ინტერესების დაცვის სამართლებრივი საშუალება აუცილებელი გზის ინსტიტუტის სახით, სერვიტუტის გაფორმების იძულების გზით მხარის ნების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

რაც შეეხება აუცილებელი გზის დადგენას, პალატა პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. მოსარჩელის საკუთრებაში ირიცხება წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში მდებარე **808** კვ. მ არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა ნაგებობებითურთ. მოსარჩელე ინდ. მეწარმეა, ეწევა სამშენებლო მასალების დამზადება-რეალიზაციას, რისთვისაც იყენებს სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებს;

2. მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ფართობი რეგისტრირებულის ჩათვლით შეადგენს **2794, 94** კვ.მ-ს, რომელიც დასავლეთის მხრიდან შემოსაზღვრულია ბლოკის კედლით, ხოლო სამხრეთით, მოპასუხის მხარეზე, შემოღობილია მავთულბადით, რომელშიც მოქცეულია ჭიშკარი;

3. მითითებული ნაკვეთი მდებარეობს ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სადაც **1994** წლამდე ფუნქციონირებდა კირისა და ბეტონის ხსნარის საამქრო. **1994** წელს იგი პრივატიზების წესით საკუთრებაში გადაეცა ვ. ლ-ეს, რომელმაც **2008** წლის **30** მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა მოსარჩელე პ. შ-ეს;

4. შპს „მ. ბ-ს“ საკუთრებად ერიცხება **20 100** კვმ მიწის ნაკვეთი პ. შ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის მეზობლად, სამხრეთის მიმართულებით. საკუთრების უფლება წარმოშობილია წყალტუბოს მერიის **30.09. 1997** წლის **№20** გადაწყვეტილებით და წყალტუბოს რაიონის აღმასკომის სხდომის **№152** გადაწყვეტილებით;

5. შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა ნაგებობები არასაცხოვრებელი ფართით სავაჭრო მოდულის და ავტოსერვისის სახით, სადაც მოპასუხე, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირი, ძირითად საქმიანობას ეწევა ბაზრობის სახით გამართულ საბითუმო ვაჭრობას ავტოსათადარიგო ნაწილებით;

6. მოპასუხის მიწის ნაკვეთი პირდაპირ ესაზღვრება საჯარო დანიშნულების, ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო გზას;

7. მოსარჩელე რაიმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, წლების განმავლობაში სარგებლობდა მოპასუხის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამავალი მიწაყრილი გზით, რომლის სრული სიგრძე საავტომობილო გზის მონაკვეთიდან **115** მეტრია და თითქმის მთლიანად მხოლოდ მოპასუხის მიწის ნაკვეთზეა მოქცეული;

8. კანონით დადგენილი წესით შეთანხმებული პროექტით „მ. ბ-ის“ კუთვნილ მიწაზე გათვალისწინებულია საბითუმო ვაჭრობისათვის გამიზნული ობიექტების მშენებლობა, რაც შეუძლებელია იმავე ტერიტორიაზე სამანქანო გზის არსებობისას;

9. მოსარჩელეს გააჩნია ალტერნატივა მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის შპს „მ. ბ-ის“ მიწის ნაკვეთის გამოუყენებლად და ამდენად ამ კონკრეტული მიმართულებით აუცილებელი გზის საკითხი ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია;

10. ადგილის დათვალიერების ოქმით, ასევე წერილობითი მტკიცებულებით-**2011** წლის **26** სექტემბრის მდგომარეობით შედგენილი სიტუაციური გეგმით დგინდება, რომ პ. შ-ეს ქუთაისი სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან დასაკავშირებლად გააჩნია ალტერნატიული საუბნო გზა, რომლითაც სარგებლობს კიდევ;

11. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს **2011** წლის **№...** დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ დღეის მდგომარეობით იმ „პ. შ-ეს“ სატვირთო-სავტომობილო აუცილებელი გზა, რომელიც დაკავშირებული იქნება ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან რეგისტრირებული სახით არ გააჩნია და საჯარო გზას ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალს უკავშირდება „მ. ბ-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გავლით. იმ „პ. შ-ის“ მიერ დაკავებულ ფართზე მისასვლელი ალტერნატიული გზის მოწყობა შესაძლებელია;

12. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული ექსპერტის ჩვენებით დგინდება, რომ **2011** წლის **№...** დასკვნის შედგენის დროისათვის ბლოკის კედლის მომიჯნავე მიწის ნაკვეთისა და იქ გამავალი საუბნო (საჯარო) გზის დათვალიერება არ მოუხდენია და არც პ. შ-ის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საუბნო გზასთან დამაკავშირებელი, ბლოკის კედლის ბოლოში ჩადგმული სამანქანო ჭიშკარი არ დაუფიქსირებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **407**-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამგვარი პრეტენზია გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალური ნორმების დარღვევაზე, რამაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა გამოიწვია. აღნიშნული პირველ რიგში ეხება ცალკეულ მტკიცებულებათა არასწორად შეფასებას ან შეუფასებლობას. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა კანონით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ მე-8, მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგინა. საკასაციო სასამართლომ, შეამოწმა რა შედავების საფუძვლები, მიიჩნია, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. შ-ის მიწის ნაკვეთს გააჩნდა ალტერნატიული მისასვლელი გზა, რის გამოც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ პოზიციას დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

სააპელაციო სასამართლომ ადგილზე დათვალიერების შედეგად მიიჩნია, რომ პ. შ-ის მიწის ნაკვეთს გააჩნდა ჯეროვანი კავშირი ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალურ საავტომობილო გზასთან, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გავლით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მართალია, ადგილზე დათვალიერებას უშუალოდ სასამართლო ახორციელებს და, ბუნებრივია, შესაბამისი ოქმი, როგორც მტკიცებულება, ნდობის მაღალი ხარისხით სარგებლობს, მაგრამ მას სხვა მტკიცებულებებთან შედარებით რაიმე უპირატესობა არ ენიჭება და მათთან ერთობლიობაში უნდა შეფასდეს.

განსახილველ საქმეზე რამდენიმე ექსპერტიზაა ჩატარებული. წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, პ. შ-ის მიწის ნაკვეთს ალტერნატიული მისასვლელი არ გააჩნია, უფრო მეტიც, ექსპერტები მიუთითებენ, რომ ნაკვეთთან მიმავალი გზა რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მაგრამ ფაქტობრივად აღარ არსებობს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დასკვნები არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ 2011 წლის №... დასკვნის შედგენის დროისათვის ექსპერტს მომიჯნავე ნაკვეთისა და მასზე გამავალი საუბნო გზის ან კედელში ჩადგმული სამანქანე ჭიშკრის დათვალიერება არ მოუხდენია და ისინი არც დასკვნაში დაუფიქსირებია. სასამართლოს მითითებით, ყოველივე აღნიშნული სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა განმარტა. საქმეში არსებული სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერი კი, ექსპერტის ამგვარ ჩვენებას არ ასახავს. 2011 წლის 28 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტი ვ. ლ-მე გადაჭრით აცხადებს, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ალტერნატიული გზა არ მიდის და, შესაძლებელია, ნახევარი კილომეტრის მოშორებით რაიმე სხვა გზა არსებობდეს. არავითარ გზის არსებობაზე, მაგრამ დასკვნაში არ ასახვაზე ექსპერტი არ საუბრობს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს პოზიციას გაუგებარია.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თუნდაც პ. შ-ის ნაკვეთთან რაღაც გზა მიდიოდა, მაინც არასათანადოდაა გამოკვლეული, რამდენად უზრუნველყოფს იგი ჯეროვან კავშირს საჯარო გზასთან.

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის „ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელ კავშირში“ არ იგულისხმება ბილიკი ან არასაავტომობილო გზა. აღნიშნული გულისხმობს, მიწის ნაკვეთთან ჯეროვან მისასვლელს, რომელიც, სულ მცირე, უზრუნველყოფს ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოყენებას, ასევე გადაუდებელი დახმარების სამსახურების დანიშნულების ადგილამდე მიღწევას.

განსახილველ შემთხვევაში, გაურკვეველია, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საუბნო გზა საერთოდ თუ უკავშირდება ცენტრალურ მაგისტრალს, ამასთან, არ არის სათანადოდ დასაბუთებული უზრუნველყოფს თუ არა იგი ჯეროვან კავშირს. ადგილზე დათვალიერების ოქმის მიხედვით, არაჯეროვანად მოწყობილი სამანქანე გზა უკავშირდება თავისუფალ მიწის ნაკვეთებს და არა რაიმე სხვა გზას. ოქმის თანახმად, ასევე არსებობს საუბნო გზა, რომელიც მიდის თუ არა პ. შ-ის მიწის ნაკვეთთან, არ იკვეთება. ამ ყველაფერთან მოხვედრა კი, უნდა ხორციელდებოდეს არხზე გადებული ბეტონის ფილების მეშვეობით, რომლებიც, სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტის ჩვენებით, საავტომობილო გამოყენებისათვის გამოუსადეგარია. იმავე ოქმის თანახმად, აპელანტი განმარტავს, რომ ეს არ არის გზა, არამედ ბალახით დაფარული მიწაა, რომელიც სხვა ფიზიკური პირის საკუთრებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ალტერნატიული გზის არსებობის საკითხი დამატებით გამოსაკვლევიან.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ, ცხადია, პ. შ-ის ინტერესების დაცვა არ უნდა განხორციელდეს შპს „მ. ბ-ის“ საკუთრების უფლების არათანაზომიერი შეზღუდვის გზით. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული თემნის ვალდებულება შეუზღუდავი არაა და არ გულისხმობს მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესების იგნორირებას. აუცილებელი გზა იმგვარად უნდა დადგინდეს, რომ ორივე მხარის უფლებები იყოს დაცული და მეზობელი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესაძლებლობა ყველაზე ნაკლებად შეზღუდოს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „მ. ბ-ის“ მიწის ნაკვეთზე გამავალი მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზა, რომლითაც პ. შ-ე სარგებლობდა, მოპასუხის ნაკვეთს დიაგონალურად, თითქმის მთელ სიგრძეზე კვეთს, რაც, ბუნებრივია, ნაკვეთის სრულფასოვან გამოყენებას ან მასზე მშენებლობის განხორციელებას შეიძლება ხელს უშლიდეს, მაგრამ №... დასკვნის მიხედვით, ექსპერტი სასამართლოს გზის მოწყობის ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს (დასკვნის დანართი №2, მე-3 ვარიანტი), რომელიც უფრო მოსახერხებელია და შპს „მ. ბ-ის“ მიწის ნაკვეთის გაცილებით მცირე ნაწილს იკავებს. სააპელაციო სასამართლოს კი, აღნიშნულ ალტერნატივაზე არც უმსჯელია.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ აუცილებელი გზის არსებობით გამოწვეული თემნის ვალდებულება უსასყიდლო არაა და მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს საკუთრების უფლების შეზღუდვის ხარისხის თანაზომიერი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს.

რაც შეეხება ექსპერტიზის დასკვნით შეთავაზებულ გზის მოწყობის დანარჩენ ორ ალტერნატივას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ შეიძლება მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოეთხოვოს მის ნაკვეთთან დამაკავშირებელი ახალი გზის გაყვანა. ჩვეულებრივ პირობებში, გზების დაგება მოქალაქის ვალდებულება არაა, გარდა ამისა,

აღნიშნული შეუსაბამოდ დიდ დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. განსახილველ შემთხვევაში კი, ის გარემოება გადაწყვეტი, რომ ცენტრალურ მაგისტრალთან დამაკავშირებელი გზა უკვე არსებობს, რომლითაც არა მხოლოდ პ. შ-ე, არამედ მიწის ნაკვეთის წინა მესაკუთრეც წლების მანძილზე სარგებლობდნენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, არც იმის მითითებაა მართებული, რომ პ. შ-ეს სხვა მეზობელს შეუძლია მოსთხოვოს აუცილებელი გზის დადგენა, რადგანაც შესაძლებელია პირის დაუსრულებლად გადამისამართება მეზობლიდან მეზობლამდე, მისი კანონიერი ინტერესები კი დაუცველად დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს იმავე კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების შეფასების გზით უნდა გამოარკვიოს გააჩნია თუ არა პ. შ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთს ალტერნატიული ჯეროვანი კავშირი ცენტრალურ გზასთან, ასევე უნდა შეაფასოს შპს „მ. ბ-ის“ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის დადგენის საჭიროება და შესაძლებლობა, ექსპერტიზის დასკვნით შეთავაზებული ვარიანტების გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
 2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინება აუცილებელი გზის დადგენაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
 3. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობა

განჩინება

№ას-1269-1116-2010 10 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი,
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ი-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. წ-ძის, ჯ. შ-ძის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ... სარეგისტრაციო სამსახურისა და ნოტარიუს მ. მ-ძის მიმართ 2008 წლის 5 ნოემბერს თ. წ-ძესა და ჯ. ვ-ძეს შორის გაფორმებული, ქ. ... ნოტარიუს მ. მ-ძის მიერ რეესტრში რეგისტრაციის №1-9714-ით დამოწმებული, ... რაიონის სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (სარეგისტრაციო №22/04/01/536) ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ... სარეგისტრაციო სამსახურში ჯ. შ-ძის საკუთრებაში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის ჩანაწერის ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სადავო მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვის დავალდებულების მოთხოვნით.

ჯ. შ-ძემ და თ. წ-ძემ სარჩელი არ ცნეს.

მესამე პირმა ... სამინისტრომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა სასამართლოს თ. წ-ძის, ჯ. შ-ძის, ... სარეგისტრაციო სამსახურისა და ნოტარიუს მ. მ-ძის წინააღმდეგ თ. წ-ძესა და ჯ. შ-ძეს შორის 2008 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანისა და სადავო მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების აღრიცხვის თაობაზე.

... რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ... სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თ. წ-ძესა და ჯ. შ-ძეს შორის 2008 წლის 5 ნოემბერს დადებული ნასყიდობის

ხელშეკრულება სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2008 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ჩანაწერი, თ. წ-ძესა და ჯ. შ-ძეს შორის 2008 წლის 5 ნოემბერს ნოტარიულად დამოწმებული გარიგების დადებისათვის სანოტარო ჩანაწერებში (რეგისტრაციის №1-9714) ქ. ... ნოტარიუს მ.მ-ძის მიერ განხორციელდა შესაბამისი აღნიშვნა სანოტარო აქტზე, ვ. ი-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ჯ. შ-ძემ და თ. წ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. წ-ძისა და ჯ. შ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება თ. წ-ძისა და ჯ. შ-ძისათვის 1050 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც აპელანტებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით დაეკისრათ 124,74 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თ. წ-ძესა და ჯ. შ-ძეს შორის ... რაიონის სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ორჯერ – 2008 წლის 15 მაისს საჯარო რეესტრის სააგენტოს ... სარეგისტრაციო განყოფილებასა და 2008 წლის 5 ნოემბერს სანოტარო ბიუროში.

ზემოხსენებული მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში ჯ. შ-ძის სახელზე აღირიცხა 2008 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-4 მუხლის, 103-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ უფლების შემძენს ტვირთად ადევს საჯარო რეესტრის არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის მიმართ ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შემძენის ნამდვილობას. შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოების ცოდნა, რომელიც აღემატება, სცილდება მისი შესაძლებლობის ფარგლებს. კეთილსინდისიერების შეფასებისას მთავარია შემძენის მხრიდან ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობა და არა თავად ინტერესი ამ ფაქტებისადმი, ანუ შეფასების საგანია აღნიშნული ფაქტების ცოდნა და არა მიზანმიმართული ცოდნა.

პალატის მოსაზრებით, შემძენის კეთილსინდისიერების დადგენისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინება, ასეთ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობისაა მესაკუთრის ვინაობისადმი შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება, ანუ უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა არ იცოდა ქონების სხვა მესაკუთრის, უზუსტო ჩანაწერის, ან ამ ქონებაზე დავის არსებობის თაობაზე, უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუჯარა სადავო ფაქტი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მოსარჩელე ... სამინისტრომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი გასხვისებულია არამესაკუთრის მიერ, ამ ქონებასთან დაკავშირებული დავის მიმდინარეობისას და შემძენისათვის ცნობილი იყო დავის არსებობის თაობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის 5 ნოემბრამდე, ჯერ კიდევ 2008 წლის 15 მაისს, ... რაიონის სოფელ ... მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ჯ. შ-ძესა და თ. წ-ძეს შორის დაიდო გარიგება საჯარო რეესტრის სამსახურში, სადაც ჯ. შ-ძის უფლების რეგისტრაცია ვერ განხორციელდა ამ ქონებაზე ყადაღის არსებობის გამო. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ჯ. შ-ძემ ამ დროისათვის შეიტყო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავის არსებობის თაობაზე.

საქმეზე წარმოდგენილი ... რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ სადავო მიწის ნაკვეთის თ. წ-ძის (გამყიდველის) საკუთრებაში აღრიცხვის საფუძველი – ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საოქმო გადაწყვეტილება და თ. წ-ძის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №4730 მოწმობა ბათილია, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველად მითითებული თ. წ-ძის სახელზე საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი ხარვეზიანია.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია გამოყენებული ვერ იქნება და რეესტრში არსებული ჩანაწერი ვერ გახდება 2008 წლის 5 ნოემბერს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ჯ. შ-ძის, როგორც შემძენის კეთილსინდისიერების გარანტი, რადგან მყიდველმა ჯ. შ-ძემ იცოდა ამ მიწის ნაკვეთზე უფლებასთან დაკავშირებული დავის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 5 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე ამ გარიგების საფუძველზე საჯარო რეესტრის სააგენტოს ... სარეგისტრაციო სამსახურის მიერ განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერი ბათილია, რაც უსაფუძვლოს ხდის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

პალატამ მიუთითა «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ» საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ ... რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ... რაიონის სოფელ ... მდებარე სადავო მიწის ნაკვეთის თ. წ-ძის (გამყიდველის) საკუთრებაში აღრიცხვის საფუძველი – ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საოქმო გადაწყვეტილება და თ. წ-ძის სახელზე გაცემული საკუთრების უფლების №4730 მოწმობა. აპელანტს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია ამ ქონებაზე ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება. ამდენად, პალატის მოსაზრებით, მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო მიწის ნაკვე-

თი, აღიარების კომისიის მემწეობით მის განკარგვამდე, სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა და რომ ... სამინისტრო მოცემულ დავაში სათანადო მოსარჩელეა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ჯ. ვ-მემ და თ. წ-მემ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ მოცემული საქმის მასალები შეაფასა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით, როდესაც ჯ. წ-მემ სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 187-ე მუხლების დანაწესთა საწინააღმდეგოდ მიიჩნია არაკეთილსინდისიერ შემძენად.

სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი და სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება თვალთმაქცურ და მოჩვენებით გარიგებად უკანონოდ ცნო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ჯ. შ-მე არ ჩათვალა კეთილსინდისიერ შემძენად, რადგან, სასამართლოს აზრით, მასა და თ. წ-მეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის განუხორციელებლობით მყიდველისათვის ცნობილი გახდა ნასყიდობის საგნის თაობაზე დავის არსებობის შესახებ. აღნიშნულის გამო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია შემძენის მიმართ რეესტრის უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციის გამოყენება. ამ მოსაზრებას იზიარებს საკასაციო სასამართლოც.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ნასყიდობის საგანი – მიწის ნაკვეთი – გასხვისებულია ამ ნივთის თაობაზე დავის მიმდინარეობისას. კანონმდებლობით სადავო ნივთის გასხვისება აკრძალული არ არის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გასხვისონ დავის საგანი ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა. დავის პროცესში ნივთის გასხვისება არ წარმოადგენს არამართლზომიერ ფაქტს, იგი ცალსახად არ გულისხმობს შემძენის არაკეთილსინდისიერებას. მას ყველა შემთხვევაში არ უკავშირდება ნივთის ჩამორთმევა, როგორც დავის განხილვის შედეგი.

კანონით ნივთის გასხვისება იკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოდავე მხარის განცხადების საფუძველზე სასამართლო იყენებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება მხარის უფლებას წარმოადგენს და მისი რეალიზაცია დაკავშირებულია კონკრეტულ განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ რისკებთან. ამ თვალსაზრისით, მხარეს აქვს პროცესუალური რესურსები იმისა, რომ თავიდან აიცილოს ყოველგვარი გაუგებრობა და მძიმე შედეგი სადავო ნივთის გასხვისების ჩათვლით.

დავის განმავლობაში ნივთის გასხვისებისას მყიდველს შეიძლება არ ჰქონდეს ინფორმაცია შეძენილ ქონებასთან დაკავშირებული დავის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შემძენი ითვლება კეთილსინდისიერად და მისი უფლება დაცულია კანონით (სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები). თუ შემძენი ინფორმირებულია შესაძენ ნივთთან დაკავშირებული დავის თაობაზე, იგი ხდება იმ რისკის მატარებელი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დადგეს ამ ნივთის მიმართ. თუ დაკმაყოფილდება სარჩელი, შემძენს მოეთხოვება კანონიერ მე-საკუთრედ ცნობილი მოსარჩელისათვის ნივთის დაბრუნება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია ის გარემოება, რომ კასატორებმა შემძენის სახელზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში ვერ დაარეგისტრირეს ყადაღის არსებობის გამო. თავისთავად, ნივთზე ყადაღის არსებობა გულისხმობს იმას, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სარჩელში მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილდება ყადაღა დადებული ნივთის რეალიზაციით. ასეთ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რის თაობაზე მიმდინარეობს მხარეთა შორის დავა – კონკრეტულად დაყადაღებული ნივთის თაობაზე, თუ სხვა ქონებასთან დაკავშირებით. ყველა შემთხვევაში ხდება დაყადაღებული ნივთის გასხვისება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საფუძველს მოკლებულია, კასატორის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით რომ, ყადაღას მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს და იგი არავითარი საშიშროების შემცველი არ არის. ყადაღის არსებობა თავისთავად გულისხმობს მიმდინარე დავიდან გამომდინარე ნივთის შესაძლო გასხვისების საშიშროების არსებობის ფაქტს.

2008 წლის მაისში ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულების რეგისტრაცია ვერ განახორციელეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. ამ მიზეზის არ არსებობის შემთხვევაში საკუთრების უფლება დაუბრკოლებრივ დაფიქსირდებოდა რეესტრში და გარიგებაში მითითებული დებულებები ამოქმედდებოდა დაუყოვნებლივ. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის თანხა ბოლომდე იყო გადახდილი. აღნიშნული ფაქტი გამოირიცხავს საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას, რომ თითქოს იმ პერიოდისათვის მხოლოდ თანხის ნახევარი იყო გადახდილი. როდესაც გადახდილია ნივთის საფასური, მაგრამ ნივთს საკუთრებაში ვერ აღრიცხავ, დაუჯერებელია, არ გამოიკვლიო ამის დამაბრკოლებელი მიზეზი. შესაბამისად, ჯ. შ-მეს უნდა გაერკვია, შეძენილი ქონების მის სახელზე დარეგისტრირების შემაფერხებელი გარემოებანი. შემძენის პასიურობა ასეთ დროს ნიშნავს ინტერესის არ ქონას ამ ქონების მიმართ. ხოლო შემდგომში ამ ქონების დარეგისტრირება მის სახელზე ისე, რომ დავა სასამართლოში არ დამთავრებულა და მას შეუძლებელია არ სცოდნოდა ამის თაობაზე, მეტყველებს იმაზე, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია იმ შედეგის თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება მოყოლოდა სასამართლოში განსახილველ დავას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ჯ. შ-მე სწორადაა მიჩნეული არაკეთილსინდისიერ შემძენად და ამ თვალსაზრისით არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ჯ. შ-მე და თ. წ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კეთილსინდისიერი შემძენის უფლებრივი მდგომარეობა

განჩინება

№ას-567-535-2012 1 აგვისტო, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თავდაპირველ სარჩელში - უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ხელშეშლის აღკვეთა, შეგებულ სარჩელში - ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ო-ის მიმართ ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს №54 ბინის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და მისი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ 2007 წლის 28 ივნისის ხელშეკრულებისა და 2007 წლის 20 დეკემბრის განცხადების რეგისტრაციის №012007201771-18/12/2007 ამონაწერით დასტურდება ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების შ. გ-ის საკუთრებაში არსებობის ფაქტი, მოპასუხე უკანონოდ ფლობს და განკარგავს მოსარჩელის ქონებას და უარს აცხადებს მის ნებყოფლობით გათავისუფლებაზე, აღნიშნულის გამო, მესაკუთრე ვერ სარგებლობს კუთვნილი ნივთით.

გ. ო-მ შეგებულ სარჩელით მიმართა სასამართლოს შ. გ-ისა და მ. რ-ის მიმართ თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

გ. ო-ე ოჯახთან ერთად სადავო ბინაში ცხოვრობს 1980 წლიდან, 1980 წლის 4 ოქტომბრის №... ორდერის თანახმად, ბინის დამქირავებელი გ. ო-ის მეუღლე ჟ. ო-ეა, სადავო ბინაში 1989 წელს ჩაეწერა მოსარჩელის რძალი მ. ჟ-ი, რომელმაც მეორე ქორწინების შემდგომ შეიცვალა გვარი და გახდა რ-ი. 2006 წლის 11 აპრილს მ. რ-მა სადავო ბინიდან არასწორად ამოწერა გ. ო-ე და განახორციელა ბინის მხოლოდ მის სახელზე პრივატიზაცია, ბინა კი მიჰყიდა შ. გ-ს. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე პრივატიზაციის ხელშეკრულება გაუქმდა. შეგებულ სარჩელის ავტორის განმარტებით, შ. გ-ი ნივთის არაკეთილსინდისიერი შემძენია, რადგანაც 2007 წლის 28 ივნისის მოპასუხესა და შეგებულ სარჩელის ავტორის ყოფილ რძალს – მ. რ-ს შორის გაფორმდა სადავო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმებისას შემძენისათვის ცნობილი იყო ბინის სადავობის თაობაზე, კერძოდ ის, რომ გამყიდველსა და გ. ო-ს შორის სასამართლოში იხილებოდა დავა ბინის თაობაზე. გამყიდველს ბინის გასაღები არ გააჩნდა, ვინაიდან მას 2002 წლიდან საქართველოში არ უცხოვრია, გ. ო-ე ბინაში ცხოვრობდა შვილთან – ზ. ო-სთან ერთად, რომელიც 2006 წლის სექტემბერში გარდაიცვალა, ბინის გასაღებს ფლობდა მხოლოდ გ. ო-ე, რადგანაც მან შეცვალა ბინის კარის საკეტი, მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ამ ბინიდან გაასახლა ყოფილი რძლის დედა – თ. შ-ი, ის ქალაქიდან გასვლის შემთხვევაში გასაღებს მხოლოდ გვერდით მცხოვრებ მეზობელთან ტოვებდა, შემძენი შ. გ-ი კი, არც გ. ო-სთან და არც მეზობელთან არ მისულა უძრავი ნივთის შემძენისას მის სანახავად, ბინის უნახავობის ფაქტი შ. გ-მა ასევე დაადასტურა ადმინისტრაციულ კოლეგიაში პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ გ. ო-ის სარჩელის განხილვისას, ამასთანავე, ნასყიდობის ფასი მინიმალურია, კერძოდ, 15000 აშშ დოლარია.

გ. ო-მ შ. გ-ის სარჩელი არ ცნო და მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

შეგებულ სარჩელი არ ცნო შ. გ-მა და განმარტა, რომ არ არსებობს მას და მ. რ-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ხოლო შ. გ-ის არაკეთილსინდისიერ შემძენად ცნობის წინაპირობები მხოლოდ იმ საფუძველით, რომ შემძენმა ნივთი არ ნახა. შ. გ-ისათვის მისაღები იყო ნივთის ღირებულება და, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, გამყიდველი მესაკუთრეს წარმოადგენდა, ხოლო ბინა უფლებრი-

ვად დატვირთული არ იყო, მისთვის ბინის ნებისმიერი მდგომარეობა კეთილმოწყობის თვალსაზრისით მისაღებს წარმოადგენდა.

შეგებებული სარჩელი ასევე არ ცნო მ. რ-მა და მიუთითა, რომ არ არსებობდა არც სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და არც შემძენის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. გ-ის სარჩელი გ. ო-ის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გ. ო-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა უძრავი ნივთი მდებარე ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევი, კორპუსი 3, სადარბაზო 3, სართული 5, ბინა №54 და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელე შ. გ-ს, გ. ო-ის შეგებებული სარჩელი შ. გ-ისა და მ. რ-ის მიმართ შ. გ-ის ბინის არაკეთილსინდისიერ შემძენად აღიარებისა და 2007 წლის 28 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ო-მ, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდებოდა მისი შეგებებული სარჩელი, ხოლო უარი ეთქმებოდა შ. გ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ო-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. გ-ის სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა, გ. ო-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი შ. გ-სა და მ. რ-ს შორის 2007 წლის 28 ივნისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. გ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს მე-5 სართულზე მდებარე №54 ბინა, ამ უკანასკნელის მიერ მ. რ-თან 2007 წლის 28 ივნისის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, გ. ო-ე 1981 წლიდან უწყვეტად ცხოვრობს სადავო ბინაში, 2007 წლის 16 აგვისტოს შ. გ-მა ლ. ნ-ის მიმართ არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა სადავო ბინა. უძრავი ქონება 2010 წლის 26 აგვისტოს შ. გ-მა მიჰყიდა იპოთეკარ ლ. ნ-ის, რის შედეგადაც უძრავ ქონებაზე გაუქმდა იპოთეკა, მოგვიანებით კი, 2011 წლის 4 ნოემბერს მხარეთა მიერ გაფორმდა შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე და სადავო უძრავი ქონებაზე კვლავ აღდგა შ. გ-ის საკუთრების უფლება და, ლ. ნ-ის სასარგებლოდ, იპოთეკა. სადავო უძრავი ნივთი თბილისის ისანი-სამგორის გამგეობის მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მ. რ-ს 2006 წლის 11 აპრილის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით გ. ო-ის სარჩელის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 11 აპრილის თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობასა და მ. რ-ს შორის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულება მ. რ-ისათვის სადავო ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონურ ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით. წინამდებარე საქმის განხილვა შეჩერებული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების დასრულებამდე. ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად, ბათილად იქნა ცნობილი სადავო ბინაზე მ. რ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამსხვიებელს არ ჰქონდა უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლება და მის მიერ გამოვლენილი ნება ნივთის გაყიდვის თაობაზე არ არის ნამდვილი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას – 2007 წლის 28 ივნისის უძრავი ქონების მესაკუთრე მ. რ-ი იყო, ერთმნიშვნელოვნად არ მიუთითებს უძრავი ნივთის შემძენ შ. გ-ის კეთილსინდისიერებაზე.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 312-ე, 185-ე მუხლებზე და განმარტა, რომ კანონით დაცულია კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესი მაშინ, როდესაც სადავოდ არის გამხდარი მესაკუთრის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება და ამ ფაქტის მიმართ შემძენის დამოკიდებულება კეთილსინდისიერი, ანუ არსებობს გარემოება, როდესაც შემძენმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ გამყიდველს არ გააჩნდა რეესტრში რეგისტრირებული ნამდვილი უფლება ან ასეთი უფლება სადავო იყო. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის დებულებანი იცავენ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესებს საჯარო რეესტრის მონაცემთა სისწორისა და რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებამოსილების მიმართ. აღნიშნული მუხლი მოიცავს შემთხვევას, როდესაც უძრავი ნივთის გასხვიების ნებას ავლენს რეგისტრირებული მესაკუთრე, მაგრამ მისი საკუთრების უფლება შეცვლილია სხვა, მესამე პირთა მხრიდან, ან არ არის სრულყოფილი, რისი არცოდნაც შემძენის მიერ წარმოგვიჩენს მას (შემძენს) კეთილსინდისიერად. როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავისი უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს, თუნდაც სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები. ამ მდგომარეობას არარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციასა და, შესაბამისად, ნივთის შეძენას არღვევს, სწორედ, შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს – შემძენმა იცის, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე. ამ უკანასკნელი საკითხის გამორკვევისას გამოკვლეულ უნდა იქნას შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან, რეგისტრირებული უფლების სადავობასთან მიმართებით, ან უნდა გაირკვეს შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში უნდა სცოდნოდა თუ არა სადავო ფაქტი. შემძენის ინტერესების დაცვა უნდა მოხდეს არა მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების გათვალისწინებით, არამედ ნივთის შეძენის ფაქტის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით, რამდენად სრულფასოვნად იქნა გამოყენებული მის მიერ შესაძლებლობები გარიგე-

ბის გაფორმებამდე დაეზღვია გონივრული წინდახედულების ფარგლებში მოსალოდნელი რისკები. პალატამ, საქმის მასალების გათვალისწინებით ჩათვალა, რომ შ. გ-ის მოქმედებები არ უნდა შეფასდეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად. ის განმარტება, რომ სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე შემძენს ბინა ვიზუალურად არ დაუთვალა იერებია, არამედ, ნასყიდობის დაბალი ფასით დაინტერესების გამო, შემოიფარგლა მხოლოდ ბინის გარეგნული - ეზოდან დათვალა იერებით, წარმოადგენს ვარაუდის საფუძველს, რომ შემძენმა წინდახედულობის ნორმები დაარღვია. პალატამ მიუთითა შ. გ-ის წარმომადგენლის - ო. კ-ის განმარტებაზე, რომ შ. გ-ისათვის იმთავითვე ცნობილი იყო ბინაში მდგმურების ცხოვრების შესახებ და აღნიშნული შესაძენი ბინის საფუძვლიანი დათვალა იერების საჭიროების არარსებობის დასტურად არ ინა მიჩნეული. მ. რ-სა და შ. გ-ს შორის სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2007 წლის 28 ივნისს, რა დროსაც მოსარჩელის განმარტებით, მის მიერ შესაძენ სადავო ბინაში ცხოვრობდნენ მდგმურები და ამის შესახებ მისთვის იმთავითვე იყო ცნობილი. პალატის განმარტებით, ერთი მხრივ, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ შ. გ-ი ვერ ადასტურებს გამყიდველ მ. რ-თან მდგმურების ბინაში დარჩენისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან მათ მიერ ბინის გათავისუფლების შესახებ, ასევე ქირავნობის თანხის ოდენობის და მისი გადახდის წესის შესახებ შეთანხმებას. აღნიშნული საკითხი პალატის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლით დადგენილი დანაწესიდან გამომდინარე, ვინაიდან შ. გ-ის განმარტებიდან გამომდინარე, ბინის შეძენის მომენტში მყიდველს არ აინტერესებდა ბინის დაუფლება და მისით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობა, არამედ „ხელსაყრელი შემთხვევითი» ისარგებლა, მეორე მხრივ, უძრავი ქონების შეძენა თუ წარმოადგენდა მხარისათვის ხელსაყრელ გარეგებას ფასის შეუსაბამობის გამო და იგი ემსახურებოდა არა ბინით სარგებლობის, არამედ, დამატებითი შემოსავლის გაჩენის სურვილს, მის ინტერესში უნდა ყოფილიყო დამქირავებელთან ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება და ამ სახითაც დამატებითი შემოსავლის მიღება, ან მყიდველისგან იმის გაგება მაინც, თუ როდის შეძლებდა ნივთით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობას, ან განკარგვას. ნაცვლად იმისა, რომ მას შემდგომი მოქმედებებით მოეთხოვა გ. ო-ისგან (როგორც დამქირავებლისგან) ქირის მისთვის გადახდა, ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს შ. გ-მა მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან გ. ო-ის გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშემშლის აღკვეთის მოთხოვნით. პალატის განმარტებით, შ. გ-ის ეს ქმედება საპროსპიროზე მეტყველებს და იძლევა საფუძვლიანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ პოლიციისადმი მიმართული შ. გ-მა დაადასტურა, რომ თავიდანვე იცოდა ბინაში გ. ო-ის ცხოვრების (სამართლებრივი საფუძვლის გარეშე) შესახებ, ხოლო ის გარემოება, რომ გ. ო-ე მას მდგმური ეგონა, არ გამომდინარეობს მისი განმარტებისა და მოქმედებების ერთობლივი ანალიზიდან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ შემძენმა არ დაიცვა წინდახედულობის ნორმები, ვინაიდან უფლების ნაკლის თავიდანვე გამოაშკარავება სირთულეს არ წარმოადგენდა, სადავო ბინაში იმჟამადაც ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს გ. ო-ე, რაც ხაზს უსვამს, რომ კეთილსინდისიერი შემძენი შ. გ-ი არ არის, მისი უფლების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, დადგენილია იურიდიული ფიქცია რეესტრის ჩანაწერების მიმართ. ამიტომ ეს გარემოება გამორიცხავს კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში პრეზუმფციის მოქმედების გავრცელებას და აღნიშნული ფაქტორები მიუთითებენ შემძენ შ. გ-ის არაკეთილსინდისიერებაზე.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 50-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, ქონების განკარგვაზე უფლებამოსილ სუბიექტად კანონმდებელი მიიჩნევს ქონების ნამდვილ მესაკუთრეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. რ-ის საკუთრების უფლება არ ვრცელდებოდა სადავო უძრავ ქონებაზე, მის მიერ სადავო ქონების განკარგვა ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს და არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის შედეგად პალატამ მიიჩინა, რომ არ არსებობდა შ. გ-ის ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ უძრავი ნივთის კანონიერი მესაკუთრე გ. ო-ეა, ხოლო ქონებაზე ამჟამად რეგისტრირებული მესაკუთრის - შ. გ-ის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით განმტკიცებული პრეზუმფციით, სადავო ბინაზე შ. გ-ის მესაკუთრედ მიჩნევა საჯარო რეესტრის ჩანაწერების საფუძველზე დაუშვებელია, ამდენად, შ. გ-ი არ არის უფლებამოსილი, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, იდავოს უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვაზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და გ. ო-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება ანალოგიურ საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას და უსაფუძვლოდ ლახავს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია კანონი, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, პალატამ საქმის მასალებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, როდესაც არ დააკმაყოფილა შ. გ-ის სარჩელი, რადგანაც არსებობს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა ბინის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისათვის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ, მართალია, სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით, თუმცა არასწორად აღნიშნა შემძენის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის თაობაზე, მოცემულ შემთხვევაში შემძენს არ შეიძლება მოსთხოვოს ისეთი გარემოების ცოდნა, რომელიც მის შესაძლებლობებს აღემატება, კერძოდ, შ. გ-მა არ იცოდა, რომ მის მიერ შეძენილ ქონებაზე რაიმე დავა მიმდინარეობდა. 2007 წლის 28 ივნისს, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, საჯარო რეესტრში სადავო ბინის მესაკუთრედ აღრიცხული იყო მ. რ-ი, 2006 წლის 11 აპრილის პრევატიზაციის ხელშეკრულება ნივთის შეძენის დროისათ-

ვის გასაჩივრებული არ ყოფილა, არამედ გ. ო-მ ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოს 2007 წლის 16 აგვისტოს მიმართა, მართალია, სააპელაციო პალატამ ნორმის სწორი გამოყენების გზით სწორად განმარტა კეთილსინდისიერების ცნება, თუმცა არც პირველი და არც სააპელაციო წესით საქმის განხილვისას არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ნივთის შეძენისას შემძენის არაკეთილსინდისიერების ფაქტსა და იმ გარემოებას, რომ უძრავი ქონების გასხვისებისას მ.რ-ი მისი მესაკუთრე არ ყოფილა, რაც შეეხება სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებს, ამ ჩვენებებში არაა კონკრეტული მითითება შ. გ-ის არაკეთილსინდისიერების თაობაზე. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ შ.გ-მა ნივთი შეძენამდე ვიზუალურად არ დაათვალიერა, შესაბამისად, არასწორია სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულის საფუძველით შ. გ-ის ქმედების წინდახედულობის ნორმის დარღვევად მიჩნევის თაობაზე და არ გამოიმდინარეოს ამ საკითხზე არსებული უზენაესი სასამართლოს განმარტებიდან, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა კანონით გათვალისწინებული წინდახედულობის გონივრული მასშტაბი. ის ფაქტი, რომ ნივთის გასხვისებისას საჯარო რეესტრის მონაცემებით ნივთის მესაკუთრე გამყიდველი იყო, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, გამორიცხავს შემძენის არაკეთილსინდისიერებას ფაქტის მიმართ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ვიზუალურად არ დაათვალიერებდა ნივთს, ამასთანავე, ნივთის ნახვის აუცილებლობა შესაძლოა იმ შემთხვევაში გამხდარიყო საჭირო, თუ იარსებებდა ექვი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრის უფლებასთან მიმართებით. სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების საწინააღმდეგოდ გაზარდა კანონით გათვალისწინებული „წინდახედულობის ფარგლები«, და შ. გ-ს დაავალა იმის ცოდნა, რასაც კანონი არ ითვალისწინებს, აღნიშნული კი არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას, რომ 2007 წლის 28 ივნისს შ. გ-ისათვის ცნობილი იყო ბინაში მდგმურების ცხოვრების თაობაზე, საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვს. ამასთანავე, არასწორია სასამართლოს მითითება სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლზე. გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია იმ ნაწილში, როდესაც სასამართლო, ერთი მხრივ, საუბრობს შემძენის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევაზე და მეორე მხრივ აღნიშნავს, რომ შ. გ-მა იცოდა გ. ო-ის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ბინის ფლობის ფაქტის შესახებ. სამოქალაქო ბრუნვის თავისებურების გათვალისწინებით, ვინაიდან მხარეები ხელშეკრულებას დადებენ მას შემდეგ, რაც მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან, ამ ხელშეკრულების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძველი არ შეიძლება გახდეს გარიგების ფასი და შემძენი არ არის ვალდებული ასეთ დროს ამტკიცოს გარიგების ნამდვილობა. მოცემულ შემთხვევაში კი, გამყიდველის ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, ვინაიდან მას ოჯახი გერმანიაში ჰყავდა და მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების შედარებით დაბალ ფასზე, აღნიშნული წარმოადგენდა კიდევ ერთ გარემოებას, შემძენს ნივთის ვიზუალური დათვალიერების გარეშე დაედო ნასყიდობის ხელშეკრულება და აღნიშნული საკითხი გარიგების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის საფუძველს არ წარმოადგენს, შესაბამისად, ვერც შემძენის კეთილსინდისიერებაზე იქონიებს გავლენას. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ კეთილსინდისიერების საკითხის შეფასებისას მთავარი შემძენის მიერ ფაქტების გაცნობიერების შესაძლებლობაა და არა ინტერესი ამ ფაქტის მიმართ, ამდენად, შ. გ-ს რომ ჰქონოდა გამყიდველის უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი, იგი მოითხოვდა ბინის დათვალიერებას ან საერთოდ არ დადებდა ხელშეკრულებას. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი, არ გამოიყენა ამავე კოდექსის 170-ე, 172-ე, 183-ე, 312-ე, 185-ე მუხლები, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი, პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი და უგულბებლყო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა« ექვეპუნქტის საფუძველზე შ. გ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობისა და შ. გ-ის საკასაციო პრეტენზიების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგინებულად მიიჩნია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. ო-ე 1981 წლიდან უწყვეტად ცხოვრობს სადავო ბინაში.

შ. გ-ის საკუთრებად რეგისტრირებულია ქ.თბილისში, ქ-ის შესახვევის მე-3 კორპუსში, მე-3 სადარბაზოს მე-5 სართულზე მდებარე №54 ბინა, ამ უკანასკნელის მიერ მ. რ-თან 2007 წლის 28 ივნისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე,

სადავო ნივთი ქ.თბილისის ისანი-სამგორის გამგეობის მიერ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მ. რ-ს 2006 წლის 11 აპრილის პრევატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც შემდგომში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ

სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამსხვისებელს არ ჰქონდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და მის მიერ გამოვლენილი ნება ნივთის გაყიდვის თაობაზე არ იყო ნამდვილი.

შ. გ-ის მოქმედებები არ უნდა შეფასდეს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში განხორციელებულ ქმედებად. სასამართლოს შეფასებით, მხარის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე მას ბინა ვიზუალურად არ დაუთვალა იერებია, არამედ, ნასყიდობის დაბალი ფასით დაინტერესების გამო, შემოიფარგლა მხოლოდ ბინის გარეგნული – ეზოდან დათვალა იერებით, წარმოადგენს ვარაუდის საფუძველს, რომ შემძენმა წინდახედულობის ნორმები დაარღვია.

შ. გ-მა ვერ დაადასტურა გამყიდველ მ. რ-თან მდგმურების ბინაში დარჩენისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან მათ მიერ ბინის გათავისუფლების შესახებ, ასევე ქირავნობის თანხის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ შეთანხმება. ნაცვლად იმისა, რომ შემდგომი მოქმედებებით მოეთხოვა გ. ო-ისგან (როგორც დამქირავებლისგან) ქირის მისთვის გადახდა, ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს შ. გ-მა მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან გ. ო-ის გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით.

ის გარემოება, რომ შემძენმა არ დაიცვა წინდახედულობის ნორმები, ამასთან, სასამართლოს დასკვნით უფლებების ნაკლის თავიდანვე გამოამჟღავნებდა სირთულეს არ წარმოადგენდა (სადავო ბინაში იმჟამადაც ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს გ. ო-ე), საკმარისი აღმოჩნდა სააპელაციო სასამართლოსათვის შ. გ-ი მიეჩნია არაკეთილსინდისიერ შემძენად.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ მართალია, სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით, თუმცა არასწორად დაადგინა შემძენის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც მის შესაძლებლობებს აღემატება. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები მითითებულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოდინარეობს ამ საკითხზე არსებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკიდან, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად შეაფასა კანონით გათვალისწინებული წინდახედულობის გონივრული მასშტაბი და არასწორად მიიჩნია მყიდველი არაკეთილსინდისიერ შემძენად. კასატორის ამ არგუმენტების დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებებით განმტკიცებულია სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთათვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი პრინციპი, – კეთილსინდისიერების პრინციპი («სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი», მუხლი 8.3). სწორედ აღნიშნული პრინციპით ხელმძღვანელობა იცავს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს ამ ურთიერთობათა შესაძლო უარყოფითი შედეგებისაგან, რაც მთლიანობაში ხელს უწყობს სამოქალაქო ბრუნვის სტიბილურობას. განსახილველი დავა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ გადაწყვეტილ იქნა კეთილსინდისიერების პრინციპის ჭრილში, რის შედეგადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შ. გ-ი მიჩნეულ იქნა უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენად, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ პირიქით, – არაკეთილსინდისიერ შემძენად. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მართალია კასატორი უთითებს აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ყველა პირობის შესრულებაზე, თუმცა, როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გამსხვისებელს არ ჰქონდა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება და მის მიერ გამოვლენილი ნება ნივთის გაყიდვის თაობაზე არ იყო ნამდვილი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შ. გ-ს ამ შემთხვევაში დაიცავს კეთილსინდისიერების პრინციპი, თუკი იგი ამ პრინციპის შესაბამისად იმოქმედებდა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის მიხედვით, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ამდენად მითითებული ნორმა ხაზს უსვამს საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიმართ ნდობის ფაქტორს, რაც გამომდინარეობს ამავე კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დეფინიციიდან, – რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 185-ე მუხლი ყოველთვის არ იცავს შემძენს, და ეს ის შემთხვევაა, როდესაც შემძენმა იცის უფლების ნაკლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ გამსხვისებელი მესაკუთრეა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ანალოგიურ დათქმას შეიცავს ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა.

ერთი შეხედვით, სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების ერთობლივ ანალიზს მივყავართ იმ მსჯელობამდე, რომ კანონმდებელმა უძრავი ქონების შემძენისას, შემძენს, მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემების შემოწმების ტვირთი დააკისრა, თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია ვერ გამოდგება შემძენის დაცვით არგუმენტად, თუ დადგინდება, რომ მან იცოდა უფლების ხარვეზის შესახებ. ამდენად, როდესაც სადავო უძრავი ნივთის შემძენის ფაქტი და ნამდვილი მესაკუთრე უთითებს შემძენის არაკეთილსინდისიერებაზე, უნდა შემოწმდეს შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება გარკვეული ფაქტებისადმი. ამასთან, შემძენს არ შეიძლება მოეთხოვოს ისეთი გარემოებების ცოდნა, რომელიც აღემატება მისი შესაძლებლობის ფარგლებს. როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსიდან დგინდება, სააპელაციო პალატამ შემძენის არაკეთილსინდისიერ

შემდგომად მიჩნევის მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები: სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე შემდგომ ბინა ვიზუალურად არ დაუთვალა იერებია; შ. გ-მა ვერ დაადასტურა გამყიდველ მ. რ-თან მდგომარეობის ბინაში დარჩენისა და ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან მათ მიერ ბინის გათავისუფლების შესახებ, ასევე ქირავნობის თანხის ოდენობის და მისი გადახდის წესის შესახებ შეთანხმება; უძრავი ქონების შემენა თუ წარმოადგენდა მხარისათვის ხელსაყრელ გარიგებას ფასის შეუსაბამობის გამო და იგი ემსახურებოდა არა ბინით სარგებლობის, არამედ, დამატებითი შემოსავლის გაჩენის სურვილს, მის ინტერესში უნდა ყოფილიყო დამქირავებელთან ქირავნობის ურთიერთობის გაგრძელება და ამ სახითაც დამატებითი შემოსავლის მიღება, ან მყიდველისგან იმის გაგება მაინც, თუ როდის შეძლებდა ნივთით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობას, ან განკარგვას. ნაცვლად იმისა, რომ მას შემდგომი მოქმედებებით მოეთხოვა გ. ო-ისგან (როგორც დამქირავებლისგან) ქირის მისთვის გადახდა, ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 2007 წლის 5 ივლისს შ. გ-მა მიმართა თბილისის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-5 განყოფილებას სადავო ბინიდან გ. ო-ის გამოსახლებისა და საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები შ. გ-ის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისაგან და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მიუთითებს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაზე (საქმე №ას-524-869-07), რომლითაც განიმარტა შემდეგი: უძრავი ნივთის ფლობა არ განაპირობებს მფლობელის მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას, მაგრამ უძრავი ნივთის შემენის კეთილსინდისიერების გამორკვევისას აღნიშნულ ფაქტს შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს, ვინაიდან დამკვიდრებული წესის თანახმად, უძრავი ნივთის შემენი შეძენამდე ინტერესდება ნივთის მდგომარეობით. საკასაციო პალატის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, შ. გ-ის მიერ სადავო ნივთის ვიზუალური დათვალიერება სწორედაც რომ ჯდება შემენის ობიექტურ შესაძლებლობებსა და წინდახედულობის ფარგლებში, ამასთან, მართალია კანონმდებელი ნორმატიული აქტით არ ავლდებულეს უძრავი ნივთის შემენს ასეთი მოქმედებების განხორციელებას, თუმცა, შემენის ინტერესებშია უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთის შემენა, შესაბამისად ამ ინტერესების დაკმაყოფილებისათვის შემენს მართეს იმ მინიმალური წინდახედულობის გამოჩენა, რაც თუნდაც ნივთის ვიზუალურ დათვალიერებაში შეიძლება გამოიხატოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის შეფასების საგნად იქცა სხვა ცხოვრებისეული (ქირავნობის ურთიერთობა) ფაქტორებიც, რამაც ერთობლიობაში სწორი დასკვნების ჩამოყალიბება განაპირობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლოს ვერ წარმოუდგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება 2007 წლის 28 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კასატორის უფლების წარმოშობა სადავო უძრავ ნივთზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შოთა გიგაშვილის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი, თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორი განმარტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება შ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გ. ო-ის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რის გამოც არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინებით შ. გ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, პალატა თვლის, რომ მის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1533,45 (1233,45 + 300) ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საჯარო რეესტრში გარიგების წარდგენის წესი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-221-213-2012

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: ხელშეკრულების დადებულად ცნობა, ვალდებულების აღიარება და თანხის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების გადაცემა უძრავ ქონებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

დ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ე. ბ-ის (ც-ს) მიმართ და მოითხოვა ვალდებულების აღიარება შემდეგი დასაბუთებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ისანი-სამგორის რაიონის 1998 წლის 27 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ე. ც-ს კანონის დარღვევით გადაეცა საკუთრებაში საერთო სარგებლობის სარდაფი. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოში ე. ც-მ დ. მ-ს შესთავაზა სხვა სარდაფი და მხარეები მორიგდნენ, რის შემდგომაც, მოსარჩელემ გაიხმო სარჩელი, რაზედაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ მიღებული 2009 წლის 30 ივლისის განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და თავდაპირველი სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ე. ც-მ პირობის შესრულება დააყოვნა და დ. მ-ი იძულებული გახდა, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაესაჩივრებინა სააპელაციო სასამართლოს განჩინება. ამის შემდგომ, მოპასუხის წარმომადგენელმა ე. ო-მა მოსარჩელეს აცნობა, რომ მისი მარწმუნებელი მორიგებაზე თანახმა იყო. მორიგება, ყველა მონაწილის, მათ შორის, მოსარჩელის, მოპასუხის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავჯდომარის, თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის ხელმოწერით გაფორმდა წერილობით და დამოწმდა სანოტარო წესით, რის შემდგომაც დ. მ-მა გაიხმო კერძო საჩივარი. მორიგების პირობების თანახმად, ე. ც-ა მოსარჩელეს საკუთრებაში გადასცემდა თბილისში, ბ. ხ-ის ქ. №161-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს მხრიდან მდებარე გაურემონტებელ, დაუზუსტებელი მონაცემებით დაახლოებით 38 კვ.მ სარდაფს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დ. მ-სგან საკომპენსაციოდ მიიღებდა 1000 აშშ დოლარს. მიუხედავად შეთანხმებისა, მოპასუხე არც თანხას იღებს და არც დაკისრებულ ვალდებულებას ასრულებს.

მოპასუხემ შესაგებლით სარჩელი შემდეგი დასაბუთებით არ ცნო: მორიგების თანახმად, ე. ბ-ის მიერ პირობის შესრულება დამოკიდებული იყო მოსარჩელის მხრიდან საპასუხო შესრულებაზე, კერძოდ, სარდაფი საკუთრებაში გადაეცემოდა მას შემდეგ, რაც დ. მ-ი კომპენსაციის სახით გადაიხდიდა 1000 აშშ დოლარს. სანაცვლოდ კი დ. მ-მა 2010 წლის 30 ივლისის განჩინება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ 2010 წლის 14 აგვისტოს გაასაჩივრა კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თავად დაარღვია მორიგების პირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და დ. მ-ი ე. ბ-ისათვის (ც-სათვის) 1000 აშშ დოლარის გადახდის ან დასახელებული თანხის სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შემდეგ დარეგისტრირდა თბილისში, ბ. ხ-ის №161-ში მდებარე 38,90 კვ.მ სარდაფის მესაკუთრედ. პალატამ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ე. ც-სა და დ. მ-ს შორის გაფორმებული მორიგების აქტი, რომლითაც ე. ც-მ იკისრა ვალდებულება, დ. მ-ისათვის საკუთრებაში გადაეცა ბ. ხ-ის №161-ში მდებარე 38 კვ.მ სარდაფი 1000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით და არ არის დადასტურებული სანოტარო წესით. მორიგების აქტზე შესრულებულია ნოტარიუსის ხელმოწერა და დასმულია ნოტარიუსის ბეჭედი, თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს არა მორიგების აქტის შინაარსისა ან მხარეთა ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმებას, არამედ მხოლოდ ნოტარიუსის მიერ თავისი ხელმოწერის დადასტურებას. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 11 ნოემბრის განჩინებიდან ირკვევა, მორიგების აქტზე ხელმოწერილი ნოტარიუსი ლ. რ-ე წარმოადგენდა პროცესის მონაწილე მხარეს (მესამე პირს) და ამგვარად, მისი ხელმოწერა მორიგების აქტზე განპირობებული იყო საქმის წარმოების პროცესულური საჭიროებით. მოცემულ შემთხვევაში, მორიგების აქტი არ შეიცავს სანოტარო წესით და-

მოწმებისათვის ან დადასტურებისათვის კანონმდებლობით მისი შედგენის დროისთვის გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, რის გამოც იგი მარტივი წერილობითი ფორმით შედგენილ აქტად უნდა იქნეს მიჩნეული.

ე. ც-სა და დ. მ-ს შორის გაფორმებული მორიგების აქტი შედგენილია 2009 წლის 14 აგვისტოდან 27 აგვისტომდე პერიოდში. საქმეში არსებული 2009 წლის 28 აგვისტოს განცხადებით, დ. მ-ის რწმუნებული თ. ტ-ე მიმართავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უარს აცხადებს კერძო საჩივარზე (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის განჩინებაზე) მხარეთა შორის შემდგარი მორიგების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 11 ნოემბრის განჩინების შესაბამისად, 2007 წლის 14 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა დ. მ-მა ე. ბ-ისა (ც-ს) და ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ ე. ც-ს სასარგებლოდ გაფორმებული 1998 წლის 27 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. მ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი 1998 წლის 27 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება ე. ბ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომაზე დ. მ-ის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სარჩელის გამოხმობის თაობაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით დ. მ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დ. მ-ის მიერ სარჩელის გახმობის მოტივით სარჩელი დარჩა განუხილველი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. მ-ის წარმომადგენელმა თ. ტ-მ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვა. შემდეგ კი თ. ტ-მ 2009 წლის 27 აგვისტოს განცხადებით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომლითაც უარი განაცხადა საჩივარზე და კერძო საჩივრის განუხილველად დატოვება მოითხოვა შეთანხმებულ მორიგებაზე მითითებით. დასახელებული გარემოებებით, პალატამ მიიჩნია, რომ მორიგების აქტი შედგა 2009 წლის 30 ივლისის განჩინების გასაჩივრების შემდეგ და 2009 წლის 27 აგვისტოს განცხადების წარდგენამდე ანუ 2009 წლის 14 აგვისტოდან 27 აგვისტომდე.

ე. ც-ს მიერ მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულებულა. მორიგების აქტის პირობების შესაბამისად, დ. მ-ს ე. ც-სათვის უნდა გადაეხადა 1000 აშშ დოლარი, ხოლო დ. მ-ს უნდა გადასცემოდა საკუთრების უფლება სარდაფზე. შესაბამისად, ე. ც-ს დ. მ-ის მიმართ ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის ვალდებულება წარმოემობოდა მას შემდეგ, რაც ე. ც-ა დ. მ-ისაგან 1000 აშშ დოლარს მიიღებდა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ე. ც-ა დ. მ-ისაგან 1000 აშშ დოლარს არ იღებდა, რის მიზეზადაც ასახელებდა მოსარჩელის მიერ კერძო საჩივრის წარდგენასა და მორიგების აქტის ფორმალურად დადგენას. როგორც დადგინდა იქნა, მას შემდეგ, რაც დ. მ-მა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში გამოიხმო სარჩელი მხარეთა შორის მორიგების მიღწევის საფუძვლით, მან გამოხმობის შედეგად მიღებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა, თუმცა მოგვიანებით კერძო საჩივარზე უარი განაცხადა, ვინაიდან მხარეთა შორის მორიგება შედგა. ამდენად, დ. მ-მა კეთილსინდისიერად შეასრულა ზეპირსიტყვიერი შეთანხმების პირობა იმასთან დაკავშირებით, რომ მორიგების შემთხვევაში უარს იტყოდა სამართალწარმოებაზე. მას შემდეგ, რაც დ. მ-მა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე საბოლოოდ თქვა უარი და მიღებული განჩინება აღარ საჩივრდებოდა, ე. ც-მ უარი განაცხადა თანხის მიღებაზე.

მართალია, სარჩელის გამოხმობა მხარეს არ ართმევს უფლებას, რომ კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუმცა აღსანიშნავია, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება არ ჩერდება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამოწვევებისა. ამდენად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ე. ც-მ რეალურად ის მორიგების პირობა არ შეასრულა, რაც საფუძვლად დაედო დ. მ-ის მიერ დაკმაყოფილებული სარჩელის გამოხმობას. ე. ც-ს სადავოდ არ გაუხდია მორიგების აქტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება არც შეგებებული სარჩელის აღძვრით და არც სარჩელზე წარდგენილი შესაგებებით. მორიგების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ე. ც-ს მიერ დ. მ-ისათვის სარდაფზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ დ. მ-ი კისრულობდა ვალდებულებას, არ შეეზღუდა მისი საცხოვრებლის ქვეშ არსებულ სარდაფზე ე. ც-ს სარგებლობის უფლება. მორიგების აქტის ეს უკანასკნელი პირობა სამართალწარმოების პროცესში მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა, ვინაიდან სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის საგანს წარმომადგენელ მორიგების აქტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. მორიგების პირველი პუნქტი ეხება სარდაფის ნასყიდობას. მას შემდეგ, რაც მხარეები შეასრულებდნენ მორიგების აქტის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირობას, აღნიშნულის სანაცვლოდ წარმოემობოდა დ. მ-ს მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება. ამდენად, მორიგების აქტის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე არ იყო დამოკიდებული ე. ც-ს მიერ დ. მ-ისათვის სარდაფზე საკუთრების უფლების გადაცემა.

მხარეების მიერ მორიგების აქტით გამოვლენილი ნება ნამდვილია. ე. ც-ს სადავოდ არ გაუხდია გამოვლენილი ნების ნამდვილობა, კერძოდ, პრეტენზია არ ყოფილა წარდგენილი იმაზე, რომ ნება არ იყო გამოვლენილი ე. ც-ს მიერ ან ნების გამოვლენას საფუძვლად ედო მოტყუება, იძულება თუ შეცდომა. ე. ც-ს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ შეასრულა მან მორიგების აქტით აღებული ვალდებულება, მდგომარეობდა იმაში, რომ მორიგების აქტი ფორმალურად იყო. მისი მითითებით, ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელი იყო მორიგების აქტის სანოტარო ფორმით შედგენა. ე. ც-ა სააპელაციო ინსტანციით საქმის განხილვისას სადავოდ ხდიდა მორიგების ხელმოწერის დ. მ-ის წარმომადგენლის უფლებამოსილებას, თუმცა, მისი ამგვარი პოზიცია არ იქნა გაზიარებული. სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის მიერ გარიგების შემდგომ მოწო-

ნებაზე. ამჟამად, თ. ტ-ე დ. მ-ის ინტერესებს იცავს მორიგებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მორიგების პირობები დ. მ-ისათვის მისაღებია.

სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით, გარიგება, ან გარიგების მონაწილეთა მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა, ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. 2006 წლის 8 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რომელიც 2007 წლის 15 მარტიდან ამოქმედდა, უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგება სანოტარო წესით დადასტურებას აღარ მოითხოვს.

პალატამ სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 323-ე და 327-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ნამდვილად მიჩნევისათვის აუცილებელია, მხარეთა ნამდვილი ნება, არსებით პირობებზე შეთანხმება და გარიგების წერილობითი ფორმით შედგენა. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი კი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამდენად, თუ კანონი უძრავი ქონების დადების თაობაზე ითხოვს ხელშეკრულების მარტივ წერილობით ფორმას, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის აუცილებელი ყველა არსებითი პირობის წერილობითი ფორმით ასახვა და ხელმოწერით დადასტურება მხარეებს წარმოუშობს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, კერძოდ, მყიდველს თანხის გადახდის, ხოლო გამყიდველს კი თანხის მიღებისა და ქონების გადაცემის ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, მყიდველი დ. მ-ი ითხოვს გამყიდველ ე. ბ-ისაგან ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, მორიგების აქტით გათვალისწინებული თანხის მიღებასა და სარდაფზე საკუთრების უფლების გადაცემას. დ. მ-ის მოთხოვნა კანონიერი და მართლზომიერია შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ განმარტა, რომ საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგების ფორმას და ზეგავლენას არ ახდენს ხელშეკრულების მხარეებს შორის სანივთოსამართლებრივი გარიგებიდან უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობაზე. უფრო მეტიც, ნამდვილი ნების საფუძველზე წერილობითი ფორმით დადებული გარიგება საჯარო რეესტრში უფლების კონსტანტაციის საფუძველია. წერილობითი გარიგებით შემქმნის წარმოშობა უფლება, მოსთხოვოს გამსხვისებელს საჯარო რეესტრში მისი უფლების კონსტანტაცია. მოცემულ შემთხვევაში, მორიგების აქტით მხარეებმა, დ. მ-მა და ე. ბ-მ გაითვალისწინეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა არსებითი პირობა, კერძოდ, ნასყიდობის საგანი იდენტიფიცირებადია, ფასი ზუსტად განსაზღვრულია, მხარეთა გამოვლენილი ნება ნამდვილია, ნება ხელმოწერებით დადასტურებულია, გარიგება წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებულია. ამდენად, ესაა სანივთოსამართლებრივი გარიგება, რომელიც მხარეებს წარმოუშობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლებას. პალატამ ყურადღება გაამახვილა სანივთოსამართლებრივი გარიგების ორმაგ ბუნებაზე და განმარტა, რომ სანივთოსამართლებრივი გარიგებიდან წარმოშობილი უფლება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. პირი ვერ ჩაითვლება უძრავი ქონების მესაკუთრედ, იპოთეკარად, უზუფრუქტუარად, მეაღნაგედ და ა.შ. სხვა სანივთო უფლების მქონედ, თუ აღნიშნული უფლებები რეგისტრირებული არ არის საჯარო რეესტრში. სანივთოსამართლებრივი უფლების მოპოვების კონსტანტაცია საჯარო რეესტრში საკანონმდებლო დანაწესია და, პირველ რიგში, მესამე პირთა უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ წერილობითი ფორმით დადებული სანივთოსამართლებრივი გარიგება არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს რეგისტრაციის გარეშე უშუალოდ გარიგების მონაწილეებისათვის. უფრო მეტიც, ნამდვილი ნების საფუძველზე წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს გამყიდველს ნასყიდობის ფასის მიღება და ქონების საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხვა. სამოქალაქო კოდექსის 479-ე მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამდენად, წერილობითი გარიგების საფუძველზე გამოვლენილი ნების შესაბამისად, გამსხვისებელი ვალდებულია, მიიღოს ნასყიდობის ფასი და დაარეგისტრიროს უძრავი ქონების შემქმენი უძრავი ქონების მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, რაც გამოიხატება მის ვალდებულებაში, გადასცეს შემქმენს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საბუთები და გადაიხადოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი ხარჯები. შესაბამისად, ე. ბ-ს არგუმენტი გარიგების ფორმად აუცველობასთან დაკავშირებით საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან წერილობითი გარიგების შედეგად გამყიდველის უარი ნასყიდობის ფასის მიღებასა და უძრავი ქონების საჯარო რეესტრში შემქმენის სახელზე დარეგისტრირებაზე, სხვა არაფერია, თუ არა უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების დარღვევა და არა ვალდებულების შეუსრულებლობა გარიგების ფორმად აუცველობის საფუძველით. პალატამ მიუთითა, რომ შემქმენი წერილობითი გარიგების საფუძველზე ვერასოდეს დაარეგისტრირებს შემქმენილ ქონებას თავის სახელზე, თუ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადა. აღნიშნული კი, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემქმენს წარმოუშობს მოთხოვნის უფლებას, შეასრულოს გამსხვისებელმა

წერილობითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მიიღოს ნასყიდობის ფასი და უზრუნველყოს შემძენის საკუთრების უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.

სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება.

უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ფორმასთან და აღნიშნული გარიგებით წარმოშობილი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან მიმართებით პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, განემარტა სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები. მართალია, უძრავი ქონების თაობაზე საკმარისია ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმით დადება, თუმცა, მხოლოდ აღნიშნული ვერ გახდება საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველი, ვინაიდან მარეგისტრირებელ ორგანოში გამყიდველის ნება უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით დადასტურებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით, თუ, რა თქმა უნდა, გარიგება ამავე ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით არ დაიდო. სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი არ ცვლის უძრავი ქონების თაობაზე ხელშეკრულების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კერძოდ, არ აწესებს გარიგების სანოტარო წესით დადასტურების ვალდებულებას. 311¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დებულება ემსახურება უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციას, რათა არ გაყალბდეს გამსხვისებლის ხელმოწერა, გასხვისების ნების ერთგვარი სიმულაცია და ა.შ ამიტომ საჯარო რეესტრში ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერის წარდგენის ვალდებულება გარიგების ფორმისადმი წაყენებული მოთხოვნა კი არ არის, არამედ კანონმდებლის მიერ დაწესებული სიფრთხილის ერთგვარი სტანდარტია, რათა მესაკუთრის ნების წინააღმდეგ საკუთრების უფლება სხვა პირზე არ გადავიდეს. აღნიშნული მსჯელობის ნათელყოფის მიზნებისათვის პალატამ ყურადღება გააამახვილა 311¹ მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, ხელმოწერების სანოტარო წესით დადასტურების ვალდებულება არ არსებობს, თუ გარიგება საჯარო რეესტრში ფორმდება უფლებამოსილი პირის თანდასწრებით.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დ. მ-ს დეპოზიტზეც რომ განეთავსებინა თანხა, მხოლოდ მორიგების აქტის საფუძველზე საკუთრების უფლებას ნასყიდობის საგანზე ვერ დაირეგისტრირებდა, თუ ე. ც-ა საჯარო რეესტრში მისვლით ან ნოტარიუსის თანდასწრებით, არ დაადასტურებდა მორიგების აქტში გამოხატული ნების ნამდვილობას. ამდენად, საფუძვლიანი და დასაბუთებულია დ. მ-ს მიერ სასარჩევლო წესით კონტრაქტის დავალდებულება, შესრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ის ვალდებულება, რომლის ნამდვილობაც მას სადავოდ არ გაუხდია. უფრო მეტიც, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იქნა, რომ ე. ც-ა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა არა მის მიერ გამოხატული ნების არარსებობის ან გამოვლენილი ნების ნაკლის გამო, არამედ ხელშეკრულების ფორმალურ ცვლადობის საფუძველით. პალატამ მიიჩნია, რომ უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ნამდვილობის პირობებში, შემძენს უფლება აქვს, მოსთხოვოს გამსხვისებელს ნასყიდობის ფასის მიღება და საკუთრების უფლების გადაცემა ნასყიდობის საგანზე. ნასყიდობის უფლების გადაცემა სხვა არაფერია, თუ არა შემძენის მოთხოვნა მიმართული გამსხვისებლის მიმართ, სათანადო წესით დაადასტუროს გამოხატული ნება და ამით ხელი შეუწყოს შემძენს, მის სახელზე ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ დ. მ-სა და ე. ც-ს შორის დადებული ხელშეკრულება აკმაყოფილებს უძრავი ქონების თაობაზე დადებული გარიგების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო გარიგების მხარეების მიერ მორიგების აქტში გამოხატული ნება ნამდვილია, შესაბამისად, არსებობს დ. მურადოვის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები, რაც იმას ნიშნავს, რომ ე. ც-ს უნდა დაეკისროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც გამოიხატება დ. მ-ის მიერ 1000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ ამ უკანასკნელისათვის მორიგების აქტით გათვალისწინებულ სარდაფზე საკუთრების უფლების გადაცემაში.

პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალური თითოებების მომწესრიგებელი ნორმების ამოსავალი წერტილია ბუნებითი სამართლიანობის აღდგენა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. ყველა ადამიანი სამოქალაქო უფლებამოვალეობების მატარებელია. სამოქალაქო უფლების მართლზომიერი რეალიზაცია კი საზოგადოებაში სტაბილური გარემოს შექმნის გარანტიაა. თითოეული მოქალაქე ვალდებულია, თავისი უფლება განახორციელოს იმგვარად, რომ დაუშვებლად არ ხელყოს სხვისი უფლება. დ. მ-მა მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, გაიხმო სარჩელი იმ საფუძველით, რომ მხარეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, თუმცა, მას შემდეგ რაც დ. მ-ის სარჩელი დარჩა განუხილველი, ე. ბ-მა უარი განაცხადა მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, იმ საფუძველით, რომ მორიგების აქტი, ფორმალურად ყველაფერი. პალატამ მიიჩნია, რომ ე. ც-ს მიერ დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებათა რეალიზაციის კეთილსინდისიერების სტანდარტი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის არსებული მორიგების პირობას წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის ვალდებულება, არ შეეზღუდა კასატორი მეორე სარდაფით სარგებლობაში, რომელიც მდებარეობდა მ-ის სახლის ქვეშ. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მორიგების აქტის მხოლოდ პირველ პუნქტზე და აღნიშნული დასაბუთა იმ გარემოებით, რომ ე. ც-ს სადა-

ვოდ არ გაუხდია მორიგების მეორე პუნქტი (დ. მ-ის ვალდებულება არ შეეზღუდა მოპასუხე მისი საცხოვრებელი სახლის ქვეშ მდებარე სარდაფით სარგებლობაში) არც შეგებებული სარჩელით და არც შესაგებლით. კასატორის მხრიდან ასეთი ქმედების ვალდებულება არ არსებობდა, რადგან სარჩელს არ ცნობდა და არ აღიარებდა ვალდებულებას, ვინაიდან, მის მიერ ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო დ. მ-ის მხრიდან თანხის გადახდის ვალდებულებაზე. მოსარჩელე გათავისუფლდა მორიგების აქტის მეორე პუნქტით ნაკისრი ვალდებულებისაგან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ მხარეს მიაკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის ითხოვდა. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატას მორიგების პირობები უნდა შეეფასებინა ერთობლივად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია, სადავოა ამ გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, კერძოდ:

მორიგების აქტი, რომლითაც ე. ც-მ იკისრა ვალდებულება, დ. მ-ისათვის საკუთრებაში გადაეცა ბ. ხ-ის №161-ში მდებარე 38 კვ.მ სარდაფი 1000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით და არ არის დადასტურებული სანოტარო წესით. ე. ც-ს მიერ მორიგების აქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულებულა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა მიერ შედგენილი მორიგების აქტი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უძრავი ნივთის ნასყიდობაზე შეთანხმება – სანივთო გარიგებაა, რომლის ნამდვილობისთვის კანონმა იმპერატიულად დაადგინა კონკრეტული ფორმა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა. იმავე შინაარსისაა ამავე კოდექსის 323-ე მუხლი. როგორც ყველა გარიგებისთვის უძრავი ნივთის ნასყიდობისთვისაც გადამწყვეტია ნების გამოვლენის სამართლებრივი ვარგისიანობა. კანონით დადგენილი წესის თანახმად, თუ ნება გამოვლენილია სამართლებრივი ფორმის დაუცველად სამართლებრივი შედეგი არ მიიღწევა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სანივთო გარიგების იურიდიულ ბუნებაზე და განმარტავს:

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებს, როგორცაა: ნასყიდობა, ჩუქება, სამისდღემო რჩენის ხელშეკრულება, სესხი, გაცვლა. ეს ხელშეკრულებები განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად მხარისათვის (შემძენისათვის) საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის კანონი სპეციალურ წესებს ადგენს:

სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, უძრავ ნივთზე საკუთრება გადასცეს სხვას ან შეიძინოს იგი, მოითხოვს წერილობით ფორმას. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნული ნორმებით, უძრავი ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა ვალდებულებითი ურთიერთობა უდევს საფუძველად საკუთრების უფლების გადაცემას, აუცილებელია, მისი წერილობითი შედგენა.

მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეთა შორის შედგენილია უძრავი ნივთის ნასყიდობის აქტი და სადავოა მისი იურიდიული ძალა. სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას, მიყიდველს გადასცეს ნივთზე საკუთრების უფლება, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. აღნიშნული ნორმის ანალიზით ნასყიდობის ხელშეკრულება კონსენსუალურია და იგი დადებულად ითვლება მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით შეთანხმების მომენტიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა ნივთის გადაცემაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, ხელშეკრულების მიზანი და ინტერესი, რასაკვირველია, საკუთრების უფლების გადაცემაშია და იგი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ უფლების გადაცემას ემსახურება. ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულება მოიცავს როგორც ვალდებულებით (მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე), ისე სანივთო (გარიგებით საკუთრების უფლების განკარგვა და გადაცემა ხდება) გარიგების ელემენტებს და იგი, როგორც ერთიანი ხელშეკრულება, ერთობლივად უნდა იქნეს განხილული.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ვალდებულებითი გარიგების საფუძველზე შემძენისათვის გადასაცემი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ხოლო რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლი.

სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე შესაბამისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი

თი ფორმით დადებული გარიგება. გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული უნდა იყოს კანონით დადგენილი წესით. თუ გარიგების მონაწილე მხარეები გარიგებას ხელს აწერენ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის არ მოითხოვება გარიგების ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება. ამავე კოდექსის 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით, ხოლო ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება, ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

ამდენად, მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის, საფუძვლის – უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის მავალდებულებელი გარიგების დამოწმება სავალდებულოა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააკველაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების იმგვარად განმარტებას, რომ აღნიშნული ნორმების დანაწესებიდან გამომდინარე, უძრავ ნივთზე ნასყიდობის გარიგების დამოწმება სავალდებულო არ არის და, მოცემულ შემთხვევაში, მოდავე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება გარიგების ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ ამა თუ იმ ნორმის განმარტება ზოგად ნორმებთან ერთობლიობაში უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე და 183-ე მუხლის დანაწესები 311¹ მუხლით დადგენილ წესებთან ურთიერთშეჯერებით უნდა იქნეს განხილული. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი ნაწილი თავისი ბუნებით იმპერატიული ნორმაა, რომლის მიზანი, როგორც ზოგადად ყველა იმპერატიული ნორმების მიზანი კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაშია. კანონის განმარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის კანონის ტექსტისა და სამართლის ძირითად პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა – კანონმდებლის მიზანი.

ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქვეყანა სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქვეყნის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქვეყნის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.

სამოქალაქო კოდექსის 311¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წერილობითი გარიგების კანონით დადგენილი წესით დამოწმებული ხელმოწერა იმპერატიული დანაწესია და ამ ტიპის გარიგებისთვის კანონით განსაზღვრულ ფორმას წარმოადგენს, ხოლო ამ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება კანონით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს – საჯარო რეესტრში რეგისტრაციით საკუთრების უფლების მოპოვებას ვერ წარმოშობს. მითითებული ნორმის დანაწესი სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლით გარიგების ფორმისათვის დადგენილ ზოგად წესებთან ერთობლიობაში უნდა განვიხილოთ. ამ უკანასკნელი ნორმით კი ზუსტად არის განსაზღვრული ხელმოწერის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირი. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნის საწინააღმდეგოდ, კანონით დადგენილი წესით დამოწმებული ხელმოწერა საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის სავალდებულო წინაპირობაა.

უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულოობა ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სასარჩელო წესით კონტრაქტის დავალდებულების შესაძლებლობას, შეასრულოს ფორმადუცველი ხელშეკრულებით ნაკისრი ის ვალდებულება, რომლის ნამდვილობაც მას სადავოდ არ გაუხდია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმებით კანონმდებელი კონტრაქტების იძულებას დასაშვებად მიიჩნევს (მაგ: 319-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილები, 604-ე მუხლი), თუმცა ხელშეკრულების დადების იძულება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ნამდვილი გარიგების შემთხვევაშია შესაძლებელი. რაც შეეხება, ბათილ გარიგებებს კანონი ამ შემთხვევაში სპეციალურ რეგულაციას უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ადგენს.

საკველაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებებით კასატორმა მხარემ ხელშეკრულების დადებისათვის ნდობის ფაქტორი შექმნა, ხოლო ხელშეკრულების დაუდებლობით დაირღვა კეთილსინდისიერების პრინციპი. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ხელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში ხელშეკრულების კანონით გათვალისწინებული წესით (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი) დადებამდე კონტრაქტის ვარაუდი ხელშეკრულების დადებულად მიჩნევაზე ნაკლებ

ბად გამართლებულია, ხოლო ხელშეკრულების ფორმის სავალდებულოობის შემთხვევაში კი, ასეთი ვარაუდი ხელშეკრულების დადების დავალდებულებას ვერ წარმოშობს.

სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, ნდობა და კეთილსინდისიერება კანონთან შესაბამისობაში უნდა იყოს განხილული და სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი. ხელშეკრულების დადების ნდობის ფაქტორი კანონშესაბამისი უნდა იყოს და იგი დაცვაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს ჰქონდა კანონიერი საფუძველი ხელშეკრულების დადების რწმენა შექმნოდა. მოცემულ შემთხვევაში, კანონით იმპერატიულად განსაზღვრული ფორმის დაუცველობა ხელშეკრულების არსებობას და, შესაბამისად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის კანონიერებას გამოირიცხავს.

ამდენად, უსაფუძვლოა დ. მ-ის მოთხოვნა კონტრაქტისათვის ნასყიდობის ფასის მიღებისა და ნასყიდობის საგანზე – უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის დავალდებულების თაობაზე, რადგან ხელშეკრულება, კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობის გამო, დადებულად ვერ მიიჩნევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

დ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

დ. მ-ს ე. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ე. ბ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1406-1421-2011

17 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავეძე,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ვ-მა, მ. ს-ამ, მ. ბ-მა და ჯ. ბ-ემ სარჩელით მიმართეს სასამართლოს ლ. წ-ას, თ. ნ-ისა და შ. ზ-ის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე №8/61 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის მ. ს-ას, №8/62 – ვ. ვ-ს, №8/63 – ჯ. ბ-ეს და №8/64 – მ. ბ-ს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. მოსარჩელები ვერ სარგებლობენ საკუთრებით, ვინაიდან მოპასუხებს უკანონოდ შემოღობილი აქვთ აღნიშნული ნაკვეთები. მ. ს-ას №8/61 ნაკვეთი დაკავებული აქვს შ. ზ-ეს, მ. ბ-ის №8/64 ნაკვეთი თ. ნ-ს, ხოლო ვ. ვ-ის №8/62 ნაკვეთი და ჯ. ბ-ის №8/63 ნაკვეთი დაკავებული აქვს ლ. წ-ას და აწარმოებს მშენებლობას, მაშინ, როდესაც ისინი მოსარჩელებს კანონის სრული დაცვით აქვთ აღრიცხული საჯარო რეესტრში.

მოპასუხე ლ. წ-ამ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძველებით: სადავო მიწის ნაკვეთი ეკუთვნის მოპასუხეს. ჯ. ბ-ის სახელზე 2005 წლის და ვ. ვ-ის სახელზე 1999 წელს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი, რომელიც სასარჩელო განცხადებას თან ერთვის, და ვითომდა დადასტურებულია 2007 წლის 11 იანვარს, ეჭვას ბადებს მის ნამდვილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ვ-ის მიერ მითითებული მიწის ნაკვეთი 1999 წელს და ჯ. ბ-ის ნაკვეთი 2005 წელს მიეკუთვნებოდა გარდაბნის რაიონს და 2007 წლამდე არ შედიოდა თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში. ამდენად, ეჭვის ქვეშ დგება წარმოდგენილი ამონაწერის სისწორე და ნამდვილობა. ამასთანავე, მოსარჩელებს სარჩელი წარმოდგენილი აქვთ არასათანადო მოპასუხის მიმართ. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ ლ. წ-ს სრული უფლება აქვს იმ ნაკვეთზე, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა, ასევე მისი კუთვნილი ნაკვეთი, განსხვავებით

მოსარჩევეების კუთვნილი ნაკვეთებისგან წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო მიწას. მისი მისამართიც განსხვავებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით მოსარჩევეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეში სათანადო მოპასუხედ შ. ზ-ის ნაცვლად ჩაერთო კ. მ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ვ-ის, მ. ს-ას, ჯ. ბ-ისა და მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დადგინდა თ. ნ-ის უკანონო მფლობელობიდან მ. ბ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 315,5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოთხოვა, ლ. წ-ასა და კ. მ-ის უკანონო მფლობელობიდან ვ. ვ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ას და ჯ. ბ-ის კუთვნილი ქ.თბილისში ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების გამოთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 მარტის გადაწყვეტილება საპელაგო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის საპელაგო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. წ-ასა და კ. მ-ის საპელაგო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგინდადი მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა იქნა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის თაობაზე, რომ 1993 წელს დაბა წ-ში ხანძრის შედეგად განადგურდა ზონარგაყრილი წიგნი, სადაც შ. წენგუაშვილი, დ. ა-ი, ი. ღ-ი რეგისტრირებული იყვნენ, როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები. აღნიშნული გადაწყვეტილებით შ. წენგუაშვილს, დ. ა-სა და ი. ღ-ს საკუთრების უფლებით გადაეცათ 1800-1800 კვ.მ მიწის ნაკვეთები. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 23 მარტის ცნობის თანახმად, შ. წ-ს სახელზე გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე წ-ის სატყეო უბანში რეგისტრირებული იყო 0,18 ჰა ფართის მიწის ნაკვეთი, აღნიშნული ნაკვეთიდან 0,12 ჰა იყიდა ნ. დ-მ, რომელიც თავის მხრივ, 2003 წლის 16 დეკემბერს შეიძინა ლ. წ-ამ. 2005 წელს ლ. წ-ამ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან 0,06 ჰა გაასხვისა თ. ნ-ის სახელზე. გარდაბნის სატყეო სამსახურს არ გააჩნია წ-ის სატყეო უბნის კარტოგრაფიული მონაცემები, შესაბამისად, არ დგინდება სადაო ნაკვეთის ადგილმდებარეობა. ამასთან, გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გაცემული მიწის ნაკვეთები შედის გარდაბნის რაიონის სატყეო მეურნეობის საზღვრებში, რომელიც ექვემდებარება გარდაბნის რაიონის გამგეობას, ხოლო ი-ის ქუჩა მიეკუთვნება ქ. თბილისის ტერიტორიას. 1999 წლის 16 სექტემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. ვ-ის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/62 მიწის ნაკვეთი. 2005 წლის 21 ოქტომბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ბ-ს საკუთრების უფლებით აქვს 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/64 მიწის ნაკვეთი. 2005 წლის 21 ოქტომბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/63 მიწის ნაკვეთი. 1999 წლის 1 სექტემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ს-ას სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების №8/61 მიწის ნაკვეთი. 2008 წლის 22 თებერვალს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, წ-ის სატყეო უბანში მდებარე 598.00 კვ.მ №07/037 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის თ. ნ-ს. 2007 წლის 12 ნოემბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, დაბა წ-ის სატყეო უბანში მდებარე 1000.00 კვ.მ №07/018 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ლ. წ-ას. 2008 წლის 7 ოქტომბერს გაცემული საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 1800.00 კვ.მ №07/055 მიწის ნაკვეთი ეკუთვნის კ. მ-ს. შ. ზ-ესა და კ. მ-ს შორის 2004 წლის 4 აგვისტოს დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კ. მ-მა შ. ზ-ისგან შეიძინა გარდაბნის რაიონის ბაგების სატყეო მეურნეობის უბანში მდებარე 0,18 ჰა მიწის ნაკვეთი. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით არასათანადო მოპასუხე შ. ზ-ე შეიცვალა სათანადო მოპასუხე კ.მ-ით. სისპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 12 თებერვლის №2416/18 ექსპერტის დასკვნის თანახმად, იმის გამო, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მოპასუხეების: ლ. წ-ასა და შ. ზ-ის მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემები, ექსპერტისთვის უცნობია, თუ რომელი ნაკვეთებია მათ საკუთრებაში რიცხული. ლ. წ-ასა და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო რუკებზე აღნიშნული გეგმის კოორდინატების გათვალისწინებით მდებარეობს ი. უ-ის (ყოფილი ი-ის) ქუჩის მიმდებარედ, ხოლო ახალდაბის ქუჩა მდებარეობს აღნიშნული ი. უ-ის ქუჩიდან დაახლოებით 4 კმ-ის მოშორებით. გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მისამართი «ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ტყე-პარკი», ხოლო ლ. წ-ას სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ. თბილისი, დაბა წ-ი, სატყეო უბანი, ნაკვეთი №7/18, კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართი კი – ქ. თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, ნაკვეთი №7/55. საპელაგო ინსტანციის სასამართლოში აპელანტის მიერ საქმეში წარმოდგენილი შპს «ჯ-ის» 2011 წლის 12 აპრილის დაკვალვის ჩატარების დამადასტურებელი აქტის თანახმად, ლ. წ-ასა და კ. მ-ის სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკვალვისა და მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრებთან შედარებით დადგინდა, რომ რამოდენიმე ადგილას 80-100 სანტიმეტრი არის მცირედი გადაცდომა, საერთო ჯამში გადაცდომის მთლიანი ოდენობა შეადგენს 0.36%-ზე ნაკლებს. მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ამავე ორგანიზაციის გეოდეზიური სამსახურის 2011 წლის 29 აპრილის ტოპოგრაფიული გეგმისა და საკადასტრო მონაცემების შეთავსების აქტის თანახმად კი, ტოპოგრაფიულ გეგმაზე ასახული ტერიტორია მდებარეობს წ-ის გზატკეცილსა და ი. უ-ის (ყოფ. გ. ი-ის) ქუჩის მიმდებარედ. სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაკვალვის აქტს, ვინაიდან იგი ტოპოგრაფიული გეგმისა და საკადასტრო მონაცემების შეთავსების აქტთან შედარებით ზუსტად პასუხობს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებს; კერძოდ, ადგენს იმ სადავო გარემოებას, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით ლ. წ-ა და კ. მ-ი ფლობენ საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს, ტოპოგრაფიული გეგმისა და საკადასტრო მონაცემების შეთავსების აქტი კი არ განმარტავს, არც ადგენს და არც უარყოფს, მოცემული საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ზემოხსნებულ საკითხს, კერძოდ, ემთხვევა თუ არა აპელანტების კ. მ-ისა და ლ. წ-ას სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრებს.

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით პალატა დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, 172-ე მუხლის 1-ლ ნაწილს და 162-ე მუხლს განმარტა: ვინდიკაციური მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის უნდა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები: მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე, მოპასუხე უნდა ფლობდეს სადავო ნივთს და მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ აპელანტები ფაქტობრივი მდგომარეობით ფლობენ საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს; ამდენად, არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მოპასუხეთა უკანონო მფლობელობა სადავო მიწის ნაკვეთზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ს-ამ, ვ. გ-მა და ჯ. ბ-ემ და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: წ-ის რამდენიმე მოსახლისათვის გარდაზნის რაიონის 2002 წლის 11 სექტემბრის №2-225-2005 გადაწყვეტილებით დაკანონებულ ნაკვეთებს არავითარი შეხება არ აქვთ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ბაგების სატყეოს მიწებიდან თბილისის მოსახლეობისათვის გამოყოფილ ნაკვეთებთან, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს მიწის ფართობები გადაეცათ დაბა წ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და არა ბაგების ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, შ. წ-ს ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტყე-პარკში გადაეცათ 1800 კვ.მ მიწის ნაკვეთები. დ. ა-ს წ-ის ტყე-პარკში, ი. ღ-ს წ-ის ტყე-პარკში და ა.შ. 2002 წლის 13 აგვისტოს აქტში, რომელსაც ხელს აწერენ დაბა წ-ის საზოგადოებრივი გაერთიანება სათემოს თავმჯდომარე ნ.წ-ი და ამავე სათემოს წევრი გ.მ-ი, დაბა წ-ის გამგეობის მიწათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარე ო. დ-ი, რომლებიც ადასტურებენ, რომ „მოქალაქე და. ა-ი და ი. ღ-ი მრავალი წელი ფლობენ და სარგებლობდნენ დაბა წ-ში ე.წ პარკში 2000-2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთებს». ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქმე ეხება დაბა წ-ის ფართობების გადაცემას და არა ბაგების მიწის ფართობებთან. ზემოაღნიშნულადან გამომდინარე, ნათელია, რომ შ. წ-ს საკუთრების უფლებით გადაეცა დაბა წ-ის მიმდებარე ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტყე-პარკში 1800 კვ.მ მიწის ფართობი და არა ბაგების სატყეო უბნის ფართობი, რასაც ადასტურებს თვით ბაგების სარეგისტრაციო სამსახურიც. დადგენილია, რომ გარდაზნის სარეგისტრაციო სამსახურს არ გააჩნია წ-ის სატყეო უბნის კრატოგრაფიული მონაცემები და სადავო ნაკვეთის ადგილმდებარეობას ვერ განსაზღვრავს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სასამართლომ ზემოთ აღნიშნული ყველა გარემოება მიიჩნია დადგენილად და დეთანხმა ამას, თუმცა გამოიტანა აღნიშნულისაგან სავსებით საპირისპირო დასკვნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა დაყრდნობოდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას და უპირატესობა უნდა მიანიჭებოდა შპს „ჯ-ის» მიერ შესრულებულ დაკვალვის აქტს, რომლიდან გამომდინარე დასკვნა კიდევაც, რომ თითქოს ლ. წ-ა და კ. მ-ი ფლობენ საქმის მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს. სრულიად გაუგებარია, თუ სასამართლო საიდან დაასკვნა ლ. წ-ასა და კ. მ-ის მიერ მათ ამონაწერში მითითებული მიწის ნაკვეთის ფლობის ფაქტი, მაშინ, როდესაც თვითონ სასამართლოვე აღნიშნავს გადაწყვეტილებაში, რომ ტოპოგრაფიული გეგმისა და საკადასტრო მონაცემების შეთავსების აქტის თანახმად ტოპოგრაფიულ გეგმაზე ასახული ტერიტორია მდებარეობს წ-ის გზატკეცილსა და ი. უ-ის ქუჩის მიმდებარედ. აღნიშნული მით უფრო საინტერესოა თუ გავითვალისწინებთ, რომ ლ. წ-ასა და კ. მ-ის სახელზე არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერებში მითითებული მისამართად დაბა წ-ი, ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორია, ხოლო ამონაწერებში კი ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, ანუ სასამართლო ადასტურებს თავადვე იმ გარემოებას, რომ სადავო მიწის ნაკვეთები მდებარეობს ი-ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ აქვე ასკვნის, რომ აპელანტები ფლობენ იმ მიწის ნაკვეთებს, რომელთა ფლობის უფლებაც მათ აქვთ ამონაწერის მიხედვით.

დაუსაბუთებელია, თუ რატომ ჩათვალა სასამართლომ, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №2416/18 და №1682/04/18 დასკვნები იყო არასრული და არ პასუხობდა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს. პირიქით, აპელანტების მიერ წარმოდგენილი დასკვნა არ პასუხობს საქმისათვის მნიშვნელოვან და არსებით გარემოებას – მდებარეობს თუ არა კ. მ-ისა და ლ. წ-ას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს თუ არა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულ მისამართზე. შესაბამისად, გაუგებარია, თუ რა ახალი და აქამდე უცნობი გარემოება გამოავლინა სასამართლომ ამ დასკვნის საფუძველზე და როგორ უარყოფს ეს დოკუმენტი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის მიერ გაცემულ დასკვნას, სადაც ცალსახად არის აღნიშნული, რომ აპელანტების მიწის ნაკვეთები მისამართის მიხედვით მდებარეობს მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული ნაკვეთებისაგან დაახლოებით ოთხი კილომეტრის დაშორებით. გაურკვეველია, თუ რატომ მიანიჭა სასამართლომ უპირატესობა დაკვალვის აქტს, რატომ ჩათვალა, რომ ზუსტია და პასუ-

ხოზს სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვას მაშინ, როდესაც მოსარჩელეთა წარდგენილი დასკვნის თანახმად დადასტურებულია ის გარემოება, რომ სადავო ნაკვეთები რეალურად მდებარეობს უ-ის ქუჩის მიმდებარედ, სადაც საკუთრების უფლება მათზე რეგისტრირებული. სასამართლო ადგენს, მხარეებმა რა საფუძველით შეიძინეს საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე და შესაბამისად, ადასტურებს, რომ გარდაბნის რაიონის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შეძენილი მიწის ნაკვეთები შესყიდა ლ. წ-ამ, რომლებიც მდებარეობს წ-ის სატყეო უბანში, ხოლო ჩვენ საკუთრების უფლება მოპოვებული აქვთ ბაგების ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სასამართლო ასევე ადასტურებს იმ გარემოებასაც, რომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული მიწის ნაკვეთები ექვემდებარებოდა გარდაბნის რაიონის გამგეობას, ხოლო ი-ის ქუჩა – თბილისის ტერიტორიას. შესაბამისად, სავსებით ალოგიურია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ აპელანტებმა საკუთრების უფლება მოიპოვეს გარდაბნის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთებზე, რადგან სადავო ნაკვეთები მდებარეობს თბილისის ტერიტორიაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, ხოლო 394-ე მუხლის ე' პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, თუკი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია კანონის არასწორი განმარტების შედეგად საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა და არასარწმუნოობა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ლ. წ-ა და კ. მ-ი მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით ფაქტობრივი მდგომარეობით ფლობენ; ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა, ვინაიდან საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მოპასუხეთა უკანონო მფლობელობა სადავო მიწის ნაკვეთზე.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს რა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელები უთითებენ, რომ მათ გააჩნიათ საკუთრების უფლება მოპასუხეთა მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ დასაბუთებას, ვინდიკაციური სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კანონით გათვალისწინებული წინაპირობების კუმულატიურად არსებობის აუცილებლობის თაობაზე, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინდიკაციური სარჩელი საფუძველიანია, თუ ერთობლიობაში დადგინდება, რომ მოსარჩელე ნივთის მესაკუთრეა, მოპასუხე ფლობს სადავო ნივთს და მფლობელს არ აქვს ამ ნივთის ფლობის უფლება.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ლ. წ-ა და კ. მ-ი ფლობენ, საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელები სარჩელის საფუძველად უთითებენ რა მათ საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას დადგინდა მოსარჩელებისა და მოპასუხეების სახელზე საჯარო რეესტრში რიცხული მიწის ნაკვეთების თანხვედრის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ ისე გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ არ შეუმოწმებია დასახელებული ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხი, რითაც შეფასების გარეშე დატოვა 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული აუცილებელი პირობა – მოსარჩელების უფლება სადავო ნივთთან მიმართებით. განს.ლველ დავაში მოსარჩელებმა სადავო მიწის ნაკვეთზე უფლების დაცვა მესაკუთრის სტატუსით მოითხოვეს და მოპასუხეების მიერ ნივთის ფლობა არამართლზომიერად მიიჩნიეს. აღნიშნულით სასამართლომ შეამოწმა მხოლოდ მოპასუხეთა მიერ ნივთის ფლობის უფლება და ისინი მართლზომიერ მფლობელად მიიჩნია, ვინაიდან ფაქტობრივი მდგომარეობით ლ. წ-ა და კ. მ-ი ფლობენ საქმის მასალებში წარმოდგენილ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხულ მიწის ნაკვეთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორმა ისარგებლა საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების სა-

მართლებრივი საფუძვლები და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნევა, რომ კასატორის მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 12 თებერვლის და 2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტის დასკვნები არასრული და წინააღმდეგობრივი იყო, რის გამოც მიზანშეწონილად ჩათვალა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის მოთხოვნა, კერძოდ, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის სასამართლოს მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე კოდექსის 172-ე მუხლით ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. ამასთან, 173-ე მუხლით, თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პირობები.

2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნით, ლ. წ-სა და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო რუკებზე დატანილი კოორდინატების გათვალისწინებით მდებარეობს ი. უ-ის ქუჩის მიმდებარედ (ყოფილი ი-ის ქუჩა), ხოლო ახალდაბის ქუჩა მდებარეობს აღნიშნული ი.უ-ის ქუჩიდან დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით. გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია მისამართი, «ახალდაბის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის ტყე-პარკი», ხოლო ლ. წ-ას სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, დაბა წ-ი, სატყეო უბანი, ნაკვეთი 7/18 და კ. მ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მისამართი არის ქ.თბილისი, ბაგების სატყეო უბანი, ნაკვეთი №7/55. აღნიშნული მიწის ნაკვეთების მისამართები არ შეესაბამება გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ მისამართს. თანამოსარჩელების ვ. ვ-ის, მ. ბ-ის, მ. ს-ასა და ჯ. ბ-ის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების და თანამოპასუხეების, ლ. წ-ას და კ. მ-ის სახელებზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებს შორის ხდება როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული გადაფარვებიც.

ამდენად, მითითებული მტკიცებულების შინაარსიდან სადავო მიწის ნაკვეთზე როგორც მოსარჩელეთა, ასევე მოპასუხეთა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების თანხვედრა იკვეთება. ამავდროულად, გამოკვეთილია მოსარჩელების საკუთრების უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე, რაც ვინდიკაციური საჩივრის აღძვრის ერთ-ერთი წინაპირობაა. სააპელაციო პალატას დასკვნის ამ ნაწილში მითითებული გარემოების არსებობა საერთოდ არ გამოუკვლევია და შეუფასებია.

საგულისხმოა, რომ მტკიცებულებით, რომელსაც დაეფუძნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება – შპს «ჯ-ის» 2011 წლის 12 აპრილის დაკვალვის ჩატარების დამადასტურებელი აქტით გამოკვლევა ჩატარდა საჯარო რეესტრში ლ. წ-ას და კ.მ-ის სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებზე მიწის საკადასტრო კოდი: №01/14/09/07/018 და №01/14/09/07/017. ამასთან, სასამართლოს მიერ უარყოფილი 2009 წლის 16 ნოემბრის ექსპერტიზის დასკვნითაც სწორედ იგივე საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთები იქნა გამოკვლეული და შედარებული მოსარჩელების სახელზე რიცხულ მიწის ნაკვეთებთან.

სამოქალაქო სამართალი კერძოსამართლებრივი ურთიერთობებში გარკვეულ ხარვეზებს არ გამოორიცხავს. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და ამ ბრუნვაში ჩართულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მატერიალური კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ რეგულაციებს, როგორცაა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, სამართალურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერება და ა.შ. 2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 314-ე მუხლით განსაზღვრული იყო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა. მითითებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, რეესტრში რეგისტრირებულ უფლებათა რიგითობა განისაზღვრებოდა რეგისტრაციის დროის თანამიმდევრობის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებებით 314-ე მუხლი ამოღებულ იქნა, თუმცა მსგავსი შინაარსის ნორმა იმავდროულად აისახა ჯერ «უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის 14.4 მუხლში, ხოლო შემდგომ «საჯარო რეესტრის შესახებ» საქართველოს კანონის 13.4 მუხლში (მოქმედი რედაქცია). ამ მიმართებით ასევე გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსის 1514-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის სამსახურის ჩამოყალიბებამდე მიწის ნაკვეთების გასხვისება ფორმდებოდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებში ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში. ამდენად, დასახელებული საკანონმდებლო რეგულაციები ითვალისწინებს და აწესრიგებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ერთსა და იმავე ნივთზე ორი თანაბარი დონის უფლება რეგისტრირებული. მართალია, კასატორები არ იზიარებენ სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოწინააღმდეგე მხარეები მასზე აღრიცხულ მიწის ნაკვეთს ფლობენ და მიიჩნევენ, რომ მათი მიწის ნაკვეთი ტერიტორიულად სხვა მისამართზეა, მაგრამ საქმის მასალებით იკვეთება სადავო ნივთზე მოდავე მხარეთა უფლების თანხვედრა, რაც სათანადო გამოკვლევასა და რეგულირებას საჭიროებს.

ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, ხოლო სააპელაციო პალატას საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოება – მოსარჩელის უფლება ნივთთან დაკავშირებით, არ გამოუკვლევია, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მოცემულ დავასთან დაკავშირებით თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, სამოქალაქო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. ვ-ის, მ. ს-ასა და გ. ჯ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრინდეს იმავე სასამართლოს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იპოთეკა

იპოთეკის ფარგლები

განჩინება

№ას-1280-1300-2011

6 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალაგვიძე

დავის საგანი: იპოთეკის ფარგლები

აღწერილობითი ნაწილი:

სს „... ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჩ-ის, ი. ყ-ისა და მ. ყ-ის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელესა და ინდემწარმე ნ. ჩ-ს შორის 2007 წლის 28 სექტემბერს დადებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განისაზღვრა საკრედიტო ლიმიტი 50 000 აშშ დოლარით, 120 თვით, მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი კი – 25%-ით. ხელშეკრულების თანახმად, 2007 წლის 28 სექტემბერს გაიცა კრედიტი 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, 36 თვის ვადით, წლიური 17%-ის დარიცხვით. 2008 წლის 3 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად სესხის ვადა გაიზარდა 39 თვემდე. 2009 წლის 30 მაისს გაიცა მეორე სესხი 32 308 აშშ დოლარის ოდენობით, 60 თვით წლიური 22%-ის დარიცხვით. სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ყოველთვიურად, სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, რაც მოპასუხეებს არ შეუსრულებიათ. ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2007 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა სოლიდარული ვალდებულებების შესახებ ხელშეკრულება მ. ყ-თან, რომლის თანახმადაც კონტრაქტის კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და მსესხებლის მიერ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაეხადა თანხა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისა და პირობების მიხედვით. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად გაცემული ყველა კრედიტი უზრუნველყოფილ იქნა იპოთეკით, კერძოდ, იპოთეკით დაიტვირთა თბილისში, ..., მე-5 მ/რ-ის მე-4 კორპუსში მდებარე ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული №7 ბინა. საკრედიტო და სოლიდარული ვალდებულებების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მოპასუხეებს არ შეუსრულებიათ.

ი. ყ-მა და მ. ყ-მა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: საკრედიტო ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, თუმცა სარჩელში საერთოდ არ არის საუბარი იმაზე, რომ ამავე საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ასევე იპოთეკით დაიტვირთა ნ. ჩ-ის უძრავი ქონება. აღნიშნული იპოთეკის არსებობა დადასტურებულია გენერალური ხელშეკრულების №7.1 პუნქტით. მიუხედავად ამისა, დღეისათვის აღნიშნული უზრუნველყოფა სასარჩელო მოთხოვნაში აღარ ფიგურირებს. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმებულია 2007 წლის 28 სექტემბერს, ხოლო მისი უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენებული იპოთეკის ხელშეკრულებები – 2007 წლის 21 სექტემბერს, ანუ შვიდი დღით ადრე. 2009 წლის 30 მაისს 32 308 აშშ დოლარის ოდენობით მეორე კრედიტის გაცემით სს „... ბანკი“ გასცდა გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრულ სალიმიტო ოდენობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ნ. ჩ-ს სს „... ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრა 37 362.48 ლარის გადახდა. სს „... ბანკის“ სარჩელი მ. ყ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა; 23 764,48 აშშ დოლარის დავალიანების დაფარვის მიზნით დადგინდა კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს სს „... ბანკმა“ და ი. ყ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ი. ყ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მეოთხე პუნქტი და სს „... ბანკის“ სარჩელი დავალიანების დაფარვის

მიზნით ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, ქ. თბილისში, ნ-ის , მე-5 მ/რ-ის მე-4 კორპუსში მდებარე №7 ბინის რეალიზაციის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: 2007 წლის 28 სექტემბერს სს „... ბანკსა« და ინდემქარმე ნ. ჩ-ს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: საკრედიტო ლიმიტი 50 000 აშშ დოლარი, ვადა 120 თვე, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი წლიური 25%. 2007 წლის 28 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში 2007 წლის 28 სექტემბერს გაიცა კრედიტი 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, 36 თვის ვადით, წლიური 17%-ის დარიცხვით. 2009 წლის 30 მაისს გაიცა მეორე სესხი (შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით) – 32 308 აშშ დოლარი, 60 თვის ვადით, წლიური 22%-ის დარიცხვით. სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ყოველთვიურად, ნაწილ-ნაწილ, სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც მოპასუხეებს არ შეუსრულებიათ. 2007 წლის 28 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულება მ. ყ-თან, რომლის მიხედვითაც, იგი კისრულობდა ვალდებულებას, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაეხადა თანხა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისა და პირობების მიხედვით. საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ასევე იპოთეკით დაიტვირთა ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ნ-ის , მე-5 მ/რ-ის მე-4 კორპუსში მდებარე №7 საცხოვრებელი ბინა. ი. ყ-ის ქონებასთან ერთად ასევე უზრუნველყოფილ იქნა ძირითადი მოვალის – ნ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით. 2009 წლის 30 მაისს გაცემული სესხით – 32 308 აშშ დოლარით დაიფარა 2007 წლის 28 სექტემბრის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, რის შემდეგაც ბანკმა იპოთეკისგან გაათავისუფლა ძირითადი მოვალის – ნ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. 2008 წლის 3 სექტემბერს ცვლილება შევიდა 2007 წლის 28 სექტემბრის შემადგენელ საკრედიტო ხელშეკრულებაში და თანხის გადახდის გრაფიკი ახლებურად შეთანხმდა. ამავე ხელშეკრულებაში ცვლილება ასევე განხორციელდა 2009 წლის 24 აგვისტოს გადახდის გრაფიკში. ი. ყ-თან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების №4.4 პუნქტის თანახმად, ქონების იპოთეკით დატვირთვა უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე მოქმედი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას: კრედიტის ძირითადი თანხის 50 000 აშშ დოლარის, კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს, ზარალის, ქონების შენახვასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. 2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ« ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტია 50 000 აშშ დოლარი, ხოლო, №2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშებით, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს №2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს.

პალატამ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, განიმარტოს თავად იპოთეკის, როგორც სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის არსი. სამოქალაქო კოდექსის 286-ე და მუხლის 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფისას აუცილებელია მოვალისა და კრედიტორის უფლებების თანაბარზომიერი დაცვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოვალისა და კრედიტორის ნებას, კერძოდ, მოვალის სურვილს, გარკვეული რისკის ქვეშ დააყენოს უძრავი ქონება, რითაც ქმნის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტიასა და კრედიტორის სურვილს, გასცეს თანხა, სანაცვლოდ მიიღოს უზრუნველყოფის ღონისძიება გარანტიად, რომლითაც უპირობოდ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. პალატამ განმარტა, რომ იპოთეკარი დაცულია საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით მოვალის საკუთრებასთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული ჩანაწერი შემდგომში არასწორი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, მოვალე დაცულია იპოთეკის საგნის იმ ვალდებულების ფარგლებით, რომელიც ვალდებულებისთვისაც მან ქონება იპოთეკით დატვირთა, ანუ უმთავრესია იპოთეკით მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როგორც იპოთეკის საგნის, ისე იმ ვალდებულების განსაზღვრულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხორციელდება სანივთო უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში წინდაწინაა სავარაუდო, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაცია სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების – ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იმთავითვე ნათელი უნდა იყოს, თუ სად გადის მოვალის, კონკრეტულ შემთხვევაში, არაპირადი მოვალის, იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზღვარი, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი ვალდებულებიდან. აღნიშნული განპირობებულია იპოთეკის სამართლებრივი ბუნებით, კერძოდ, იგი დამოუკიდებლად არ წარმოიშობა და მიბმულია ძირითადი მოთხოვნის არსებობაზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იპოთეკით დადგენილი პასუხისმგებლობის ფარგლები მთლიანად განისაზღვრება ძირითადი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულების ფარგლებით. განსახილველ შემთხვევაში საკრედიტო ლიმიტი შეადგენდა 50 000 დოლარს, ხოლო გაცემული კრედიტების ჯამური ნაშთი არ უნდა აღმატებოდა აღნიშნულ თანხას. პალატამ მიიჩნია, რომ გენერალური ხელშეკრულება – ტერმინთა მნიშვნელობის სახით არ განსაზღვრავს ლიმიტის ცნებას, რის გამოც ბანკის მიერ შემოთავაზებულ განმარტებას, რომ აღნიშნულში იგულისხმება 50 000 აშშ დოლარის გაცემა მრავალჯერ, შეუზღუდავად, ხელშეკრულების მთელი 10-წლიანი მოქმედების პერიოდში პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ლიმიტის ამგვარ განსაზღვრებაზე მხარეები არ შეთანხმებულან. შესაბამისად, მხარეთა, მოვალისა (ამ შემთხვევაში იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრისა) და კრედიტორის თანაბარზომიერი დაცვის ფარგლებისა და სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლით გათვალისწინებულ, ხელშეკრულების პირობის სამართლიანი განმარტების პრინციპზე დაყრდნობით პალატამ განმარტა, რომ №2.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ლიმიტი წარმოადგენდა საკრედიტო თანხას, რომლის ათვისების უფლებაც

გააჩნდა მოვალეს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. დადგენილია, რომ ნ.ჩ-მა სრულად აითვისა საკრედიტო ლიმიტი – 50 000 აშშ დოლარი, რაც მანვე დაფარა. ამასთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა, რომ ი. ყ-ის იპოთეკური ვალდებულება გრძელდებოდა სწორედ ამ ლიმიტის ფარგლებში მის სრულ დაფარვამდე. საკრედიტო ლიმიტის დავალიანების სრულად გასტუმრებით, ძირითადი ვალდებულების შესრულებით შეწყვეტასთან ერთად შეწყდა მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის ი. ყ-ის ქონებით განსაზღვრული სანივთოსამართლებრივი ვალდებულებაც. პალატამ არ გაიზიარა სს „... ბანკის» პოზიცია, რომ 2009 წლის 30 მაისის სესხის ხელშეკრულებით გაცემული 32 308 აშშ დოლარით, კრედიტორი არ გასცდენია საკრედიტო ლიმიტს. ბანკი ცდილობს, მიუთითოს კრედიტის მიზნობრიობაზე, პრობლემური სესხის გადაფარვაზე, რაც ასახულია ამ ხელშეკრულების №1.5 პუნქტში. სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის მიხედვით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა, მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. 2009 წლის 30 მაისის საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით ბანკი გასცემს თანხას, ხოლო მსესხებელი ვალდებულია, დაბრუნოს იგი. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან. პალატამ განმარტა, რომ მითითებული ხელშეკრულება კონსენსუალურია, რადგან მხარეებმა თავად დაუკავშირეს უფლება-მოვალეობათა წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტს. აქედან გამომდინარე, ბანკი ხელშეკრულების დადებისთანავე ვალდებული იყო, გაეცა კრედიტი მის მომთხოვნ მხარეზე მიზნობრიობის გათვალისწინების მიუხედავად. თუკი მსესხებელი არამიზნობრივად გამოიყენებდა მეორედ გაცემულ კრედიტს, აღნიშნული შეიძლება გამხდარიყო ბანკის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. შესაბამისად, კრედიტის მიზნობრიობა არ წარმოშობს იმ დასკვნის საფუძველს, რომ 2009 წლის 30 მაისის ხელშეკრულება არის 2007 წლის 28 სექტემბრის შემადგენელი ხელშეკრულება. ბანკის არგუმენტები, რომ ტექნიკურად შეუძლებელი იყო ცვლილების შეტანა გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებაში, რომლითაც ნათელი იქნებოდა, რომ 2009 წლის 30 მაისის ხელშეკრულება წარმოადგენს გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ საკრედიტო ლიმიტი სრული მოცულობით აითვისა ძირითადმა მოვალე ნ. ჩ-მა, ხოლო 2009 წლის 30 მაისის ხელშეკრულებას დამოუკიდებელ საკრედიტო ხელშეკრულება არ იქნა უზრუნველყოფილი, რადგან ი. ყ-ს არ გამოუვლენია ახალი კრედიტის მისი ქონებით უზრუნველყოფის ნება. ბანკმა სალიმიტო თანხის დაფარვის შემდეგ სრულად გამოათავისუფლა ძირითადი მოვალის ქონება სანივთო ვალდებულებისაგან, იპოთეკისაგან, ხოლო უზრუნველყოფად მიიჩნია არაპირადი მოვალის ქონება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „... ბანკმა» და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი. პალატამ არასათანადოდ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები. სასამართლო საქმის განხილვის დროს არ იხელმძღვანელა სპეციალური „საბანკო კანონმდობით», რომელიც ამ სასამართლო დავის შემთხვევაში მისი არსობრივი სწორი გადაწყვეტისათვის წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზას. მსჯელობა გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებაზე, მის შემადგენელ და მისგან გამომდინარე ცალკეულ საკრედიტო ხელშეკრულებით ტრანშებად მიღებული სესხების, ასევე შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულების ცვლილებებზე, სუბსიდიური ხელშეკრულების შესახებ ხელშეკრულებებისა და გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულებების შესახებ, სამართლებრივად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. პალატას არ გამოუკვლევიან მოქმედება თუ არა ბანკი საბანკო სფეროში არსებული რეგულაციებითა და წესებით, არ გამოუკვლევიან საბანკო პრაქტიკაში არსებული პრაქტიკა ანალოგიურ საქმეებზე და, შესაბამისად, არც დაუდგენია, თუ რას ნიშნავს ტერმინი „კრედიტის მიზანი», „პრობლემური სესხის გადაფარვა», „სესხის რესტრუქტურისაცია»; იყო თუ არა 2009 წლის 30 მაისის „შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №3556/2 და მისი შემადგენელი დანართი №1 გადახდის გრაფიკი» თავისი სამართლებრივი არსით სესხის რესტრუქტურისაცია, არ შეაფასა 2009 წლის 24 აგვისტოს ტრანზაქციის მხარეებს შორის გაფორმებული 2009 წლის 30 მაისის დადებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულების დანართის ცვლილება №1, რომლის მიხედვითაც განხორციელდა „მიზნობრივი უზრუნველყოფილი საბანკო კრედიტის დაფარვის გრაფიკის» მსესხებლის მოთხოვნებთან მორგება და ყოველთვიური შენატანის შემცირება. პალატას არ გამოუკვლევიან, ეს კონკრეტული საბანკო ტრანზაქცია მიზეზშედეგობრივად როგორ უკავშირდება კომერციული ბანკის მართვასა და საოპერაციო საქმიანობას, რომლის პოლიტიკასაც განსაზღვრავს ეროვნული ბანკი. პალატამ არ გამოიყენა ეროვნული ბანკის ბრძანება №350, რომლის მე-3 მუხლის „ვ» პუნქტი ცალსახად განსაზღვრავს „რესტრუქტურისებული სესხის ცნებას», სესხს, რომლის დაფარვის პირობების შეცვლაზე, მსესხებლის იურიდიული ან ფინანსური მდგომარეობის გამო, არსებობს შეთანხმება ბანკსა და მსესხებელს შორის. მხარეებს შორის არსებული 2009 წლის 30 მაისის შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, თავის სამართლებრივი არსით და საბანკო შინაარსით წარმოადგენს სესხების იმ კატეგორიას, რომელიც აბსოლუტურად ჯდება ეროვნული ბანკის №350 ბრძანებით განსაზღვრულ რესტრუქტურისებული სესხების კატეგორიაში, ვინაიდან ახალი შეთანხმებით გაიზარდა სესხის დაფარვის ვადა 39 თვიდან 60 თვემდე და შემცირდა ყოველთვიური შენატანი 1729 აშშ დოლარიდან, ჯერ 893 აშშ დოლარამდე და შემდგომ 700 აშშ დოლარამდე. პალატას უნდა გამოეყენებინა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სპეციალური რეგულაცია, ასევე უნდა დაედგინა შემდეგი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საკითხი, იწვევს თუ არა „სესხის რესტრუქტურისაცია» მსესხებლის და მასთან დაკავშირებული სოლიდარული მოვალეებისა თუ მსესხებლების ვალდებულების გაზრდასა და შემცირებას. ნებისმიერი საბანკო ტრანზაქცია, ბანკის მართვა და მისი საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დასაბუთებული ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურების შესაბამისად ანუ ბანკში არსებული ელექტრონულ საოპერაციო სისტემაში თითოეული ტრანზაქციის ასახვით, ამ კონკრეტულ დავაში ინდემწარმე ნ. ჩ-ის სავალუტო საბანკო ანგარიშზე არსებული დეტალური ბრუნვითა და განხორციელებული საბანკო ოპერაციე-

ბის შინაარსით. საქმეში წარმოდგენილია ნ.ჩ-ს საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ **30.05.2009** საბანკო ანგარიშზე ბრუნვა ამ დღეს იყო **32 308 აშშ დოლარი**, ნაშთი – **32 602.80 აშშ დოლარი** და მსესხებლის მიერ გაცემული საბანკო დავალებით №**10401280** განხორციელდა ვადაგადაცილებული კრედიტის დაფარვა და იმავე მომენტში „ბრუნვა დებეტში“ გახორციელდა **28 815.13 აშშ დოლარით** სესხის სრულად დასაფარად. იმ შემთხვევაში თუკი ბანკი გასცდებოდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკრედიტო ლიმიტის ჯამს – **50 000 აშშ დოლარს** და, თუ გავყვებით პალატის მსჯელობას, მსესხებელ ნ.ჩიტაშვილს, უნდა წარმოშობოდა **2009 წლის 30** მაისის მდგომარეობით გაზრდილი ვალდებულება ბანკის წინაშე, რაც საბანკო კრედიტის შემთხვევაში თანხის ზრდით გამოიხატებოდა. სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება დადგენილ უდავო ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ზოგ ნაწილში ასევე არასწორად არის ინტერპრეტირებული და სრულად არეულია №**3556** გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებისა და მის შემადგენელ №**3556** ხელშეკრულებას შორის.

სოლიდარული ვალდებულებისა და იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი იყო **2007 წლის** ბოლომდე გასაფორმებელ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე მოქმედი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულება. უზრუნველყოფისა და სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი პერიოდით – **10 წლით**. წამყვანი ლიცენზირებული საბანკო ინსტიტუტები ყოველდღიურად მიმართავენ ასეთ „საბანკო პრაქტიკას“, რომელიც ეფუძნება ბანკსა და კლიენტს შორის გრძელვადიან ურთიერთობას და რომლის მიზანია, თავიდან ააცილოს კლიენტს სხვადასხვა იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტაციის მრავალჯერადი მომზადება, მასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაღება, ყოველი ცალკეული საბანკო პროდუქტით მომსახურებისას ფორმდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული საბანკო პროდუქტით – კრედიტით. მისი შინაარსი გაცილებით ფართოა და სემანტირებულია სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით. გენერალურ საკრედიტო ხელშეკრულებაში აღნიშნული ერთ-ერთი ასეთი საბანკო პროდუქტის გამოყენება, მომსახურება და მისი პირობების შესრულება არ იწვევს გენერალური ხელშეკრულების შეწყვეტას, მოშლას ანდაც ხელშეკრულებიდან გასვლას. პალატამ დაუსაბუთებელი მსჯელობის შედეგად გააუქმა ი. ყ-ის იპოთეკური ვალდებულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო საკრედიტო ხელშეკრულება და მოიცავდა მხოლოდ **50 000 აშშ დოლარის** საკრედიტო ერთჯერად ლიმიტს და მსესხებლის მიერ ამ საკრედიტო ვალდებულების ერთჯერადად ამოწურვამ გამოიწვია მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის ი. ყ-ის ქონებით განსაზღვრული სანივთოსამართლებრივი ვალდებულების გაუქმება. პალატამ შეფასების გარეშე დატოვა **2011 წლის 17** აპრილს სასამართლო სხდომაზე თანამსესხებელის აღიარება, რომ კრედიტს ნ. ჩ-ის მაგივრად იხდიდა მ. ყ-ი. სოლიდარული მოვალის მიერ გარდა არსებული ხელშეკრულებისა, **2009 წლის 30** მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება აღიარებულ იქნა ასევე მისი შესრულებით, გადახდითაც, კერძოდ, როგორც საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერით დასტურდება, მ. ყ-ი იხდიდა **2009 წლის 30** მაისის გაფორმებული ხელშეკრულებით და შესაბამისი **2009 წლის** აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით დადგენილი წესითა და ოდენობით ყოველთვიურ შემცირებულ გადასახადს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მან „ცალსახად იცოდა პრობლემური სესხის გადაფარვის“ რესტრუქტურირების შესახებ. თავდაპირველი ყოველთვიური შენატანი ორჯერ შემცირდა და ბოლო ცვლილებით განისაზღვრა **700 აშშ დოლარით**. სასამართლომ, სათანადოდ არ შეაფასა ნ.ჩ-ს სავალუტო საბანკო ანგარიშზე სოლიდარული მოვალისა და მსესხებლის შენატანები, რომლითაც ივარებოდა შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება №**3556/2**-ით გათვალისწინებული ყოველთვიური სასესხო ვალდებულება, აღნიშნული შენატანები წარმოადგენს არსებული ოდენობით ვალდებულების აღიარებას. რაც შეეხება პალატის მოტივაციას იმის შესახებ, რომ ბანკი რესტრუქტურირების დროს გასცდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ ლიმიტს, არ არის მართებული, რადგანაც ბანკმა არა ახალი დამატებითი, არამედ, სწორედ ამ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული პრობლემური სესხი გადაანაწილა და თავიდან გასცა ახალი პირობებით. რესტრუქტურირების შედეგად მსესხებლის დავალიანება კი არ გასცდენია იმ თანხას, რომლის უზრუნველყოფაც უძრავი ქონების მესაკუთრემ განახორციელა. ამასთან, იპოთეკის ხელშეკრულების №**4.3** პუნქტის თანახმად, „იპოთეკა სრულად უზრუნველყოფს იპოთეკარი ბანკის მოთხოვნებს იმ მოცულობით, რაც იპოთეკარს ექნება თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში“. შესაბამისად, ნ. ჩ-მა და მ. ყ-მა აიღეს ვალდებულება ბანკის მიმართ, მოთხოვნის მომენტში გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე არსებული ყველა სახის დავალიანების სრულად დაფარვაზე. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი კეთილსინდისიერების პრინციპი. კეთილსინდისიერების ფარგლებში ხელშეკრულების ორივე მხარე თანაბარწილად ვალდებულია, ხელი შეუწყოს ხელშეკრულების შესრულებას, პალატამ ასევე არასწორად განმარტა სოლიდარული თავდებისა და სოლიდარული მსესხებლის მიერ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებიდან, სუბსიდიური ვალდებულების ხელშეკრულებიდან და უზრუნველყოფისათვის გაფორმებული თავდებობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით დადასტურებული და გამოხატული მათი ნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **410-ე** მუხლის **1-ლი** ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალა-

ტის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 28 სექტემბერს სს „... ბანკსა“ და ინდემწარმე ნ. ჩ-ს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება საკრედიტო ლიმიტით – 50 000 აშშ დოლარით, 120 თვით, მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთით წლიური 25%-ით. გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში 2007 წლის 28 სექტემბერს გაიცა კრედიტი 50 000 აშშ დოლარის ოდენობით, 36 თვის ვადით, წლიური 17%-ის დარიცხვით. 2009 წლის 30 მაისს გაიცა მეორე სესხი (შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებით) – 32 308 აშშ დოლარის ოდენობით, 60 თვის ვადით, წლიური 22%-ის დარიცხვით. სესხის დაფარვა უნდა განხორციელებულიყო ყოველთვიურად, ნაწილ-ნაწილ, სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რაც მოპასუხეებს არ შეუსრულებიათ. 2007 წლის 28 სექტემბერის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით ამავე დღეს მ. ყ-თან სოლიდარული ვალდებულების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, იგი კისრულობდა ვალდებულებას, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაეხადა თანხა საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისა და პირობების მიხედვით. 2007 წლის 28 სექტემბერის საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფად ასევე იპოთეკით დაიტვირთა ი. ყ-ის საკუთრებაში არსებული ქ.თბილისში, ნ-ის, მე-5 მე-4 კორპუსში მდებარე №7 საცხოვრებელი ბინა. 2007 წლის 28 სექტემბერის საკრედიტო ხელშეკრულება ი. ყ-ის ქონებასთან ერთად ასევე უზრუნველყოფილ იქნა ნ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით. 2009 წლის 30 მაისს გაცემული სესხით – 32 308 აშშ დოლარით დაიფარა 2007 წლის 28 სექტემბერის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება, რის შემდეგაც ბანკმა იპოთეკისგან გაათავისუფლა ძირითადი მოვალის – ნ. ჩ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. 2008 წლის 3 სექტემბერს ცვლილება შევიდა 2007 წლის 28 სექტემბერის შემადგენელ საკრედიტო ხელშეკრულებაში და თანხის გადახდის გრაფიკი ახლებურად შეთანხმდა. ამავე ხელშეკრულებაში ასევე ცვლილება განხორციელდა 2009 წლის 24 აგვისტოს გადახდის გრაფიკით. ი. ყ-თან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების 4.1. პუნქტის თანახმად, ქონების იპოთეკით დატვირთვა უზრუნველყოფს მსესხებლის მიერ №3556 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით და მის საფუძველზე მოქმედი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. 2007 წლის 28 სექტემბერის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტია 50 000 აშშ დოლარი, ხოლო, 2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშებით, ოვერდრაფტით, საბანკო გარანტიას) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს.

სს „... ბანკის“ საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვინაიდან საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავის ფარგლებში, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის მოცულობასთან დაკავშირებით მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). ამდენად, იპოთეკა სანივთოსამართლებრივი გარიგებაა, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებას. მისი არსი და დანიშნულება არსებული ვალდებულების უზრუნველყოფა და მის გარეშე არ არსებობს. იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იგი არ წარმოიშობა და არც შეიძლება არსებობდეს ძირითადი უფლების გარეშე. იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების, ბუნება ვლინდება ძირითადი უფლების გადაცემის პროცესში – მოთხოვნის გადაცემისას იპოთეკა თან მიჰყვება მთავარ უფლებას. აღნიშნულს ნათლად ასახავს სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლის დანაწესი, რომლის ძალითაც იპოთეკა და მის საფუძველად არსებული მოთხოვნა მხოლოდ ერთდროულად და ერთობლივად შეიძლება იქნეს სხვა პირისათვის გადაცემული. მოთხოვნის გადაცემასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის იპოთეკაც.

იპოთეკას, გარდა აქცესორულობისა, მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს. სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს, რომ იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311¹ მუხლით დადგენილი წესით. გარიგებაში უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია აღინიშნოს, აგრეთვე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები. ამდენად, კანონი იპოთეკის წარმოშობისათვის უფლების სავალდებულო რეგისტრაციას ადგენს, რაც მხოლოდ იპოთეკის საგნის – უძრავი ნივთის სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით არ არის განპირობებული. იპოთეკის საჯარო ხასიათი შესაძლებლობას ანიჭებს მესამე პირებს, მოიპოვონ ზუსტი ინფორმაცია უძრავი ნივთის უფლებრივი ტვირთის თაობაზე და შემდეგ, საკუთარი რისკის გათვალისწინებით, გადაწყვიტონ ამ ნივთთან მიმართებით ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწე-

რებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (რომელიც მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ოდენობას) მითითებას, სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომელთა მიმართაც მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ვინაიდან იპოთეკა ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის მოცულობაზე უნდა გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ ამ მოცულობის ფარგლებში განხორციელდეს სანივთო უფლების გამოყენება და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ იპოთეკარი დაცულია საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით მოვალის საკუთრებასთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული ჩანაწერი შემდგომში არასწორი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, მოვალე დაცულია იპოთეკის საგნის იმ ვალდებულების ფარგლებით, რომელიც ვალდებულებისთვისაც მან ქონება იპოთეკით დატვირთა, ანუ უმთავრესია იპოთეკით მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როგორც იპოთეკის საგნის, ისე იმ ვალდებულების განსაზღვრულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც ხორციელდება სანივთო უფლების რეალიზაცია. ამ შემთხვევაში წინააღმდეგობა საგარაუდო, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციას სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების – ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს, წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას იმთავითვე ნათელი უნდა იყოს, თუ სად გადის იპოთეკით დატვირთული ნივთის მესაკუთრის პასუხისმგებლობის ზღვარი, რომელიც მოიცავს ძირითადი ვალდებულების ფარგლებს (ღირებულებას) ან იპოთეკის გარიგებით მხარეთა შეთანხმებულ უზრუნველყოფილ მოთხოვნის ოდენობას.

2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტი 50 000 აშშ დოლარია, ხოლო 2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშები, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს. სადავო იპოთეკის ხელშეკრულების 4.1. პუნქტით განსაზღვრულია იპოთეკის ფარგლები – გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრული მოცულობით და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის, პირგასამტეხლოს, ზარალის, ქონების შენახვასა და რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ 2007 წლის 27 სექტემბრის №3556/1 იპოთეკის ხელშეკრულება ვრცელდება 2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებებით გაცემული კრედიტის ძირითადი თანხის – 50000 აშშ დოლარისა და ამ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ საკრედიტო ლიმიტი შეადგენდა რა 50 000 დოლარს, აღნიშნულში იგულისხმება 50 000 აშშ დოლარის გაცემა მრავალჯერ, შეუზღუდავად, ხელშეკრულების მთელი 10-წლიანი (120-თვიანი) მოქმედების პერიოდში. უდავოა, რომ ლიმიტის ამგვარ განმარტებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ მოიცავს.

სიტყვა „ლიმიტი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ნორმის დაწესებას, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რისამე ხარჯვა, რამეთი სარგებლობა; ზღვრული ნორმა (იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ.241, შემდგენელი მ.ჭაბავიძე). ამ განმარტებიდან და მხარეთა შორის შეთანხმებული პირობიდან გამომდინარე (2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრედიტო ლიმიტია 50 000 აშშ დოლარი, ხოლო 2.3 პუნქტის მიხედვით, გაცემული კრედიტების (ხაზი, ცალკეული კრედიტი, მათ შორის, ქვემდებარე ტრანშები, ოვერდრაფტი, საბანკო გარანტია) ერთობლივი ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს) უნდა დავასკვნათ, რომ 50000 აშშ დოლარი წარმოადგენდა საკრედიტო თანხას, რომლის კრედიტად მიღების უფლებაც გააჩნდა მოვალეს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში. ამავდროულად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაც კონკრეტულად ამ ვალდებულების – 50000 აშშ დოლარის ფარგლებში იქნა განსაზღვრული და მისი სხვა ვალდებულებაზე გავრცელება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების ფარგლებს სცილდება.

რაც შეეხება სხვა ხელშეკრულებაზე იპოთეკის გავრცელებას, აღნიშნულს სამოქალაქო კოდექსი გარკვეული წინაპირობების არსებობისას უშვებს, კერძოდ, 286-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისათვის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება მისი მესაკუთრის ნებას საჭიროებს.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ წამყვანი ლიცენზირებული საბანკო ინსტიტუტები ყოველდღიურად მიმართავენ ასეთ „საბანკო პრაქტიკას“, რომელიც ეფუძნება ბანკსა და კლიენტს შორის გრძელვადიან ურთიერთობას და რომლის მიზანია, თავიდან ააცილოს კლიენტს სხვადასხვა იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტაციის მრავალჯერადი მომზადება, მასთან დაკავშირებული ზედმეტი ხარჯების გაღება, ყოველი ცალკეული საბანკო პროდუქტით მომსახურებისას ფორმდება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული საბანკო პროდუქტით. სამოქალაქო კოდექსი კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს მხარეთა თანასწორობისა და თავისუფალი სახელშეკრულებო პრინციპით აწესრიგებს, რაც გულისხმობს მხარეთა თავისუფლებას ხელშეკრულების შინაარსში, ფორმამში და კონტრაქტის არჩევანში კანონისმიერი შეზღუდვის გათვალისწინებით (იხ. სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის

ნორმათა, ძირითადად, დისპოზიციური ხასიათი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, კანონით დადგენილი წესისაგან განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ. ამავდროულად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის გადაწყვეტია ორივე მხარის ნება. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მოთხოვნის უზრუნველყოფის ფარგლები განსაზღვრეს. ამ ფარგლების შეცვლას კანონი არ კრძალავს, თუმცა სავალდებულოა მხარეთა ხელახალი შეთანხმება და ფორმის დაცვა (286-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კერძო სამართლის სუბიექტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია და თავის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში – საბანკო პრაქტიკაში თუნდაც წარმატებული დანერგვა კანონის იმპერატიულ დანაწესს და სამართლის სუბიექტთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს ვერ შეცვლის. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბანკმა სალიმიტო თანხის დაფარვის შემდეგ სრულად გამოათავისუფლა ძირითადი მოვალის -ნ.ჩ-ის ქონება სანივთო ვალდებულებისაგან, იპოთეკისაგან, ხოლო უზრუნველყოფად მიიჩნია არაპირადი მოვალის - ი. ყ-ის ქონება.

ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ, იპოთეკის ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, ნ. ჩ-მა და მ. ყ-მა აიღეს ვალდებულება ბანკის მიმართ მოთხოვნის მომენტში არსებული ყველა სახის დავალიანების სრულად დაფარვაზე. მითითებული პირობით იპოთეკა სრულად უზრუნველყოფს იპოთეკარი ბანკის მოთხოვნებს იმ მოცულობით, რაც იპოთეკარს ექნება თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში, კერძოდ, იპოთეკით უზრუნველყოფილია გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და მის საფუძველზე მოქმედი საკრედიტო ხელშეკრულებების შედეგად წარმოშობილი მოთხოვნა სრულად და შეუზღუდავად. აღნიშნული პირობა არ შეიძლება განიმარტოს დამოუკიდებლად 4.1, 4.1.1 და 4.1.2 პირობებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნის უზრუნველყოფის მოცულობას 50000 აშშ დოლარის ფარგლებში განსაზღვრავენ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა 2009 წლის 30 მაისისათვის მსესხებლის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების ჯამური ნაშთის 32602 ლარის არსებობის შესახებ, რაც ამავე გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების 2.3 პუნქტის მიხედვით, არ ადებტება 2.1.1 პუნქტით დადგენილ ლიმიტს – 50 000 აშშ დოლარს. კასატორის მითითებით, 2009 წლის 30 მაისს 32602 ლარზე დადებული ახალი სესხის ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია და სესხი სწორედ ზემოაღნიშნული დავალიანების გამოა გაცემული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავის შეფასებისათვის არ აქვს მნიშვნელობა, რა მიზანს ემსახურებოდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების მხარეებს შორის 2009 წლის 30 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების – იპოთეკის ფარგლები და თუნდაც ძველი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის შესასრულებლად აღებულ ახალ მოთხოვნაზე მისი გავრცელების დასაშვებობა. ეს საკითხები გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში ამომწურავადაა შეფასებული და სამართლებრივად დასაბუთებული. დამატებით საკასაციო სასამართლო უურადლებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2007 წლის 27 სექტემბრის გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტის, 50000 აშშ დოლარის შესრულება სადავოს არ წარმოადგენს, ხოლო ის გარემოება, რომ ამ ვალდებულების შესრულება ახალი საკრედიტო ხელშეკრულების ხარჯზე განხორციელდა, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ავტომატურად ახალ გარიგებაზე გადატანას ვერ გამოიწვევს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს არა საბანკო კრედიტი, არამედ ამ კრედიტის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, რომლის რეგულაცია სამოქალაქო კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმებით უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „... ბანკის» საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს „... ბანკის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იპოთეკის გავრცელება ქონების შემადგენელ ნაწილზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1081-1110-2011

10 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა ი. კ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ი. კ-ესა და ბ. დ-ს დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ 61595,16 აშშ დოლარისა და 21743,66 ლარის გადახდა, რაც უნდა დაფარულიყო ი. კ-ის საკუთრებაში არსებული 47 კვ.მ იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის გზით. სააღსრულებო წარმოება მოცემულ საქმეზე ჯერ არ დასრულებულა. მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხემ ზემოხსენებულ ბინას მიამატა 98,26 კვ.მ ფართი, რომელიც მხარეთა შორის 2007 წლის 19 ნოემბრის №... იპოთეკის ხელშეკრულების 6.13 პუნქტის საფუძველზე ასევე იპოთეკის საგანს წარმოადგენს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო 98,26 კვ.მ ფართი იპოთეკის საგნად ვერ ჩათვლება, ხოლო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მხარისათვის დაკისრებული თანხის გადახდევინება უნდა მოხდეს მხოლოდ 47 კვ.მ უძრავი ნივთის რეალიზაციით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის №2/674-09 გადაწყვეტილებით ი. კ-ისა და ბ. დ-ისათვის სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა ი. კ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 98,26 კვ.მ ფართი, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო სს «... ბანკის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: სს «... ბანკსა» და ი. კ-ეს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს წერილობით გაფორმდა №... იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ი. კ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 47,00 კვ.მ უძრავი ქონება. იპოთეკით უზრუნველყოფილ იქნა ი. კ-ესა და ბანკს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და, ასევე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (საქმე №2/674-09) სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, ი. კ-ეს (მსესხებელი) და ბნ. დ-ს (თავდები) სოლიდარულად დაეკისრათ 61 595,16 აშშ დოლარისა და 21 743,66 ლარის გადახდა სს «... ბანკის» სასარგებლოდ, დადგინდა დავალიანების გადახდევინება ი. კ-ის კუთვნილი, სს «... ბანკის» სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული, უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის გზით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ გადაწყვეტილებაზე 2009 წლის 23 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ-ს, საიდანაც 98,26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო დაკანონებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში.

იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სს «... ბანკისთვის» ცნობილი იყო, რომ ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგენილია, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 18 მარტის №ლევ-384 ბრძანებით მოხდა მიშენებული 98,26 კვ.მ. ფართის ლეგალიზაცია, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა მოპასუხე ი. კ-ის სახელზე და ბინის ფართმა შეადგინა 145,26 კვ.მ (47+98,26).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება მიექცა აღსასრულებლად, მაგრამ ი. კ-ის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია ვერ განხორციელდა მეორე აუქციონზეც, რის გამოც, თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 1 ივნისის განკარგულებით, სს «... ბანკის» სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ი. კ-ის კუთვნილი სადავო 47 კვ.მ უძრავი ნივთი ნატურით გადაეცა საკუთრებაში კრედიტორს, მეორე რიგის იპოთეკარ მ. ბ-ს, ხოლო სს «... ბანკის» პირველი რიგის იპოთეკის უფლება დარჩა უცვლელად.

იპოთეკის საგნის რეალიზაციის შესახებ მოთხოვნის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 17 ივლისის განჩინებით** (სააღსრულებო ფურცლის მოვალის საწინააღმდეგოდ გაცემის შესახებ) განხორციელდა ი. კ-ის უფლებამონაცვლეობა და დადგინდა გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ანაზღაურება მ. ბ-ის კუთვნილი უძრავი ქონების რეალიზაციით.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სადავო უძრავ ნივთზე ქრონოლოგიურად დადგინდა შემდეგი სახის უფლებრივი მდგომარეობა: **2008 წლის 5 მარტის** მდგომარეობით, დასახელებული **47 კვ.მ** უძრავი ნივთი აღრიცხული იყო მოპასუხე ი. კ-ის სახელზე, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია **2007 წლის 15 ნოემბრის** ნასყიდობის ხელშეკრულება. იპოთეკარად აღრიცხულია სს «... ბანკი»; **2008 წლის 1 ივლისის** მდგომარეობით, ხსენებული უძრავი ნივთი აღრიცხული იყო მოპასუხე ი. კ-ის სახელზე ფართით **145,26 კვ.მ** და I რიგის იპოთეკარად აღრიცხული იყო სს «... ბანკი», ხოლო II რიგის იპოთეკარად – მ. ბ-ი; საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტებია **2007 წლის 15 ნოემბრის** ნასყიდობის ხელშეკრულება და ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის **2008 წლის 18 მარტის №ლეგ-384** ბრძანება. ი. კ-ის სახელზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებულ **47 კვ.მ-ს** დაემატა ლეგალიზებული **98,26 კვ.მ**, რამაც ჯამში შეადგინა **145,26 კვ.მ**.

აღნიშნული მონაცემები **2009 წლის 3 ივნისამდე** იყო უცვლელი, ხოლო **2009 წლის 3 ივნისის ბინის 145,26 კვ.მ-დან 47 კვ.მ** აღირიცხა მ. ბ-ის სახელზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს **2009 წლის 1 ივნისის** განკარგულებით.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, განიმარტოს თავად იპოთეკის, როგორც სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის არსი. სამოქალაქო კოდექსის **286-ე** მუხლის მიხედვით, პალატა იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების განმარტების მიზნებისათვის აღნიშნავს, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფისას აუცილებელია მოვალისა და კრედიტორის უფლებების თანაბარ-ზომიერი დაცვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოვალისა და კრედიტორის ნებას, კერძოდ, მოვალის სურვილს, გარკვეული რისკის ქვეშ დააყენოს უძრავი ქონება, რითაც ქმნის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტიას და კრედიტორის სურვილს, გასცეს თანხა, სანაცვლოდ მიიღოს უზრუნველყოფის ღონისძიება გარანტიად, რომლითაც უპირობოდ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში, პალატა განსაკუთრებული გულისხმობით ეკიდება სამოქალაქო რისკების გადანაწილების საკითხს და შესაბამისად, მოვალისა და კრედიტორის კეთილსინდისიერების დაცვის გარანტიებს. სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ამბობს, რომ იპოთეკარი დაცულია საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით მოვალის საკუთრებასთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული ჩანაწერი შემდგომში არასწორი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, მოვალე დაცულია იპოთეკის საგნის იმ ფარგლებით, რომელიც მან იპოთეკით დატვირთა. უზრუნველყოფილი სანივთო უფლების – იპოთეკის – დადგენისას მხარეები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას. ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ღირებულება საგრძნობლად აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში წინასწარ იქმნება იმის ვარაუდი, რომ შეთანხმებული იპოთეკის საგნის რეალიზაცია სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-**300-301¹** მუხლებით და მიიჩნია, რომ კანონმდებელმა ნორმატიულად განამტკიცა პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებული სამართალური თეორია – მხარეთა შეთანხმების არსებობის პირობებში იპოთეკით დატვირთული ნივთის ფარგლებს გარეთ კრედიტორის ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ანუ, იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს მხარეებს, ერთის მხრივ კრედიტორს, ბანკს, თუკი იგი მიზნად ისახავდა საჭიროების შემთხვევაში თავისი მოთხოვნის იპოთეკის საგნის გარდა სხვა ქონებით დაკმაყოფილებას, მეორე მხრივ – მოვალეს, მოპასუხეს, თუკი ეს უკანასკნელი ეთანხმებოდა კრედიტორის ამგვარ ნებას, შეუზღუდავად შეეძლოთ ამგვარი პირობის ხელშეკრულებაშივე გათვალისწინება, რაც არ განხორციელებულა. მოსარჩელეს დავის არც ერთ ეტაპზე არ მიუთითებია ასეთი პირობის მოპასუხისთვის შეთავაზების თაობაზე, მეტადრე იმ პირობებში, როცა მისთვის იმთავითვე ცნობილი იყო იპოთეკის საგნის რეალური ფაქტობრივი მახასიათებლები (**47 კვ. მეტრის** ნაცვლად, **145 კვ. მეტრი**). ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ხელშეკრულების **6.13** პუნქტის ჩანაწერი და მისი იურიდიული მნიშვნელობა. ხელშეკრულების თანახმად, დადგენილი იპოთეკა ვრცელდებოდა იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც), ასევე, თუ იპოთეკის საგანს დაემატებოდა (მიშენება, დაშენება) შენობა ან შენობის ნაწილი.

პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული პირობის მოსარჩელისეული განმარტება (იპოთეკა უნდა გავრცელდეს მიშენების, დამატების შედეგად მიღებულ ნივთზე სრულად) ეწინააღმდეგება იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ლეგალურ დეფინიციას.

განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა იპოთეკის საგნად განსაზღვრეს **47 კვ. მეტრი** ფართი, ხოლო ის, რაც ხელშეკრულების **6.13** პუნქტში იგულისხმეს, არ არის კონკრეტიზებული და ამ თვალსაზრისით შეუძლებელია სანივთო უფლების ობიექტად მისი წინასწარ განსაზღვრა. მაგრამ, თუკი მოსარჩელის ლოგიკას გავიზიარებთ და ხელშეკრულების **6.13** პუნქტში ვიგულისხმებთ არა უძრავი ნივთის ნაყოფს, არამედ მიშენების, დაშენების, დამატების შემდეგ მიღებულ ქონებას, მაშინ ასეთი ქონება სამომავლო ქონებაა.

პალატა კვლავ მოიხმობს სამოქალაქო კოდექსის **286-ე** მუხლს და აღნიშნავს, რომ იპოთეკით არ შეიძლება დაიტვირთოს სამომავლო ქონება. იპოთეკის მიზნებისთვის, ნებისმიერი ქონება სამომავლოა, რომელიც საჯარო რეესტრში ასახული არ არის. ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სამოქალაქო კოდექსის **289-ე** მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის დანაწესით კანონმდებელი ამკვიდრებს სანივთო უზრუნველყოფის საჯაროობის პრინციპს და იპოთეკის იურიდიული ძალაც სწორედ რეგისტრაციის მომენტს უკავშირდება. ამდენად, თუ ქონება

რეგისტრაცია უნარიანი არ არის, აღნიშნული ნიშნავს, რომ იგი იპოთეკის თაობაზე დადებული გარიგების საგანი ვერ გახდება.

ხელშეკრულების 6.13. პუნქტში არსებული ჩანაწერის იურიდიულ არამართებულობასთან დაკავშირებით პალატამ ასევე მიუთითა მის პირობით ხასიათზე და ჩათვალა, რომ აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ნებაზე დამოკიდებულ პირობას. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ გათვალისწინებული პირობის დადგომა დამოკიდებული იყო არა მხოლოდ მოვალის, მოპასუხის, არამედ იმავდროულად მესამე პირის – ადმინისტრაციული ორგანოს ნებაზეც, რომელსაც, ასევე შეეძლო ი. კ-ის საწინააღმდეგოდ გადაეწყვიტა მიშენებული ფართის ლეგალიზაციის საკითხი.

ამდენად, პალატა თვლის, რომ ხელშეკრულების 6.13. პუნქტის პირობა იურიდიულად არანამდვილია, ბათილია, რის გამოც იგი სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «... ბანკმა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და საკუთარი ინიციატივით იმსჯელა სამართლის ისეთი ნორმების – სამოქალაქო კოდექსის მე-300-301¹ მუხლების შესახებ, რომელთაც მოცემულ დავასთან არავითარი კავშირი არ აქვთ.

პალატას საერთოდ არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და 327-ე მუხლზე, რომელთა საფუძველზეც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება. პალატას არ გამოუკვლევიან, ვრცელდება თუ არა იპოთეკა დატვირთული უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე ან ნივთის ნაყოფზე.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლი. პალატამ არასათანადოდ შეაფასა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 6.13 პუნქტი, რომლითაც იპოთეკის უფლება ვრცელდება დატვირთული საგნის იმ ნაწილზეც, რომელიც შესაძლოა მიუერთდეს მას ნებისმიერი ფორმით და გახდეს ამ ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა სადავო ურთიერთობაში მესამე პირის – საჯარო რეესტრის შემოყვანის თაობაზე, რადგან საჯარო რეესტრს არ გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე მიმართავს მას კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარდგენით ამა თუ იმ მოქმედების განხორციელების მოთხოვნით, ასეთ დროს რეესტრი ვალდებულია, უბრალოდ განახორციელოს მოთხოვნილი მოქმედება. ამდენად, ხელშეკრულების ზემოხსენებული პუნქტი კანონსაწინააღმდეგოდ და კასატორისათვის გაუგებარი არ არის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სს «... ბანკსა» და ი. კ-ეს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს წერილობით გაფორმდა №... იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც იპოთეკით დაიტვირთა ი. კ-ის კუთვნილი ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 47.00 კვ.მ უძრავი ქონება. იპოთეკა უზრუნველყოფდა ი. კ-ესა და ბანკს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და, ასევე, ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არასათანადოდ შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ-ს, საიდანაც 98,26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო დაკანონებული და აღრიცხული საჯარო რეესტრში. იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას სს «... ბანკისთვის» ცნობილი იყო, რომ ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 18 მარტის №ლეგ-384 ბრძანებით მოხდა მიშენებული 98,26 კვ.მ ფართის ლეგალიზაცია, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხვა მოპასუხე ი. კ-ის სახელზე და ბინის ფართმა შეადგინა 145,26 კვ.მ (47+98,26).

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, სადავო უძრავ ნივთზე ქრონოლოგიურად დადგინდა შემდეგი სახის უფლებრივი მდგომარეობა: 2008 წლის 5 მარტის მდგომარეობით, დასახელებული 47 კვ.მ უძრავი ნივთი აღრიცხული იყო მოპასუხე ი. კ-ის სახელზე, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია 2007 წლის 15 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება. იპოთეკარად აღრიცხულია სს «... ბანკი»; 2008 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ხსენებული უძრავი ნივთი აღრიცხული იყო მოპასუხე ი. კ-ის სახელზე ფართით 145,26 კვ.მ და I რიგის იპოთეკარად აღრიცხული იყო სს «... ბანკი», ხოლო II რიგის იპოთეკარად – მ.ბ-ი; საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტებია 2007 წლის 15 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება და ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 18 მარტის №ლეგ-384 ბრძანება. ი. კ-ის სახელზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებულ 47 კვ.მ-ს დაემატა ლეგალიზებული 98,26 კვ.მ, რამაც ჯამში შეადგინა 145,26 კვ.მ.

აღნიშნული მონაცემები 2009 წლის 3 ივნისამდე იყო უცვლელი, ხოლო 2009 წლის 3 ივნისს ბინის 145,26 კვ.მ-დან 47 კვ.მ აღრიცხა მ. ბ-ის სახელზე თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 1 ივნისის განკარგულებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის იმ მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მე-300¹, 301¹-ე და 301¹ მუხლებთან მიმართებაში არანაირი კავშირი არ აქვს განსახილველ დავასთან. დასაბუთებულია საკასაციო პრეტენზია იმასთან დაკავშირებითაც, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ გარემოებებს.

სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის თანახმად, უძრავი ქონება შეიძლება ისე დაიტვირთოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ამ ნივთის რეალიზაციით. იპოთეკის ინსტიტუტის არსებობა ცალსახად დაკავშირებულია უძრავი ქონების არსებობასთან. შეუძლებელია, არსებობდეს იპოთეკა უძრავი ნივთის გარეშე. განსახილველი დავაც სწორედ უძრავი ნივთის თავისებურებებთანაა დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, დავის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის შეფასებას, თუ რა მოიაზრებოდა ი. კ-ის უძრავ ქონებაში იპოთეკით დატვირთვის დროს.

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას ი. კ-ის საკუთრებად საჯარო რეესტრში აღრიცხული იყო ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა. აღნიშნული ბინის ნაწილი, კერძოდ კი ბინის 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებიდან ირკვევა, რომ ეს გარემოება ცნობილი იყო სს «... ბანკისათვისაც». აღნიშნულიდან ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ გარიგების დადებისას სადავო ფართი რეალურად არსებობდა, ანუ მას მატერიალური გამოხატულება ჰქონდა.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსში მდებარე №60 ბინა არის ერთიანი, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა. აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუკანონებელი ფართი გარიგების დადების მომენტისათვის გამოცალკევებული სახით არ არსებობდა. იგი წარმოადგენდა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის შემადგენელ ნაწილს. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა «მესაკუთრის» ანუ ი. კ-ის კუთვნილი მთელი უძრავი ქონება (იპოთეკის ხელშეკრულება, მუხლი 2, 2.1.-ე პუნქტი). ბუნებრივია, «მთელ» ქონებაში იგულისხმება დაუკანონებელი ფართიც. ხელშეკრულებაში არსადაა მითითებული, რომ სადავო ფართი იარსებებს განცალკევებულად, არც ის დათქმა არსებობს, რომ იპოთეკა არ ვრცელდება ბინის რომელიმე ნაწილზე. იმ პირობებში კი, როდესაც არსებობს ფართი, რომლის თაობაზეც ხელშეკრულების დადების დროს მხარეები განსაკუთრებულ დათქმას არ აკეთებენ და იმავდროულად უთითებენ, რომ იპოთეკით დაიტვირთა მთელი უძრავი ქონება, შეუძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ მხარეები სადავო ფართის იპოთეკით დატვირთვის თაობაზე არ შეთანხმებულან.

ზემოთ მითითებულ მოსაზრებას აძლიერებს იპოთეკის ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტში მითითებული დებულებაც, რომლის თანახმადაც მიმდინარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). ამავე პუნქტის თანახმად, დადგენილი ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატა (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი) იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა. მითითებულ დებულებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეების ნება ცალსახად მიმართულია სადავო ბინის მთელი ფართის (და არა მისი ნაწილის) იპოთეკით დასატვირთად.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტი ეწინააღმდეგება იპოთეკის ლეგალურ დეფინიციას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ნივთის იპოთეკის უფლებით დასატვირთვად აუცილებელია ნივთი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და შეუძლებელია, იპოთეკის გამოყენება სამომავლო ქონებასთან მიმართებაში. სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას უკავშირებს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს და მისი მოსაზრებით, შეუძლებელია, ისეთი ქონების დატვირთვა იპოთეკით, რომლის «სამართლებრივი საზღვრები დაუდგენელია».

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები, არ შეიცავენ აკრძალვას მომავალი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე.

მომავალ ქონებაზე გარიგების დადების ამკრძალავი ნორმა მოცემულია სახელშეკრულებო სამართალში, კერძოდ კი სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლში. აღნიშნული ნორმის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მთელი მისი მომავალი ქონება ან ქონების ნაწილი გადასცეს სხვას ანდა უზუფერუქტით დატვირთოს იგი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. აღნიშნულ ნორმაში საუბარია «მთელ მომავალ ქონებაზე» და «მომავალი ქონების ნაწილზე» ანუ ქონებაზე, რომელიც გარიგების დადების მომენტისათვის ხელშეკრულების მხარეებს არ გააჩნიათ და რომელიც მომავალში შეიძლება მიიღონ. (რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება მომავალი ქონების ცალკეულ ნაწილებზე დადებული ხელშეკრულება). განსხვავებით ამ ნორმაში მითითებული ქონებისაგან, სადავო ბინა წარმოადგენს არა მომავალ ქონებას, არამედ უძრავი ნივთის ნაწილს, რომელიც მატერიალურად არსებობს გარიგების დადების დროს დაუკანონებელი სახით. სადავო ფართი არის გარიგების დადების დროისათვის არსებული, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართის ნაწილი, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა.

საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას ხელშეკრულების მე-6.13 პუნქტის პირობით ხასიათთან მიმართებაშიც. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ პუნქტში მითითებული გარიგება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირობით გარიგებად და მითუმეტეს, ნებაზე დამოკიდებულ პირობად. სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ნებაზე დამოკიდებულად ითვლება პირობა, რომლის დადგომა ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია. განსხვავებით ასეთი სახის გარიგებისაგან, ნამდვილი პირობითი გარიგება დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენებზე

(სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლი). მისი შესრულება და შეწყვეტა უშუალო კავშირშია ამ მოვლენის დადგომაზე. ასეთ დროს გარიგების მხარეებს პირობის მართვა არ შეუძლიათ, რაც დამახასიათებელია ნებაზე დამოკიდებული გარიგებებისათვის. ამასთან, აუცილებელია სამომავლო და უცნობი მოვლენის ერთდროულად, კუმულატიურად არსებობა, რასაც ადგილი არ აქვს მოცემულ შემთხვევაში. შეუძლებელია, სამომავლო და უცნობ პირობად მივიჩნიოთ ხელშეკრულების სადავო პუნქტში მითითებული დებულება იმის თაობაზე, რომ უძრავი ქონების იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილებზე), ასევე იპოთეკის საგანს დამატებულ (მიეშენება, დაეშენება) შენობაზე (შენობის ნაწილი) ასევე იპოთეკის საგანში გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობაზე. შესაბამისად, ხელშეკრულების ეს ნაწილი არ შეიძლება მივიჩნიოთ პირობით გარიგებად. ასევე შეუძლებელია, მითითებული გარიგება მივიჩნიოთ ნებაზე დამოკიდებულ ბათილ გარიგებადაც, რადგან მხარეებს ამ მოვლენის მართვა არ შეუძლიათ. იმ შემთხვევაში თუ ფართის ოდენობა გაიზრდება, მხარის სურვილისა და ნებისაგან დამოუკიდებლად, იპოთეკა გავრცელდება მომატებულ ფართზეც. აღნიშნული პირობა ნამდვილ გარიგებას წარმოადგენს და მისი ბათილად მიჩნევა არასწორია.

სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულება და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ მათთვის სასურველი დებულებები, მხოლოდ იგი უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. პალატა მიიჩნევს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ კანონსაწინააღმდეგოდ ან გავაბათილოთ იგი. ასეთ პირობებში შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დებულებათა უგულებელყოფა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სარჩელი. პალატის აზრით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის №2/674-09 გადაწყვეტილებით ი. კ-ისა და ხ. დ-ისათვის სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეს ი. კ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 98,26 კვ.მ ფართი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. კ-ეს სს «... ბანკის» სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1179,12 ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი 300 ლარის, სულ – 1479,12 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 აპრილის №2/674-09 გადაწყვეტილებით ი. კ-ისა და ხ. დ-ისათვის სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაკისრებული თანხის გადახდევინების მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცეს ი. კ-ის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხული ქ.თბილისში, ... მე-3 კვარტლის 28-ე კორპუსის №60 ბინაში მდებარე 98,26 კვ.მ ფართი.

ი. კ-ეს სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 1479,12 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია ხარჯების დაფარვა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-285-269-2011

3 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, იპოთეკის საგნის რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ნ-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ო. ა-ის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 301-ე, 361-ე, მე-400 და 623-ე მუხლების საფუძველზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით მიღებული ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის, ამ თანხის დაბრუნების ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის ძირითადი თანხის 0.1%-ის, ასევე სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2007 წლის 30 მარტს 6 თვის ვადით მხარეთა შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა 8500 აშშ დოლარი სარგებლის გარეშე. ვალდებულების შესრულების ვადა ამოიწურა 2007 წლის 30 სექტემბერს, თუმცა, მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, რის გამოც, მხარეთა შეთანხმებით, 2008 წლის 22 მაისს გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამავე წლის 10 ივნისამდე. მოპასუხე ო. ა-ი სესხის თანხას ნებაყოფლობით არ აბრუნებს.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, 5000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში ცნო და განმარტა შემდეგი:

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში სესხის თანხად მითითებულია 8500 აშშ დოლარი. ო. ა-ს გადაეცა მხოლოდ 5000 აშშ დოლარი, 700 აშშ დოლარი კი ხელშეკრულების გაფორმებისათვის იყო საჭირო. მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ სარგებელზე, კერძოდ, მოპასუხეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 5700 აშშ დოლარის 8%. აღნიშნული პირობა მოსარჩელის მოთხოვნით არ აისახა ხელშეკრულებაში. მოპასუხეს ნასესხები თანხიდან 800 აშშ დოლარი გადახდილი აქვს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ო. ა-ს ა. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის გადახდა, 2007 წლის 30 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ძირითადი თანხის – 8500 აშშ დოლარის 0,1% და სასამართლო ხარჯები. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დადგინდა დაკისრებული თანხების ანაზღაურება ქ.ქუთაისში, ...ის ქ№15-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის გზით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. ა-მა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის განჩინებით ო. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ მხარეებს შორის 2007 წლის 30 მარტს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ა. ნ-ემ ო. ა-ს ასესხა 8500 აშშ დოლარი 6 თვის ვადით პროცენტის დაურიცხავად. თანხა უნდა დაბრუნებულიყო 2007 წლის 30 სექტემბრამდე. თანხის დროულად დაუბრუნებლობის შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხეს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის ოდენობით. სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 30 მარტის ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა ქ.ქუთაისში, ...ის ქ№15-ში მდებარე ო. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინა. სასამართლომ დადგინდა, რომ აპელანტს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. 2008 წლის 22 მაისს ო. ა-მა წერილობით იკისრა ვალდებულება, 10 ივნისამდე დაებრუნებინა ნასესხები თანხა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება და ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 623-ე, 624-ე, 361-ე, 417-ე და 418-ე მუხლებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სწორად დაადგინა ო. ა-ის ვალდებულება სესხისა და პირგასამტეხლოს დაბრუნებაზე, ასევე სწორად ჩათვალა, რომ მოპასუხემ შესაგებელში მითითებული გარემოება ვერ დაადასტურა. პალატის მითითებით, საქმეში მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ო. ა-ი ვერ ასაბუთებს, რომ ნასესხები თანხა შეადგენდა არა 8500, არამედ – 5000 ან 5700 აშშ დოლარს და მას ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებული აქვს. სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრის მონაცემებითაც დასტურდება აპელანტის ვალის ოდენობა, იგი შეადგენს 8500 აშშ დოლარს და არა უფრო ნაკლებს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფიცია, ე.ი რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა, აღნიშნული ჩანაწერის უზუსტობა ო. ა-მა ვერ დაამტკიცა, რაც სააპელაციო საჩივრის უსაფუძვლოდ მიჩნევის წინაპირობაა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. ა-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად ან საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება სააპელაციო მოთხოვნა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი და არასწორად განსაზღვრა ვალდებულების წარმოშობის მომენტად 2007 წლის 30 მარტს მხარეთა შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რადგანაც სასამართლო არ გაცნობია ხელშეკრულების შინაარსს. სესხის ხელშეკრულებისას ვალდებულების წარმოშობის საფუძველია სესხის გადაცემის დადასტურება, რაც მისი დაბრუნების ვალდებულებას წარმოშობს. მოცემულ შემთხვევაში სესხის გადაცემის ფაქტს ადასტურებს არა მხოლოდ ხელშეკრულება, არამედ სესხის მიღება-ჩაბარების აქტი. 2007 წლის 30 მაისის ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, იპოთეკარი მესაკუთრეს სესხს გადასცემს ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისთანავე. მხარეები შეთანხმდნენ თანხის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემაზე. აღნიშნულით დასტურდება, რომ თანხა გადაცემული არ ყოფილა არც ხელშეკრულების დადებამდე და არც მას შემდეგ, ის მოგვიანებით უნდა გადასცემოდა კასატორს. მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია თანხის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამდენად, მარტო ხელშეკრულების არსებობა ვალდებულების წარმოშობის საფუძველი არ არის. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხ-

ლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სესხის ნამდვილობისათვის საჭიროა თანხის გადაცემა და სწორედ სესხის თანხის გადაცემის ფაქტი წარმოშობს მისი დაბრუნების ვალდებულებასაც.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაცია დასაშვებია უზრუნველყოფილი თანხის მოცულობის ფარგლებში, სასამართლომ კი იპოთეკის საგნის რეალიზაცია დაადგინა როგორც უზრუნველყოფილი მოთხოვნის, ისე პირგასამტეხლოსა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში.

სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის დებულება, არ გაითვალისწინა რა ზემოაღნიშნული გარემოებები, სასამართლოს არ გამოუვკვლევია, კასატორს საერთოდ ჰქონდა თუ არა რაიმე ვალდებულება შესასრულებელი, რის გამოც კანონი ითვალისწინებს პირგასამტეხლოს დაკისრებას, ამასთან პირგასამტეხლოს დაკისრებისას არ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 420-ე მუხლით, რადგანაც დაკისრებული პირგასამტეხლო მაღალია და სცილდება ძირითად ვალსაც, პრაქტიკაში კი არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ხდება პირგასამტეხლოს შემცირება.

სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით, რომელიც არეგულირებს სესხის სარგებელთან დაკავშირებულ დავებს. მოცემულ შემთხვევაში, მხარეები სადავოდ არ ხდიან და არც საქმის მასალებით დასტურდება სესხის სარგებლის არსებობა, რის გამოც აღნიშნული ნორმის გამოყენების ვალდებულება არ არსებობდა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 286-ე და 289-ე მუხლებით, ამდენად, არსებობს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 30 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე არასწორად მიიჩნია დადგენილად მოსარჩელის მიერ კასატორისათვის 8500 აშშ დოლარის 6 თვის ვადით სესხების ფაქტი, სესხის ხელშეკრულების მე-12 პუნქტის არასწორი განმარტების გამო, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ იპოთეკის საგნით უზრუნველყოფილია ძირითადი ვალი, პირგასამტეხლო და სხვა, რადგანაც სწორედ 2007 წლის 30 მარტის ხელშეკრულებით ირკვევა უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე – 15000 ლარი. საქმეში წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულება და საჯარო რეესტრის ამონაწერები უზრუნველყოფის საგნის სარეგისტრაციო (საკადასტრო) უნიკალური კოდების სხვადასხვა მონაცემებს შეიცავს, კერძოდ, ხელშეკრულების თანახმად, უძრავი ქონების საკადასტრო კოდია ..., ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად –

მოწინააღმდეგე მხარე ინდ. მეწარმედაა დარეგისტრირებული და მის შემოსავალს წარმოადგენს თანხის გასესხების შედეგად მიღებული სარგებელი. ა.ნ-ის არაკეთილსინდისიერებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულებაში სარგებლის თაობაზე არაა მითითებული, ხოლო კასატორმა კეთილსინდისიერად აღიარა, რომ სესხი არის პროცენტიანი, მან ასევე აღიარა მიღებული თანხის ოდენობა, მაშინ, როდესაც შეეძლო, საერთოდ უარი ეთქვა თანხის მიღების ფაქტის დადასტურებაზე, გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს გადაწყვეტილება ბუნდოვანია, როდესაც უთითებს, რომ თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში იპოთეკის საგნის რეალიზაცია უნდა მოხდეს, არ ირკვევა რა თანხის გადაუხდელობის შემთხვევაშია აღნიშნული დასაშვები, უზრუნველყოფილი თანხის – 15000 ლარის თუ რაიმე სხვა თანხის, ასევე არაა შეფასებული უძრავი ნივთის რომელი საკადასტრო კოდია სწორი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინებით ო. ა-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, მხარის საკასაციო პრეტენზიის მართებულობისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. ა-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ:

მხარეებს შორის 2007 წლის 30 მარტს გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ა. ნ-ემ ო. ა-ს ასესხა 8500 აშშ დოლარი 6 თვის ვადით პროცენტის დაურიცხავად. თანხა უნდა დაბრუნებულიყო 2007 წლის 30 სექტემბრამდე. თანხის დროულად დაუბრუნებლობის შემთხვევაში მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხეს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დასაბრუნებელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით 2007 წლის 30 მარტის ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა ქ.ქუთაისში, ...ის ქ№15-ში მდებარე ო. ა-ის საკუთრებაში არსებული ბინა.

ო. ა-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია.

კასატორი არ ეთანხმება რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო მოთხოვნათა დარღვევით იქნა გამოტანილი დასკვნები საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ **2007 წლის 30 მარტის** ხელშეკრულების საფუძველზე არასწორად მიიჩნია დადგენილად მოსარჩელის მიერ კასატორისათვის **8500 აშშ დოლარის 6 თვის** ვადით სესხების ფაქტი, იმ პირობებში, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ თანხის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემაზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ამ სახის წარმოების ამოსავალი პრინციპია და დავის გადაწყვეტის ბედიც ამ პროცესში მონაწილე მხარეთა პოზიციითაა განსაზღვრული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **4.1 მუხლის** მიხედვით, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის სტანდარტი, რაც ასახულია **102-ე მუხლში**, რომლის **1-ლი** და **მე-3 ნაწილების** თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამსესხებლის მტკიცების ტვირთია ფულის მსესხებლისათვის გადაცემის დადასტურება, თუმცა, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორისათვის **ა.ნ-ის** მიერ თანხის გადაცემის ფაქტი როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული შეფასების საფუძველზე. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად მიუთითა არა მხოლოდ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე, არამედ, მოპასუხის მიერ შედგენილ ხელწერილზეც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მოპასუხე შესაგებელში არ უარყოფს მოსარჩელესთან ვალდებულებით-სამართლებრივი (სასესხო) ურთიერთობის არსებობას, თუმცა, არა იმ ოდენობით, რაც სესხის ხელშეკრულებაშია აღნიშნული. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ სათანადოდ ვერ შეძლო სარჩელისაგან თავის დაცვა გაზიარებული უნდა იქნეს, რის გამოც პალატა საკასაციო საჩივარში მითითებული საკასაციო პრეტენზიის შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ იგი არ არის დასაშვები და დასაბუთებული

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393-ე მუხლის 1-ლი** ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის **მე-2 ნაწილით** განსაზღვრულია ის შემთხვევები, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს კასაციის სამართლებრივ პრეტენზიას. საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტების შეფასების შედეგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიიღო მატერიალური სამართლის ნორმათა სწორი განმარტებისა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამდენად კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის **317-ე** და **417-ე მუხლები**, ასევე არ გამოიყენა ამავე კოდექსის **420-ე მუხლი**, დაუსაბუთებელი და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

რაც შეეხება საკასაციო განაცხადს იმის თაობაზე, რომ იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც არის უზრუნველყოფილი მოთხოვნა, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2010 წლის 3 აგვისტოს** განჩინება, რომლითაც ო. ა-ს ა. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – **8500 აშშ დოლარის, 2007 წლის 30 სექტემბრიდან** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს – ძირითადი თანხის **0,1%-ის** გადახდა, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მისი ანაზღაურების წესად განისაზღვრა იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, ო. ა-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა თანხის – **8500 აშშ დოლარისა** და პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში. ამდენად, ვალდებულების იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით შესრულების ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **264-ე მუხლის 1-ლი** ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე კანონიერ ძალაში შევიდა და მხარეს აღარ შეუძლია სადავოდ გახადოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო განაცხადი იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ნაწილში დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

ვინაიდან ო. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **391-ე მუხლის მე-5 ნაწილის «ა»** ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის ფარგლებში, იპოთეკის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებით მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებას მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, კერძოდ:

იპოთეკა, როგორც სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც არსებობს იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის, ემსახურება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შესრულებას, რომლის მონაწილეებიც არიან კრედიტორი (მოთხოვნის მფლობელი) და მოვალე. ამდენად იპოთეკა აქცესორული უფლებაა და სამოქალაქო კოდექსის **153.1 მუხლის** დანაწესის გათვალისწინებით იგი არც შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც დაკავშირებულია.

საყურადღებოა იპოთეკის წარმოშობისა და ძალაში შესვლის საკითხი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ განსახილველი დავის მონაწილე მხარეებს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების (30.03.2007წ.) დროისათვის მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იპოთეკა წარმოიშობოდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. რეგისტრაცია ხდებოდა დადგენილი წესის მიხედვით უძრავი ნივთის მესაკუთრისა და იპოთეკარის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული საბუთების წარდგენით. მათში უნდა აღნიშნულიყო უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი, ასევე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე, სარგებელი და შესრულების ვადა. «საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ» 2007 წლის 29 ივნისის საქართველოს კანონით ცვლილება განიცადა 289-ე მუხლის პირველმა ნაწილმა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: «იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაცია ხდება ერთ-ერთი მხარის მიერ გარიგების წარდგენის საფუძველზე, რომელიც დადებულია ამ კოდექსის 311¹ მუხლით დადგენილი წესით. გარიგებაში უნდა აღნიშნოს უძრავი ნივთის მესაკუთრე, იპოთეკარი, სავარაუდო მოვალე მესამე პირი. მხარეთა შეთანხმებით გარიგებაში შესაძლებელია აღნიშნოს აგრეთვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, სარგებელი, შესრულების ვადა და სხვა პირობები.» ამდენად როგორც პირველად, ასევე შეცვლილ რედაქციაში იპოთეკის ლეგიტიმურობა განისაზღვრება საჯარო რეესტრში ამ უფლების რეგისტრაციით. ამასთან, განსხვავებით ძველი რედაქციის იმპერატიული დათქმისაგან, მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებული, გარიგებაში აღინიშნება თუ არა უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის (მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ღირებულება) მითითებას, სამართლებრივი დატვირთვა აქვს როგორც მესაკუთრისათვის, ასევე მესამე პირებისათვის, რომლებთან მიმართებაშიც მოქმედებს საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. ვინაიდან იპოთეკა ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება, მხარეთა შეთანხმება უზრუნველყოფის მოცულობაზე გაგებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ ამ მოცულობის ფარგლებში უნდა მოხდეს სანივთო უფლების გამოყენება და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევა. ამგვარი განმარტება გამომდინარეობს თვით იპოთეკის ნორმატიული ბუნებიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. ანუ თანამდევნი მოთხოვნები, ისეთი როგორიცაა მაგალითად ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს იპოთეკიდან, თუ მხარეებმა წინასწარ განსაზღვრეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა და იპოთეკის შინაარსი ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებდა. რაც შეეხება იპოთეკით დატვირთული უძრავის ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლების მიქცევას სხვა ხარჯებზე, როგორიცაა აღსრულებისა და სასამართლო ხარჯები, ამაზე პასუხს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები უნდა დაიფაროს შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში ხარჯები, ხოლო შემდეგ კრედიტორის მოთხოვნა სრული ოდენობით. თუ ამონაგები თანხით სრულად არ იფარება ხარჯები, განსხვავების გადახდის ვალდებულება ეკისრება კრედიტორს. მოცემული ნორმის ანალიზიდან ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან მოთხოვნები იფარება სასამართლო და სააღსრულებო ხარჯების დაფარვის შემდეგ, ხოლო თუ მხარეებმა გარიგებაში მიუთითეს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა, მოთხოვნა იფარება მხოლოდ ამ ოდენობის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ო. ა-ს უნდა დაუბრუნდეს №ა-790-11 განცხადებაზე დართული მასალები 15 ფურცლად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. ა-ის საკასაციო საჩივარი იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის ნაწილში დარჩეს განუხილველად. დანარჩენ ნაწილში ო. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 იანვრის განჩინება.
3. ო. ა-ს დაუბრუნდეს №ა-790-11 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 15 ფურცლად.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გადასვლა კრედიტორის საკუთრებაში

განჩინება

№ას-1283-1538-09

25 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «კორ სტანდარტ ბანკის» მიმართ მხარეთა შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირობის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 4 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა №01 იპოთეკის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მათ შორის №8151 საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 000 ლარის კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის კუთვნილი ქ.თბილისში, ... ქუჩის 59-ე კორპუსში მდებარე №66 ბინა. ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, მითითებული თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება მიენიჭა, მ. ქ-იას დამატებითი ნებართვის გარეშე, პირდაპირ დაესაკუთროს მის ქონებას. გარიგების ეს პირობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ხელშეკრულების მე-9 მუხლი სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის დანაწესს არ ეწინააღმდეგება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ქ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 4 მაისს მოსარჩელე მ. ქ-იასა და მოპასუხე სს «კორ სტანდარტ ბანკს» შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მე-9 მუხლით განისაზღვრა, რომ «9.1. წინამდებარე ერთობლივი განცხადებით იპოთეკარი და მესაკუთრე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მიმართავენ საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს (შემდგომში «საჯარო რეესტრი»), რომ საჯარო რეესტრმა იპოთეკარი დაარეგისტრიროს იპოთეკის საგნის მესაკუთრედ, იმ შემთხვევაში თუკი ადგილი ექნება «მსესხებლის» მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობას. 9.2. ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება».

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს და არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, რადგან იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლისათვის საჭიროა მოვალემ გააჭიანუროს გადახდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეადგინონ მხარეებმა ერთობლივი განცხადება, ხოლო ხელშეკრულების მე-9 მუხლი საშუალებას იძლევა, კრედიტორმა მოვალის მიერ გადახდის გაჭიანურებამდე მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადასვლის მოთხოვნით.

სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ, იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იპოთეკარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, როდესაც მსესხებელი კრედიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს არ დააბრუნებს. აღნიშნული დასკვნა სასამართლომ დააფუძნა სადავო ხელშეკრულების 9.2 პუნქტის პირველ წინადადებას.

სასამართლო დაეთანხმა მოპასუხის მოსაზრებას, რომ საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარისაგან განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრის დამატებითი თანხმობის გარეშე, იპოთეკის საგანზე უნდა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება. ხელშეკრულების ნორმის კანონშესაბამისობა დგინდება ამ ნორმის კანონშესაბამისობით. მხარეთა ნების არსებობის პირობებში კანონი ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკის საკუთრებაში გადასვლას. ის გარემოება, რომ გადაუხდელობის ფაქტი არ დამდგარა, მოცემულ გარიგებას პირობით გარიგებად ხდის, რაც ასევე კანონიერია. გარიგების კანონიერება არ განისაზღვრება იმით, თუ რომელია პირველადი – ფაქტი, თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება იყოს ნამდვილი, გამოხატული მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულება მხარეებმა დადეს ნებაყოფლობით და მასში გამოხატული ნება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს შეესაბამება.

სასამართლოს მოსაზრებით, ნამდვილია იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების გადასვლის მინდობა კრედიტორისათვის, რომელიც თავად წყვეტს მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხს, რაც ასევე კანონიერია.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი შეესაბამებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლს, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი არ უკავშირდება მის 1-ლ ნაწილს და ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც იპოთეკარის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები მოგვიანებით მივიდოდნენ ამ აზრამდე. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული იყო იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობა და წესი და ასეთ შემთხვევაში დამატებითი ერთობლივი განცხადება საჭირო აღარ იყო და ეს გადასვლა მხოლოდ იპოთეკარის შესაბამისი განცხადების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, იპოთეკარს, იპოთეკის ხელშეკრულებით დაუშვია იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადასვლის ორივე წესი (პირდაპირი და ერთობლივი განცხადების მეშვეობით), რაც არ ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლს.

ამასთან, სასამართლომ ჩათვალა, რომ იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის დროს არ ილაზმებოდა მესაკუთრის ინტერესები, რადგან ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული იყო, რომ «იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვდნენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრს რეგისტრაციაში გაეტარებინა იპოთეკარის საკუთრების უფლება». სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ წესის გამოყენების დროს მესაკუთრე ინფორმირებული იყო იპოთეკარისაგან იპოთეკის საგნის პირდაპირ მის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე საჯარო რეესტრისთვის განცხადებით მიმართვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში კი მესაკუთრეს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში (გადახდის გაჭიანურებას ფაქტის არარსებობის ან სხვა შემთხვევაში) უფლება ჰქონდა მიემართა სასამართლოსათვის. მესაკუთრეს ასევე უფლება ჰქონდა, იპოთეკართან ერთად არ მიემართა საჯარო რეესტრისათვის, რომ ამ უკანასკნელს იპოთეკის საგანზე რეგისტრაციაში გაეტარებინა იპოთეკარის საკუთრების უფლება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ქ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ქ-იას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, მ. ქ-იას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მ. ქ-იასა და სს «კორ სტანდარტ ბანკს» შორის დადებული 2009 წლის 4 მაისის №01 იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 პუნქტი, დანარჩენ ნაწილში მ. ქ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლი მთლიანად შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის დანაწესს. დასახელებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ ჩათვალა, რომ მხარეთა შეთანხმება იპოთეკით დატვირთული ნივთის პირდაპირ კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის თაობაზე თავისთავად უკანონო არ არის და ამ ნაწილში სადავო ხელშეკრულების 9.1. მუხლი, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ნივთი კრედიტორის საკუთრებაში გადავიდა, შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლ ნაწილს, მაგრამ არსებითი წინააღმდეგობა სადავო ხელშეკრულების 9.2 მუხლსა და სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს შორის. სასამართლოს მოსაზრებით, კანონის დასახელებული დანაწესი პირდაპირ და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ადგენს, რომ კრედიტორსა და მოვალეს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიმართონ საჯარო რეესტრს ერთობლივი განცხადებით, როდესაც მოვალე გაჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკის საგნის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასასვლელად მხარეთა შეთანხმების გარდა, ამავდროულად საჭიროა დადგინდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ შედგეს მხარეთა ერთობლივი განცხადება. ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმება კი ბათილად უნდა ჩაითვალოს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 მუხლი სრულიად ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს, რადგან ადგენს კანონისაგან სრულიად განსხვავებულ წესს – იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა, მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით და მიიჩნია, რომ 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, ანუ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს, რის გამოც იგი ბათილად უნდა ჩაითვალოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «კორ სტანდარტ ბანკის» წარმომადგენელმა ა. კ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლი. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის დებულება არ უკავშირდება მე-2 ნაწილში ასახულ დანაწესს, არამედ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები აღნიშნულზე მოგვიანებით შეთანხმდებიან. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ის მოსაზრება, რომ, თუ იპოთეკის ხელშეკრულებაში დათქმულია იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლა, მაშინ დამატებითი ერთობლივი განცხადება საჭირო არ არის და ეს გადასვლა მხოლოდ იპოთეკარის შესაბამისი განცხადების საფუძველზე უნდა მოხდეს.

ხელშეკრულების სადავო მე-9 მუხლი ითვალისწინებს იპოთეკარის საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადასვლის დეტალურ წესს, კერძოდ, მსესხებელმა უნდა გადაეცელოს ძირითადი საკრედიტო თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის ვადას და იპოთეკარმა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. მან იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრის დამატებითი ნებართვის გარეშე, იპოთეკის საგანზე უნდა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ხელშეკრულების ნორმის კანონშესაბამისობა დგინდება ნორმაში გამოვლენილი ნების კანონიერებით. მოცემულ შემთხვევაში სადავო იპოთეკის ხელშეკრულებით მხარეებმა კანონშესაბამისი ნება გამოავლინეს, რადგან მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, მხარეთა შეთანხმებისას, ითვალისწინებს იპოთეკით დატვირთული ქონების იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლას. იმის გამო, რომ საკრედიტო თანხის გადახდის ვადა არ დამდგარა, აღნიშნული გარიგება პირობითი ხასიათისაა, რაც ასევე კანონიერია. გარიგების ნორმის კანონიერება არ განისაზღვრება იმით, თუ რომელია პირველადი – ფაქტი თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება უნდა იყოს ნამდვილი. სადავო იპოთეკის ხელშეკრულებას მხარეებმა ნებაყოფლობით მოაწერეს ხელი, მოვალის თანხმობის არსებობისას იგი უფლებამოსილია, გაასხვისოს კუთვნილი ქონება, რასაც სპეციალური წინაპირობის დათქმა არ ესაჭიროება. სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს წინასწარ დათქმას, რათა მოგვიანებით თანხმობა არ გახდეს საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ, თუ მოგვიანებით თანხმობა მაინც საჭიროა და მე-300 მუხლის ორივე ნაწილი მთლიანობაში უნდა იქნეს გააზრებული, მაშინ ამ ნორმის 1-ლი ნაწილი კარგავს აზრს და იპოთეკის ნივთი ვერასოდეს გადავა კრედიტორის საკუთრებაში, რადგან მესაკუთრე, რომელმაც სესხის დაბრუნება გააჭიანურა, არ გასცემს აღნიშნულზე თანხმობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს «კორ სტანდარტ ბანკს» წარმომადგენელ ა. კ. შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონდარღვევით გამოტანაზე, რაც კანონის – სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის არასწორ განმარტებაში გამოიხატა.

აღნიშნული ნორმით იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის წესი განსაზღვრულია შემდეგი სახით: 1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით. 2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს. 3. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონითაა მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლას წინ უნდა უსწრებდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების გამო მხარეთა ერთობლივი განცხადება. აღნიშნული ნორმა შემდეგ აუცილებელ წინაპირობებს ითვალისწინებს: 1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი; 2. კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის თაობაზე; 3. ამ შეთანხმების საჯარო რეესტრში წარდგენა რეგისტრაციის მიზნით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების, როგორც სანივთო გარიგების იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იყოს შემდეგი: მხარეთა შორის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, ძირითადად სანივთო და ვალდებულებითი გარიგებების დადებით მყარდება, რაც შესაბამისად განაპირობებს სანივთო ან ვალდებულებითი უფლებების წარმოშობას. ამასთან, სანივთო გარიგება განსხვავდება ვალდებულებითი გარიგებისაგან, ვინაიდან ვალდებულებით სამართალში მოქმედებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი (სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი). სანივთო გარიგებების დროს სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია. მართალია, მხარეები თავისუფალი არიან იმაში, საერთოდ დადებენ თუ არა სანივთო გარიგებას, მაგრამ მისი შინაარსის განსაზღვრაში კანონით დადგენილ იმპერატიულ დანაწესებს უნდა დაემორჩილონ. ამდენად, სანივთი ხელშეკრულების დადებისას მხარეებმა შეთანხმებული პირობები უნდა მიუსადაგონ კანონს.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს კასატორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების 9.1 მუხლის კანონიერება და სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილთან მისი შესაბამისობა. ხელშეკრულების 9.1 მუხლით, წინამდებარე ერთობლივი განცხადებით იპოთეკარი და მესაკუთრე, საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მიმართავენ საჯარო რეესტრის თბილისის სარეესტრაციო სამსახურს (შემდგომში «საჯარო რეესტრი»), რომ საჯარო რეესტრმა იპოთეკარი დაარეგისტრიროს იპოთეკის საგნის მესაკუთრედ, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნება «მსესხებლის» მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტების საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობას. 9.2 მუხლით კი, ამ ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა იპოთეკის საგანზე დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება.

მითითებული სახელშეკრულებო პირობა არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის იმპერატიულ დანაწესს, რაც მისი ბათილობის საფუძველია.

ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი, კასატორის მოსაზრებით, კანონიერია, ვინაიდან მხარეთა ნება გამოვლენილია სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ერთობლივ განცხადებაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მითითებული ერთობლივი განცხადებისათვის მხარეთა ნამდვილი ნებაა საჭირო, თუმცა მოცემულ ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნება სწორედ, რომ ნაკლის მქონეა, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, წინასწარ არის გამოვლენილი. სადავო სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით, მხარეთა ერთობლივ განცხადებას წინ უნდა უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტი – ხდომილება, რომელიც უკვე არსებულია, მომხდარია, რაც მოცემულ შემთხვევაში არა გვაქვს.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, რომ გარიგების ნორმის კანონიერება არ განისაზღვრება იმით, თუ რომელია პირველადი – ფაქტი თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება უნდა იყოს ნამდვილი. კასატორის არგუმენტის საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ ამ ნორმის გამოყენებისათვის, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადამწყვეტია სწორედ ფაქტის – ვალდებულების დარღვევის პირველად არსებობა და შემდეგ ნების (იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის) გამოხატვა. ვალდებულების დარღვევისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სცილდება რა ძირითადი ვალდებულების შესრულების ფარგლებს, სავსებით გასაგებია კანონმდებლის მიერ მოვალისთვის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით შეთავაზებული არჩევანი – ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩაანაცვლოს სხვა შესრულებით. ცხადია, მოვალის ნების გამოვლენა იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემაზე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მან ვალდებულება ვერ შეასრულა და ნებაც ნამდვილია, რადგან პირის მიერ გამოვლენილი ნება თანხვედრაშია მის მიერ გაზიარებულ ფაქტებთან: ვალდებულება დარღვეულია, იპოთეკის საგანი იკავებს შესრულების ადგილს. სადავო სახელშეკრულებო დათქმით კი მოვალემ წინასწარ აღიარა არარსებული ფაქტი – ვალდებულების შეუსრულებლობა (რომელიც ჯერ არ მომხდარა) და აღნიშნულის გამო იპოთეკის საგნის გადაცემა.

შესაბამისად, კანონიერია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ 2009 წლის 4 მაისის იპოთეკის ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს, ანუ სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილს, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, როგორც კანონსაწინააღმდეგო გარიგება, ბათილად უნდა ჩაითვალოს.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ გადაუხდელობის ფაქტის არარსებობა და მასზე წინასწარ შეთანხმება მოცემულ გარიგებას ხდის პირობით გარიგებად და იგი კანონიერია. მითითებული ნორმის დანაწესი არეგულირებს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მოვალე ვალდებულებას ვერ ასრულებს და აღნიშნულის გამო კრედიტორთან ერთად ერთობლივი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრს კრედიტორის საკუთრებაში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული საგნის გადაცემის თაობაზე. კანონი არ კრძალავს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოქმედების სამომავლოდ განხორციელებაზე წინასწარ შეთანხმებას, მაგრამ, ამასთან, ეს შეთანხმება (რომ მოვალე თანახმაა, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ერთობლივი განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს) მხოლოდ სამომავლო მოქმედების განხორციელებაზე – ერთობლივი განცხადების შედგენაზე თანხმობას უნდა ეხებოდეს. ამგვარი განცხადების წინასწარ შედგენის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. ამ დასკვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილში გამოყენებული სიტყვები «თუ მოვალე გააჭიანურებს», «თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ». კანონის მითითებული დათქმები შინაარსობრივად მომავალში მოსახდენ მოქმედებებს ასახელებს და მათ, ასევე სამომავლოდ, გარკვეულ იურიდიულ შედეგს უკავშირებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მე-300 მუხლის ორივე ნაწილის მთლიანობაში განმარტებით ამ ნორმის პირველი ნაწილი კარგავს აზრს და იპოთეკის საგანი ვერასოდეს გადავა კრედიტორის საკუთრებაში, რადგან მესაკუთრე, რომელმაც სესხის დაბრუნება გააჭიანურა, არ გასცემს აღნიშნულზე თანხმობას. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონის ზემოაღნიშნული დათქმით კანონმდებლის ნება ცალსახადაა გამოთქმული და მისი სხვა შინაარსით განმარტება სასამართლოს კომპეტენციას არ წარმოადგენს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს რა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობებში მხარეთა ნება ვალდებულების მიღებაზე და მის შესრულებაზეც გადამწყვეტია, მაგრამ ამავე კოდექსის არაერთი დანაწესითაა გარანტირებული. სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებაზე მოვალის იძულება დაუშვებელია, თუმცა აღნიშნული არ იძლევა უალტერნატივო დასკვნის საფუძველს, რომ სათანადო პირობების

არსებობისას, კეთილსინდისიერი მოვალე, რომელიც ორიენტირებულია ვალდებულების შესრულებაზე და გან-
ნობიერებული აქვს ვალდებულების დარღვევის თანმდევი მკაცრი იურიდიული შედეგები, არ გამოიყენებს ამ
ნორმით გათვალისწინებულ შესაძლებლობას.

ამდენად, სადავოდ მიჩნეული ნორმით კანონმდებელი არაორაზროვნად გამოხატავს თავის ნებას და იგი რაიმე
სახის ინტერპრეტაციას და ან სხვა ნორმებთან შესაბამისობაში განმარტებას არ საჭიროებს, რაც მოცემულ საკასა-
ციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «კორ სტანდარტ ბანკის» წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილე-
ბა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება

განჩინება

№ას-290-275-2010

27 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 ივლისს სს «... ბანკმა» სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა კოლეგიას მოპასუხე ა. მ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის –
14 880.88 აშშ დოლარის, პროცენტის – 4 500.96 აშშ დოლარის, ჯარიმის – 10 524.55 აშშ დოლარის, მთლიანობაში
29 906.39 აშშ დოლარის დაკისრება; სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად მოპასუხის საკუთრებაში არსე-
ბული, იპოთეკით დატვირთული, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავი ქონების რეალიზაცია; აღსრულე-
ბის განხორციელება მოპასუხის მთელი ქონებიდან.

სარჩელის თანახმად, 2007 წლის 13 ივნისს სს «... ბანკსა» და ა. მ-იას შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულე-
ბა, რომლითაც მოპასუხეზე გაიგა კრედიტი 15 000 ლარის ოდენობით. კრედიტის ვადად განისაზღვრა 120 თვე,
ხოლო წლიურ საპროცენტო განაკვეთად – 15%. კრედიტის უზრუნველსაყოფად გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრუ-
ლება.

მოსარჩელის მითითებით, სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოე-
ბამ, რომ მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მნიშვნელოვნად
გადააცილა კრედიტის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადებს და მიუხედავად მოსალოდნელი ღონისძიებე-
ბის გატარების შესახებ ბანკის წერილობითი გაფრთხილებისა, არ განახორციელა ბანკის მიმართ არსებული დავა-
ლიანების დაფარვა.

მოპასუხე ა. მ-იამ სარჩელი ცნო ნაწილობრივ, კერძოდ, ძირითადი თანხის – 14 880.88 აშშ დოლარის, ასევე
სარგებლისა და პირგასამტეხლოს ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე
უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილე-
ბით სს «... ბანკის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ა. მ-იას სს «... ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 21
486.75 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა; დადგინდა დავალიანების გადახდევინება სესხის უზრუნ-
ველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, ა. მ-იას სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული, მცხეთაში, სოფელ ...
მდებარე უძრავი ნივთის იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით; სს «... ბანკს» უარი ეთქვა აღსრულების გან-
ხორციელების მოთხოვნაზე ა. მ-იას კუთვნილი მთელი ქონებიდან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

2007 წლის 13 ივნისს სს «... ბანკმა» და ა. მ-იამ დადეს ხელშეკრულება საბანკო მომსახურების შესახებ («იპო+»)
აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეებმა თანხმობა განაცხადეს, რომ ბანკმა მიაწოდოს, ხოლო კლიენტმა მიიღოს
საბანკო მომსახურების პაკეტი, რომელიც მოიცავს საბანკო კრედიტებს, სამომხმარებლო კრედიტებს, პლასტიკურ

ბარათს, ოვერდრაფტს, საბანკო ანგარიშს, ინტერნეტ-ბანკის მომსახურებას, მობილ-ბანკის მომსახურებას, ინტერნეტ-გადახდებს, მუდმივ საგადასახადო დავალებას და ტელეფონ-ბანკის მომსახურებას;

ხელშეკრულებით კრედიტის თანხად განისაზღვრა **15 000** ლარი, ვადად – **120** თვე, საპროცენტო განაკვეთად – წლიური **15%**, პირგასამტეხლოდ – **0.5%** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა დადგინდა კრედიტის დაფარვის გრაფიკით;

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებითა («იპო+») და მის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად იმავე დღეს იპოთეკით დაიტვირთა ტ. ი-ძის საკუთრებაში არსებული, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე **0.43**ა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულებით სს «... ბანკს», როგორც პირველი რიგის იპოთეკარს, მიენიჭა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის იპოთეკით დატვირთული ქონებიდან დაკმაყოფილების უფლება;

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში «... ბანკსა» და ა. მ-იას შორის **2007** წლის **13** ივნისს გაფორმდა იპოთეკის ხელშეკრულება;

იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება **2007** წლის **13** ივნისს შეიძინა ა. მ-იამ;

იპოთეკა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია საქარო რეესტრში;

სს «... ბანკმა» სრულად შეასრულა კანონით ნაკისრი ვალდებულება;

ა. მ-ია ჯეროვნად არ ასრულებდა სახელშეკრულებო ვალდებულებას, რაც გამოიხატება კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევაში;

სასამართლოში სარჩელის აღძვრის დროისათვის ა. მ-იას ძირითადი თანხის დავალიანება შეადგენდა **14 880.88** აშშ დოლარს;

2007 წლის **5** დეკემბერს ვ. მ-იანმა, როგორც ა. მ-იას რწმუნებულმა, სს «... ბანკის» თანამშრომელ მ. ო-ძეს მიანიჭა მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე **0.43**ა მიწის ნაკვეთის მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმის თაობაზე, რომ მასა და ბანკს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმად მოსარჩელე ორგანიზაციის თანამშრომელ მ. ო-ძისათვის მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე **0.43**ა მიწის ნაკვეთის მართვისა და განკარგვის უფლებამოსილების მინიჭების შემდეგ შეწყდებოდა მისთვის საპროცენტო სარგებლისა და პირგასამტეხლოს დარიცხვა. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია, მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მინდობილობა ბანკის თანამშრომლის სახელზე გაიცა იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისებისა და დავალიანების დაფარვის მიზნით, მაგრამ მისი განმარტებით, რაიმე დამატებითი შეთანხმება სარგებელსა და პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით არ მომხდარა. ასეთი პირობის არსებობის შესახებ არც თავად მინდობილობაში იყო საუბარი. ა. მ-იას ამ თვალსაზრისით დამატებით რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის ა. მ-იას მიერ სს «... ბანკისათვის» გადასახდელი საპროცენტო დავალიანება შეადგენდა **4 500.96** აშშ დოლარს. მოპასუხემ აღნიშნული გარემოება მხოლოდ იმ კუთხით გახადა სადავო, რომ ბანკს შეთანხმებისამებრ უნდა შეეწყვიტა მსესხებლისათვის საპროცენტო სარგებლის დარიცხვა **2007** წლის **5** დეკემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ბანკის წარმომადგენელს მიენიჭა მიწის ნაკვეთის მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება. რამდენადაც ა. მ-იამ ასეთი შეთანხმების არსებობა საქმეზე ვერ დაადასტურა, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საპროცენტო დავალიანების მოსარჩელის მიერ მითითებული ოდენობა. გარდა ამისა, მოპასუხემ ამავე საფუძვლით სადავოდ გახადა მისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა – **10 524.55** ლარი, რაც საქალაქო სასამართლომ ზემოაღნიშნული მიზეზით ასევე არ გაიზიარა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის **873**-ე მუხლის თანახმად, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა. სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც კრედიტის ამღებმა (ა. მ-ია) მოცემულ შემთხვევაში არაერთხელ დაარღვია სესხის დაფარვის გრაფიკი, ბანკი უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ა. მ-იამ სარჩელი ცნო მისთვის **2007** წლის **13** ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ძირითადი თანხის დავალიანების დაკისრების ნაწილში, საქალაქო სასამართლომ დასახელებულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან მიმართებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **417**-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა – **0.5%** შეუსაბამოდ მაღალი იყო, სამოქალაქო კოდექსის **420**-ე მუხლიდან გამომდინარე იგი უნდა შემცირებულიყო და განსაზღვრულიყო **0.1%**-ით. ამგვარი გაანგარიშებით, სარჩელის აღძვრის დროისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა იქნებოდა **2 104.91** აშშ დოლარი.

რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ ა. მ-იამ ხელშეკრულებით დადგინდ ვადაში და წესით არ შეასრულა იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ კრედიტორის (იპოთეკარი) მოთხოვნა ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო მოპასუხის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო სს «... ბანკის» მოთხოვნა, ა. მ-იასათვის დასაკისრებელი თანხის ამოღება მომხდარიყო არა მარტო იპოთეკით დატვირთული, არამედ მოპასუხის კუთვნილი მთელი ქონებიდან. საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლზე, რომლის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარი) საკუთრებაში გადასვლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. იპოთეკის დადგენისას მხარეები იმთავითვე ითვალისწინებენ საგნის ღირებულებას, ამიტომ, როგორც წესი, იპოთეკის საგნის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობას. ამ შემთხვევაში წინდაწინ იქმნება იმის ვარაუდი, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციაა სწორედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება. იგი ხელს უწყობს კრედიტორს წინასწარ შეაფასოს, რამდენად უზრუნველყოფს იპოთეკის საგანი მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. ამ პირობებში ნათელია, თუ სად გადის მოვალის პასუხისმგებლობის ზღვარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია ამა თუ იმ ნივთით, სხვა ქონებიდან აღსრულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ წესზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება დაკისრებული თანხის მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულებაზე უარის თქმის ნაწილში. მანვე მოითხოვა, რეალიზაცია მომხდარიყო ა. მ-იას მთელი ქონებიდან.

აპელანტმა აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სასამართლომ უარი თქვა მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულებაზე და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და მე-300 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, აღსრულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ წესზე. მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2007 წლის ივნისში, ხოლო ცვლილება 286-ე და 300-ე მუხლებში შესულია 2007 წლის 29 ივლისს. ამდენად, ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედი კანონი საშუალებას აძლევს მოსარჩელეს, მოითხოვოს აღსრულება მოპასუხის მთელი ქონებიდან. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის დროს გამოყენებულ უნდა იქნოს ის ნორმები, რომლებიც მოქმედებდა მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით სს «... ბანკის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მათი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედი კანონი საშუალებას აძლევდა მოსარჩელეს, მოეთხოვა აღსრულება მოპასუხის მთელი ქონებიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეებს შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. 316-ე მუხლის 1-ლი წინადადების თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

საქმეზე დადგენილი იყო, რომ სს «... ბანკსა» და ა. მ-იას შორის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა საბანკო კრედიტის სახით. ა. მ-ია ჯეროვნად არ ასრულებდა სახელშეკრულებო ვალდებულებას, რაც გამოიხატა კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფილ კრედიტორს უფლება აქვს, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოითხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით. აღნიშნული ამომწურავად განსაზღვრავს იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალებებს: დატვირთული ნივთის რეალიზაცია ან ამ ნივთის საკუთრებაში გადაცემა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მხარეები ხელშეკრულების დადებისას არ შეთანხმებულან მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულების განხორციელების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდებოდნენ კანონით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ წესზე, შესაძლებელი იქნებოდა მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულების განხორციელება. მხარეთა შორის ამგვარი შეთანხმების არსებობა საქმის მასალებით არ დასტურდება. სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი აწესრიგებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, კერძოდ, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამდენად, მხარეებს

შეეძლოთ ამგვარი ნორმის ხელშეკრულებაში გათვალისწინება ხელშეკრულების დადებისას, რაც არ განუხორციელებიათ, მათ ასეთი დათქმა არ ჩაუდიათ თავიანთ შეთანხმებაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლის რედაქციის თანახმად, თუ ნივთის რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირი რეგისტრირებულია ერთადერთ იპოთეკარად, ან აუქციონიდან მიღებული შემოსავალი ხარჯების გამოკლებით ფარავს ყველა იპოთეკარის მოთხოვნებს, მაშინ ექსპერტი ხარჯების დაზუსტების შემდეგ სყიდვის ფასს კრედიტორებს გადაუნაწილებს, ნაშთი კი მიეცემა იმ პირს, ვისი ნივთიც გაიყიდა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, თუ სყიდვის ფასი არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ექსპერტი აზუსტებს ხარჯებს, შეაქვს დარჩენილი თანხა სპეციალურ ანგარიშზე, ადგენს განაწილების გეგმას საჯარო რეესტრში შეტანილი რიგითობის მიხედვით და წარუდგენს მას სასამართლოს. სასამართლო ამტკიცებს ამ გეგმას და უთითებს ექსპერტებს, რომ განაწილება განხორციელდეს გეგმის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფდა, რომ მითითებული ნორმა არ ითვალისწინებდა იპოთეკით უზრუნველყოფილი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულების განხორციელებას მოვალის მთელი ქონებიდან. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო აღნიშნული დავის გადასაწყვეტად გამოიყენებდა მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედ კოდექსს, შეუძლებელი იქნებოდა მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულების განხორციელება, რადგან აღნიშნული იმ დროს მოქმედი ნორმებით პირდაპირ გათვალისწინებული არ იყო და არც მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება ამის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს «... ბანკმა», რომელმაც მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლო მოთხოვნაზე უარის თქმას ასაბუთებს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით, კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ, როდესაც მოთხოვნა უზრუნველყოფილია ამა თუ იმ ნივთით, სხვა ქონებიდან აღსრულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ კანონით გათვალისწინებული განსხვავებულ წესზე. მხარეებს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია 2007 წლის 13 ივნისს, ხოლო ცვლილება 286-ე და მე-300 მუხლებში შესულია 2007 წლის 29 ივლისს. ხელშეკრულების გაფორმებისას მოქმედი კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, საშუალებას აძლევს მოსარჩელეს, მოითხოვოს აღსრულება მოპასუხის მთელი ქონებიდან. შესაბამისად, დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს ის ნორმები, რომლებიც მოქმედებდა მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას. ამავსე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2007 წლის 13 ივნისს, საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების («იპო+») ფარგლებში, სს «... ბანკსა» და ა. მ-იას შორის გაფორმდა საკრედიტო ხაზის შემადგენელი იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულება; კრედიტის თანხად განისაზღვრა 15 000 აშშ დოლარი, ვადად – 120 თვე, საპროცენტო განაკვეთად – წლიური 15%, დადგინდა 0,5% პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებითა («იპო+») და მის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებულ ვალდებულების უზრუნველსაყოფად იმავე დღეს იპოთეკით დაიტვირთა ტ. ი-მის საკუთრებაში არსებული, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე 0.43ა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი; სს «... ბანკს», როგორც პირველი რიგის იპოთეკარს, ხელშეკრულებით მიენიჭა ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის იპოთეკით დატვირთული ქონებით დაკმაყოფილების უფლება; იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება 2007 წლის 13 ივნისს შეიძინა ა. მ-იამ; სს «... ბანკმა» სრულად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ხოლო ა. მ-იამ ჯეროვნად არ შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება, რაც გამოიხატა კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევაში; სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტისთვის იპოთეკური კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოპასუხის ძირი თანხის დავალიანება შეადგენდა 14 880.88 აშშ დოლარს, საპროცენტო დავალიანება – 4 500.96 აშშ დოლარს, პირგასამტეხლო – 10 524.55 აშშ დოლარს; მხარეები ხელშეკრულების დადებისას არ შეთანხმებულან მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სამოქალაქო კოდექსის 308-ე მუხლის ადრინდელი რედაქცია აწესრიგებდა იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოვალის მთელი ქონებიდან აღსრულების შესაძლებლობის საკითხს. აღნიშნული ნორმა არ შეიცავდა ამ საკითხის კონკრეტულ რეგულირებას. იგი აწესრიგებდა იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლის განაწილების წესს და არა ამონაგები თანხის ნაკლებობისას აღსრულების საკითხებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მსჯელობასაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ადრინდელი რედაქცია საშუალებას აძლევს, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა. აღნიშნული ნორმა აწესრიგებდა გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხებს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა შეეხება იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც არ არის ერთი და იგივე.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებაში მოცემული განმარტებები იმგვარად უნდა იქნეს გაგებული, რაც საშუალებას აძლევს, მოითხოვოს აღსრულება მოპასუხის მთელი ქონებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც განხილულ საქმეზე ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა 2005 წლის 17 მარტს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, კერძოდ, რამდენად შესაძლებელი იყო იპოთეკის დროს თანხის ნაკლებობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აღსრულების მოვალის სხვა ქონებაზე მიქცევა. დიდი პალატის განჩინებაში განიმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 29 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილებებით არსებითად შეიცვალა გირავნობისა და იპოთეკის პირობები. 276-ე მუხლის მე-2 ნაწილი და მე-300 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს შესაძლებლობას, მხარეები შეთანხმდნენ კანონისგან განსხვავებულ წესზე – რომ მხოლოდ იპოთეკის საგნის რეალიზაციით არ ჩაითვალოს მოთხოვნა დაკმაყოფილებულად. დიდი პალატის განჩინებით დავის გადასაწყვეტად სააპელაციო სასამართლოს დაევალა, გაერკვია, არსებობდა თუ არა სესხის ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეთა ნება და შეთანხმება, რომ ამონაგები თანხის ნაკლებობისას აღსრულება მიექცეოდა მოვალის სხვა ქონებაზეც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის განჩინების გამოტანის შემდგომ, სამოქალაქო კოდექსში 2009 წლის 4 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებებით კიდევ უფრო გამოიკვეთა მოწესრიგება, რომლის თანახმად, იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი (301.11 მუხლი). მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილია, რომ მხარეები ხელშეკრულების დადებისას არ შეთანხმებულან მოპასუხის მთელი ქონებიდან აღსრულების განხორციელების თაობაზე. ასევე საგულისხმოა, რომ მოსარჩელე მოცემულ შემთხვევაში ვერ ასაბუთებს, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

სს «... ბანკის» საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 თებერვლის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეგისტრირებული გირავნობა

განჩინება

№ას-1220-1240-2011 21 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. გ-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 7 თებერვალს მოსარჩელესა და მ. ხ-შვილს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება. სესხად გაიცა 45000 აშშ დოლარი, 3 თვის ვადით, თვეში 3% სარგებლით, გირავნობის საგანს წარმოადგენდა მოვალე მ. ხ-შვილის კუთვნილი წილის

უფლება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „... ქ.№4-ში», პირველ სადარბაზოში, მე-11 სართულზე მდებარე 80 კვ.მ ბინა. ნასესხები თანხა, დადგენილი ვადის თანახმად, არ დაბრუნებულა და 2009 წლის 19 ოქტომბრის თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ. ფ-შვილის განკარგულების საფუძველზე გირავნობის საგანი აუქციონზე 41940 ლარად იყიდა მოსარჩელემ, რომელმაც აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მიმართა საჯარო რეესტრს და მოითხოვა წილის რეგისტრაცია, რაზედაც მიიღო უარი იმ მოტივით, რომ წილის რეგისტრაციას ახდენს საგადასახადო ორგანოები. 2009 წლის 10 დეკემბერს ვ. ბ-შვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის საგადასახადო ინსპექციას და მოითხოვა ამხანაგობა „... ქ.№4-ში» აღმასრულებლის განკარგულების საფუძველზე ცვლილების რეგისტრაცია, რაზედაც ასევე უარი მიიღო იმ მოტივით, რომ მას უნდა წარმოედგინა საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ ამხანაგობის უფლებამოსილი პირის (თავმჯდომარის) განკარგულება, რის გაცემაზეც ამხანაგობის თავმჯდომარემ უარი განაცხადა. მ. ხ-შვილის წარმომადგენელმა ზ. მ-მ ჩაიბარა მოსარჩელისგან განცხადება და თანდართული დოკუმენტების პაკეტი, თუმცა იგი შესაბამისი პასუხის გარეშე დატოვა და პრეტენზიის განხილვის მიზნით ვ. ბ-შვილის ნოტარიუს ნ. გ-თან წაიყვანა, რომლის მიერაა გაფორმებული ყველა სადამფუძნებლო საბუთი, ამხანაგობის რეგისტრაციის დოკუმენტაცია და კრების ოქმები, მათ შორის, უძრავი ქონების გაყოფის ხელშეკრულება. ნოტარიუს ნ. გ-თან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ხ-შვილმა გაყიდა ამხანაგობა „... ქ.№4-ში» მდებარე თავის სახელზე რიცხული უძრავი ქონება, შესაბამისად, გამოირიცხა აღნიშნულ ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა, რადგან იგი არც მ. ხ-შვილის და არც ამხანაგობის სხვა წევრის სახელზე რეგისტრირებული არ არის. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი გირავნობის უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა არარსებულ ქონებაზე, რაც გამოწვეული იყო ნოტარიუს ნ. გ-ის კანონშეუსაბამო მოქმედებით, კერძოდ, მან უფლებელყო მისთვის კანონით დაკისრებული მოვალეობები და არასწორად შეაფასა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რასაც მოჰყვა კიდევ გარიგების დადება არსებული სახით.

მოპასუხე ნ. გ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: ნოტარიუსის ქმედება იყო კანონშემამისი, რის გამოც მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა, რასაც მისივე წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს. მოპასუხემ განმარტა, რომ ვ. ბ-შვილის მოთხოვნის ადრესატი შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებელი იყოს, ნ. გ-ს კი მისთვის რაიმე სახის ზიანი არ მიუყენებია, რის გამოც სრულიად გაუგებარი ხდება მის მიმართ არსებული საფუძვლებით მოთხოვნის წაყენება, რადგან, როგორც მოპასუხე უთითებს, იგი არც მოვალეა და არც მის რომელიმე ქმედებას გამოუწვევია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. ბ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვ. ბ-შვილს უარი ეთქვა 2008 წლის 7 თებერვლის სანოტარო აქტით დამოწმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე; ვ. ბ-შვილს უარი ეთქვა ნ. გ-ისა და მ. ხ-შვილის მიმართ სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების თაობაზე; წარმოება შეწყდა მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილში ნ. გ-ისა და მ. ხ-შვილის მიმართ 45 000 აშშ დოლარის, როგორც სესხის ძირითადი თანხის, პირგასამტეხლოს ყოველ დღეზე 90 აშშ დოლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 1748.4 ლარის დაკისრების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ბ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინებით ვ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები: 2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-შვილსა და ვ. ბ-შვილს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომელიც ნოტარიუსმა ნ. გ-მა დაადასტურა. აღნიშნული გარიგების საფუძველზე ვ. ბ-შვილმა მ. ხ-შვილს ასესხა 45 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით, რომელსაც ერიცხებოდა ყოველთვიური სარგებელი 3%-ის სახით, ხოლო, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, მ. ხ-შვილმა იმავე ხელშეკრულებით დააგირავა თავისი კუთვნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქუჩა №4-ში», ამ უკანასკნელის მიერ ქ. თბილისში, ... ქ. №4-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის I სადარბაზოს მე-11 სართულზე 80 კვ.მ ფართზე. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ვ. ბ-შვილმა, დარღვეული უფლების დაცვის მიზნით, მიმართა შპს იურიდიული კომპანია „ბ-ს» საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, რომელმაც 2008 წლის 19 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოთხოვნა და მ. ხ-შვილს ვ. ბ-შვილის სასარგებლოდ დააკისრა 45 000 აშშ დოლარის გადახდა, როგორც სესხის ძირითადი თანხა, ასევე 2008 წლის 7 აგვისტოდან ყოველდღიურად გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს – 90 აშშ დოლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის 1748.40 ლარის გადახდა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სააღსრულებო პროცედურა დასრულდა 2009 წლის 12 ოქტომბერს, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოცემული განკარგულებით, რომლითაც დადგინდა, რომ ვ. ბ-შვილს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ჩატარებული აუქციონის შედეგად ის გირავნობის საგანი, რომელიც დატვირთული იყო სესხის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთრებაში გადაეცა ვ. ბ-შვილს. სააღსრულებო განკარგულება წარდგენილ იქნა საჯარო რეესტრში, მაგრამ მისი დარეგისტრირება ვერ მოხერხდა, რადგან მოსარჩელეს გადაეცა ქონება, რომელიც რეალურად არ არსებობდა. საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს იურიდიული კომპანია „ბ-ს» მიერ 2008 წლის 19 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილების შედეგად მოპასუხე მ. ხ-შვილის მიმართ საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებები და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს: ა) 2008 წლის 7 თებერვლის ნოტარიუს ნ. გ-ის მიერ დამოწმებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა გირავნობის ნაწილში; ბ) მ. ხ-შვილისა და ნ. გ-ისათვის ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად 83 790 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 6009.22 ლარის დაკისრება. პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 7 თებერვალს დადებული გარიგება არ წარმოადგენს მოტყუებით და თვალთმაქცურად დადებულ გარიგებას, სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 81-ე, 82-ე მუხლებიდან გამომდინარე, რადგან მოტყუებით იდება გარიგება იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ არასწორად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დებს მეორე მხარე გარიგებას. შესაბამისად, აღნიშნული საფუძველით დადებული გარიგების ბათილობის შემთხვევაში მხარემ უნდა დაამტკიცოს არასწორი ცნობების მიწოდების ფაქტი. არასწორად ინფორმირებული მხარისათვის რეალურად არსებული გარემოება ცნობილი უნდა გახდეს სწორედ გარიგების დადების შემდეგ, რაც, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება. უსაფუძვლოა ვ. ბ-შვილის მითითება მასზე, რომ მ. ხ-შვილმა დამალა ხელშეკრულებაში მითითებულ ბინაზე არსებული წილის უფლების საკუთრების ფაქტი და ამდენად, მან არ იცოდა, თუ რა ხელშეკრულებას აწერდა ხელს. ზემოაღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, მოტყუება ცდომილებაში განზრახ შეყვანას გულისხმობს, რომლის დროსაც უნდა არსებობდეს ნების გამოვლენის ნაკლი. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომლითაც დადგინდება ერთი პირის მოტყუების ფაქტი გარიგების დადების მიზნით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2008 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულება ვერ იქნება ბათილად ცნობილი, ვინაიდან ხელშეკრულებაზე ნებაყოფლობით ხელის მოწერით მხარემ გამოთქვა რა თანხმობა სახელშეკრულებო პირობებზე, ივარაუდება, რომ ხელშეკრულების პირობები მისთვის თავიდანვე ცნობილი იყო. შესაბამისად, ხელის მოწერა სადავო ხელშეკრულებაზე გულისხმობს მხარეთა მხრიდან ნამდვილი ნების გამოვლენას და იმას, რომ ნების გამოვლენის ისეთი ნაკლი, რომელიც გარიგების მოტყუებით დადებულად მიჩნევის საფუძველი გახდებოდა, არ არსებობს.

პალატამ დადგინდად მიიჩნია რა ის გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო სანოტარო წესით შედგენილი და დამოწმებული 2005 წლის 12 ივლისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქ. №4-ის» სადამფუძნებელი კრების ოქმი, რომლითაც ირკვევა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ხ-შვილს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება ამხანაგობის სახელით ხელი მოეწერა გარიგებებზე, რომლებიც შეეხებოდა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებასა და ვალდებულებებით დატვირთვას, ექსპლოატაციით ჯერ მიუღებელ საცხოვრებელ სახლში იმ ბინებზე უფლების გასხვისებას ან ვალდებულებებით დატვირთვას, რომელიც იქნებოდა ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრება, განმარტა, რომ მ. ხ-შვილს უფლება ჰქონდა, დაეგირავებინა მისი კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქ. №4-ში». პალატამ მიუთითა, 2005 წლის 12 ივლისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქ. №4-ის» სადამფუძნებლო კრების ოქმზე, რომლის თანახმად, ამხანაგობის თავმჯდომარე მ. ხ-შვილი უფლებამოსილი იყო, დაედო საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება. ამდენად, ნოტარიუსის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების დადასტურება არ შეიძლება შეფასდეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად. ამასთანავე, სადავო ხელშეკრულების დადებისას ვ. ბ-შვილმა თავად გამოხატა ნება იმგვარი ხელშეკრულების დადებაზე, რომელიც ითვალისწინებდა თავად წილის უფლების დაგირავებას და არა უზრუნველყოფის სხვა სახის გარანტიას. შესაბამისად, გარიგების მხარე თავიდანვე აცნობიერებდა, რომ უფლების დაგირავება, თავის მხრივ, შესაძლოა, დაკავშირებული ყოფილიყო გარკვეულ რისკთან, რაც თავისთავად გამოიხატავს ნოტარიუსისა და გარიგების მონაწილე მეორე მხარის მ. ხ-შვილის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. პალატამ ასევე განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ვერ დაადასტურა ნოტარიუსის მიერ მხარეთა შორის 2008 წლის 7 თებერვალს დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების მართლსაწინააღმდეგო შინაარსი. შესაბამისად, პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითებით, უსაფუძვლოდ მიიჩნია ვ. ბ-შვილის მოთხოვნა გარიგებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ბ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებული განჩინება არაკანონიერია არა მხოლოდ სადავო საკითხის მატერიალურსამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხითაც, რომ იგი გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევით, რაც გამოიხატა იმაში, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები მცდარად შეფასდა, ხოლო მთელი რიგ მნიშვნელოვან გარემოებებზე საერთოდ არ უმსჯელიათ. შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება მიღებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე, რითაც დარღვეულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინების საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილით და 394-ე მუხლის „ე!» ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაუქმების აბსოლუტური საფუძველები. კასატორის განმარტებით, წინამდებარე დავის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ვ. ბ-შვილსა და მ. ხ-შვილს შორის დადებული სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება გირავნობის ნაწილში წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო გარიგებას, რომელიც არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის 1-ლ ნაწილს, რომლის დანაწესიც ცალსახად ადგენს, რომ გირავნობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მოვალის ისეთი ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც გადაცემადია, ანუ კანონმდებელი გულისხმობს ისეთ ქონებრივ სიკეთეს, რომელიც არსებობს, ბრუნვაუნარიანი ობიექტია და რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია. განსახილველ შემთხვევაში

კი, გირავნობის საგნად გათვალისწინებულ იქნა არარსებული ქონება. ამასთანავე, სადავო გარიგების დადასტურების დროს ნოტარიუსმა დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნაც, რომლის თანახმადაც გირავნობის შესახებ გარიგებაში უნდა აღინიშნოს გირავნობის საგნის ზოგადი და სპეციფიკური აღწერა, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა. ამ ნორმის დარღვევის შესახებ კასატორმა მიუთითა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც, ამასთან, სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები სწორედ ამ ნორმის დარღვევაზე მიუთითებდნენ, რადგან ვ. ბ-შვილის სასარჩელო პრეტენზია სწორედ იმ მოტივით იყო არგუმენტებული, რომ გირავნობის საგნად მიეთითა ქონება, რომელიც არ არსებობდა იმ მახასიათებლებითა და ნიშნებით, როგორითაც აღინიშნა გარიგებაში და ეს გარემოება სარჩელის დაკმაყოფილების სრულ საფუძველს ქმნიდა, რადგან ფაქტია, რომ გირავნობის საგნად მითითებული ქონება არ არსებობდა იმ ზოგადი და სპეციფიკური ნიშნით, როგორითაც მითითებულ იქნა გარიგებაში და, შესაბამისად, მისი ამ სახით განსაზღვრა შეუძლებელი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, სადავო გარიგება იმავდროულად ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რის გამოც წარმოადგენს უცილოდ ბათილ გარიგებას, მაგრამ გარდა ამ საფუძვლებისა, ხსენებული გარიგების ბათილად ცნობის წინაპირობებს წარმოშობს სხვა სამართლებრივი საფუძვლებიც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, 75-ე, 76-ე, 81-ე და 82-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ა და მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლებს, ხოლო ის გარემოება, რომ, მოცემულ შემთხვევაში სადავო გარიგება დადებულია შეცდომაში შეყვანითა და მოტყუებით, უდავოდ დასტურდება საქმის ფაქტობრივი გარემოებებით. დავის ფაქტობრივი გარემოებებით უტყუარად დასტურდება ისიც, რომ ვ. ბ-შვილმა განიცადა ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ვერ მიიღო ის კუთვნილი მატერიალური სიკეთე – თანხა, რომელიც მის სასარგებლოდ დაეკისრა მოპასუხე მ. ხ-შვილს. მან ასევე ვერ მიიღო აღნიშნული ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით აუქციონზე რეალიზებული ქონება ამ უკანასკნელის არარსებობის გამო, ზიანის ოდენობა კი განისაზღვრება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიხედვით, რომლითაც დადგინდა ვ. ბ-შვილის მიმართ არსებული ფულადი დავალიანება, კერძოდ, 45000 აშშ დოლარი, როგორც სესხის ძირითადი თანხა, პირგასამტეხლოს სახით 90 აშშ დოლარი ყოველდღიურად 2008 წლის 7 აგვისტოდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, რომელმაც შეადგინა 38790 აშშ დოლარი და 1748.40 ლარი საარბიტრაჟო მოსაკრებლის სახით.

რაც შეეხება ზიანის გამომწვევ ფაქტობრივ მიზეზს და მის შედეგობრივ კავშირს დამდგარ ზიანთან, კასატორს მიაჩნია, რომ იგი გამოწვეულია, როგორც მ. ხ-შვილის არაკეთილსინდისიერებით, ისე იმ ნოტარიუსის დაუდევარი მოქმედებით, რომელმაც დაადასტურა მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსი, ნამდვილობა და კანონშესაბამისობა, ზიანის გამომწვევ კონკრეტულ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გირავნობას დაექვემდებარა არარსებული ქონებრივი სიკეთე, რის თაობაზეც იმთავითვე იყო ცნობილი მოპასუხეებისთვის. უშუალოდ ნოტარიუსის პასუხისმგებლობას კი, ამძიმებს ის გარემოება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მან დაადასტურა გარიგების შინაარსი და ის ფაქტები, რომლებსაც ვ. ბ-შვილი, როგორც გარიგების მხარე, განიხილავდა ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძვლებად, ხოლო აღნიშნული ფაქტების არსებობის დადასტურების მიზნით ნოტარიუსი ხელმძღვანელობდა კონკრეტული დოკუმენტით – თავად მის მიერ დამოწმებული ინდივიდუალური ბინათმშენებლობის აშხანაგობა „... ქ.№4-ის“ დაფუძნების ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც მან დაადასტურა, რომ აღნიშნული დოკუმენტით დგინდებოდა მ. ხ-შვილის საკუთრების უფლება გირავნობის საგანზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებაში მ. ხ-შვილის სახელზე არ ფიქსირდება მსგავსი ქონება. ამდენად, ვ. ბ-შვილის გირავნობის უფლება წარმოიშვა არარსებულ ქონებრივ სიკეთეზე, რამაც განაპირობა ის, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დადგენილი ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განხორციელებული სააღსრულებო პროცედურის შედეგად ვ. ბ-შვილმა ვერ მიიღო მისთვის მიკუთვნილებული ქონება. ყოველივე ეს კი გამოიწვია ნოტარიუსის არაკანონიერმა და დაუდევარმა მოქმედებამ. ნოტარიუსის უხეში შეცდომის თავიდან აცილების შემთხვევაში, რაც მის უპირობო ვალდებულებას წარმოადგენდა, ზიანი არ დადგებოდა, ვინაიდან ვ. ბ-შვილს რომ სცოდნოდა ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ, იგი მ. ხ-შვილთან არ დადებდა სესხის ხელშეკრულებას, რადგან გირავნობის საგნის არსებობას მოსარჩელე ხელშეკრულების დადების ძირითად საფუძველად მიიჩნევდა მის მიერ გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ნოტარიუსმა დაადასტურა ისეთი გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, რაც, თავის მხრივ, განაპირობა იმ სამართლებრივმა ცდომილებამ, რომ ნოტარიუსმა არ დაადგინა გარიგებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები და გარემოებები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოობა, კერძოდ, მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატამ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 7 თებერვალს მ. ხ-შვილსა და ვ. ბ-შვილს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ვ. ბ-შვილმა მ. ხ-შვილს ასესხა 45 000 აშშ დოლარი 3 თვის ვადით. სესხის ხელშეკრულებასთან ერთად მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დაიდო გირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. ხ-შვილმა დააგირავა კუთვნილი არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, კერძოდ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქუჩა №4-ში“ წილის უფლება მშენებარე მრავალბინიანი სახლის I სადარბაზოს მე-11 სართულზე არსებული 80 კვ.მ ფართი. ხელშეკრულების მიხედვით, სესხისათვის გათვალისწინებული სარგებელი განისაზღვრა თვეში 3%-ით.

მოცემული დავის საგანს წარმოადგენს გარიგების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას მოპასუხეებისათვის, მ.ხ-შვილისა და ნ.გ-ისათვის სოლიდარულად ვალდებულების დაკისრებით ითხოვს. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4 პუნქტით დადგენილად მიიჩნია რა ფაქტობრივი გარემოებები, გირავნობის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ მ.ხ-შვილის უფლება ჰქონდა, დაეგირავებინა მისი კუთვნილი წილის უფლება ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა ... ქუჩა №4-ში. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პალატის ამ დასკვნას, თუმცა აქვე უთითებს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევდა არა მ. ხ-შვილის უფლებას საკუთრებაში არსებული წილის დაგირავებაზე, არამედ სადავო ხელშეკრულებაში აღნიშნული გირავნობის საგნის გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებული ნიშნებით – ... ქუჩა №4-ში მშენებარე მრავალბინიანი სახლის მე-11 სართულზე არსებული 80 კვ.მ განსაზღვრას და ამგვარი მახასიათებლების მქონე ნივთის მ. ხ-შვილის საკუთრებაში არ არსებობის გამო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არაკანონიერად გამოყენებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას სააპელაციო პალატის მიერ სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის კანონის დარღვევით გამოყენებლობაზე და განმარტავს შემდეგს:

კონკრეტულ შემთხვევაში, მხარეებმა გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სანივთოსამართლებრივი საშუალება – გირავნობა. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებების თავისებურება ისაა, რომ ისინი ვალდებულების შესრულებას, მისი დარღვევის შემთხვევაში, გარანტირებულს ხდიან და სწორედ ამ თვისებით ხასიათდებიან. ამავდროულად, გირავნობა წარმოადგენს რა სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას მას, როგორც ყველა სანივთო გარიგებას, საგნის განსაზღვრულობა ახასიათებს, რაც ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხუთივე სანივთო გარიგებისთვის აუცილებელია საგნის კონკრეტულობა – ზუსტად განსაზღვრა. ამასთან, საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შემთხვევაში სანივთო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული ქონების კონკრეტულობა უტყუარად დადასტურებული უნდა იყოს. ამდენად, გირავნობის ურთიერთობის მთავარი მიზანი არის მოგირავნემ დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა და კანონმდებლობაც ამიტომ ანიჭებს მხარეებს თავისუფლებას უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევის დროს, რადგან მათ აწევთ ის რისკი, რაც აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების არჩევას მოსდევს.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „გ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, გარიგებაში უნდა აღინიშნოს გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნით აღწერა, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, გირავნობის ხელშეკრულებაში სესხის ხელშეკრულება უზრუნველყოფილ იქნა მ. ხ-შვილის კუთვნილი წილის უფლებით, კერძოდ, ... ქუჩა №4-ში, მე-11 სართულზე მდებარე 80 კვ.მ ფართით. ამავე ხელშეკრულებით შემოწმდა ის ფაქტი, რომ გირავნობის საგანი – წილის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა ... ქ. №4-ში საკუთრების უფლება ნამდვილად ეკუთვნის მ. ხ-შვილს, თანახმად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „... ქ. №4-ის“ 2005 წლის 12 ივლისის სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა. საქმეში წარმოდგენილია ასევე მითითებული სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მ. ხ-შვილს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში ეკუთვნის გასანაწილებელი ბინების 30%. აღნიშნული ხელშეკრულება მ. ხ-შვილის უფლებასთან დაკავშირებით არ მოიცავს მითითებას საცხოვრებელი ბინის კონკრეტულ სართულზე დაზუსტებული ფართის განთავსების თაობაზე. ამდენად, სესხისა და გირავნობის სადავო ხელშეკრულებაში მითითებული გირავნობის საგანზე – პირველ სადარბაზოში მე-11 სართულზე განთავსებულ 80 კვ.მ-ზე მ. ხ-შვილის წილის უფლების განსაზღვრის საფუძველიანობა გირავნობის წარმოშობის დროისათვის არ დგინდება.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვ. ბ-შვილმა სადავო სესხისა და გირავნობის ხელშეკრულებით განიცადა ქონებრივი ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მ. ხ-შვილის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოყენებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით ვერ იქნა გარანტირებული. მართალია, ვ. ბ-შვილი, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების იძულებით აღსასრულებლად აუქციონზე რეალიზებული ქონების – ქ.თბილისში, ... ქუჩა №4-ში, 1-ლ სადარბაზოში, მე-11 სართულზე არსებული 80 კვ.მ ფართის მყიდველი გახდა, მაგრამ ნივთის საკუთრებაში მიღება კანონით გათვალისწინებული წესით (საჯარო რეესტრში აღრიცხვა) ვერ განხორციელდა ნივთის ზემოდასახელებული ნიშნებით არარსებობის გამო. აღნიშნულით მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებამ თავისი ძირითადი დანიშნულება ვერ შეასრულა და ვალდებულების დარღვევით – მსესხებლის მიერ სესხის დაუბრუნებლობით გამოწვეული შეუსრულებლობა ვერ ჩაანაცვლა, შესაბამისად, კრედიტორისთვის დამდგარი ზიანი აშკარაა.

სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია და გასაჩივრებული განჩინებით არ დგინდება, თუ რამ განაპირობა მ. ხ-შვილისა და ნოტარიუსის მიერ გირავნობის საგნის სადავო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არარსებუ-

ლი კონკრეტიზაციით განსაზღვრა. ამ საკითხის გამოკვლევა კი, მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანში მოპასუხეების ბრალის დასადგენად ან გამოსარიცხად აუცილებელია, კერძოდ:

მ. ხ-შვილი წარმოადგენს რა ხელშეკრულების მხარეს, მას უნდა სცოდნოდა თუ რეალურად რა სახის ქონება იყო მის საკუთრებაში, რა ნივთს სთავაზობდა კონტრაქტს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, მოქმედებდა თუ არა დამდგარ ზიანთან მიმართებით ბრალეულად და დადებით შემთხვევაში, რა ხარისხით.

სასამართლომ სადავო გარიგების გაფორმების პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის დანაწესების გათვალისწინებით, ასევე უნდა შეაფასოს ნოტარიუსის მიერ განხორციელებული მოქმედების კანონიერება მისი კომპეტენციის ფარგლებში. სადავო გარიგებაში მითითებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის მ. ხ-შვილის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. გარიგების დადებისას ნოტარიუსმა დაადასტურა რა მხარეთა შორის დადებული გარიგების შინაარსი და კანონიერება, მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანზე მ. ხ-შვილის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მიუთითა ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლითაც გირავნობის საგნის იმ ნიშნებით არსებობა, რაც სადავო გარიგებაშია მითითებული, არ დგინდება. საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ, უტყუარად უნდა დაადგინოს ნოტარიუსის მიერ სადავო გარიგების დადასტურების დროს გარიგების შინაარსის და კანონიერების შემოწმების ვალდებულების ფარგლები და სანოტარო მოვალეობათა კანონის დარღვევის გარეშე განხორციელება.

საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს ის ფაქტიც, რომ ვ. ბ-შვილმა გამოხატა რა ნება სადავო ხელშეკრულების დადების თაობაზე, კანონის ცოდნის პრეზუმფციიდან გამომდინარე, გააჩნდა თუ არა რაიმე ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად, გულისხმიერად შეემოწმებინა გირავნობის საგანი და ხომ არ არის სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობები

განჩინება

№ას-487-461-2012

17 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. და გ. დ-ებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ. გ-ის მიმართ და მოითხოვეს საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა შემდეგი დასაბუთებით: 1972 წლის 20 ოქტომბერს, ერთი მხრივ, ს. ა-სა (მისი მემკვიდრეა მ. გ-ე) და, მეორე მხრივ, რ. კ-ს (მისი მემკვიდრეები არიან – გ. და მ. დ-ები) შორის დაიდო ხელშეკრულება საცხოვრებელი სადგომის განუსაზღვრელი ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რომლის დროსაც მესაკუთრისათვის გადაცემულ იქნა გარკვეული ოდენობის საფასური. ამჟამად კი, ქ.თბილისში, ლ-ის ქ. 6-ში მდებარე უძრავი ქონების 10/16 ნაწილი ირიცხება მოპასუხე მ.გ-ის სახელზე.

მესამე პირმა - მ. მ-მ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობა, უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ბინიდან გამოსახლება შემდეგი დასაბუთებით: რ. კ-ა აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლში დაახლოებით ხუთი წელი ცხოვრობდა 1977 წლის 3 დეკემბრამდე. 1998 წლამდე, კანონის მიღების მომენტისათვის, ის ფაქტობრივი ფლობით არ ფლობდა ხელშეკრულებაში მითითებულ ფართს და, შესაბამისად, მისი შვილებიც – მ. და გ. დ-ები ვერ იქნებიან სადავო ქონებაზე სამართლებრივად რაიმე უფლების მატარებელი. მათ ქ.თბილისში, ლ-ის ქ.6-ში არასდროს უცხოვრიათ. 1992 წელს ა. კ-ა და მ. მ-ე განქორწინდნენ. ა. კ-ა საცხოვრებლად წავიდა რუსეთში, ხოლო ზემოაღნიშ-

ნულ მისამართზე დღემდე ცხოვრობს მ.მ-ე და იხდის კომუნალურ გადასახადებს. იმ ფაქტს, რომ სადავო ფართს მ.მ-ე ფლობს, არ უარყოფს არც მ. გ-ე, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ბინაში უკანონოდ არიან შეჭრილები მისი მულის შვილები – მ. და გ. დ-ები.

მოპასუხე მ. გ-მ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაეუფლნენ მ. გ-ის კუთვნილ ფართს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. და გ. დ-ებისა და მესამე პირის – მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. მ. გ. და მ. დ-ებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 იანვრის განჩინებით მ. და გ. დ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისში, ლ-ის №6-ში მდებარე უძრავი ნივთის 10/16 ნაწილი მ. გ-ის საკუთრებაა. საქმეში წარმოდგენილია 1972 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომლითაც ლ-ის ქ. №6-ის სახლთმფლობელი ს. ა-ი რ. კ-ს გადასცემს სარგებლობაში («ოტსტუპნიოთ») განუსაზღვრელი ვადით საცხოვრებელ ფართს, ლ-ის ქ. №6-ში, მესამე სართულზე მდებარე 62 კვ.მ სამ ოთახს, პირველ სართულზე არსებულ 32 კვ.მ სარდაფს. 1987 წლის 14 ნოემბერს გარდაცვლილი ს. ა-ის მემკვიდრედ 1991 წლის 10 მაისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ცნობილი იქნა მეუღლე ე. ა-ა. 1992 წლის 4 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით ე. ა-მ ლ-ის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ნივთი მიჰყიდა მადლენა გ-ს. რ. კ-ა 1977 წლის 3 დეკემბერს დაქორწინდა უ. დ-ზე და მიიღო მეუღლის გვარი – დ. ი. 2010 წლის 30 ნოემბრის სამკვიდრო მოწმობით 2000 წლის 12 ნოემბერს გარდაცვლილი რ. დ-ის სამკვიდრო მიიღეს შვილებმა – გ. და მ. დ-ებმა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს სამსახურის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად, რ. დ-ი 1982 წლის 26 ნოემბრიდან რეესტრირებული იყო ქ. თბილისში, ა-ის ქ. №45-ში. პირველი ინსტანციის სასამართლოში 31.10.2011 წელს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებით დასტურდება, რომ რ. კ-ს (დ-ის) ლ-ის ქ. №6-ში არ უცხოვრია გათხოვების შემდგომ, ანუ 1977 წლიდან. სადავო არაა, რომ თავად მოსარჩელები მხოლოდ ორი წელია, რაც ცხოვრობენ სადავო ფართში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, მასზე, რომ არც მამკვიდრებელი რ. დ-ი და არც მისი მემკვიდრეები – მ. და გ. დ-ები «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მიღების დროისათვის (1998 წლის 25 ივნისი) ფაქტობრივად არ ფლობდნენ სადავო საცხოვრებელ სადგომს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ აპელანტები სადავოდ არ ხდიან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებას და განმარტავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს მფლობელობის უფლება მიღებული აქვს გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით, სავალდებულო არ არის სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობა.

«საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მსჯელობა მასზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირს მფლობელობის უფლება მიღებული აქვს გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით, სავალდებულო არ არის სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობა. კანონის 11 მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან ადმინისტრაციული აქტით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეესტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ანდა მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა). ამდენად, იმისთვის, რომ დადგინდეს კანონის შესაბამისად, პირის მოსარგებლის სტატუსი, სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კანონის მიღების დროისათვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) აღნიშნული პირის მიერ საცხოვრებელი სადგომის კეთილსინდისიერ ფაქტობრივ მფლობელობას და უსაფუძვლოა აპელანტების მსჯელობა მასზე, რომ სავალდებულო არ არის სადგომის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობა. პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან, მართებულად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ არც მოსარჩელები და არც მათი მამკვიდრებელი «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მიღების დროისათვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) არ ფლობდნენ ლ-ის ქ. №6-ში არსებულ საცხოვრებელ სადგომს, შესაბამისად, მართებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, მასზე, რომ მ. დ-ი და გ. დ-ი ვერ მიიჩნევიან «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის 11-ლი მუხლის «ა» პუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლებად. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს, მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის (ან თავდაპირველი მოსარგებლის უფლებამონაცვლისათვის) დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს, მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა. ვი-

ნაიდან, მოსარჩელები არ წარმოადგენენ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის 11-ლი მუხლის «ა» პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლებს, უსაფუძვლოა მოთხოვნა, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საცხოვრებელი სადგომის 25%-ის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. და გ. დ-ებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: მ. მ-ე, რომელმაც არაერთხელ შეიცვალა პროცესის მონაწილის სამართლებრივი სტატუსი და სააპელაციო განხილვის დროს თითქოსდა გაიხმო თავისი მოთხოვნა, ეს ნაბიჯი, როგორც სხდომის ოქმის ჩანაწერიდან დასტურდება, გადადგა მოპასუხე მ. გ-ის შეპირების კერძოდ, საკუთრებაში სადავო საცხოვრებელი სადგომის გადაცემის სანაცვლოდ. იგი პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიარებდა იმ ფაქტს, რომ თავის სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებდა რ. კ-სა და ს. ა-ს შორის 1972 წლის 20 ოქტომბერს წერილობით დადებულ გარიგებაზე. ფაქტი იმისა, რომ მ. მ-ე სადავო ბინაში ცხოვრობდა იმის გამო, რომ იყო რ. კ-ს ძმის ა. კ-ს ყოფილი ცოლი, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაადასტურეს თვით მ.მ-ის მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმა: დ. ც-მა, ვ. ვ-მ, ლ. მ-მა და რ. მ-მა. სასამართლოზე დადასტურდა ისიც, რომ მ. მ-ე, სადავო ბინაში ცხოვრობდა 1985 წლიდან და, მიუხედავად ა. კ-სთან 1992 წელს განქორწინებისა, დღემდე იქ ცხოვრობს რ. კ-ს შვილებთან ერთად, ამ უკანასკნელის მიერ თავის დროზე გამოვლენილი კეთილი ნების საფუძველზე, რადგან იგი იყო რ. კ-ს ძმის ყოფილი ცოლი. კეთილი ნებით სადავო ფართზე ცხოვრება არ წარმოშობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით გათვალისწინებულ შედეგებს, რის გამოც, მ. მ-ს, როგორც მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, უარი ეთქვა საკითხის მის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა თავისი პრეტენზიის უსაფუძვლობაში, მ. მ-მ გაიხმო სარჩელი და, შესაბამისად, უარი თქვა თავის პრეტენზიაზეც. აღსანიშნავია, რომ სანამ მ. მ-ე ჯერ კიდევ მესამე პირის სტატუსით მონაწილეობდა სასამართლო პროცესში, ამ უკანასკნელის წარმომადგენელმა შეცვალა პოზიცია და შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ იგი მოცემულ ბინაში ცხოვრობს ბინის მესაკუთრე ს.ალიხანოვთან დადებული ბინის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე და გადახდილი აქვს გარკვეული თანხა, თუმცა ამის დამადასტურებელი და კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარმოადგინა, აღნიშნული ვერც მოწმეებმა დაადასტურეს, რაც მოეთხოვება პირს, თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდის დადასტურებელი წერილობითი გარიგება. მეტიც, მ. მ-ის მიერ წარმოდგენილი ოთხივე მოწმემ დაადასტურა ის ფაქტი, რომ სადავო საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის თანხა ს. ა-თან გადახდილი ჰქონდა რ. კ-ს და, რომ ამ გარიგების საფუძველზე გარდაცვალებამდე მასში ცხოვრობდა რ. კ-ს მამა – ა. კ-ც. რაც შეეხება, მ. მ-სა და ს. ა-ს შორის სადავო ფართის დათმობის შესახებ გარიგების არსებობას, მათვე განაცხადეს, რომ ამის თაობაზე არაფერი სმენიათ. სასამართლო სხდომაზე დადასტურდა და, შესაბამისად, სხდომის ოქმში ასახულია ის ფაქტიც, რომ რ. კ-ს მამა – ა. კ-ა, რომელიც იყო ამ უკანასკნელის პირველი რიგის მემკვიდრე, თვით რ. კ-სა და ს. ა-ს შორის დადებული საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე 2003 წლამდე ცხოვრობდა სადავო ბინაში. რ. კ-სა და მისი მამის ა. კ-ს გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც რ. კ-ს, ისე მისი მამის ა. კ-ს სამკვიდრო მიიღეს რ. კ-ს შვილებმა გ. და მ. დ-ებმა, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ ბინაში.

ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში დადასტურდა, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ: 1972 წლიდან 1996 წლის 27 ივლისამდე და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მიღების მომენტისათვის სადავო ბინაში უდავოდ ცხოვრობდა რ. კ-ს მამა ა. კ-ა. რაც შეეხება, ამავე ბინაში რ. კ-ს ცხოვრების ფაქტს, აღნიშნულს არ უარყოფდნენ თვით მოპასუხე მ. გ-ე და მ. მ-ე, თუმცა, აპელირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ გათხოვების შემდეგ რ. კ-მ, რადგან შეიცვალა რეგისტრაციის ადგილი, ადასტურებს სადავოდ ქვეულ საცხოვრებელ სადგომზე რ. კ-სათვის სარგებლობის უფლების დაკარგვის ფაქტს. გარდაცვალების დროისათვის, კერძოდ, 2000 წლის მდგომარეობით, რაც მოიცავს დასახელებული კანონის მიღების მომენტსაც, რ. კ-ა წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის 1-ლი მუხლის „ა» ქვეპუნქტის მიზნებისათვის მოსარგებლე პირს. რ. კ-ს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრე ს. ა-ისთვის გადახდილი აქვს გარკვეული საფასური. კანონის მე-2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საჭიროებას არ წარმოადგენდა, რომ საცხოვრებელი სადგომით უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობა დამატებით დადასტურებულიყო სადავო საცხოვრებელ სადგომში რ. კ-ს რეგისტრაციით ანდა მის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდით, სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადასტურებული ის ფაქტები, რომ მოსარჩელები მ. და გ. დ-ები, ერთდროულად წარმოადგენენ, როგორც რ. კ-ს, ისე ამ უკანასკნელის მამის, ა. კ-ს, მემკვიდრეებსაც, სასამართლომ სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა. უდავოდაა დადასტურებული, რომ რ. კ-ს მიერ მოპოვებული მფლობელობა მისი და მისი მემკვიდრეების მიერ არ შეწყვეტილა მფლობელობის მიტოვების გზით და დღემდე გრძელდება ანუ ყველა პირობაა დაცული იმისთვის, რომ მ. და გ. დ-ები ცნობილ იქნან მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ და დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა სადავო საცხოვრებელი სადგომის 25%-ის გადახდის საფასურად ამ სადგომის მათთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

არასწორად იქნა განმარტებული „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ კანონის» 1-ლი მუხლის „ა» ქვეპუნქტიც, კერძოდ, სასამართლომ არ გააკრიტიკა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ნორმაში მითითებულ იმ პირთა კატეგორიას, რომლებსაც საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებ-

ლობის უფლების შესახებ გარიგებით, არ განეკუთვნებიან მათი უფლებამონაცვლები, თუმცა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების უმთავრეს მიზეზად, რამაც განაპირობა თანმდევი შეცდომებიც, წარმოადგენს ის გარემოება, რომ „საცხოვრებელი სადგომის სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონი არ შეიცავდა ტერმინ „მფლობელობის უფლების» განმარტებას. სასამართლოს, „ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა გამოეყენებინათ კანონის ანალოგია, „მფლობელობა» უნდა განემარტა ისე, როგორც ეს მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 155-ე მუხლის მე-2 ნაწილებში, რაც მათ არ გაუკეთებიათ. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისა და ამ მუხლის იმ დანაწესის გათვალისწინების შემთხვევაში, რომლითაც მფლობელად არ ითვლება პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და, რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან, სასამართლო მიიღებდა სხვა გადაწყვეტილებას, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში მფლობელად მიიჩნეოდა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი, ანუ რ. კ-ა, შესაბამისად, არ გამოყენებულა სამოქალაქო კოდექსის 157-ე მუხლიც იმასთან დაკავშირებით, რომ ამგვარი მფლობელობა მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან. ყოველივე ამით, არსებითადაა შელახული რ. კ-ს უფლებამონაცვლების, მ. და გ. დ-ების, უფლება სადავო საცხოვრებელ სადგომზე, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ბაბუის – ა. კ-ს ერთადერთ კანონიერ უფლებამონაცვლებსაც, მით უფრო, რომ ისინი დღემდე არიან სადავოდ ქცეული ბინის კეთილსინდისიერი მფლობელები, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის საფუძველზე, მართლზომიერად ფლობენ სადავოდ ქცეულ საცხოვრებელ სადგომს, რასაც თვით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებიც ვერ უარყოფენ. ამდენად, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გამოკვლეული და დადგენილი ჰქონდათ, რომ მოსარჩელები – მ. და გ. დ-ები წარმოადგენენ, როგორც რ. კ-ს, ისე ამ უკანასკნელის მამის – ა. კ-ს მემკვიდრეებს და, შესაბამისად, მათ უფლებამონაცვლებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სადავო უფლებასთან დაკავშირებული უფლება-ვალდებულებები, რაც გააჩნდა რ. კ-ს ანდა მამას – ა. კ-ს, სასამართლოს უნდა გაეგრძელებინა მ. და გ. დ-ებზე. სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის განჩინებასაც (საქმეზე №ას-665-971-09), რომელმაც მოპასუხის მხრიდან იმ სახის მტკიცებულების წარუდგენლობა, რაც დაადასტურებდა მოსარჩელეთა მიერ შესაკუთრესა და მდგმურს შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობიდან გამოსვლას, მიიჩნია მხარეებს შორის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით განსაზღვრული ურთიერთობის არსებობად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. და გ. დ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების და, შესაბამისად, დავის სამართლებრივი შეფასების არასარწმუნოობა, კერძოდ, მოცემულ დავაზე სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისში, ლ-ის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ნივთის 10/16 ნაწილი არის მ.გ-ის საკუთრება. 1972 წლის 20 ოქტომბრის ხელშეკრულებით ლ-ის ქ. №6-ის სახლთმფლობელმა ს. ა-მ რ. კ-ს სარგებლობაში („ოტსტუპნოით») განუსაზღვრელი ვადით გადასცა ამავე მისამართზე მესამე სართულზე მდებარე 62 კვ.მ სამი ოთახი და პირველ სართულზე არსებული 32 კვ.მ სარდაფ-საცხოვრებელი ფართი. დადგენილია, რომ მ. გ-ე არის ს. ა-ის უფლებამონაცვლე. რ. კ-ა 1977 წლის 3 დეკემბერს დაქორწინდა უ. დ-ზე და მიიღო მეუღლის გვარი – დ-ი. 2010 წლის 30 ნოემბრის სამკვიდრო მოწმობით აწ გარდაცვლილ რ. დ-ის სამკვიდრო მიიღეს შვილებმა – გ. და მ. დ-ებმა. რ. დ-ი 1982 წლის 26 ნოემბრიდან რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, ა-ის ქ. №45-ში. რ. კ-ს (დ-ი) ლ-ის ქ. №6-ში გათხოვების შემდგომ, ანუ 1977 წლიდან არ უცხოვრია. სადავო არაა, რომ თავად მოსარჩელები მხოლოდ ორი წელია, რაც ცხოვრობენ სადავო ფართში.

ხემაღლიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ არც გ. და მ. დ-ები და არც მათი მამკვიდრებელი რ. კ-ა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მიღების დროისათვის (1998 წლის 25 ივნისისათვის) არ ფლობდნენ ლაგოდების ქ. №6-ში არსებულ საცხოვრებელ სადგომს, შესაბამისად, მ. დ-ი და გ. დ-ები ვერ მიიჩნევიან ამავე კანონის მე-11 მუხლის «ა» პუნქტით გათვალისწინებულ მოსარგებლებად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-11 მუხლის „ა» ქვეპუნქტი და მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, შესაბამისად, არ გამოიკვლია ამ ნორმის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობების არსებობა და კასატორთა მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები სამართლებრივად სათანადოდ არ შეაფასა, კერძოდ:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-11 მუხლის „ა» ქვეპუნქტის თანახმად, მოსარგებლე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისთვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებუ-

ლი წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, ან ადმინისტრაციული აქტით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობებიდან გამომდინარე საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეს წარმოადგენს პირი, რომელიც 1998 წლისათვის – კანონის მიღების დროისათვის მართლზომიერად ფაქტობრივად ფლობდა აღნიშნულ უძრავ ნივთს, კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველით. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დასტურდებოდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესაკუთრისთვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირისა). ამდენად, სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობის, და არა საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლის სტატუსის დამდგენ გარემოებას (იხ. სუსგ № ას-551-784-08 25 ნოემბერი, 2008 წ.; №ას-184-450-08 8 ივლისი, 2008 წ.).

ამავე კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლის უფლებამონაცვლე კანონით განსაზღვრული ყველა იმ უფლებით სარგებლობს, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მამკვიდრო აქტივად წოდებული ქონებრივი უფლება გულისხმობს პირის ყველა სამოქალაქო უფლებას, მათ შორის, ცხადია მფლობელობის (სარგებლობის) უფლებასაც.

რაც შეეხება ნივთის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, საცხოვრებელი სადგომის ფაქტობრივი ფლობისათვის, როგორც ზოგადად მფლობელობისათვის, განმსაზღვრელია მფლობელის ნებითი მომენტი, სურვილი, იყოს ნივთის მფლობელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს მას. მფლობელობის იურიდიული ბუნება არ გულისხმობს ნივთთან მხოლოდ ფიზიკურ შემხებლობას (იხ. სუსგ №ას-1151-1296-08 2009 წლის 25 ივნისი; №ას-1665-1653-2011 28 თებერვალი, 2012 წელი). აღნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, მოსარგებლე, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელი, თავის უფლებასთან მიმართებით თავისუფალია და ნივთის აუცილებლად პირადად სარგებლობით შეზღუდული არ არის. ამდენად, ის ფაქტი, რომ სადაო ფართის მფლობელობა მოსარგებლემ შეწყვიტა, ამოეწერა აღნიშნული მისამართიდან და ცხოვრება სხვა მისამართზე განაგრძო, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს მფლობელობის შეწყვეტას. თუ დადგინდება, რომ მან სარგებლობის უფლება რაიმე საფუძველით (თხოვება, ქირავნობა) გადასცა სხვას ან ოჯახის ერთ-ერთი წევრს, ეს ქმედება უფლების მართლზომიერად გამოყენებას და ამავე უფლების სურვილისამებრ რეალიზაციას ამტკიცებს.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მხარე სადავოდ მიიჩნევს მამკვიდრებელ რ. კ-ს მიერ საცხოვრებელი ფართის მისი ოჯახის წევრებისათვის (მშობლებისა და ძმის) სარგებლობაში გადაცემით ნივთის ფლობის გაგრძელების ფაქტის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეფასების გარეშე დატოვებას, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს და მიიჩნევს, რომ კანონის დანაწესების განმარტებით, ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენას საქმის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული ფაქტობრივი გარემოების გამოსარკვევად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მ. და გ. დ-ების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-198-191-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. როინიშვილი,
ბ. ალავეძე

დავის საგანი: საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 29 ივნისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. კ-მ მოპასუხე ნ. ქ-ის მიმართ და მოითხოვა ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში მდებარე საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა მის მიერ მესაკუთრისათვის აღნიშნული საცხოვრებელი სახლის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ქ-ს დაევალა მ. კ-სათვის ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში არსებულ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების გადაცემა მისი საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ქ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში მდებარე, ნ. ქ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული საცხოვრებელი ბინის მესაკუთრედ, ამ უკანასკნელისათვის 3750 ლარის გადახდის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა ტექნიკური აღრიცხვის მონაცემებით აღრიცხულია მოპასუხე ნ. ქ-ის სახელზე;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის თანხმად, ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.10/17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნის ნ. ქ-ს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სადავო არ გამხდარა მხარეთა მიერ;

მ. კ-სა და ნ. ქ-ს შორის, 1996 წლის 1 იანვარს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ნ. ქ-მ კუთვნილი ოროთახიანი ბინა ექვსი თვით 300 აშშ დოლარად საცხოვრებლად დაუთმო (დააგირავა) მ. კ-ს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ნ. ქ-მ მ. კ-ს არ დაუბრუნა 300 აშშ დოლარი, რის გამოც მ. კ-ე დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში;

მოწმეების – მ. ხ-ისა და დ. ხ-ის ჩვენებებით, ასევე გადახდის ქვითრებით, დადგენილად იქნა ცნობილი, რომ მოსარჩელე 1996 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში და იხდის კომუნალურ და სხვა სახის გადასახადებს;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენდა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. ხ-ე არის მ. კ-ის შვილი და ცხოვრობს დედასთან ერთად. საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებით, ქ.ქუთაისის მერიის „ა-ის“ ტერიტორიული ორგანოს 2011 წლის 31 მარტის ცნობით ირკვევა, რომ მ. ხ-ე 1996 წლიდან ცხოვრობს ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში;

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკითხული მოწმის, მ. კ-ის ჩვენებით დგინდებოდა, რომ მ. კ-სა და ნ. ქ-ს შორის წერილობითი შეთანხმება თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში დათმობის თაობაზე დაიდო 1996 წლის 1 იანვარს და ამ დროის შემდეგ სადავო ფართს ფლობდა მ. კ-ე მის შვილთან ერთად;

საქმეში განთავსებული მტკიცებულების, შპს „ა.-ს.-ც-ის“ 2011 წლის 12 ივლისის №01/79 აუდიტორული დასკვნის თანახმად, ქ.ქუთაისში, ზ.ჭ-ის ქ. №10/17-ში მდებარე ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის ღირებულება ადგილმდებარეობისა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით შეადგენდა 15000 ლარს;

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, მოსარჩელე არის პირი, რომელიც კანონის მიღების მომენტისათვის კეთილსინდისიერად ფაქტობრივად ფლობს საცხოვრებელ სადგომს მესაკუთრესთან სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე დადებული წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ან მფლობელობის უფლება მიღებული აქვს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით ან ადმინისტრაციული აქტით; ამავე კანონის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ უნდა დადასტურდეს შემდეგი გარემოებებით: სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა ან/და მესა-

კუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა; მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსარგებლეს მოსთხოვოს საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა, მხოლოდ მოსარგებლისათვის დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდის შემთხვევაში; თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან სადავო ბინის მესაკუთრე ნ. ქ-სა და მოსარჩელე მ. კ-ს შორის 1996 წლის 1 იანვარს დაიდო წერილობითი შეთანხმება თანხის გადახდის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში დათმობის თაობაზე და ამ დროის შემდეგ სადავო ფართს ფლობდა მ. კ-ე, ამიტომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობა – მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა, რაც ადასტურებდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების არსებობას, სადაც მოსარგებლეს წარმოადგენდა მ. კ-ე.

სააპელაციო სასამართლომ შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ქ-ე წარმოადგენდა ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.10/17-ში არსებული სადავო საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეს, ამასთან ამ უკანასკნელს არ უცვნიას სარჩელი და თავის მხრივ სასამართლოში არ აღუძრავს სარჩელი მოსარგებლის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც მოსარგებლე სასარჩელო წესით დავობდა თავისი უფლების თაობაზე, აღნიშნული შემთხვევა მიუთითებდა მესაკუთრის მიერ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების იძულებით გამოყენებაზე უარის თქმაზე, რაც თავისთავად იწვევდა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით მოსარგებლისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარგებლის, მ. კ-ის მოთხოვნა მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ ამ ფართის მესაკუთრედ აღიარების თაობაზე საფუძვლიანი იყო.

რაც შეეხებოდა სადავო ბინის ღირებულებას, შპს „ა.-ს.-ც-ის» 2011 წლის 12 ივლისის №01/79 აუდიტორული დასკვნის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ სადავო ბინის ღირებულების 25% განსაზღვრა 3750 ლარით (15000 ლარის 25% = 3750 ლარს).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მოპასუხე შეედავა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს: საცხოვრებელი ფართის დათმობის თაობაზე ხელწერილსა და მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ცნობას მოსარჩელის შვილის, მ. ხ-ის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, მაგრამ სასამართლო სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის განმარტებითა და ხელწერილზე ხელმოწერილი მოწმის ჩვენებით დადასტურდა ამ მტკიცებულებებში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა. შესაბამისად, აპელანტის (მოპასუხე) მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის გარიგება დაიდო 1999 წელს და არა 1996 წლის 1 იანვარს სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგინა მტკიცებულებები, რაც გააბათილებდა ამ გარემოებათა დასადასტურებლად წარდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და სარჩელის დაკმაყოფილებით არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ გადაწყვეტილებაში არ იქნა მითითებული, თუ რას შეადგენდა სადავო ბინის საბაზრო ღირებულების 25%. ასეთ ვითარებაში, გადაწყვეტილება საკმარისად დასაბუთებულად ვერ ჩაითვლებოდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის, 394-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტისა და 386-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენდა საფუძველს გადაწყვეტილების გაუქმების, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების და ამ გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ნ. ქ-მ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, შემდეგ საფუძვლებზე დაყრდნობით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად, არასწორად გამოიყენა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის შესაბამისად, თუ მხარეებს შორის არსებობს გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ, რაც დასტურდება ისეთი გარემოებებით, როგორცაა სადავო საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაცია, კომუნალური გადასახადებისა და მესაკუთრისათვის გარკვეული ოდენობის საფასურის გადახდა და სხვა (გარდა ქირავნობის ხელშეკრულებისა), მაშინ ასეთი გარიგება წესრიგდება ამ კანონით. კონკრეტულ დავაში მოსარჩელე არ არის რეგისტრირებული სადავო საცხოვრებელ ფართში, არ აქვს წარმოდგენილი კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები 1996 წლის 27 ივნისამდე, ასევე არ გადაუხდია მოპასუხისათვის გარკვეული საფასური. 300 აშშ დოლარის ოდენობის თანხა, რომელიც მოსარჩელემ მოპასუხეს (კასატორს) გადასცა სესხის სახით, 6 თვის შემდეგ უნდა დაბრუნებოდა მხარეს, ე.ი. მას ბინა გადაეცა დროებით სარგებლობაში 6 თვის ვადით, რაც დასტურდება წერილობითი დოკუმენტით, რომელზეც აპელირებს მოსარჩელე. ამასთან, თავად მოსარჩელე ადასტურებს, რომ მან ნ. ქ-ს მისცა სესხი. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ე.წ. საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის (გირავნობის) შესახებ ხელწერილი ნ. ქ-მ გააფორმა 1996 წლის 1 იანვარს და არა 1999

წელს. აქედან გამომდინარე, დასახელებული კანონის მოთხოვნები ვერ გავრცელდება მხარეებს შორის წამოჭრილ დავაზე, იგი უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა შპს „ა.-ს.-ც-ის“ მიერ გაცემული დასკვნა, რომლითაც ოროთახიანი ბინის ღირებულება შეფასებულია 15000 ლარად, ვინაიდან აღნიშნული ფასი არის საბაზრო ღირებულებასთან შეუსაბამო. საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ 15000 ლარად ქუთაისის ნებისმიერ გარეუბანში ერთოთახიანი გაურემონტებელი ბინის ყიდვაც შეუძლებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული უძრავ ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის თანხმად, ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.10/17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნის ნ. ქ-ს;

მ. კ-სა და ნ. ქ-ს შორის, 1996 წლის 1 იანვარს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნ. ქ-მ კუთვნილი ოროთახიანი ბინა ექვსი თვით 300 აშშ დოლარად საცხოვრებლად დაუთმო (დააგირავა) მ. კ-ს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, ნ. ქ-მ მ. კ-ს არ დაუბრუნა 300 აშშ დოლარი, რის გამოც მ. კ-ე დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში;

მოწმეების – მ. ხ-ისა და დ. ხ-ის ჩვენებით, ასევე გადახდის ქვითრებით, დადგენილად იქნა ცნობილი, რომ მოსარჩელე 1996 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში და იხდის კომუნალურ და სხვა სახის გადასახადებს;

მხარეთა შორის სადავო არაა, რომ მ. ხ-ე არის მ. კ-ის შვილი და ცხოვრობს დედასთან ერთად. საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებით, ქ.ქუთაისის მერიის „ავტოქარხნის“ ტერიტორიული ორგანოს 2011 წლის 31 მარტის ცნობით ირკვევა, რომ მ. ხ-ე 1996 წლიდან ცხოვრობს ქ.ქუთაისში, ...-ის ქ.№10/17-ში;

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკითხული მოწმის, მ. კ-ის ჩვენებით დგინდებოდა, რომ მ. კ-სა და ნ. ქ-ს შორის წერილობითი შეთანხმება თანხის გადახის სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში დათმობის თაობაზე დაიდო 1996 წლის 1 იანვარს და ამ დროის შემდეგ სადავო ფართს ფლობდა მ. კ-ე მის შვილთან ერთად;

შპს „ა.-ს.-ც-ის“ 2011 წლის 12 ივლისის №01/79 აუდიტორული დასკვნის თანახმად, ქ.ქუთაისში, ...-ის ქ. №10/17-ში მდებარე ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის ღირებულება ადგილმდებარეობისა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით შეადგენდა 15000 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში, კასატორს წამოყენებული აქვს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ნ. ქ-ის 1996 წლის 1 იანვრის ხელწერილს, მიიჩნია რა იგი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულებად და, შესაბამისად, სადავო ურთიერთობის მიმართ არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონი. კასატორის განმარტებით, ზემოხსენებულ ხელწერილში მითითებული თანხა – 300 აშშ დოლარი მ. კ-მ (მოსარჩელემ) სესხის სახით გადასცა ნ. ქ-ს (მოპასუხეს) 6 თვის ვადით, რის სანაცვლოდაც მოპასუხემ თავისი კუთვნილი ოროთახიანი ბინა 6 თვის ვადით (გირაოთი) სარგებლობაში გადასცა მოსარჩელეს. ამდენად, აღნიშნული ბინა მოსარჩელეს გადაეცა დროებით სარგებლობაში 6 თვის ვადით. კასატორი აღნიშნავს ასევე, რომ თავად მოსარჩელე ადასტურებს მოპასუხისათვის სესხის მიცემის ფაქტს. აქედან გამომდინარე, კასატორს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის არ დადებულია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს შემდეგს:

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ამდენად, აღნიშნული კანონით რეგულირებულია იმ პერიოდის საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული ურთიერთობები, რომელიც იმ დროს მოქმედი საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული არ იყო. გარიგება საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ თავისი შინაარსით არატიპიურ სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენდა და იგი საბჭოთა სინამდვილეში ფაქტობრივი ქონებრივი ურთიერთობის სახით არსებობდა. ეს სახელშეკრულებო ურთიერთობა შეიცავდა სხვადასხვა გარიგების ნიშნებს (ქირავნობა, სესხი, გირავნობა), თუმცა ამავდროულად რადიკალურად განსხვავდებოდა მათგან თავისი შინაარსით და სპეციფიკური პირობებით, კერძოდ, მისი არსებობისას: მოსარგებლე მესაკუთრეს ერთჯერადად უხდიდა გარკვეული რაოდენობის თანხას ფართის სარგებლობაში მიღების სანაცვლოდ, ამასთან, მესაკუთრეს ყოველთვიურად უხდიდა ბინის ქირასაც; მოსარგებლე რეგისტრირდებოდა საცხოვრებელ ფართში და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს; მესაკუთრის მიერ თანხის დაბრუნების შემთხვევაში მოსარგებლე ვალდებული იყო, გამოეთავისუფლებინა დაკავებული ფართი, თუმცა ხშირ შემთხვევებში, მესაკუთრე თანხას ვერ აბრუნებდა, ურთიერთობა ხანგრძლივ ხასიათს იღებდა და უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა; მე-საკუთრის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის უფლების გადაცემა მოსარგებლეზე ფაქტობრივად ხდე-

ბოდა „სამუდამოდ», ანუ ეს ურთიერთობა არ ატარებდა დროებით (ხანმოკლე) ხასიათს; ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარგებლე იძენდა დათმობილი სარგებლობის უფლების გასხვისების შესაძლებლობასაც, რაც მოსარგებლეთა შეცვლას იწვევდა. ამ სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების სუბიექტთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება მსგავსი ხელშეკრულებების (ქირავნობა, სესხი, გირავნობა) ნორმებით შეუძლებელი იყო და კანონმდებელმა სპეციალური კანონით მოწესრიგებას დაუქვემდებარა. ამასთან, ამ კანონით რეგულირდება მხოლოდ ის ურთიერთობები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უტყუარად შეიცავენ, შესაძლებელია ეს ნიშნები კუმულატიურადაც არსებობდეს ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი არსებობდეს.

საქმეში წარმოდგენილი 1996 წლის 1 იანვრის ხელწერილი შემდეგი შინაარსისაა: ამ ხელწერილით ნ. ქ-ე მცხოვრები ქუთაისში, პ-ის ქუჩის (ამჟამინდელი ...-ის ქუჩა) №10/17-ში, მის კუთვნილ ოროთახიან ბინას 6 თვით (ე.ი. გირათით), 300 აშშ დოლარის სანაცვლოდ, უტოვებს მ. კ-ს.

დასახელებული ხელშეკრულების შინაარსიდან ნათლადაა გამოკვეთილი გარიგების მიზანი – სესხად გადაცემული თანხის სარგებლის სანაცვლოდ ბინის გამოსაყენებლად გადაცემა. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ხელშეკრულების პირობა – ბინის სანაცვლოდ თანხის გადაცემა, აგრეთვე, თავად ხელშეკრულება, რომელიც მ. კ-ს ნივით სარგებლობის სანაცვლოდ რაიმე ვალდებულების შესრულებას (ქირის გადახდას) არ უდგენს. ამდენად, მესაკუთრემ დროებით სარგებლობაში თანხის მიღების სანაცვლოდ, ასევე დროებით სარგებლობაში გადასცა ბინა მოსარგებლეს. ასეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა როგორც ხელშეკრულების დადების დროს, ისე ამჟამადაც, ფართოდ გავრცელებულია და საზოგადოებაში დამკვიდრებული პრაქტიკით სახელდება, როგორც „ბინის გირავნობა». თავისი სამართლებრივი ბუნებით და რეალური შინაარსით, აღნიშნული ხელშეკრულებით მესაკუთრე სესხად მიღებული თანხის სანაცვლოდ მოსარგებლეს გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ფართზე სარგებლობის უფლებას. სესხი სასყიდლიანია და გამსესხებლისათვის სარგებელს ნივით სარგებლობის უფლება წარმოადგენს. ამდენად, ასეთი ხელშეკრულება იურიდიულად არც გირავნობის ნიშნებს შეიცავს, მიუხედავად მისი სახელწოდებისა, და არც საცხოვრებელი სადგომის მუდმივ დათმობაზე შეთანხმებას არ წარმოადგენს. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტება შეესაბამება მსგავს საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-766-716-2010). ამდენად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 1996 წლის 1 იანვრის ხელწერილი არ შეიძლება შეფასდეს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებად, შესაბამისად, არ არსებობს ზემოხსენებული სპეციალური კანონის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ასევე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, არც სადავო გარიგების დადების დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) და არც დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ვინაიდან მითითებული კოდექსები არ ითვალისწინებენ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას ისეთი შინაარსის გარიგების საფუძველზე, როგორც სადავო გარიგება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ხელწერილი და არასწორად მიიჩნია იგი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებად, ამასთან, სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონი, რადგან ამ კანონის დებულებები არ შეიძლება გავრცელდეს მოცემულ ურთიერთობაზე. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 393.2 მუხლის „ბ» ქვეპუნქტი), რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე» ქვეპუნქტის თანახმად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით მანანა კობახიძის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გადებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ ნ. ქ-ს სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 100 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 750 ლარი. აქედან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარეს, მ. კ-ს კასატორ ნ.

ქ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 850 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მ. კ-ს ნ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 850 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლის უფლება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ას-1448-1463-2011

1 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. შ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ტ. ა-ას, თ. და ს. პ-შვილების წინააღმდეგ თანხის გადახდის სანაცვლოდ, საცხოვრებელ სადგომზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, მამამისმა – გ. შ-მ გ. და ტ. ა-ებისაგან ჯერ კიდევ 1948 წელს შეიძინა თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე სახლის სარდაფის სართულზე ერთი ოთახი. 1954-55 წლებში მოსარჩელის მშობლებმა გ. და ტ. ა-ებისაგან კვლავ შეიძინეს იმავე სახლის პირველ სართულზე განთავსებული 12,42 მ2 ოთახი და 3,29 მ2 უფანჯრო ოთახი. 1957 წელს მოსარჩელის მშობლებს, ა-ების თანხმობით, ა. ხ-შვილმა დაუთმო კიდევ ერთი 19,86 მ2 ოთახი. ამასთან, მოსარჩელის მითითებით, შ-ებისა და ი. რ-შვილის ოჯახებს საერთო მფლობელობაში ჰქონდათ 7,62 მ2 სამზარეულო. საბოლოოდ მოსარჩელის ოჯახი ფლობდა ორ ოთახს, ერთ უფანჯრო ოთახს, აივანსა და სამზარეულოს ფართის ნახევარს, ჯამში 41,69 მ2 საცხოვრებელ სადგომს. მოსარჩელის განმარტებით, სახლი, სადაც განთავსებული იყო საცხოვრებელი სადგომი, დღეისათვის აღარ არსებობს. 1992 წელს, თბილისის სამოქალაქო ომის დროს სახლს გაუჩნდა ხანძარი და დაიწვა სხვენი, დაზიანდა სახლის ყველა სართული, ხოლო ხანძრის ჩაქრობის დროს გამოყენებულმა წყლის ჭავლმა ისე დაზიანა მთლიანი სახლი, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. აღნიშნული გარემოება კი, გახდა მოსარჩელის მიერ სადავო საცხოვრებელი სადგომის რეალური მფლობელობის შეწყვეტის მიზეზი. ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, 2007 წელს მოპასუხეებმა მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებული იყო საცხოვრებელი სადგომი, გადასცეს ბინათმენაშენეთა ამხანაგობას, სახლი დაინგრა და ამჯერად იქ აშენებულია ახალი სახლი. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხეებმა მოსარჩელის კუთვნილი წილის ჩათვლით ახალ სახლში ამხანაგობისაგან მიიღეს 218 მ2 ბინა. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე, როგორც მისი აწ გარდაცვლილი მშობლების უფლებამონაცვლე, მოპასუხეებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ სადავო ფართის მესაკუთრეებს, ითხოვს თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე ახლად აშენებული სახლის №2 ბინიდან (საკადასტრო კოდი 01.15.05.041.004.01.002) 41,69 მ2 ფართის საკუთრებაში გადაცემას მოპასუხეებისათვის ძველი (დანგრეული) საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის – 5107 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით თ. შ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინებით თ. შ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი დაბადების მოწმობის ასლით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ თ. შ-ა არის გ. და ნ. შ-ების შვილი; რომლებიც, 1948 წლიდან გარდაცვალებამდე (ნ. შ-ს გარდაცვალებამდე 1979 წლის 27 სექტემბრამდე, ხოლო გ-ის – 1981 წლის 30 ნოემბრამდე) გ. და ტ. ა-ებთან (მესაკუთრეებთან) შეთანხმებით, ცხოვრობდნენ თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე სახლში განთავსებულ საცხოვრებელ სადგომში;

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, საცხოვრებელი სადგომის მფლობელობას და მასში ცხოვრებას აგრძელებდა თ. შ-ა, რომელიც თბილისში, ... ქუჩა №26 მისამართზე რეგისტრირებულია (ჩაწერილია) 1968 წლის 22 იანვრიდან და დღემდე მისი საცხოვრებელი ადგილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მონაცემების თანახმად, ითვლება აღნიშნული მისამართითა, რომლის მიხედვითაც, კომუნალურ გადასახადებს იხდიდა მოსარჩელე თ. შ-ა;

1992 წელს სამოქალაქო ომის დროს, თბილისში, ... ქუჩა №26 მისამართზე მდებარე სახლი პრაქტიკულად განადგურდა, დარჩა მხოლოდ კედლები და მასში ცხოვრება შეუძლებელი გახდა, რაც მხარეთა ახსნა-განმარტებების გარდა, დასტურდება საქმეში არსებული ფოტომასალით.

ერთ დროს გ. და ტ. ა-ების საკუთრებაში არსებული, თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებული იყო სახლი და მოსარჩელის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სადგომი, 2007 წლის 8 ოქტომბრისათვის წარმოადგენდა მოპასუხეების: ტ. ა-ას, თ. და ს. პ-შვილების საკუთრებას. მათ მონაწილეობა მიიღეს ბინათმშენებელთა ამხანაგობა „...-26-ის“ დაფუძნებაში და შენატანის სახით ამხანაგობას გადასცეს თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე 276 მ² მიწის ნაკვეთი, რაც მხარეთა ახსნა-განმარტებების გარდა, ასევე დასტურდება ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-26-ის“ დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებით;

ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-26-ის“ დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი, სადაც მოპასუხეებს, შენატანის შესაბამისად, გადაეცათ 150 მ² ფართი და იმის გათვალისწინებით, რომ თ. პ-შვილმა ამხანაგობის წევრ ლ. ა-თან გარიგების საფუძველზე შეიძინა დამატებითი წილი, დღეისათვის მოპასუხეები ტ. ა-ა, თ. და ს. პ-შვილები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული არიან თბილისში, ... ქუჩა №26-ში მდებარე 276 მ²-ის მიწის ნაკვეთზე არსებულ, მშენებარე სახლის მე-2 სართულზე განთავსებულ, 218 მ² ფართის მქონე, №2 ბინის (საკადასტრო კოდი ...) მესაკუთრეებად.

მესაკუთრეებთან: გ. და ტ. ა-ებთან შეთანხმებით, ჯერ კიდევ 1948 წლიდან გარდაცვალებამდე, საცხოვრებელ სადგომს ფლობდნენ მოსარჩელის მშობლები, რომელიც 1992 წლის სამოქალაქო ომის შედეგად პრაქტიკულად განადგურდა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, სადგომში ცხოვრებას აგრძელებდა მოსარჩელე თ. შ-ა, რომელიც 1968 წლის 22 იანვრიდან რეგისტრირებულია (ჩაწერილია) მშობლების დანატოვარი საცხოვრებელი სადგომის მისამართზე და სადგომის დანგრევამდე იხდიდა კომუნალურ გადასახადებს.

მოსარჩელის მშობლებს, მოპასუხე ტ. ა-ასა და აწ გარდაცვლილ გ. ა-ას შორის დაიდო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება და მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ამ გარიგებით წარმოქმნილი ურთიერთობის მონაწილე, როგორც უფლებამონაცვლე, გახდა მოსარჩელე თ. შ-ა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებზე და განმარტა, რომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მიზანია, მოაწესრიგოს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის წარმოშობილი ურთიერთობა იმ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც იცავენ, როგორც საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის, ასევე მოსარგებლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი დაცვის აღნიშნული მექანიზმი ვლინდება საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტის შესახებ მესაკუთრისა და მფლობელის უფლებების რეალიზაციის თავისებურებებში.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის ფარგლებში დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. შ-ა წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოსარგებლის სტატუსის მქონე პირს.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თ. შ-ს მიერ კანონის («საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონი) მიღების მომენტისთვისაც ხორციელდებოდა სადგომის მფლობელობა იმ სახით, რა სახითაც ეს შესაძლებელი იყო სადგომის ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და, ამ შემთხვევაში, მოსარგებლის მიერ სადგომის ფლობის სტანდარტი არ შეიძლება იყოს სადგომის პირდაპირი მფლობელობა აღნიშნულის ობიექტურად შეუძლებლობის გამო. ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კანონის მიღების მომენტისათვის მოსარჩელის მიერ სადგომის მფლობელობის დადგენა გავლენას ვერ მოახდენდა და ვერ შეცვლიდა საქმის განხილვის მომენტისათვის არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, თ. შ-ს მიერ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის სამართლებრივი საფუძველით მისთვის, როგორც მოსარგებლისათვის, საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის აღძვრის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა საცხოვრებელი სადგომი (დანგრეული სახითაც კი), იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის აღძვრის მომენტისათვის საცხოვრებელი სადგომის ადგილას ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-26-ის“ დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი, რომლის მე-2 სართულზე განთავსებული, 218 მ² ფართის მქონე, №2 ბინა (საკადასტრო კოდი ...) მშენებარე სტატუსით რეგისტრირებულია მოპასუხეების სახელებზე ტ. ა-ას, თ. და ს. პ-შვილებზე.

პალატამ განმარტა, რომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მიზნებისათვის, აღნიშნული კანონის სუბიექტების მიერ ამავე კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაცია დამოკიდებულია საცხოვრებელი სადგომზე მოსარგებლის მფლობელობის გარემოების არსებობაზე, რაც აუცილებლობით გულისხმობს თავად საცხოვრებელი სადგომის არსებობის ფაქტს, როგორც მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის საფანს.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარგებლის სარჩელის დაკმაყოფილების კანონით გათვალისწინებული უმთავრესი წინაპირობა – მოსარგებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის სახით, რომელიც ზემოხსენებული კანონის შესაბამისად, საკუთრებაში უნდა გადაეცეს მოსარგებლეს შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, გაიზიარებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის ფარგლებში მოსარგებლე პირის მიერ მესაკუთრის მიმართ მიწის შესაბამისი წილის საბაზრო ღირებულების 75%-ის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობის თაობაზე, ვინაიდან, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მესაკუთრის ვალდებულება კომპენსაციის გადახდის თაობაზე, წარმოადგენს მოსარგებლის მიერ დაკავებულ საცხოვრებელი სადგომზე (და არა მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე) მოსარგებლის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნის სანაცვლო ვალდებულებას, რაც (სადგომის მფლობელობა) განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს.

სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარსა და სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, წარმოადგენდა არა მშენებარე სახლის, როგორც საცხოვრებელ სადგომის საკუთრებაში გადაცემის ფაქტობრივ საფუძველს, «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის სამართლებრივი საფუძვლით, არამედ მესაკუთრეთა მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობას, რაც სცილდებოდა განსახილველი დავის ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო და არ გამომდინარებდა მესაკუთრესა და მოსარგებლე პირების ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური კანონის მიზნების სწორი განმარტებიდან და, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. შ-მ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლოს მსჯელობა ემყარება ორ ურთიერთგამომრიცხავ დასაბუთებას, კერძოდ, სასამართლოს მიიჩნია თ. შ-ა მოსარგებლის სტატუსის მქონე პირად, თუმცა ჩათვალა, რომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონი არ უნდა გავრცელდეს მისთვის საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებით. სასამართლო არ მსჯელობს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხეები უსაფუძვლოდ გამდიდრდნენ თ. შ-ს უფლების იგნორირების ხარჯზე. თუკი თ. შ-ა არის მოსარგებლე პირი, ამასთან დადგენილია რომ საცხოვრებელი სადგომი დაზიანდა ხანძრის შედეგად, რა სახითაც იყო იმ სახით იყო მფლობელი თ. შ-ც და მოპასუხეებიც და არ იყო განადგურებული კანონის მიღების მომენტისათვის, შესაბამისად, თ. შ-ს, ბუნებრივია, აქვს იმ საკუთრებაზე მოთხოვნის უფლება, რომელიც წარმოადგენს «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს. სასამართლომ კი, შეჯიბრებითობის პრინციპის უფულებეფყოფით დაასკვნა, რომ ვინაიდან შენობა უკვე დანგრეულია სარჩელის შეტანის მომენტისათვის არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პირობა, თუმცა არ უმსჯელიათ მოსარჩელის ხარჯზე მოპასუხეთა უსაფუძვლო გამდიდრების საკითხზე.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპის უხეში დარღვევითა და საერთოდ, დაუსაბუთებლობის გამო, არ იმსჯელა სარჩელის ძრიტად მოთხოვნაზე. კერძოდ, თ. შ-ა უთითებდა, რომ ფორსმაჟორული მდგომარეობის – ხანძრის გამო განადგურდა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა სადგომი, მოპასუხეებმა 150 კვ.მ. ფართი ამხანაგობისაგან მიიღეს ნატურით უსასყიდლოდ თ. შ-ს მოსარგებლის უფლებისა და თავიანთი საკუთრების უფლების ხარჯზე. ამ საკითხზე კი, სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია გადაწყვეტილებაში, შესაბამისად არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი.

კასატორის აზრით, ასევე საგულისხმოა, რომ სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს შეუძლია მოსთხოვოს მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურება, თუმცა დასაბუთება არასრულია, არ მიეთითება ზიანი საიდან უნდა გამოიანგარიშოს მოსარჩელემ. იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლო უთითებს, რომ მიწიდან გამომდინარე ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს, ასევე უთითებს, რომ შენობა უკვე დანგრეულია და არ არსებობს ბრუნვის ობიექტი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ფორსმაჟორულ პირობებშია განადგურებული, მასზე მოთხოვნის უფლება არ გააჩნია მოსარჩელეს. კასატორის მოსაზრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ შენობა მოპასუხეების ქმედების უშუალო ზემოქმედების შედეგად არ დამწვარა, ზიანის მოთხოვნა საიდან უნდა განახორციელოს მოსარჩელემ იმ ვითარებაში, როდესაც არსებობს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი.

სასამართლომ არასწორად გადმოსცა სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები.

კასატორის განმარტებით, არასწორია სასამართლოს მითითება მასზე, რომ, ვინაიდან 1992 წელს დაიწვა სახლი, პრაქტიკულად განადგურდა სახლთმფლობელობა. კასატორი ასევე არ ეთანხმება იმ გარემოებას, რომ თითქოს 1996 წლის 27 ივნისამდე, როცა მიღებულია «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერ-

თობების შესახებ» საქართველოს კანონი, განადგურებული იყო შენობა, ამის დამადასტურებელი ერთი მტკიცებულება კი არ მოიპოვება საქმეში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. შ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. შ-ს მშობლებს, მოპასუხე ტ. ა-სა და აწ გარდაცვლილ გ. ა-ს შორის დაიდო საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგება და მშობლების გარდაცვალების შემდეგ ამ გარიგებით წარმოქმნილი ურთიერთობის მონაწილე, როგორც უფლებამონაცვლე, გახდა მოსარჩელე თ. შ-ა.

ზემოაღნიშნული ფაქტი მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა და, შესაბამისად, სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია, რადგან საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის აღძვრის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა საცხოვრებელი სადგომი, რადგან მისი დანგრევის შემდეგ, მის ადგილას ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-26-ის» დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი, რომლის მე-2 სართულზე განთავსებულია 218 კვ.მ №2 ბინა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საცხოვრებელი სადგომი დაინგრა ობიექტური ფაქტორების გამო, 1992 წლის სამოქალაქო ომის შედეგად.

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» საქართველოს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 იანვრამდე წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ მოწესრიგებას მოითხოვს (კანონის პირველი მუხლი). აღნიშნული უკავშირდება უშუალოდ ამ ურთიერთობების სპეციფიკას. კერძოდ, ურთიერთობები, რომლებიც არსებობდა ზემოაღნიშნულ პერიოდში ფაქტის სახით, განსახილველმა კანონმა მიაჩნია იურიდიული მნიშვნელობა და დაუკავშირა მას კონკრეტული სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან.

ამავე კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზედაც. ამდენად, საცხოვრებელი სადგომი წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. კონკრეტული ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლეს წარმოადგენს იმ პირს, ვისაც კანონით დადგენილი გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, აქვს მესაკუთრედ ცნობის უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული კანონით განსაზღვრული მოსარგებლის უფლება ვრცელდება დათმობის გარიგების საფუძველზე, მის სარგებლობაში არსებულ საცხოვრებელ სადგომზე და, შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უშუალოდ იდგა (და არა მიმდებარე ტერიტორია) ეს საცხოვრებელი სადგომი. ამდენად, იმ საცხოვრებელი სადგომის დანგრევა, რომელზედაც მხარეს გააჩნდა მოსარგებლის უფლება არ იწვევს იმ უფლების მოსპობას, რომელიც მას გააჩნია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მყარად დაკავშირებული იყო საცხოვრებელი სადგომი.

ამდენად, დათმობის გარიგების დადების შედეგად მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგომზე მოპოვებული უფლება ვრცელდება არა მარტო შენობა-ნაგებობაზე, არამედ იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უშუალოდ იდგა ეს საცხოვრებელი სადგომი. შესაბამისად, ამ საცხოვრებელი სადგომის ნაცვლად ახალი ნაგებობის აშენების შემთხვევაში მოსარგებლის უფლება გავრცელდება, ასევე იმ მიწის არსებით შემადგენელ ნაწილზე, რომელზედაც ვრცელდება მის მიერ მოპოვებული მოსარგებლის უფლება.

იმის გათვალისწინებით, რომ 1992 წლის სამოქალაქო ომის შედეგად დანგრეული საცხოვრებელი სადგომის ნაცვლად, მის ადგილას ბინათმშენებლობის ამხანაგობა „...-26-ის» დაკვეთით წარმოებული სამშენებლო სამუშაოების შედეგად აშენდა სახლი, რომლის მე-2 სართულზე განთავსებულია, 218 კვ.მ. ფართის №2 ბინა, მოსარგებლებს უფლება აქვთ, მათ მიერ დათმობის გარიგების საფუძველზე დაკვეთული საცხოვრებელი სადგომის 25%-ის გადახდის სანაცვლოდ მიიღონ მითითებული 25%-ის თანხის ღირებულების ფართი ახალ აშენებულ ბინაში და არა მთლიანად ეს ბინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვილოს, თუ რა ღირებულების ფართი ეკავათ მოსარგებლებს და ამ ღირებულების 25%-ის გადახდით რა რაოდენობის ფართის მესაკუთრედ შეიძლება იქნეს იგი ცნობილი ახალ აშენებულ ბინაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. შ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.